# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 27 ნოემბერი 2009 №24(102)

1516
2009

სახელ-დიდების მოჩვენებითი ხიბლი
ნაირა გელაშვილი ილია ჭავჭავაძეზე
ემზარ კვიტაიშვილის ლექსები
ვუაზიმოდოს სანობელო სიტყვა
შვიდი ბრძენკაცის ნადიმი
ლია მოლარიშვილის პიესა
წვიმა რომ არა



# წიგნის თარო


ჩ. დიკენსი
საშობაო მოთხრობები


იაკ ქადაგიძე
ვის მიუყიდით ქართულ მწერლობას?!








ქეთევან ელაშვილი
სიტყვით თრობა


სილვია პლათი
ზარხუფი


ქეთევან შენგელია
ცეცხლი და მდინარე


ულვი ბუნიადზადე
ÜLVİ BÜNYADZADƏ
სიცოცხლის გზა
ÖMÜR YOLU

## შინაარსი


რედაქტორის გვერდი 2 სახელ-დიდების მოჩვენებითი ხიბლი

ილიას გზით 4 ეკა ბუჯიაშვილი წინამურიდან საგურამომდე

5 გიორგი ლომიძე შვიდი პრემია, მეშვიდედ

წარსული მომავლისათვის 6 ნაირა გელაშვილი ილია, როგორც საიდუმლო

ჩვენი ყოფა. წუთისოფელი 8 ჯემალ ინჯია საგანძური ელის აღმომჩენს

გამოხმაურება 8 საბა სულხანიშვილი ანკეტა აღსარებად
(იონა მეუნარგიას წამოწყება)

ექსპრეს-ინტერვიუ 10 გიზო თავაძე „რაცა კაცსა ღმერთმან მისცეს“
(მოამზადა ნატა ვარადამ)

დრამატურგია 11 ლია მოლარიშვილი ეთერი

პოეზია 25 ემზარ კვიტაიშვილი გასერილი გული და სხვა ლექსები

ესეისტიკა 30 სალვატორე კუაზიმოდო პოეტი და პოლიტიკოსი
(სიტყვა, წარმოთქმული 1959 წელს სტოკჰოლმში, ნობელის პრემიის მიღებისას)

დიალოგი 35 „ვცდილობ დრო ნაყოფიერად გამოვიყენო“
(ლევან ბრეგაძეს ესაუბრება დავით გურგენიძე)

რეპორტაჟი 37 ეკა ბუჯიაშვილი შენიდან ჩვენამდე
(თეკლა ბატონიშვილის გახსენება ერეკლეს სასახლეში)

კრიტიკა 38 ქარდა ქარდუხი შიოს მწვერვალი
(მინაწერები ბიოგრაფიულ რომანზე „მზე და მწუხრი“)

ფიქრები 40 გურამ ბათიაშვილი სახეები და სიტუაციები

ახალი წიგნები 44 იზოლდა გრძელიძე ხიდი არაგულ სამყაროსთან

ეპისტოლე 45 ვაჟა თავბერიძე ფიქრი პოკორიას აღსასრულზე
(გია ხოფერიას ახალი მოთხრობის გამო)

კლასიკური მემკვიდრეობა 46 პლუტარქოსი შვიდი ბრძენკაცის ნადიმი

ჩემი პატარა ქალაქი 62 ნინო დეკანოიძე სიტყვა — საგარეო სამოსელი

მოზაიკა 63 წვიმა რომ არა...



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაიბეჭდა სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ—კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე


გარეკანზე: ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში
ლადო ჩაჩუას ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 11 დეკემბერს

# სახელ-დიდების მოჩვენებითი ხიბლი

ჟაკ დე ლა ბრუიერის „ხასიათების“ გადაკითხვისას შესაძლოა მოგეჩვენოთ, ნეტა ანტონ ჩეხოვს იმ ნოველის – „პირველი კლასის მგზავრი“ – სიუჟეტური ქარგა ამ თხზულების ერთმა პასაჟმა ხომ არ შთააგონაო?!.

მატარებლის მგზავრი ბუფეტში უნებურად მოისმენს, თუ როგორ ულოცავს ერთი ახალგაზრდა მეორეს სახელისა და პატივის მოხვეჭას: თქვენ უკვე ცნობილი ბრძანდებით და დღითიდღე გემატებათ სახელი და დიდებაო, – და ახლა ვაგონში შესული თანამგზავრს შთაბეჭდილებას უზიარებს და მისი აზრის შეტყობასაც ცდილობს: ალბათ მსახიობები თუ იყვნენ ან ვილაც წვრილმანი მეგაზეთეები, მაგრამ ის უფრო მაფიქრებს, რა არის და რაში მდგომარეობს ეს დიდება და სახელის გათქმა, თქვენ როგორ გგონიათო?

– პუშკინი ამბობდა, სახელი და დიდება დაგლეჯილი ტანსაცმლის ღია ფერის საკერებელიაო. ჩვენც ყველას პუშკინისებურად გვესმის ეს დიდება, ე.ი. ცოტად თუ ბევრად სუბიექტურად, მაგრამ გადაჭრით კი ჯერ ვერავის მოუცია ჩვენთვის ჯეროვანი პასუხი. oო, რას არ მივცემდი, რომ ვინმე ამიხსნიდეს ამ სიტყვებს!

თურმე სიყმაწვილისას სულითა და გულით მოელტვოდა ამ სახელსა და დიდებას, პოპულარობის სურვილი სწორედ სიგიჟედ გადაექცა, ამისთვის სწავლობდა, ამისთვის მუშაობდა, ღამეებს ტეხდა და ლუკმას იკლებდა, ჯანიც კი დაკარგა, ხელობით ინჟინერმა ოცამდე მშვენიერი ხიდი ააგო, სამ ქალაქში წყალი გაიყვანა, მუშაობდა რუსეთში, ინგლისში, ბელგიაში, თავის დარგში უამრავი წერილი და თხზულება დაწერა, ქიმიით გატაცებულმა თავისუფალ დროს მუშაობით იმასაც მიაღწია, რომ რამდენიმენაირი მჟავა აღმოაჩინა, ასე რომ, მისი სახელი საზღვარგარეთის რამდენიმე ქიმიის სახელმძღვანელოშიც მოხვდა, მთელი ეს ხანი სამსახურში იმყოფებოდა და „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობასაც“ მიაღწია, შეუბღალავი ფორმულარითაც შეუძლია დაიტრაბახოს და თამამადაც განაცხადებს, სხვა სახელოვანებზე ნაკლები არც მე გამიკეთებიაო.

მაგრამ რა!..

– აგერ დავბერდი, სიკვდილსაც ვაპირებ და ცნობილი კი იმდენად ვარ, რამდენადაც აგერ ის შავი ძაღლი, მინდორზე რომ გარბის.

თანამოსაუბრე ცდილობს გუნება გამოუკეთოს: იქნებ ცნობილიც ხართო, – მაგრამ შეკითხვაზე: გსმენიათ თუ არა ოდესმე კრიკუნოვის გვარიო? – უარის ნიშნად რომ გაიქნევს თავს, ის გულდაწყვეტით დაუბეჯითებს თავისას:

– თქვენ ინტელიგენტი და ხნიერი ადამიანი ბრძანდებით და ჩემი გვარი კი არ გაგიგონიათ. საბუთი, მგონი, დამაჯერებელია.

სამშაბათს, 1 დეკემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
წარდგინება

**თამაზ ბაძაღუას**
პოეტური კრებულისა

**„სიზმარში მაინც
ვხვდებით ერთმანეთს“**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

მაინც რა მოგახვეჭინებს ადამიანს სახელსა და დიდებას?

ვითომ ნიჭი, ღვთის მადლი ან გენიოსობა?

მაშ რატომ ხდება, რომ თუნდაც კრიკუნოვის მხარდამხარ ფუჭმა, ფუქსავატმა ადამიანებმა მშვენიერი მომავალი ააწყვეს? მასზე ნაკლებსაც შრომობდნენ, არც ნიჭისა და ღვთის მადლის ნატამალი მოეპოვებოდათ, მაგრამ გაზეთებიც მათი სახელებით გადაჭრელებულიყო და ლაპარაკშიც ყველგან მათი გვარები გაისმოდა.

აგერ ეს ჩვენი ინჟინერი ერთხელ ერთ ქალაქში ხიდს რომ აგებდა, მისი საზეიმოდ კურთხევისას პარაკლისსაც გადაიხდიდნენ, ორატორებიც ერთმანეთს შეცვლიდნენ, დეპეშების ზღვაც მოსკდებოდა, მაგრამ მის ამგებს ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა, თუმც ეს მიამიტურად იმედოვნებდა, მთელი ქალაქი რომ ესწრება ხიდის გახსნას და აღტაცებასაც გამოთქვამენ მისი დიდებულებით, მე ალბათ ჯერ თვალებით შემჭამენ და მერე მოწონებასა და ქებას არ მომაკლებენო.

უეცრად ხალხი ახმაურდება, აჩურჩულდება, გადაიბადრება, ამოძრავდება. ეს გამოცოცხლდება: ეტყობა, ახლა მაინც დამინახესო.

თურმე ის მსახიობი და მომღერალი გამოჩენილა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალად ცნობილი, ეს ჩვენი ინჟინერი გართობის მიზნით რომ დაახლოებოდა, თორემ ვერც მისი არტისტობა მოხიბლავდა, ვერც მისი სიმღერა, თანაც ფუქსავატი, უხასიათო და საშინლად ხარბი გომბიოც გამოდგებოდა.

და ახლა ინჟინერს ვილაცის ჩურჩული მოესმის, მასზე რომ უთითებენ: ეს არის მისი საყვარელიო.

ხიდი ვინ ააგო, უკვე არ აინტერესებთ, ტაძარი ვინ ააშენა, კაციშვილს არ ახსოვს, სამაგიეროდ, ჩინებულად მოეხსენებათ, რომ ეს ქალი „ვილაც ინჟინერ კრიკუნოვთან ცხოვრობს“.

გაზეთებიც მეორე დღეს ამ ქალის ხსენებითა და მისი ჩაცმულობის დეტალური აღწერით გადაჭრელდა და ხიდის ამგები გაკვრითაც არსად აღნიშნულა.

მოსკოვში ხუთ საჯარო ლექციას რომ წაიკითხავდა საქველმოქმედო მიზნით, გაზეთები არც ამაზე დაძრავდნენ კრინტს, სამაგიეროდ, უხვად დაბეჭდავდნენ მასალებს ცეცხლის წაკიდებაზე, ოპერეტასა და მთვრალ ვაჭრებზე.

კონკის გაჭედილ ვაგონში კრიკუნოვი თურმე შეკითხვას შეკითხვაზე დასვამდა ყველას გასაგონად: ქალაქის საბჭოს ინჟინერი რომ მოუწვევია, მისი გვარი ხომ არ იცითო? მუზეუმში ვილაც საჯარო ლექ-

26 879

ციებს რომ კითხულობს და თანაც მშვენივრად, ხომ არ გსმენიათო?..

არამცთუ ლექციების გამართვის ამბავს, უმეტესობა მუზეუმის არსებობასაც თურმე პირველად ახლა გაიგებს.

უეცრად ერთი მგზავრი აყვირდება: ხედავთ, შავგვრემანი კაცი ეტლში რომ ჯდება? ცნობილი ჩქარი მოსიარულე კინგიაო, – და მთელი ვაგონი გატაცებით ალაპარაკდება ჩქარმოსიარულეებზე.

კრიკუნოვი შეეგუება იმ აზრს, ეტყობა მე ყოვლად უნიჭო და ბაქია კაცი ვარ და სახელი და დიდება არც მეკუთვნისო, მაგრამ ის როგორღა აეხსნა, რომ პატიოსანი და ნიჭიერი, გამრჯე ადამიანები სრულიად უცნობნი იხოცებოდნენ? გნებავთ ზღვაოსნები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, მექანიკოსები და მეურნეები, გნებავთ მხატვრები, მოქანდაკეები და მწერლები – განა იცნობდა მათ განათლებული ფართო მასა?

სკეპსისი ამასაც ათქმევინებს:

– აბა, დამისახელეთ ჩვენი ისეთი გამოჩენილი მწერალი, რომელსაც სახელი და დიდება მოეხვეჭოს, სანამ არ გავრცელებულიყოს ხმა, რომ ან დუელში მოკლეს, ან გაგიჟდა, ან ციმბირში გაგზავნეს, დაატუსაღეს, ანდა ბანქოს თამაშისას თვალთმაქცობსო?

იმავდროულად კი შეუძლია ჩამოთვალოს ათასგვარი მომღერალი, ჯამბაზი და მასხარა, რომელთაც ძუძუმწოვარა ბავშვებიც კი იცნობენ.

კარი გაიჭრაჭუნებს, ვაგონში ქარი შემოიჭრება და ვიღაც ლურჯსათვალიანი, პირქუში ცილინდროსანი შემოყოფს თავს. ახალშემოსული მიათვალ-მოათვალიერებს ადგილებს, მოიღუშება და გაივლის.

– იცით, ვინ არის ეს მოქალაქე? – გაისმის ვიღაცის ჩურჩული ვაგონის მეორე კუთხეში, – ეს -ია, ტულის ცნობილი შულერი და -ის ბანკის საქმეზე სამართალში მიცემული.

პირველი კლასის მგზავრისათვის ეს წამოძახილი თავისი მწუხარე თეორიის დამადასტურებელია: ტულის შულერი იცის, მაგრამ, აბა, ჰკითხეთ თუ ვინ იყო სემირარადსკი, ჩაიკოვსკი ან ფილოსოფოსი სოლოვიოვი, თავს გააქნევს და არას მოგაძახებსო, – და კიდეც უმტყუნებს ნერვები: სივირე და სიბრიყვეა, სხვა არაფერიო.

ახლა უკვე მისი თანამოსაუბრე დაინტერესდება: პუშკოვის გვარი თუ გაგიგონიათო? – და უარით რომ უპასუხებენ, ძლივს წაილუღლუღებს: აგერ ოცდათხუთმეტი წელია ერთ უნივერსიტეტში პროფესორად ვარ, აკადემიის წევრიც გახლავართ, ერთხელ და ორჯერ არ დაბეჭდილა ჩემი ნაშრომებიო.

ორივე ერთმანეთს გადახედავს და... ახარხარდება.

სიმწრისაა ეს სიცილი.



*ანტონ ჩეხოვი*

თანაც გრძნობთ, რომ თვითონ ანტონ ჩეხოვის სიცილიც მოისმის, პერსონაჟთა ირონიას შერწყმული, ირონიას წუთისოფლის უცნაური ტრიალის მიმართ, ყველაფერს ისე რომ აპამპულებს და ამასხრებს, ვერაფერი მოგიხერხებია; და ამ უცნაური ტრიალისას სახელი და დიდებაც ისეთ ფუყე ილუზიად უქცევია, მისი გამოდევნება ყოვლად სერიოზულ კაცსაც კომიკურ პერსონაჟად გარდასახავს.

ჩეხოვს სიცოცხლეშივე არ დაკლებია არც პოპულარობა და არც დაფასება, მაგრამ რა გგონიათ, იქნებ სულაც მას გადახდა ის კომიკური შემთხვევა, მატარებლით მგზავრობისას მისი იქ ყოფნა რომ არავის შეუმჩნევია, არადა, რომელიღაც შულერს წამიერადაც თუ შეუღია კარი, მთელი ვაგონი აჩურჩულებულა და ალაპარაკებულა მის შესახებ და ყველაზე თავმომწონედ იმათ დაუძრავთ ხმა, ყველაზე უკეთ ვინც იყო ჩახედული შულერის ბიოგრაფიულ წვრილმანებში.

ნოველის მთავარ ძარღვს სწორედ ეს პასაჟი ქმნის.

ყოფითობიდან გადმოსულა მხატვრულ ქარგაში და... იმავდროულად თითქოს ლა ბრუიერის დაკვირვების ბელეტრისტული გარდასახვაც იყოს, დაკვირვების, რომლის სიუჟეტიც, მოსალოდნელია, თვითონ ფრანგ მორალისტსაც ისევე გადახდენოდა თავს, როგორც მოგვიანებით რუს მწერალს:

– ისე არაფერი ალამაღლებს ადამიანს ხალხის თვალში და ისე სწრაფად არ შემოჰყავს მოდაში, როგორც დიდ თანხაზე თამაშს და, მასთან ერთად, გარყვნილებასაც. ერთი მაჩვენა დიდად თავაზიანი კაცი, მხიარული, გონებამახვილი, თუნდაც იყოს კატული ან მისი შეგირდი, თუ გაუძლებს დაპირისპირებას ისეთ ვინმესთან, რომელმაც ერთ დაჯდომაზე ასი პისტოლი წააგო.

...და სხვა რაღა დაგრჩენია, გარდა იმისა, რომ იცინო შენს ხვედრზე, თვალები რომ ამოგლამებია გარჯით, დღე და ღამე გაგისწორებია, თავი გადაგიდია ხალხისათვის და რა აღარ შეგიქმნია საზოგადოებრივი ყოფისა და მორალის ასამაღლებლად... მაინცდამაინც არც სახელ-დიდებას გამოჰკიდებიხარ, მაგრამ რაღაც-რაღაც ილუზიები გაგჩენია, ილუზიები, რომლებიც ერთბაშად შეიძლება გაგიფანტოს შენს მახლობლად ატეხილმა ჩურჩულმა თუ ხმაურმა, ცნობილი სახის სკანდალური ბიოგრაფიული წვრილმანებით ნასაზრდოებმა.

გაზეთებიც ამ ინტერესს წაულეკავს – ყვითელიც და ვითომ არაყვითელიც.

ცისფერი ეკრანებიც ისე მომწყვდეულან ამ ჩარჩოში, თითქოს სხვა არც არაფერი იყოს ყურადღების ღირსი ღვთითბოძებულ, უთვალავფერ სამყაროში.

და ველად გააქვს ნიავს ლა ბრუიერისა თუ ჩეხოვის თეთრი ბუმბული.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკა ბუჯიაშვილი

# ნინამურიდან საგურამომდე

რა მოხდა სინამდვილეში?

რატომ ვერ შევძელით თავიდან აგვეცილებინა ეს ყველაფერი?

ვინ იყო ამაში დამნაშავე — მხოლოდ ისინი, მის წინააღმდეგ რომ იყვნენ განწყობილნი თუ ის ადამიანებიც, ვინც გაუჩუმდნენ წამების გზაზე შეყენებას ერის ჭეშმარიტი წინამძღოლისა.

წინამური კი... მოხდა.

1907 წლის აგვისტოც შავი ასოებით ჩაეწერა ჩვენს ისტორიაში... და აი, წლების შემდეგ, *ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ, მისი სახელობის სახელმწიფო და ეროვნული უნივერსიტეტების ერთობლივი ძალისხმევით სტუდენტებმა აქცია რომ გამართეს და* წინამურთან შეიკრიბნენ იქაურობის დასასუფთავებლად, სიმბოლურად ხეების დასარგავად, საგურამოს სახლ-მუზეუმში მწერალი *როსტომ ჩხეიძე* მიიწვიეს, მის მიერ ილიას შესახებ გამოცემული წიგნის — *„ეკლიანი და პატარა გზის“* — პრეზენტაციაც გამართეს და ილიას ცხოვრების, მისი ღვაწლისა და ბედისწერის შესახებ დასმული არაერთი კითხვითაც მიმართეს მწერალს.

სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად დაიწერა როსტომ ჩხეიძის ეს წიგნიც.

— ავტორი აქ თითქოს არ ჩანს, — თქვა შეხვედრაზე საგურამოს მუზეუმის დირექტორმა ბატონმა *ანდრო ბედუკაძემ*, — წიგნში ძირითადად ის ადამიანები საუბრობენ, ვინც ილიას იცნობდა. ზოგი კარგს ამბობს, ზოგი ცუდს, ზოგი გულწრფელია, ზოგიც ცრუობს... და სწორედ ამას ემსახურება წიგნი — მკითხველი თვითონ გაჰყვეს ილიას გზას, იტრიალოს გარემოში, რომელშიც იგი ცხოვრობდა, წინამურამდე მიჰყვეს მას და თავად განგაცდევინოთ ილიას მკვლელობის ფაქტიო.

ჟურნალისტმა *იოსებ ჭუმბურიძემ* ის პერიოდი გაიხსენა, როცა როსტომ ჩხეიძე ამ თხზულებას მკითხველს აცნობდა და ერთგვარი მისტიფიკაციის ხერხსაც მიმართა — თითქოს ეს ნაწარმოები რედაქციაში მიეტანოს უცნობს და ავტორის შესახებ არაფერი იცოდა.

— წავიკითხე და მომეწონაო, — წერდა მაშინ ბატონი როსტომი, — ისე მომეწონა, ავტორობაც მომინდა მისიო. მე კი ძალიან მიხარია, რომ ამ თხზულების ავტორი სწორედ როსტომ ჩხეიძეა. ის ბევრი კარგი და ძალზე მნიშვნელოვანი ნაწარმოების ავტორია, მაგრამ ეს წიგნი — „ეკლიანი და პატარა გზა“ — ჩემთვის სამაგიდოა იმ პატარა კრებულთან ერთად, გულის ჯიბეში რომ ჩაგეტევა, „ირლანდიური მელოდიები“ რომ ჰქვია და დიდი ეროვნული სულისკვეთებით არის განმსჭვალულიო, — თქვა ბატონმა იოსებმა და სტუდენტებს ისიც ურჩია, რომ საგანგებოდ განწყობილიყვნენ წიგნის ხელში ასაღებად, რადგან ეს არ არის თხზულება, რომლის წაკითხვითაც დიდ სიამოვნებას მიიღებ — ის დიდ ტკივილს და მძაფრ განცდებს უკავშირდებაო.

მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშში, რომელიც თავისი ორიგინალური ფორმითაც გამოირჩევა, 55 პერსონაჟი — ზოგი რეალური, ზოგიც გამოგონილი — ილიას მკვლელობის შესახებ მოგვითხრობს და თავისი თვალსაწიერიდან აფასებს ამ ფაქტს. ბატონი როსტომის თქმით, ამ ფორმის იდეით დავალებულია ჯიბრან ხალილ ჯიბრანის წიგნისგან „იესო ძე კაცისა“, სადაც იესოს თანამედროვენი საუბრობენ მის შესახებ... და შემთხვევითი ალბათ არც ის არის, რომ ბატონ როსტომს ეს იდეა სწორედ ილიაზე თხზულების დასაწერად უჩნდება — ამ ერისკაცის გზაც — წინამურიდან საგურამომდე — ხომ გოლგოთაა, რომელზეც ის შეგნებულად მიდიოდა, რადგან იცოდა, რომ სიცოცხლის მსხვერპლად გაღება საკუთარი ერისა და ქვეყნისათვის ღვთიური საქმეა.

— კოლაუ ნადირაძის ლექსიდან ამოღებული სტრიქონი — „წინამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა“ — როსტომ ჩხეიძეს ამ წიგნის სათაურს რომ შთააგონებს, მასში გაასიმბოლოვებს ბედისწერას იმ ადამიანებისა, რომელთაც თავისი ქვეყნის წინაშე მსხვერპლი გაიღეს. მეტაფორულად რომ ვთქვათ, ყველა დიდ მოღვაწეს, რომელმაც თავისი ცხოვრება მამულსა და ერს შესწირა, მოუწია ამ გზის გავლა, მათ შორისაა ილიაცო, — თქვა წარდგინებაზე ახალგაზრდა მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ.

ვერც ქართველობამ შეძლო თავიდან აერიდებინა თავისი „გოლგოთა“. სწორედ ამიტომ აღნიშნა პროფესორმა *ნინო ვახანიამ:*

„— კითხულობ წიგნს და შესაძლოა ვინმეს კიდეც უჭიატებდეს იმედი — მე რომ ვყოფილიყავი, ასე არ იქნებოდა, შევძლებდი მის დაცვას და ამ საშინელების თავიდან არიდებასო, მაგრამ... ამთავრებ კითხვას და რწმუნდები, რომ ასე არ არის, რომ ჩვენც ყველანი იქ ვიყავით, ყველანი დამნაშავეები ვართ ილიას იმ თანამედროვეებივით, რომელთაც, მართალია, ტყვია არ უსვრიათ, მაგრამ მის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას კი გაუჩუმდნენ. ამის გამო კიტა აბაშიძემ თავის თავს ერთ-ერთი პილატეთაგანი უწოდა. ჩვენც ასეთი პილატეები ვართ...

ილია რომ მოკლეს, ეპოქა დამთავრდა დიდი, ათწლეულები გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ უპასუხოდაა კითხვები: ჩვენ კი შევიცვალეთ?

ან რეალობის შეცვლა კი შევძელით?“

და როსტომ ჩხეიძე ილია ჭავჭავაძის ღვაწლს ეპოქათა გზაჯვარედინზე რომ მიმოიხილავს, ამასაც იტყვის:

— ილია ქართველი ერისათვის ის მოღვაწეა, რომელიც არასოდეს იქცევა ისტორიად, მითუმეტეს დღეს, როცა კვლავაც ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, როგორშიც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ და იმისათვის, რომ გლობალიზმის საფრთხე დავძლიოთ და ძლიერ სახელმწიფოდ შევდგეთ, ის ახლაც ისევე გვჭირდება, როგორც მაშინ. გარდა იმისა, რომ ილია თავისთავადი მოვლენა იყო, მის შემოქმედებას საკაცობრიო მნიშვნელობაც აქვსო.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა როსტომმა სტუდენტებს საჩუქრად დაურიგა „ეკლიანი და პატარა გზა“ — წიგნი, რომელიც მათ „წარსულს ასწავლის მომავლისათვის“, იმისათვის, რომ ილიას გზით სიარული და ილიას ნანატრი საქართველოს აშენება შეძლონ, მანამდე კი მათ მადლი მიჰქონდათ ამ გარემოდან, მიჰქონდათ მეორე დღესაც, როცა მსვლელობა გაემართათ ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტიდან მთაწმინდის პანთეონამდე, სადაც მამა-დავითის ტაძრის წინამძღვარი *მამა იოანე* წმიდა ილია მართლის სულის მოსახსენებელ პანაშვიდს იხდიდა. ეს მადლი ტრიალებდა იმავე საღამოს თეატრალურ სარდაფში გამართულ სპექტაკლზეც *„ბუმბერაზის დაბადება“*, უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით რომ დაიდგა... და გაჰყვებათ მერეც — მომავლის გზებზეც...

დასტური კი იმისა, რომ ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, ის განწყობილებაც იყო, შეკრებაზე რომ სუფევდა და მის შემდეგაც, როცა სტუდენტები გარს შემოხვეოდნენ მწერალს, ავტოგრაფს ართმევდნენ და შეკითხვებს აძლევდნენ იმ ეპოქის, იმ მოღვაწეების შესახებ, ბევრწილად რომ განსაზღვრეს ქართული სახელმწიფოებრიობის ბედიცა და ეროვნული ცნობიერებაც.

ამ განწყობილების გამო თუ იყო ბატონმა ანდრო ბედუკაძემ რომ აღნიშნა:

— ვფიქრობ, ეს წიგნი ახალგაზრდობას აღუძრავს სურვილს, უკეთ გაეცნოს როსტომ ჩხეიძის შემოქმედებას. ეს კი არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ მგონიაო.

გიორგი ლომიძე

# შვიდი პრემია, მეშვიდედ

საგურამო, როგორც ყოველთვის, მომზადებული შეხვდა ილიაობას, 8 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების 172-ე წლისთავს.

ტრადიცია გრძელდება.

საგურამოს ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის ახალი ლაურეატების სახელები გამოცხადდა სახლ-მუზეუმის პარმალთან, ილიასეული წყაროს მხარეს შეკრებილი არცთუ მცირერიცხოვანი საზოგადოების წინაშე.



ანდრო ბედუკაძე

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორმა **ანდრო ბედუკაძემ**, რომელმაც შესავალი სიტყვით გახსნა დაჯილდოების ცერემონია, საინტერესო სიახლე გვამცნო: ამიერიდან დაჯილდოების ცერემონიის დროს ლაურეატი აუცილებლად წარმოთქვამს ეგრეთ წოდებულ „საპრემიო" სიტყვას და ეს სიტყვა შეინახება მუზეუმის მატიანეში.

ანდრო ბედუკაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა ფირმა „კალასის" მესვეურთა — **გიორგი ანდღულაძის, ვაჟა უსანეთაშვილის, გიორგი გაგუას, თენგიზ გავაშელისა და ილია შონიას** — მიერ მუზეუმის წინაშე გაწეული ღვაწლი და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის საქმიანი თანადგომა. შემდეგ დაიწყო დაჯილდოების ცერემონია.

პოეზიის ნომინაციის ლაურეატი გახდა **ლია სტურუა.**

მან წარმოთქვა სიტყვა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოირჩეოდა სიმწყობრითა და თანმიმდევრულობით. აქედან განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ფრაზა: „ჩემთვის საგურამოს პრემია დიდი პატივია, ძალიან დიდი ვალია, მაგრამ, ამავე დროს, ვგრძნობ სევდას, რომელიც მოაქვს ყველასთვის ცნობილ მოტივს: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია".

პროზა — **ნაირა გელაშვილი.**

ეს ისეთი არჩევანია, მოწინააღმდეგესაც რომ გაახარებდა.

„არც ერთი სხვა პრემია ჩემთვის ასე მნიშვნელოვანი არ იქნებოდა, როგორც ეს — საგურამოს პრემია. მხედველობაში მაქვს პირადი განცდა შინაგანი ნათესაობისა, ეს არის ილიას ფენომენით გამოწვეული ერთი გაბმული და დაძაბული ფიქრი, რომელიც თავიდან ბოლომდე მოჰყვება ჩემს ცხოვრებასა და შემოქმედებას...

როდესაც ერის სულიერ ცხოვრებას აღარ ჰყოფნის მაცხოვრის მისტერია, მაშინ ეს მისტერია მეორდება ერის შიგნით. როდესაც საქართველოს აღარ ეყო ქრისტეს წამება, მაშინ ილია ეწამა ქართველობისათვის... ეს იყო განხორციელება მისი საღვთო დანიშნულებისა და ფიქრისა ანუ აზროვნების სისტემისა, რომლის პარალელები ადვილად იძებნება ევროპულ კულტურაში".

თარგმანი — **ლელა სამნიაშვილი.**

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ჩამოყალიბებული პროფესიონალი და ნაყოფიერი შემოქმედი — ასე ახასიათებენ მას უფროსი კოლეგები.

კვინტესენცია მისი სიტყვისა: „ოპტიმისტური განცხადებაა, მაგრამ, დამერწმუნეთ, გაგრძელდება გზა ილიასი".

კრიტიკა — **თეიმურაზ დოიაშვილი.**

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ თემურ დოიაშვილს საჯარო გამოსვლა ჩაეგდოს. გამონაკლისს არც ამჯერად ველოდით, წარმოთქვა გააზრებული, კონცეფციური სიტყვა, საიდანაც გამოვარჩევდი ორ თეზას: 1. სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ ქართველმა ხალხმა ილია მიიჩნია „პატერ პატრიად", სამშობლოს, ერის მამად; 2. ილია არის ქართული კულტურის აბრაამი, რომელსაც ღვთისგან დაეკისრა მხსნელის ფუნქცია".

ხელოვნება — **თენგიზ არჩვაძე.**

„ბატონებო და ქალბატონებო, მაპატიეთ, ვერ გავბედავ ილიაზე სიტყვის წარმოთქმას, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ უზომოდ მოხარული ვარ და მადლობას მოგახსენებთ ყველას ყურადღებისა და დაფასებისათვის", — ბრძანა ბატონმა თენგიზმა.

სახელოვანი არტისტის მოკლე სიტყვა კარგად შეავსეს პოეტებმა **თემურ ჩალაბაშვილმა** და **ჯემალ ჩახავამ.** პირველმა წაიკითხა თენგიზ არჩვაძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი, მეორემ კი მურმან ლებანიძის „მესამე სვეტი" შეახსენა მსმენელებს.

ჰუმანიტარული მეცნიერებანი — **ედიშერ ჭელიძე.**

ბოლო დროს მეცნიერებასა და ღვთისმეტყველებაში იმდენად მნიშვნელოვანი და დიდი საქმეები გააკეთა, რომ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ დიდი ედიშერი.

მან ბრძანა: „ცხადია, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ წმინდა ილია მართლის სახელი ქართველთათვის განსაკუთრებული ღირებულებაა, მაგრამ სწორედ ამ ღირებულების უკეთ წარმოჩინებისა და ნათელყოფის მიზნით საჭიროა შევისწავლოთ ილია ჭავჭავაძე როგორც ღვთისმეტყველი. ეს ბევრი საგულისხმო დასკვნის გამოტანის საშუალებას მოგვცემდა".

ილიას მედალი: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა" ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის — **რობერტ სტურუა.**

ჯილდოს ჩაიბარებს და ოჯახის სახელით მადლობას გადაიხდის მიხეილ სტურუა, ვაჟი რობერტ სტურუასი.

დიდი რეჟისორი საქართველოში არ იმყოფება. ორ დღეში დაბრუნდება და ალბათ „საპრემიო" სიტყვასაც იტყვის, ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ მუზეუმის ანალებში მისი ტექსტიც იდოს.

ბოლოს მსახიობი **ზურაბ ქაფიანიძე** წაიკითხავს ილიასადმი მიძღვნილ ლექსს და ამით დასრულდება საგურამოს ლიტერატურული პრემიების გადაცემის მეშვიდე ცერემონია.

ნაირა გელაშვილი

# ილია, როგორც საიდუმლო

ჩემი მადლიერება ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის მონიჭების გამო უპირველეს ყოვლისა, იმის აღნიშვნით მინდა გამოვხატო, რომ არცერთი სხვა სახელობის პრემია ჩემთვის ასეთი მნიშვნელოვანი არ იქნებოდა.

და აქ მე მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ე.წ. ობიექტური მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის, რომელიც იმდენად განუზომელი და უნიკალურია, რომ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ მასზე, – ჩვენ კი აგერ უკვე მეორე საუკუნეა მასზე ვლაპარაკობთ, – მთლიანად მაინც ვერ მოვაქცევთ სიტყვაში და ვერც მზერით მოვიცავთ.

მე ვგულისხმობ სულიერი ნათესაობის განცდას, რომელმაც როდის შემიპყრო ილია ჭავჭავაძის მიმართ, ნამდვილად აღარ მახსოვს, მაგრამ რომ ის ჩემს ძირეულ და განუყრელ განცდებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩნდა, კარგა ხანია, ვიცი. ახლა კი მხოლოდ ის მაგონდება, ასე 20 წლის წინ პირველი ინტერვიუ რომ აიღეს ჩემგან და ჟურნალისტმა მითხრა:

„– თქვენს რომანს – „დედის ოთახი“ – აშკარად ილია ჭავჭავაძის ხაზი გასდევს ლაიტმოტივად. ის მისი მთავარი ღერძია. მხოლოდ ბაზალეთის ტბის სიმბოლურ ეპიზოდებს არ ვგულისხმობ...“

მახსოვს, რომ ამ შენიშვნამ დამაბნია, მგონი დამაფიქრა და ვუპასუხე:

„– მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ილია ჩემთვის „მარადთანამდევი, უკვდავი“ სულია. ხანდახან მგონია, ყველაზე მეტად ამ ადამიანზე ვფიქრობ, უფრო მეტს, ვიდრე ცოცხალ ახლობლებზე და სულ უფრო დიადი მეჩვენება ის საიდუმლო, რითაც შებურულია ამ ღვთის რჩეულის, მამის, მხსნელისა და ზვარაკის საიდუმლო. ისე, რომ წერისას იმდენად მიზანდასახულად არა, რამდენადაც თავისთავად მივიწევ ხოლმე ამ უზარმაზარი სხივოსანი მაგნიტისაკენ. ყოველ შემთხვევაში, როცა რომანი დავამთავრე, მერე აღმოვაჩინე, რომ ილიას მოტივი, როგორც თქვენ ბრძანეთ, მისი მთავარი შინაგანი ღერძია, თუმცა, თავად ილიას სახელი სულ ორჯერ თუ იხსენიება“.

და ინტერვიუ მთავრდებოდა სიტყვებით:

„ასე რომ, ჩვენ ახლაღა ვხდებით ილიას მემკვიდრეები: ჩვენი და მისი „კარგი ქვეყანა“ ისევ მონყენილია, ისევ სულთმობრძავია, ისევ ცრემლი სდის. ჩვენი საერთო ძალებით, აზროვნებით, განათლებითა და შრომით უნდა მოვაშუშოთ ჩვენი ტანჯული დედის იარები“.

ეს იყო 1988 წელს. სხვათა შორის, ამ ინტერვიუს გამო კომკავშირის ცეკამ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სამი თუ ოთხი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვა.

ხოლო მალე ამის შემდეგ საქართველოში გაშლილმა ანტიკომუნისტურმა საპროტესტო მოძრაობამ ილია ჭავჭავაძის ისეთივე ექსპლუატაცია, მისი ისეთივე გაცალმხრივება დაასაბამა, როგორსაც საბჭოთა იდეოლოგიამ მიგვაჩვია და მისი სახელი და კონტექსტიდან ამოგლეჯილი „მამული, ენა, სარწმუნოება“ სამუდამოდ მიიწერა საკმაოდ უსაგნო „პატრიოტიზმის“ დროშამ. მიიწერა და უსწრაფესად გაცვითა. და მერე მეც ხშირად, გავმწარებულვარ საკუთარ თავზე: ნეტავ იმ მოძრაობის დასაწყისში ილიაზე ის სიტყვები არ დამეწერა-მეთქი, რომლებიც მაშინ ძალინ ზუსტი, მერე კი აუტანლად პათეტიკური მეჩვენებოდა.

ასე იყო თუ ისე, მოაზროვნე საზოგადოება იმაზე უფრო დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა ხანაში იყო; ახლა ორმაგი პროპაგანდისტული სიყალბის გალიიდან დასახსნელი გახდა შემოქმედი, ვინც ყოველგვარ სიყალბეს, ქარაფშუტობასა და უნიადაგობას შეაკლა თავი. ამ გალიის ორმაგ კედლებს საბჭოთა და ანტისაბჭოთა იდეოლოგიები ქმნიდა, ერთნაირად რომ გვიმანძილებდა, ერთი განსხვავებით: პირველი აშენებდა სახელმწიფოს და ანგრევდა სამშობლოს – „კარგ ქვეყანას“, მეორე კი ანგრევდა ორივეს.

ხოლო ილიას „კარგი ქვეყანა“ იმ სიცოცხლის ანარეკლია, ღმერთმა რომ შექმნა და თვითონვე გაუხარდა, რადგან დაინახა, რომ „კარგი“ იყო. ამიტომ სჭირდებოდა ამ ქვეყნის საძირკველს ღმერთთან მოსაუბრე პოეტი, პოეტი, რომელსაც ახსოვს, რომ „მამული“ ეს მეორე ედემია, პირველის დაკარგვის შემდეგ შეძენილი მოკვდავი ადამიანის მიერ, ანუ, ზეციერი ედემის მიწიერი გამეორებაა. ხოლო ედემი, პირველიც და მეორეც „მამის ქვეყანაა“, ანუ მამის შესაქმის ნაწილი, რომელიც სწორედ ამიტომ არის საკრალური, მოსავლელი და გადასარჩენი:

**ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,**
**დიდის სამოთხის კუთხე პატარა,**
**ქედმოდრეკილა ნაღვლით საწყალი,**
**რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა.**
**რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ,**
**თქვენის სიავით დაწყლულებულა,**
**თქვენგან გმობილი უცხოს კალთის ქვეშ,**
**ვითა ობოლი, შეფარებულა.**

გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობა მაინც ეროვნულ-ლოკალურია და საქართველოს სივრცეს ვერ სცდება. ეს აზრი განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ჰუმანიტარულ სფეროში მუსირებს. მისი სიმცდარე სწორედ ეროვნულის ვიწრო, ათეისტურ-რაციონალური გაგებიდან მოდის. პოეტის ზოგად მნიშვნელობას კი, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს მისი ხედვის, განცდისა და აზრის სიღრმე და ინტენსივობა.

ილია ჭავჭავაძის აზრები ფუნდამენტურ საკითხებზე საოცრად ეხმიანება დიდ უცხოელ შემოქმედთა ნააზრევს:

მსოფლიო მასშტაბის გერმანელი პოეტის ჰოლდერლინისთვისაც პოეტი შუამავალია ღმერთსა და ხალხს შო-

*** სიტყვა, თქმული ილია ჭავჭავაძის პრემიის მინიჭებისას საგურამოში, 2009 წლის 8 ნოემბერს**

რის, რომელიც ამ შუაგულში დგომისას ისევე შეიგრძნობს ღვთაებრივი ცეცხლის სიახლოვეს, როგორც ილია „დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლს“.

ერი ილიასათვის ისეთივე „მისტიკური ორგანიზმი“, „მისტიური პიროვნებაა“, როგორც გამოჩენილი რუსი რელიგიური მოაზროვნის ნიკოლაი ბერდიაევისათვის, თუმცა, სიტყვა „მისტიკური“ ილიასთან არ გვხვდება. ნ. ბერდიაევის „ერი და კაცობრიობა“ მთელი რიგი პასაჟებით ილიას პოეტური თუ პუბლიცისტური სტრიქონების განმარტებას წააგავს. მაგალითად: „უმაღლესი ყოვლადკაცობრიულობის, ერთიანი კაცობრიობის მისაღწევად ერთადერთი ისტორიული გზა არსებობს – ეს არის გზა ეროვნული ზრდისა და განვითარებისა, ეროვნული შემოქმედებისა“ („ერი და კაცობრიობა“).



*ნაირა გელაშვილი ილია ჭავჭავაძის საწერ მაგიდასთან საგურამოში*

ილიას პოეტიკის ზოგი პუნქტი, მაგალითად, მისი გალაშქრება პოეტური სუბიექტივიზმისა და გრძნობათა ფეტიშიზაციის წინააღმდეგ მთლიანად ემთხვევა რაინერ მარია რილკეს მოძღვრებას შესახებ იმისა, რომ აუცილებელია, პოეტის განუხრელი პიროვნული ქმნადობა და ამ საფუძველზე გამომუშავებული „ობიექტური“ პოეტური მეტყველების, „საქმიანი თქმა“:

**ო, ძველი წყევლა პოეტთა თავზე, მუდამ მოთქვამენ,**
**იქ, სადაც მხოლოდ თქმა ევალებათ**
**როგორც სნეულნი იყენებენ ჩივილის ენას,**
**რათა აღწერონ, რა როგორ სტკივათ,**
**ნაცვლად იმისა, რომ თავადვე შექმნან განცდები.**

*(რ.მ. რილკე,*
*„რეკვიემი გრაფ ფონ კალკროტისადმი“)*

ეს კი ილიაა, ხორკლიანკალმიანი პუბლიცისტი: „დროა, ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფალარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო: ცხრა მთის იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო“ („საქართველოს მოამბეზედ“).

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართველ მწერალთა შორის, სწორედ ილიას, ანუ ყველაზე ხშირად ციტირებული მწერლის ციტირებაა ყველაზე საფრთხილო და ეს იმის შედეგად, რომ მისი გაბმული კონტექსტი ენით გამოუთქმელი ტანჯვაა საკრალური ქმნილების, შესაქმის ნაწილის – სამშობლოს გამო, იმის გამო, რომ სამშობლო ანუ მიწიერი ედემი განიცდება არა მხოლოდ საჩუქრად ზეციერი მამისა, არამედ ამავე დროს – მის დავალებად პოეტისადმი, როგორც ჰქონდა დავალებული ადამს ედემის ბაღის მოვლა-პატრონობა და იესო ქრისტეს ადამიანთა ხსნისათვის ტანჯვა-წამება. სხვაგვარად ვერ დაიბადებოდა ილიას ასეთი ყოველწამიერი, გაუნელებელი ზრუნვა-წუხილი და ასეთი სიყვარული სამშობლოსადმი, სიყვარული, რომელსაც რელიგიური შეპყრობილობის ხასიათი აქვს. ეს სიყვარული უკვე ოცი წლის ყმაწვილს სამშობლოს ჯვრად აღაქმევინებს და ინტუიციურად ამზადებს ამ ჯვრის განუხრელად ტარებისა და მასზე გაკვრისათვის.

ილიას იდეალურად მიაჩნდა „აზრის კაცისა“ და „საქმის კაცის“ ერთ პიროვნებაში შერწყმა ანუ „მჭვრეტელობითი ცხოვრებისა“ და „აქტიური ცხოვრების“ ერთმანეთით გამსჭვალულობა. მისი აზრით, სწორედ ასეთ ადამიანთა სიმრავლე გარდაქმნიდა და აალორძინებდა საზოგადო ცხოვრებას.

მაგრამ დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასე არასოდეს ყოფილა ილია ჭავჭავაძის იდეალები დამსხვრეული როგორც ახლაა და მისი სახელობის პრემიის გაცემა ჩემში, მაგალითად, ძალზე ტკივილიანი უხერხულობის განცდას ბადებს.

ჩემი ბოლო რომანის („პირველი ორი წრე და ყველა სხვა“) დასასრულში თითქოს თავისთავად გაჩნდა ლექსი „კარგი ქვეყანა“, ინტერტექსტუალური ლექსი, რომელშიც ცნობილი ხალხურ-ქალაქური სიმღერის სევდა „დაკარგულ პატარა, წითელპერანგა ბიჭზე“ გადაჯაჭვულია ვარამთან ჩვენს მიერ დაკარგულ ილიას „კარგი ქვეყნის“ გამო:

**კარგი ქვეყანა დამეკარგა თვალის სინათლე,**
**ნეტავ ავლილი, ან ჩავლილი მაინც ენახათ,**
**შენი და ჩემი სიხარული ხომ გახსოვს, ღმერთო,**
**ის ვენახი და**
**კარგი,**
**კარგი,**
**კარგი ქვეყანა.**

**სადმე თუ შეგხვდეთ, ან გზის თავში, ანდა ბექობთან,**
**ჩემი სიცოცხლე: – გულითადი და მონარნარე,**
**უთხარით ჩემზე: დაილალა შენი ძებნით-თქო,**
**და დაღლილს გზაში დაუღამდა, ტირის-თქო მწარედ.**

# საგანძური ელის აღმომჩენს

პაპაჩემი ქიტა მაკრახიძე ქვემო ხევდურელი ციციშვილების კარზე იზრდებოდა. ის ჯერ თავადების შინამოსამსახურე იყო, შემდეგ – მზარეული, მერე კი მოურავობა დააკისრეს ბატონებმა, რომლებსაც მის ერთგულებაში წამითაც არ შეუტანიათ ეჭვი.

როდესაც ბოლშევიკები დაეპატრონენ ქვეყანას და სისხლიანი ბაქხანალია დაიწყეს – არბევდნენ და აწიოკებდნენ დიდგვაროვანთა ოჯახებს, ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, ციციშვილებმა გადახვეწა განიზრახეს ქვეყნიდან. პაპას და მის სიძეს იასე ვალიშვილს ჩააბარეს იშვიათი წიგნები და ხატები შესანახად: ჩამოვალთ, დაგვახვედრეთო. სიძე-მოყვარემ მუშამბაში კარგად შეფუთა განძი და დაფლა სოფლის განაპირა ტანაყრილი თელების მიდამოებში.

გადიოდა დრო. სოფლად გაჩაღდა საკოლმეურნეო „აღმშენებლობა". პაპამ ჯერ კიდევ ადრე ოქროს ფულით იყიდა დიდი ნაკვეთი. იგი არასოდეს ყოფილა კოლმეურნეობის წევრი (ეს ისეთივე უჩვეულობაა იმ დროისათვის, როგორც ახალგაზრდა ბიჭის ან გოგოს უკომკავშირლობა).

ერთხელ „იქიდან" მოაკითხეს პაპას – სად არის, ციციშვილებმა რომ განძი დაგიტოვესო. პაპამ უპასუხა: მე ახლა მოხუცებული ვარ, რაღა მახსოვს. მე მგონი თქვენიანებმა იპოვეს და წაიღესო („თქვენიანები" კაგებე იყო). იასე ამ დროს დაბრმავებული იყო – ამბობდნენ, ეკლესიიდან ხატები ჩამოხსნა და უფალმა გადაუხადაო. შემდეგ მალევე გარდაიცვალა.

მოვიწადინეთ მე და პოეტმა ვახტანგ გორგანელმა, რომ ოჯახურ ლეგენდად დარჩენილ ამბავს ერთხელ და სამუდამოდ ფარდა ახდოდა (ვახტანგი მაკრახიძეების სიძე გახლდათ – პაპაჩემის ძმის შვილის ივანეს გოგო ნინო შეირთო ცოლად ომიდან ახალჩამოსულმა პოეტმა). ავიღეთ ბარები და გავეშურეთ თელებისკენ, საითკენაც მიემართებოდა სოფლის მტვრიანი შარაგზა. ესეც სოფლის ბოლო. სადღაა ის დიდი თელები, რომლის ქვეშაც პურმარილის სუფრა გაუშალეს ქიტამ და დიდედაჩემის ძმამ ვანო ნაცარაშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. ვანო („ანჭაპა") ქაქუცას კახელი მეგობარი იყო, კარგად მახსოვს, წარმოსადეგი, ბოხი ხმის პატრონი.

ახოვანი ხეების ნაცვლად მათი ბარდღები დაგვხვდა. იმ არემარეზე მოსახლეები გაჩენილან. ვინ რას ამოგვათხრევინებდა თავის კარმიდამოში. ერთმა გაავებულმა გლეხმა შემოგვილრინა – რასაც თქვენ ეძებთ, „იმათ" წაიღესო. არავის არაფერი წაუღია, თორემ საუკუნის სენსაციად იქცეოდა იქაური აღმოჩენა და ხევდურეთის განძის სახელით ჩაიბეჭდებოდა ისტორიასა და სამუზეუმო ანალებში. ვინ იცის, „ვეფხისტყაოსნის" უუძველესი პირიც ჰქონოდეთ შენახული ციციშვილებს იმ მუშამბაში. აკი მათი საგვარეულო სიმღერა ყოფილა სტროფი იმ პოემიდან „შეკრა წითელი..." ეს ცნობა მწერალმა გიორგი ციციშვილმა მომაწოდა. იმ ხევდურელი ციციშვილების შთამომავალმა (საკითხს არ ეხება, მაგრამ, ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული სტროფი თავისი ელვარების მიუხედავად არა მგონია რუსთაველისა – შოთას რაში დასჭირდებოდა თექვსმეტმარცვლიანი ეპოსის მდინარება ერთი ოცმარცვლიანი სტროფით აემღვრია. ასევე არასწორია, ჩემი გაგებით, „მოსეს უქია ხონელსა". შოთა ზუსტი რითმის ოსტატია. პოემის ბოლო სტროფის რითმებია: დაუდგრ-ომელსა, შეუშრ-ობელსა, რ-ომელსა. ხონელსა კი არ უნდა იყოს, არამედ „ხ-ომელსა". მოსე ხომელად მიაჩნია ნოდარ ნათაძეს, თუმცა ალბათ სხვა არგუმენტაციით).

...საგანძური კი თავის აღმომჩენს ელის.

ქიტა მაკრახიძემ ბოლომდე უერთგულა საიდუმლოს. დღეს, შეიძლება დამოუკიდებელი საქართველოს კუთვნილება გახდეს მისი ღირსეული შვილების ნაგროვები სიმდიდრე – რა ძვირფასი ხატები იქნება იქ, უძველესები და ხელთუქმნელები!..

**ჯემალ ინჯია**

საბა სულხანიშვილი

# ანკეტა აღსარებად

*

## იონა მეუნარგიას წამოწყება

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" ერთგული მკითხველის, სალიტერატურო პროცესებში საკმაოდ გათვითცნობიერებული თემო ჩიტაძის ბარათმა რედაქციისადმი (2009, 22) შეგვახსენა იონა მეუნარგიას მიერ შედგენილი კითხვარი, რომელიც თავის დროზე უთუოდ არაერთ მწერალსა თუ მოღვაწეს ჩამოურიგა, მაგრამ მათგან მხოლოდ ორმა უპასუხა – აკაკი წერეთელმა და მამია გურიელმა.

ჩვენი სახელოვანი ბიოგრაფოსი 1897 წელს შედგენილ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში მამია გურიელზე ლიტერატურულ ანკეტასაც ჩაურთავს და ამ სტრიქონებსაც წაუმძღვარებს:

– ამ ოცდაათი წლის წინათ საფრანგეთში მოდა იყო, ვისთანაც კი უნდა შესულიყავით, გინდოდათ თუ არ გინდოდათ, სახლის პატრონის ალბომში პასუხები უნდა ჩაგეწერათ იმ კითხვებისა, რომელთაც შიგ იპოვიდით ჩაწერილ-ჩაბეჭდილად. ამას ერქვა ...„პასუხებით შექცევა". თუმცა ეს აღსარების თქმა უფრო იყო, ვიდრე შექცევა.

დიახ, ეს სწორედ ის კითხვარია, რომელიც შემდგომ მარსელ პრუსტის სახელით გახდა ცნობილი და ქართულ სამწერლო სივრცეში მისი შემოტანა ნატა ვარადას სახელს დაუკავშირდა – ერთმა მცდელობამ რომ ვერ გაუმართლა „დილის გაზეთის" ფურცლებზე, სამაგიეროდ, „ჩვენი მწერლობის" ნომრიდან ნომერში გრძელდება მის მიერ თავმოყრილი პასუხების ბეჭდვა და, იმედია, ფრანგებივით ჩვენც შევძლებთ საბოლოოდ ასმა რესპონდენტმა მიიღოს მასში მონაწილეობა, თუ მეტმა არა.

თურმე მას მხოლოდ აუღორძინებია საუკუნის წინანდელი წამოწყება.

ესეც კიდევ ერთი თვალნათლივი ნიმუში, თუ როგორ შეიძლება აღვიქვათ სიახლედ კარგად დავიწყებული ძველი.

ნიშანდობლივია, რომ ამ ანკეტის გაჩენა ჩვენში იონა მეუნარგიას ხელით მოხდა, ვინც

– მისივე აღიარებით – „მსხვერპლად“ აღიქვამდა თანამედროვე მწერლებსა და მოღვაწეებს და მუშტრის თვალით აკვირდებოდა მათ ყოველ საქციელსა თუ ფრაზას, რათა მოკრებილი მასალები მხატვრულ-დოკუმენტურ ქარგაში მოექცია და ბიოგრაფიული ჟანრიც საიმედოდ და საბოლოოდ დაემკვიდრებინა ქართულ ლიტერატურაში.

თავის მხრივ ანკეტას ამ შეკითხვას დაუმატებდა: რომელი ტაეპი უფრო მოგწონს „ვეფხისტყაოსნისაო“?

მამია გურიელი გამოარჩევდა იმ სტროფს: მე რუსთველი ხელობითაო...

აკაკი წერეთელი კი რისი აკაკი იქნებოდა, თუ მახვილგონივრულ პასუხს არ შეაგებებდა: ჩვენი კრიტიკოსებისაგან დაწუნებულიო.

კაცის თვისებათაგან მამიას ხიბლავდა: გონივრობა სინდისიანობის ტანსაცმელში. აკაკის: მამაცური სულგრძელობა.

ქალის თვისებათაგან მამია ერთგულებას აფასებდა, აკაკი – გულწრფელ დაუდგრომლობას.

მამიას მიაჩნდა, რომ მისი პიროვნული ხასიათი სხვათაგან განსხვავდებოდა იდეალებისადმი ერთგულებით, აკაკის – საფუძვლიანში სიმტკიცით და წვრილმანში უხასიათობით.

ყველაზე დიდ ბედნიერებად მამია აღიარებდა გულითად სურვილთა აღსრულებას, აკაკი – გარემოების ატანას.



*იონა მეუნარგია*

ყველაზე დიდ უბედურებად მამიას მონობა ესახებოდა, აკაკის – გულუმაძღრობა.

ფერთაგან მამიაც და აკაკიც არცერთს არ გამოარჩევდნენ – ყველა კარგია თავის დროსა და ადგილასო.

ყვავილთაგან მამია ყველას მოიწონებდა, ოღონდაც ახალი და ხელუხლებელი ყოფილიყო, აკაკი მაინც ვარდს ამჯობინებდა.

მამია რომ არ იყო, ვინ გინდა იყოო? – ამ შეკითხვაზე ის უარის ნიშნად თავს გაიქნევდა: არავინო. ხოლო აკაკი თუ აკაკი არ იქნებოდა, ვინ უნდოდა, რომ ყოფილიყო? მაინც აკაკიო.

ცხოვრებას მამია თავის ბედნიერ სამშობლოში ამჯობინებდა, ხოლო აკაკი – ყველგან და არსად (რა უცნაურად ჰგავს ეს პასუხი ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური რომანის „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ ქვესათაურს: წიგნი ყველასთვის და არავისთვის!).

პროზაიკოსთაგან მამია გამოარჩევდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი – ლავრენტი არდაზიანს.

პოეტთაგან მამია – რუსთაველსა და ბაირონს, აკაკი – დავით გურამიშვილს.

კაცთაგან ისტორიაში მამია მარკ ავრელიუსსა და ჰარუნ ალ-რაშიდს მიაგებდა განსაკუთრებულ პატივს, აკაკი – გიორგი ბრწყინვალეს.

რომანში კაცთაგან მამია შალვათი მოხიბლულიყო (გრიგოლ რჩეულიშვილის რომანის გმირი უნდა იგულისხმებოდეს), აკაკი – ავთანდილით.

ქალთაგან მამიას თამარ ბატონიშვილი ხიბლავდა (გრიგოლ რჩეულიშვილს ძალიან დაუპყრია მისი გული და გონება), აკაკის – ნესტან-დარეჯანი.

სახელთაგან მამია ამათ ამჯობინებდა: ვახტანგ, დავით, თამარ, სოლომონ, კახაბერ, ბოცო; აკაკი: ელენესა და არჩილს.

ყველაზე მეტად მამიას ტყუილი სძულდა, აკაკის – წვრილმანობა.

მამია სიმთვრალეს ვერ პატიობდა კაცს, აკაკი ყველაფერს მიუტევებდა, თუკი ის თვითონვე შეინანებდა.

რა სასმელს უფრო ეწყობიო? – ამ შეკითხვას ორივე ერთნაირად უპასუხებდა: წყალსო.

ვინ მიაჩნდათ ყველაზე ლამაზ ქალად ქუთაისში? მამია დაქარაგმებას ამჯობინებდა: ბ.შ., აკაკი კი პირდაპირ პასუხს თავს აარიდებდა: ის, რომელიც მე შემიყვარდებაო.

ცხოვრების დევიზად მამია აღიარებდა სიმართლესა და პატიოსნებას, აკაკი – შრომასა და მოთმინებას.

თითო კითხვა ორივე ანკეტაში გამორჩენოდა უნებურად იონა მეუნარგიას.

მხოლოდ მამიას ჰკითხავდა: ვინ უფრო მოგწონს ქალთაგან ისტორიაშიო? – და ის პასუხად ორჯერ გაიმეორებდა: თამარ... თამარ.

მხოლოდ აკაკის ჰკითხავდა: რას უფრო გინდა აკეთებდეო? – და ის პასუხად: მისთანა საქმეს, რომელიც თავაშვებულს ჰლაგმავდეს და გულგატეხილს ამხნევებდესო.

იმის ნიმუშად, რომ თანამედროვენი აკაკის ხან სწამდა და ხან არა, იონა მეუნარგია სწორედ ანკეტის პასუხებს იმოწმებს. თურმე საუკეთესო პროზაიკოსად და საუკეთესო პოეტად მას თავდაპირველად ჩაუწერია ნიკალაი გოგოლი და უილიამ შექსპირი.

– მაგრამ მერე წაშალა და ზედ დააწერა: გამოიცანით ვინ! თქვენ გგონიათ: ილია ჭავჭავაძე, ყაზბეგი, გიორგი წერეთელი, გოგებაშვილი, ორბელიანი, ბარათაშვილი და სხვა ვინმე ახალთაგანი! არა! პროზა აირჩია არდაზიანის და პოეზია გურამიშვილისა.

დამაფიქრებელი დეტალია, თუმც ამჯერად ნულა გავყვებით მის ფსიქოლოგიურ საწყისს და მარტოდენ იმის თქმა ვიკმაროთ, რომ როდესაც ნატა ვარადა წიგნად გაამზადებს „მარსელ პრუსტის ანკეტას“, გამოცემა უთუოდ იონა მეუნარგიას მიერ მოპოვებული იმ ორი მასალით უნდა გაიხსნას.

როგორია – მამია გურიელი და თვით აკაკი წერეთელი რომ ჩაუდგებიან სათავეში ათასგვარი ფიქრით, ძიებით, ტკივილით მიკვლეულ პასუხებს, ასე ლაკონურთ და ასერიგად წარმომჩენთ ავტორთა პიროვნული ბუნებისა და ბიოგრაფიის, თუნდაც ირონიულ საბურველშიც იყოს გამოხვეული.

...აღსარების თქმა უფროაო, – ზუსტად განესაზღვრა იონა მეუნარგიას.

გიზო თავაძე

# „რაცა კაცსა ღმერთმან მისცეს“

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა სამშობლოს გტაცებენ და ვერ შველი; როცა სიკეთეს ამარცხებენ და ვერ შველი...

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— სადაც მომავლინა უფალმა – საქართველოში.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— ძნელი სათქმელია, თუმც თუ გაქვს ერთიანი (ისტორიულად შენი, ტაოკლარჯეთი, საინგილო, ბიჭვინთის ჩათვლით) სამშობლო, ჰარმონიული ოჯახი, უბადლო მეგობრები, რაღაც დონემდე ხარ ბედნიერი. ვაჟა კი სულ სხვაგვარად იტყოდა.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ზებულონი („ზებულონი“), დათა თუთაშხია („დათა თუთაშხია“), მიჩინიო („სამოსელი პირველი“)

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— დავით ალმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე, სხვებიც...

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— უდიდეს პატივს ვცემ იმპრესიონისტებს, და მაინც ლადო გუდიაშვილი.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ვუსმენ კაცობრიობის გენიოსთა ჰანგებს, და მაინც რეზო ლაღიძე.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— რასათქმელია ვაჟკაცობას, ქალს და სუსტს რომ ყველგან დაიცავს...

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— ერთგულებას და თვინიერებას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— თავმდაბლობა.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— ხეტიალი (ქეიფიც) საქართველოს მთა-ბარში.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— მე ვარ მე და... „რაცა კაცსა ღმერთმან მისცეს"... – ვჯერდები ამას.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— თქმა სიტყვისა და ასრულება; ვერშეგუება ფარისევლებთან, სამშობლოს მოღალატეებთან, ,,ცისფერებთან"...

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— ულალატობას, თანადგომას.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— „არ არის დიდი დანაშაული, თუ ვერ მოვაწყვე ჩემი ცხოვრება"...

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— შინაგანი თავისუფლება და „გასუქდეს სული ბევრად სჯობს, ვიდრე გასუქდეს ლეშია".



**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— სამშობლოს მოშლა!

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ვაჟას „კაი ყმის" დარი; „აი, ვინაა კაი ყმა"...

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— ცისფერი ვერ მიხსენებია. უფრო შინდისფერი.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს?**

— ყოჩივარდა. თოვლის ქვემოდანაც რო ამომიყვანია საყვარელი ქალისათვის.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— არწივი და ბელურა.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— უამრავი კლასიკოსი თუ ნობელიანტი, გამორჩევით ჭაბუა ამირეჯიბი.

**— თქვენი საყვარელი პოეტები?**

— მსგავსად მწერლებისა, ბევრი; რუსთაველი, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?**

— ოთარაანთ ქვრივი.

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— მისი უწმინდესობა ილია II.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ქეთევან დედოფალი.

**— საყვარელი სახელები?**

— რაც ჩემს შვილებს დავარქვი – თუთია და თუთაბერი.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ღალატს და უმადურობას.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ივანე ათაბაგი, რომლის ღალატმა გარნისის ომში შეიწირა უმამაცესი ძმები ახალციხელები, უამრავი ქართველი და სამშობლოს ძლიერება.

**— საომარი მოქმედება თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— დიდგორის ომი...

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— მსგავსი არაფერი მახსენდება.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ეზოთერული ხედვის ნიჭი...

**— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— წრფელი და ნათელი!

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— აუუუ!!!

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— ბიჭების ჩხუბი (შიშველი ხელებით) გოგოსთვის...

**— თქვენი დევიზი?**

— სამშობლო უმთავრესია!

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— სამშობლოს ეშველება, ნუ გეშინია, შვილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაიბადა 1971 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბოხვაურში. 1990 წელს დაამთავრა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. 2001 წელს ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის დრამატურგიის ფაკულტეტზე, დრამატურგის სპეციალობით. 2005-2007 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

მისი მოთხრობები, პიესები და ზღაპრები სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჟურნალებში: „მნათობი", „არილი", „ლიტერატურული პალიტრა", „ჩვენი მწერლობა." 2004-2005 წლებში თელავისა და ზუგდიდის დრამატულ თეატრებში დაიდგა პიესები: „ბედნიერი ღამე," „ბუა." პიესა „ეთერი" 2008 წელს დაჯილდოვდა III პრემიით კონკურსში „ახალი ქართული პიესა."

ლია მოლარიშვილი

# ეთერი

ეთერი
ბაბუა პეტრე
პეტიკო, მეტსახელად ბაცილა
დიტო
ბატონი ნიკო
მამა
ექიმი

**პატარა ოთახი აივნით. აივანი თითქმის დაფარულია მცენარეებით. აქეთ-იქით ორი დეკორატიული პალმა დგას. შუაში კი — ბამბუკის სავარძელი. ეთერი თმას ივარცხნის. ყურადღებით იხედება სარკეში. რეკავს ტელეფონი. გაბმული ზარი. ეთერი არ პასუხობს. ბოლოს წამოდგება. ტელეფონი ჩუმდება.**

**ეთერი** — ჩემი სახლი — აი, ეს პატარა ოთახია! სამაგიეროდ აივანი მაქვს კარგი — მთელი უბანი ხელისგულივით მოჩანს. მზიან ამინდში აქ ვჯდები და ვხატავ ილუსტრაციებს საბავშვო წიგნებისთვის. ღმერთმა ნუ ქნას, დაკვეთის შესრულება დავაგვიანო. ჩვენი გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ისე გაავდება, მტრისას!..

აი, ვიღაც უსაშველოდ გრძელცხვირა კაცმა ჩაიარა. ნამდვილი მონაპოვარია. სასწრაფოდ უნდა ჩავიხატო. ახლა ზუსტად „სალამურას თავგადასავალზე" ვმუშაობ. გახსოვთ ქონდართუხუცესი? **(სავარძელში ჯდება და ჩქარ-ჩქარა იწყებს ხატვას)** დღეს ზღაპრებს ვინღა კითხულობს, არა? ძალიან ცუდი... რადგან ზღაპრები ვისაც უყვარს, იმას, ჩემი აზრით, ყველა და ყველაფერი უყვარს.

ისე, უნდა გამოვტყდე, მცენარეების მოვლა არ მიყვარს. სულ მავიწყდება, წყალი დავუსხა. მიკვირს, რისთვის მემადლიერებიან და როგორ არ ხმებიან საერთოდ. რა ვიცი, ალბათ შემეჩვივნენ და ცდილობენ, არ დაჭკნენ. **(სარწყავს აიღებს და წყალს დაუსხამს პალმას)** აი, ესეც პალმა! **(თავს გამოყოფს ფოთლებში)** კუნძულია, აბა რა. **(ისევ ტელეფონის ზარი)** ჰო, არც ტელეფონზე ლაპარაკი მიყვარს... **(ზარი არ წყდება. ეთერი ოთახში შემოდის, ყურმილს უნდა დასწვდეს და ამ დროს ფეხს წამოკრავს ტახტს. ტელეფონი ჩუმდება)**

შეუძლებელია, ამ ოთახში რამეს არ წამოედო. ნამდვილი კარცერია. მაგრამ სახლის პატრონი ისე იაფად ჰყიდდა, რომ ჩემმა დედინაცვალმა ხელიდან არ გაუშვა **(გამოცვლილი ხმით)** „ბრწყინვალე შანსი, რომელიც



ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა ადამიანს. მხატვრისთვის პირდაპირ მისწრებაა. თანაც იაფი. ღმერთო, რა იაფი!"

რა თქმა უნდა, ასე რომ არ ყოფილიყო, დედინაცვალი არასოდეს მომიშორებდა, მაგრამ ახლა — ისევ ჩემი ბედნიერების გამო — სასწრაფოდ ამომწერა ჩვენი სამოთახიანი ბინიდან, სადაც თვითონ მამასთან და ჩემს პატარა ძმასთან ერთად დარჩა, დამშვიდებული სინდისით... წილი ხომ მივიღე — საკუთარი ოთახი, სადაც წყნარად და დამოუკიდებლად შემიძლია ვიცხოვრო. რომელი ახალგაზრდა გოგო არ ოცნებობს ამაზე?.. მაგრამ მამაჩემი, როცა აქ მოდის, მაინც დამნაშავესავით აწურული დგას, არაფრით არ ჩამოჯდება და აუცილებლად აი, ამ ლარნაკის ქვეშ ტოვებს ხოლმე თავისი პატარა ხელფასის პატარა ნაწილს. **(ნაბიჯებით გადაზომავს ოთახს)** ერთი, ორი, სამი, ოთხი!..

უნდა ითქვას, თვითონ სახლის პატრონიც არ ცხოვრობს უკეთეს პირობებში. ჰყიდა, ჰყიდა და ბოლოს თავისთვის ერთი ოთახი დაიტოვა, თანაც აივნის გარეშე... ის კარგი კაცია. მართალია, პროფესორია, მაგრამ ძალიან თავმდაბალია. მითხრა, ბაბუა დამიძახეო და მეც ბაბუას ვეძახი. მგონი, ძალიან ენატრება თავისი შვილიშვილი. წესით, რატომ უნდა ენატრებოდეს — მის გამო გაყიდა, თუკი რამ გააჩნდა, მაგრამ ეტყობა, ჩემი მცენარეების არ იყოს, სხვანაირად არ შეუძლია. შვილიშვილი კი ციხეში ზის. როგორც გავიგე, მთელი ზედა სართული მის პირველ პატიმრობას შეეწირა — მაშინ ციხიდან გამოიხსნა. ხოლო როცა მეორედ დაიჭირეს, აი, ამ ოთახის საფასურით, ოთხწლიანი სასჯელი გაუნახევრეს. ასე რომ, ჩემი ბინა არც ისე იაფია — თავისუფლების ორ წელს უდრის. ვერ ვიტან იმ ბიჭს, თუმცა, თვალითაც არ მინახია. მაგრამ სულ ერთია, ბაბუა ხომ გაამწარა. თანაც, კაცს რომ ბაცილა ერქმევა მეტსახელად, იმისგან კარგს რას უნდა მოელოდე?

**პეტრე (პატარა სამზარეულოში ფუსფუსებს)** — უბრალოდ, პეტიკოს ბავშვობაში მიკროსკოპში ცქერა უყვარდა. ბაქტერიოლოგია აინტერესებდა, ეს არის და ეს.

**ეთერი (ნახატს ათვალიერებს)** — მშვენიერი გამოვიდა. არადა, მთელი კვირა თავს ვიმტვრევდი ამ პერსონაჟზე. აი, როცა ანდერსენის ზღაპრებს ვასურათებდი, პრინცის სახეზე ბევრი არ მიფიქრია. პრინცი ხომ აქვე **(თითს აიშვერს ჭერისკენ)**, ზედა სართულზე ცხოვრობს. მას აქვს

ნამდვილი ქერა თმა და გასაგიჟებელი ლურჯი თვალები. ადრე, თურმე ქვევით ჰქონდა ბინა, მაგრამ მერე ბატონი პეტრეს შვილიშვილი დაიჭირეს და ჩემი დედინაცვლის არ იყოს, შანსი არ დაკარგა. გაფართოებაც ამას ჰქვია — მთელი ორი სართული!

**პეტრე** — პეტიკო და დიტო ერთ კლასში სწავლობდნენ. პეტიკო ხუთოსანი, დიტო — სამოსანი.

**ეთერი** — დიტო პარლამენტის წევრი და უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერია. მის გამო თითქმის არც ერთ პოლიტიკურ შოუ-პროგრამას არ ვტოვებ უნახავს. საბედნიეროდ, ხშირად ინვევენ ტელევიზიაში. არადა, ვინმემ რომ მკითხოს, რაზე ლაპარაკობსო, ვერ ვუპასუხებ. არაფერი მესმის, მხოლოდ ვუყურებ და ვუღიმი... **(იღიმება)**

**პეტრე (ეძახის)** — ეთერ!

**ეთერი** — დიახ, ბაბუა პეტრე!

**პეტრე** — დღეს არ მუშაობ?

**ეთერი** — დღეს ხომ კვირაა, ვისვენებ.

**პეტრე** — ააა... მოდი, თუ შეგიძლია, ერთი ეს ტკბილი ფლავი გამისინჯე. პეტიკოს მინდა შევუგზავნო. უყვარს ძალიან.

**ეთერი (გაგულისებული. თავისთვის)** — „პეტიკოს უყვარს!" მე მაგ ტკბილ ფლავში ნახევარ კილო მარილს გავურევდი. **(შედის სამზარეულოში)** ეს ჩვენი საერთო სამზარეულოა. **(კოვზით იღებს საჭმელს)** ძალიან გემრიელია... თქვენ ისევ მარტო მიდიხართ?

**პეტრე** — აბა ვინ გამყვება? ნუ გეშინია, ეთერიკო, მგელი არ დამხვდება გზაში. შენ თითქოს საკუთარ ილუსტრაციებში ჩასახლდი. ველარ გამოდიხარ ზღაპრებიდან.

**ეთერი** — მაგრამ ეს კოლონია!.. **(გაურკვეველი ჟესტი)**

**პეტრე** — კოლონიაში საშინელი ბანდიტები ცხოვრობენ, არა? ეჰ, მისი დანახვა მაინც შემეძლოს.

**ეთერი** — ასეთი მკაცრი რეჟიმია?

**პეტრე** — არა, უბრალოდ მე უკვე ველარ ვახერხებ, პეტიკოსთან შეხვედრის საფასური გადავიხადო. **(ჩანთას აიღებს)** ნახვამდის, ეთერიკო. აი, ესეც თანამედროვე ზღაპარი შენთვის — ბაბუა მიდის შვილიშვილთან კალათით. **(გადის)**

**ეთერი (მუშტებს შეკუმშავს)** — როგორ ვერ ვიტან მაგ ბიჭს!

**(კარზე ზარს რეკავენ)**

ეს მამაჩემია! შემპირდა, რომ ჩემს პატარა ძმას მოიყვანდა. **(კარს აღებს. შემოდის მამა)**

**მამა** — გამარჯობა.

**ეთერი (კარში იხედება)** — დათუნა სად არის?

**მამა** — ჩოგბურთზე წაიყვანა დედამისმა.

**ეთერი (იმედგაცრუებული)** — რაღა ახლა გამოუხტა ეს ჩოგბურთი.

**მამა** — როგორ ხარ?

**ეთერი** — შენ?

**მამა** — მე, რა... გამხდარი მეჩვენები. არაფერს ჭამ?

**ეთერი** — ბაბუა პეტრე უსადილოდ არ მტოვებს, ხომ იცი.

**მამა** — გამაგიჟებ შენ! ამხელა გოგო ხარ. მეზობლის და თანაც, მოხუცი კაცის გაკეთებულ საჭმელს რა გაჭმევს. იქით უნდა გაუკეთო და მიაწოდო.

**ეთერი** — კარგად მოგეხსენება, რა უსაქმური ვარ. არაფრის მომზადება არ შემიძლია.

**მამა** — ნინული ხომ გასწავლიდა?

**ეთერი** — ჰო, ნინული გამოჩენილი კულინარია. ტორტებს ისევ აცხობს?

**მამა** — მოსულიყავი და გენახა.

**ეთერი** — დათუნა ძალიან მენატრება, მაგრამ მაინც არ მოვალ. გესმის? არასოდეს.

**მამა** — რა მოგივიდა?

**ეთერი** — არაფერი.

**მამა** — ფული გაქვს?

**ეთერი** — გადასაყრელი. ახლა ვიჯექი და ათლარიანებისგან თვითმფრინავებს ვაკეთებდი.

**მამა** — რა მგივიდა?

**ეთერი** — არაფერი. **(პაუზა)**

**მამა** — არა ხარ მართალი.

**ეთერი** — ვიცი.

**მამა** — ნინულის შენთვის მხოლოდ კარგი უნდა.

**ეთერი** — კარგი უნდა, ოღონდ — შორიდან.

**მამა** — როცა შენთან მოვიდა, სკამიც არ შესთავაზე. მასაც აქვს თავმოყვარეობა.

**ეთერი** — მართალია, თავხედურად მოვექეცი. არადა, რამდენი ირბინა, რომ ეს ბინა მოეძებნა ჩემთვის. მერე თავისი ხელით მოაწესრიგა აქაურობა, ფარდები დაკიდა.

**მამა** — კარგია, რომ ხვდები.

**ეთერი** — ყოველთვის ნორმალურად მექცეოდა.

**მამა** — აი, ხომ ხედავ, თვითონვე აღიარე.

**ეთერი** — თმაც არ აუწიწკნია ჩემთვის.

**მამა** — რა თქმა უნდა!

**ეთერი** — დედას კი ისეთი მწარე ხელი ჰქონდა... ერთხელ და ორჯერ კი არ მივუტყეპივარ.

**მამა** — ჰოო? რაღაც ვერ ვიხსენებ.

**ეთერი** — მე კი კარგად მახსოვს. გაჯავრებაც გიჟური იცოდა და მოფერებაც...

**მამა (ყოყმანით)** — ზეგ დათუნას დაბადების დღეა.

**ეთერი** — ვიცი.

**მამა** — ხომ მოხვალ?

**ეთერი** — არ ვიცი.

**მამა** — მე წავალ **(საათზე იხედება)** მეჩქარება.

**ეთერი** — დღეს ხომ კვირაა.

**მამა** — ჰო, მაგრამ საქმეები მაქვს.

**ეთერი** — ჩემი გეოგრაფიის მასწავლებლის არ იყოს, სკამზე რატომ არ ჯდები, გეშინია, ჭიკარტები არ შეგესოს?

**მამა** — რა ტიპი ხარ... კარგი, წავედი.

**(ეთერი ზურგს შეაქცევს. მამა თავს გადააქნევს, მერე ფულს ამოიღებს, ლარნაკის ქვეშ ამოდებს და გადის)**

**ეთერი (პაუზის შემდეგ)** — არ მჭირდება ეგ შენი ფული! ათასჯერ ხომ არ უნდა გაგიმეორო? აი, ხელფასს ავიღებ და როგორმე გავიტან თავს. ბატონი ნიკო — ჩვენი მთავარი რედაქტორი — გარეგნულად არის მკაცრი და მოსაჩვენებლად ყვირის, თორემ ისე, ვიცი, ძალიან ვუყვარვარ. უპრემიოდ არასოდეს მტოვებს... მე ფულს ვაგროვებ. დათუნას ბულდოგის ლეკვი უნდა ვუყიდო. რამდენი ხანია ამაზე ოცნებობს. დიახ, დიახ, კეთილი ინებეთ და იმ აზრს შეეგუეთ, რომ თქვენს გაწკრიალებულ ბინაში ისევ გეყოლებათ მეოთხე მობინადრე. თანაც,

საშინლად ხმაურიანი, ბრაზიანი და მომთხოვნი. **(ტელეფონის ზარი. გაბმით)**

ოოო, ვგრძნობ, ეს ბატონი ნიკოა. გამორიცხულია, რომ არ ვუპასუხო. თუმცა ძალიანაც არ მინდა. **(ყურმილს აიღებს)** ალო!.. **(ყურმილს განზე გასწევს)** ხომ ვამბობდი! **(ყურმილში, ნაზად)** დიახ, ბატონო ნიკო. **(განზე)** რას გაჰყვირის? ხმადაბლა ლაპარაკი არ შეუძლია და მოკალით. **(ყურმილში)** გასაგებია, ბატონო ნიკო, რატომ ნერვიულობთ?.. გითხარით, ორშაბათს მზად იქნება-მეთქი... დიახ, მოვიტან... რა თქმა უნდა... ნახვამდის, ბატონო ნიკო! **(ყურმილს დებს)** თავს იზღვევს. ურჩევნია, წინასწარ დაუღრინოს თანამშრომლებს. მუშაობის თავისებური მეთოდი აქვს. **(ჩაფიქრდება)** ასეთი უცნაურები არიან მამაკაცები ჩემს ირგვლივ... ჩემი მამაკაცები. **(თითებზე ითვლის)** ბაბუა პეტრე, ბატონი ნიკო, მამა, დათუნა... **(მანქანის საყვირის ხმა)** აი, ჩემი მთავარი მამაკაცი! ეს მისი მანქანის სიგნალია. დღეს არც ის მუშაობს. რა ბედნიერებაა. ნეტა შინ დარჩეს და ეზოში იტრიალოს. მანქანა გარეცხოს, თუმცა, ეგ თვითონ არ რეცხავს მანქანას... ან რა ვიცი — უცებ, სასწაული მოხდეს და რამეზე დავჭირდე. **(კარზე აკაკუნებენ. ეთერი კარს აღებს)**

**დიტო** — უკაცრავად... გამარჯობა. ხომ არ იცით, ბატონი პეტრე სად წავიდა?

**ეთერი (დაბნეული და აღელვებული)** — ვინ?

**დიტო** — ბატონი პეტრე.

**ეთერი** — ააა, ბაბუა პეტრე?

**დიტო** — დიახ.

**ეთერი** — ის წავიდა.

**დიტო** — ჰოდა, ხომ ვერ მეტყვით, სად წავიდა?

**ეთერი (გაბრუებული)** — ბაბუა პეტრე წითელქუდასთან წავიდა.

**დიტო** — ვისთან?

**ეთერი** — თავის შვილიშვილთან.

**დიტო** — ჰოო, გასაგებია. დიდი ბოდიში. **(წასვლას აპირებს)**

**ეთერი (მისდევს)** — მე ვერ დაგეხმარებით?

**დიტო** — არა, რაღაც წიგნი მჭირდებოდა.

**ეთერი** — მართლა? მეც მოვუსმინე, ვილაც ოპონენტი რომ გეუბნებოდათ: წიგნში ჩაიხედეო! **(უხერხული პაუზა)** წიგნი მართლა საოცრებაა, არა?

**დიტო** — მეც ასე მგონია. **(მიდის)**

**ეთერი** — ჩვენ მეზობლები ვართ. უკვე წელიწადზე მეტია, აქ ვცხოვრობ, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ საერთოდ, მამჩნევ... მე კი შენზე ყველაფერი ვიცი. ვიცი, როდის ილვიძებ, როგორი ინტონაციით ლაპარაკობ ტელეფონზე — სულ სხვანაირად, ვიდრე სატელევიზიო გადაცემებში. ორშაბათს ლურჯი ჰალსტუხი გიკეთია, სამშაბათს — შინდისფერი, ოთხშაბათობით — ჟირაფივით ზოლიანი... მე უჰალსტუხოდ უფრო მომწონხარ.

შენს გამო საშინელი რამ ჩავიდინე — ვიქურდე. ბაბუა პეტრეს ალბომიდან ფოტოსურათი მოვიპარე, სადაც სკოლის მერხზე შენ და პეტიკო ხართ გადაღებული. მართალია, ის ბანდიტი ამოვჭერი და გადავაგდე, მაგრამ შენი თავი სათუთად მაქვს ჩასმული ჩარჩოში და სამსახურში, მაგიდაზე მიდევს. ვინმემ რომ ნახოს, ვერც დაეჭვდება. უი, ეს შენი პატარა ძმა არისო? მეკითხებიან. **(ჩაფიქრდება)** ისე, მე მგონი, ბაბუა პეტრე რაღაცას ურევს: „პეტიკო ხუთოსანი, დიტო — სამოსანი..." როგორ დავიჯერო?

**პეტრე (თავის ოთახში შედის)** — პეტიკომ მერვე კლასში აურია. მანამდე წარჩინებით სწავლობდა. **(სკამზე ჯდება. გულზე იკიდებს ხელს)** ეთერიკო!

**ეთერი** — უკვე დაბრუნდით? **(გადის მასთან)** ცუდად ხომ არა ხართ?

**პეტრე** — წნევა გამიზომე, შვილო, თუ არ შეწუხდები.

**ეთერი** — არა გრცხვენიათ? **(წნევას უზომავს)** ამ სიცხეში კოლონიაში ნახვედით. წნევა აგეწეოდათ, აბა რა.

**პეტრე** — ძალიან მაღალია?

**ეთერი** — არც ისე. **(წამალსა და წყალს აწვდის)** ახლავე გადაყლაპეთ.

**პეტრე** — უკვე ივახშმე?

**ეთერი** — თქვენ გელოდებოდით. **(სიცილი აუტყდება)** რა კარგი მეზობელი ვარ, არა? მაგრამ თვითონვე მიმაჩვიეთ... ჰოდა, ახია თქვენზე.

**პეტრე (ილიმება)** — შენ არხეინად იყავი. ჩემთვის ძნელი არ არის მზარეულობა. მას მერე, რაც მე და პეტიკო მარტო დავრჩით, სხვა რა გზა მქონდა — ბიჭს საჭმელსაც მე ვუკეთებდი და ვურეცხავდი კიდეც.

**ეთერი** — თქვენ ის ნახეთ?

**პეტრე** — არა, შვილო.

**ეთერი** — ძალიანაც კარგი.

**პეტრე** — რატომ?

**ეთერი (დარცხვენილი)**— მაპატიეთ. მე უბრალოდ ვეჭვიანობ... თქვენ ისე ძალიან გიყვართ იგი... **(მის გვერდით ჯდება და ლოყაზე ჰკოცნის)**

## 2

**ეთერი ტახტზე წევს. ყელი შეხვეული აქვს. თერმომეტრს ამოიღებს, დახედავს და ამოიოხრებს.**

**ეთერი** — ისევ 38... რა თქმა უნდა, სისულელე იყო გუშინდელ ამინდში კინოში წასვლა. მით უმეტეს, რომ სანახავადაც არაფერი ღირდა. ან იმდენი ნაყინი რაღამ მაჭამა? ხომ ვიცი ჩემი ყელის ამბავი. გავეჯიბრე რა მეც იმ არანორმალურებს. ეგენი პინგვინებივით არიან, მე კი...

**პეტრე (შემოდის რძით სავსე ჭიქით)** — აბა, როგორ ხარ, ეთერიკო?

**ეთერი** — კარგად. ნუ შემოდიხართ რა, გადამდები არ იყოს. იქნებ ვირუსია. ქათმის გრიპი.

**პეტრე** — გრიპი კი არა, გაციებული ხარ. ხმა რომ ჩაგეხრინწა, ვერ ატყობ? ექიმს უნდა გამოვუძახოთ.

**ეთერი (შეშინებული)** — არა, არა! ძალიან გთხოვთ. უბრალო ამბავია.

**პეტრე** — ნუ ჯიუტობ. აგერ, დავრეკავ უცებ. ჩემი ამხანაგის შვილია, მშვენიერი ექიმი. არ დამამადლის, მოვა და გაგსინჯავს. **(ტელეფონს დასწვდება. ეთერი შეუმჩნევლად გამოაძრობს შნურს)** ალო, ალო!.. რა დაემართა ამ ტელეფონს.

**ეთერი** — ასე ითიშება ხანდახან.

**პეტრე** — არა უშავს, ჩემგან დავრეკავ. შენ კი მანამდე, ეს თბილი რძე დალიე.

**ეთერი** — რძეს დავლევ, თქვენი ხათრით, თუმცა ცხოვრებაში არ გავკარებივარ. ოღონდ, გეხვეწებით, ექიმი არ გინდათ რა... აბა, რა საჭიროა?

**(პეტრე გადის. ეთერი ისევ შეაერთებს ტელეფონს. ის მაშინვე რეკვას იწყებს)** ნეტა, ვის გავახსენდი. ვინც უნდა იყოს, არ ვუპასუხებ. ისეთი ხმა მაქვს, იფიქრებენ, სხვაგან მოვხვდითო. **(ტელეფონი ჩუმდება)** როგორ ვერ ვიტან ავადმყოფობას... ისე, მსუბუქად ავად გახდომას ალბათ არა უშავს. კარგია, როცა შენზე ვინმე მზრუნველობს. მაგრამ მე მომაკვდავი ხოჭოსავით ვწევარ და ვაწუხებ წნევიან, ხნიერ ადამიანს. რა საზიზღრობაა!

**პეტრე (შემოდის)** — რა არის საზიზღრობა, რძე?

**ეთერი** — არა, რძე კი არა...

**პეტრე** — ახლა ექიმი მოვა.

**ეთერი** — მაინც დაურეკეთ, არა? არ მესმის, რატომ ზრუნავთ ჩემზე. მე ხომ სანაცვლოდ არაფერს გიკეთებთ.

**პეტრე** — ნეტა რა უნდა გამიკეთო?

**ეთერი** — რა ვიცი. აი, თუნდაც, პერანგები რომ დაგიუთოვოთ...

**პეტრე** — ჩემს პერანგებს შენ ვერ განდობ.

**ეთერი** — მართალია... რა უმაქნისი ვარ, არა? წესიერად ჭურჭლის გარეცხვაც კი არ შემიძლია. უკვე ოთხი თეფში გაგიტეხეთ.

**პეტრე** — ეგ არაფერი.

**ეთერი** — ნუ მამშვიდებთ. როცა ტემპერატურა მიწევს, ჩემს თავს გარედან ვუყურებ და თვითკრიტიკული ვხდები.

**პეტრე** — მშვენიერი გოგო ხარ, დაწყნარდი.

**ეთერი** — თქვენ ყველას ასე ეუბნებით. ოროსან სტუდენტებსაც კი უწერთ ჩათვლებს და კარგ ნიშნებს. ასე არ შეიძლება... ცხოვრება გართულდა.

**პეტრე (შუბლზე ხელს ადებს)** — ძალიან მაღალი სიცხე გაქვს. რა ვქნა ახლა?

**ეთერი** — სამაგიეროდ, ყველას ვაჯობე.

**პეტრე** — ყველას აჯობე?

**ეთერი** — ჰო, ექვსი ულუფა ნაყინი შევჭამე.

**პეტრე** — რა ბავშვობაა!

**(ზარი. პეტრეს შემოჰყავს ექიმი. ეთერი საბანს იფარებს თავზე)**

**ექიმი** — როგორა ხარ, ძია პეტრე?

**პეტრე** — მე კარგად... ბავშვს კი ყელი აქვს გადაკეტილი. ბევრი ნაყინი უჭამია სანაძლეოზე.

**ექიმი** — რა სისულელეა. სიცხე აქვს?

**ეთერი (თავს ამოჰყოფს საბნიდან)** — 38.

**ექიმი (გაკვირვებული)** — ეს არის ბავშვი? **(პეტრე სკამს დაუდგამს და გადის)**

**ეთერი** — თითქოს მართლა დავპატარავდი. თავი ცერცვის მარცვალი მგონია.

**ექიმი (სინჯავს)** — რამდენი წლის ხართ?

**ეთერი** — ოცდაორის.

**ექიმი** — ჰოო? კარგად არ იკვებებით? **(ზურგზე დაუკაკუნებს)**

**ეთერი** — რაზე შემატყვეთ?

**ექიმი (გაიცინებს)** — ნეკნებზე.

**ეთერი** — თქვენ ნეკნებს მითვლით თუ ფილტვებს უსმენთ?

**ექიმი** — ჰმ... ერთი, ჩაახველეთ!... ფილტვები სუფთაა. შეიძლება ყელში ჩაგხედოთ?

**ეთერი** — მე მგონი, ყელიდან უნდა დაგეწყოთ.

**ექიმი** — შენ რა ენამწარე ყოფილხარ.

**ეთერი** — ენა მართლაც მწარე მაქვს, თითქოს დარიშხანი გადავყლაპე. რატომ?

**ექიმი** — იმიტომ, რომ ანგინა გაქვს.

**ეთერი** — მართლა? მე კი სამსახურში ვარ წასასვლელი. ნახატები რომ არ მივიტანო, გაგიჟდებიან. ამ კვირაში წიგნი უნდა ჩაუშვან.

**ექიმი** — უთქვენოდ ჩაუშვებენ. **(რეცეპტს წერს)** მანამდე კი, აი, ეს დალიეთ. სიცხის დამწევია. **(აბს აწვდის)**

**ეთერი** — რა გრილი ხელები გქონდათ... როგორც დედაჩემს.

**ექიმი** — ჰმ. **(ქვევით ბავშვების ყიჟინი და მინის მსხვრევის ხმა)** იმედი მაქვს, ეს ჩემი მანქანის მინები არ აღმოჩნდება. **(აივნიდან გაიხედავს)** ფეხბურთს თამაშობენ. **(ბურთი აივანზე ამოვარდება. ექიმი იჭერს. გაკვირვებული)** სად ურტყამენ?

**ეთერი** — რას იზამთ, სივიწროვეა.

**ექიმი (უკანვე აგდებს ბურთს)** — ჰო. მეც ასეთ „იტალიურ" ეზოში ვცხოვრობ.

**ეთერი** — გყავთ ცოლი და რვა შვილი.

**ექიმი (იცინის)** — რვა არა, ორი.

**ეთერი** — ასეთ ეზოებს ბევრი ბავშვი უხდება. ბევრი გაფენილი სარეცხი და აივანზე გადმომდგარი მყვირალა დედები.

**ექიმი** — ნუ ლაპარაკობთ. და ეცადეთ, ბევრი სითხე მიიღოთ: ჩაი, რძე, მინერალური წყალი.

**ეთერი** — ბევრი ბავშვი, ბევრი სარეცხი, ბევრი წყალი... **(აცემინებს)**

**პეტრე (შემოდის)** — აბა, როგორ არის საქმე?

**ექიმი** — არაფერი ისეთი. ეს ორი თავი წამალი და ფეხზე დადგება.

**პეტრე** — მეც შენთან ერთად წამოვალ. აფთიაქში შევივლი.

**ეთერი** — გეხვეწებით, არ გინდათ რა! მე თვითონ შევივლი აფთიაქში.

**(უკვე ნაცნობი მანქანის სიგნალი. გაბმულად, თითქოს ბრაზით)**

**პეტრე** — დიტოა. ეტყობა, შენს მანქანას ვერ აუარა გვერდი.

**ექიმი (ისევ გადაიხედავს ქვევით)** — ეს ნაძირალა თქვენი მეზობელია?

**ეთერი** — ვისზე ამბობთ?

**ექიმი** — წავედით, ძია პეტრე, თორემ გამიბრტყელებენ ჩემს საცოდავ, ძველ მეგობარს.

**ეთერი** — ვინ არის თქვენი მეგობარი?

**ექიმი** — „ჟიგული". ნახვამდის. **(ექიმი და პეტრე გადიან)**

**ეთერი** — მადლობა, ექიმო... თქვენ პატარა, სასაცილო ულვაშები გქონდათ და მალამოსავით ხელები. მე აუცილებლად დამესიზმრებით. ხოლო როცა გამოვჯანმრთელდები, დუელში გამოგიწვევთ. რატომ? იმიტომ, რომ ჩემს პრინცს ნაძირალა უწოდეთ.

**(კარზე ზარს რეკავენ)**

**ეთერი (ჩახრენწილი ხმით)** — ღიაა! **(აკაკუნებენ)** როგორ, არ არის ღია? **(წამოდგება და პიჟამისამარა მიდის კარებთან, იხედება სათვალთვალოში)** ვაიმე, ბატონი ნიკო!..

**(ეძახის)** ახლავე! **(სარკესთან ჩქარ-ჩქარა ივარცხნის თმას. მერელა აღებს კარს)**

**ბატონი ნიკო** — სახლში ხარ? კარს რატო არ აღებ? ერთი საათია, ვაკაკუნებ. ტელეფონს რატომ არ პასუხობ? მთელი დღე გირეკავ. ასე არ შეიძლება, გენაცვალე. მე თუ ყველა თქვენგანთან სახლებში ვირბინე, კარგად წავა ჩემი საქმე. **(ოთახში დადის. ეთერს ზედ არ უყურებს)** აქ ცხოვრობ? ეს რა არის? **(ნახატს დასწვდება)**

**ეთერი** — ვაიმე!

**ნიკო** — ჩემი კარიკატურაა? ყოჩაღ! ამისთანა საშინელი ვარ? პირიდან ცეცხლს რატომ ვაფრქვევ, დრაკონი ხომ არ გგონივარ?

**ეთერი** — ეს ზღაპრის ილუსტრაციაა, ბატონო ნიკო.

**ნიკო** — მერე მე რატომ მგავს?

**ეთერი** — რა ვიცი, ისე... **(ტახტზე ჩამოჯდება)**

**ნიკო (ახლაღა შეხედავს)** — შენ რა დაგემართა? ავად გახდი?

**ეთერი** — ცოტათი.

**ნიკო** — მოიცა, აქ მარტო ხარ?

**ეთერი** — დიახ.

**ნიკო** — რატომ? დედა, მამა... გათხოვილი არა ხარ?

**ეთერი** — არა.

**ნიკო** — აბა, სულ მარტო ცხოვრობ?

**ეთერი** — დიახ.

**ნიკო** — რა გჭირს?

**ეთერი** — ანგინა.

**ნიკო** — ანგინა! დიდი ამბავი! დღეს გაფიცვა ხომ არ მომიწყვეთ? კორექტორის გარდა არავინ მოსულა.

**ეთერი** — ეტყობა, იმათაც ანგინა აქვთ.

**ნიკო** — ცარიელ ენთუზიაზმზე ვმუშაობ. ღირსები ხართ, უხელფასოდ დაგტოვოთ. გამომცემლობა უმადური საქმეა, წამგებიანი... სად არის ნახატები? რა თქმა უნდა, საქმე ბოლომდე არ მიგიყვანია!

**ეთერი** — როგორ არა. ყველაფერი აქ დევს. **(აწვდის საქაღალდეს)**

**ნიკო** — თუ არ მომეწონა, იცოდე!.. **(ათვალიერებს)**

**ეთერი** — როგორია?

**ნიკო** — რა უჭირს. წამხდარ საქმეზე გამოდგება.

**ეთერი** — ძალიან კეთილი ხართ. ბიძაჩემის ლაბრადორს მაგონებთ — ყეფს, ყეფს, მაგრამ არ იკბინება.

**ნიკო** — აჰა, ესე იგი, ლაბრადორს.

**ეთერი** — ამის თქმა არ მინდოდა.

**ნიკო (ოთახში დადის)** — კურიერი ბიჭი რომ კურიერი ბიჭია, ისიც არ მოვიდა.

**ეთერი** — დაბრძანდით, რამეს არ დაეჯახოთ.

**ნიკო** — სამსახური ჩემი ოჯახია. ცოლი, შვილი, ყველაფერი... რატომ თქვენთვისაც ასევე არ არის?

**ეთერი** — თქვენ მარტო ცხოვრობთ, ბატონო ნიკო?

**ნიკო** — საქმე უნდა გიყვარდეს. რაღაც ხომ უნდა გიყვარდეს? **(ტახტზე ჩამოჯდება. ეთერი ხელს შეახებს. ნიკო შეხტება)**

**ეთერი** — დაწყნარდით.

**ნიკო** — როგორ მიშლით ყველანი ნერვებს და მერე კიდევ მეუბნებით, რა ანერვიულებსო. **(მიხედავს)** წამლები გაქვს?

**ეთერი** — დიახ, წამლებიც და საერთოდ ყველაფერი.

**ნიკო** — აქ მოწევა არ შეიძლება ხომ?

**ეთერი** — მოწიეთ, მოწიეთ, ძალიან გთხოვთ!



*მხატვარი აივენგო ჭელიძე*

**ნიკო** — უცნაური კია, ყოველდღე ამ ქუჩაზე დავდივარ და არ ვიცოდი, აქ თუ ცხოვრობდი.

**ეთერი** — დიახ, წყნარი ქუჩაა. ეზოც ხომ მშვენიერია?

**ნიკო (იფეთქებს)** — ასე ახლოს ყოფილხარ სამსახურთან და მაინც აგვიანებ!

**ეთერი** — უბრალოდ, მე ყველა წვრილმანს ვაკვირდები, როცა გზაში ვარ.

**ნიკო** — საყვედურსაც ვერ გეტყვის კაცი წესიერად.

**ეთერი** — როგორ? თქვენ ხომ სულ მიჯავრდებით?

**ნიკო** — გიჯავრდები, მაგრამ თვალებში ვერ გიყურებ.

**ეთერი** — ჰო, მართლაც. რატომ? **(ხელს ჩაჰკიდებს)** შემომხედეთ და რამდენიც გინდათ, იყვირეთ.

**ნიკო (წამოხტება)** — ასორმოცდაათ კილოს ვიწონი. არ გეშინიათ, რომ თქვენს გადამკიდეს გული გამისკდება? ქონში ჩაფლული, საცოდავი გული. **(ნახატს აიღებს)** დროზე გამოჯანმრთელდი! **(გადის)**

**ეთერი** — არაფერი მესმის... ბატონი ნიკო, ჩვენი უზარმაზარი კარადა-კაცი... არაჩვეულებრივად მღერის და ცეკვავს კიდეც. სიმსუქნის მიუხედავად, ისეთი მოქნილია, როგორც პლასტელინი. ნუთუ თქვენი პატარა, ტანთხელი ცოლი თქვენგან წავიდა, ბატონო ნიკო? ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებით და რა ცოტა ვიცით ერთმანეთის შესახებ...

**პეტრე (შემოდის წამლებით ხელში)** — აი, მეც მოვედი. კიბეზე ვეებერთელა კაცს შევეფეთე. მივხვდი, გვერდს ვერ ავუვლიდი და ისევ დაბლა მომიხდა ჩასვლა. ასე რომ, ზედმეტი ოცი საფეხური გავიარე. **(გულზე იკიდებს ხელს)**

**ეთერი** — რა მოგივიდათ?

**პეტრე** — არაფერი. შენ რატომ ადექი?

**ეთერი** — მიიხედეთ რა, ახლავე დავწვები.

**პეტრე (აივნის კართან მიდის)** — რაღაც საოცარი ამინდია. სირცხვილი არ არის, გაზაფხულის ასეთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა გოგონა საწოლში იწვეს, ძალად აკიდებული ავადმყოფობის გამო? ასეთ ალერსიან დღეს სახლში ჯდომაც დანაშაულია. **(ჩაფიქრდება)** მზე ალბათ ყველაზე ყრუ კედლებშიც აღწევს... **(მობრუნდება და გაუღიმებს)** მაგრამ ისე ცოტა ხანს მეც უნდა წამოვწვე. რაღაც გადავიღალე თითქოს... **(კართან მიდის)**

**ეთერი** — ბაბუა პეტრე!

**პეტრე (მოიხედავს)** — ბატონო.

**ეთერი** — ძალიან მიყვარხართ.

**(სინათლე ქრება)**

## 3.

**ზაფხულის წვიმიანი დღე. ეთერი მოწყენილი დგას აივნის ღია კართან.**

**ეთერი** — სამი დღეა გადაუღებლად წვიმს. მალე ზაფხული გავა. რა სწრაფად მიდის დრო... თითქოს პატარა, მოუსვენარი ჩიტი გიჭირავს ხელში და როგორც კი თითებს გაშლი — ფ რ რ ... ისედაც ხანმოკლეა აგვისტო და კიდევ წვიმები... როცა ბაბუა პეტრეს ვასაფლავებდით, მაშინაც წვიმდა. და მე ვფიქრობდი, რომ ეს ძალიან კარგია, რადგან მზიან ამინდში მას ალბათ დაენანებოდა მშვენიერ, ალერსიან შუადღესთან გამოთხოვება.

პეტიკო-ბაცილა თვეზე მეტია, რაც ციხიდან გამოვიდა და შინ ზის. შინ — ერთ პატარა ოთახში. მე უწინდებურად ვერ ვიტან მას. ვიცი, რომ ბაბუა პეტრეს ხათრით ცოტათი მაინც კეთილგანწყობილი უნდა ვიყო, მაგრამ არ შემიძლია. ზოგჯერ კიბეზე ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ თითქოს ვერც მამჩნევს და რატომღაც მგონია, რომ სურს, თვითონაც შეუმჩნეველი დარჩეს. როცა შინაა, მასთან გამუდმებით დადიან ისეთივე უცნაური, დამუნჯებული ბიჭები — ნაირ-ნაირი მიკრობები... თუმცა ზოგიერთთან სადავო არაფერი მაქვს — ბაბუა პეტრეს თავს დასტრიალებდნენ, ღამეებსაც უთევდნენ და ბოლოს, საკუთარი მხრებით ზიდეს სასაფლაომდე. მაგრამ მაინც ერთი დიდი მიკროსკოპი მინდა, რომ კარგად შევისწავლო მათი შინაგანი სამყარო: რითი სუნთქავენ, რა ამოძრავებთ...

**(სამზარეულოში გადის)** აი, მგონი, მეც გავიწაფე დიასახლისობაში. ჭურჭელსაც აღარ ვამტვრევ. **(სკამზე შედგება, კარადიდან რაღაც უნდა გადმოიღოს, ამ დროს ჭიქა გადმოვარდება და გატყდება)** ო, არა! ჩემი საყვარელი, საყვარელი ლურჯი ფინჯანი... **(ნამტვრევებს აგროვებს და გულში იხუტებს)** ჩემი ბავშვობის სახსოვარი, ვანილიანი კაკაოს სურნელი... **(სანაგვეში აგდებს. მიიხედ-მოიხედავს)** რა წესრიგია. ეს ბიჭი საერთოდ არაფერს ჭამს. ხომ ვამბობდი? ნეტა, რითი არსებობს? **(ჩაის დაისხამს. რადიოს რთავს)**

**დიტოს ხმა რადიოდან** — „ჩვენი ენერგია, ახალგაზრდობა მთლიანად მოხმარებული იქნება ქვეყნის კეთილდღეობაში. პოზიტიურიც ხომ უნდა დაინახონ, თუ დანახვაზე წავიდა საქმე? ჩვენს ოპონენტებს ნუ ეგონებათ, მარტო ჩვენ ვხედავთო..."

**ეთერი (რადიოს ჩაუწევს)** — ის არის... ჰო, გრამატიკის სახელმძღვანელო ნამდვილად არ აწყენდა. უცნაურია. მგონი, ეს დღეები მასზე არ მიფიქრია... უბრალოდ, არ მეცალა. აი, ახლაც სადილი უნდა მოვამზადო. ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავისთვისაც ხომ შეიძლება მოამზადო გემრიელი კერძი. მაგრამ რა? **(კარადას გამოაღებს)** გვაქვს რამე? ბრინჯი არის, ქიშმიში... სტოპ! ფლავი! რატომაც არა? გავიხსენოთ მისი მომზადების ყველაზე მარტივი წესი. პირველად, მგონი, ბრინჯი უნდა გადავარჩიოთ...

**(შემოდის მამა)**

**მამა** — გამარჯობა... კარი ღია იყო. რატომ?

**ეთერი** — არ ვიცი. ალბათ, ღია დავტოვე. გამარჯობა, მამა!

**მამა** — როგორ ხარ?

**ეთერი** — კარგად, კარგად. ძალიან კარგად... შენ?

**მამა** — მე რა მიჭირს. დათუნამ კი კოჭი იღრძო სკოლაში.

**ეთერი** — ოი, რას ამბობ! ახლა როგორ არის?

**მამა** — არა უშავს. ერთ ადგილას მაინც ვერ ვაჩერებთ.

**ეთერი** — ჰო, დათუნა ნამდვილი ქარბორბალაა.

**მამა** — რას აკეთებ?

**ეთერი** — რას და ფლავს. ხომ დარჩები? **(გახალისებული)** ნახე, რა გემრიელი გამომივა!

**მამა** — არა, მეჩქარება. საქმეები მაქვს.

**ეთერი** — დღეს ხომ კვირაა.

**მამა** — ჰო, მაგრამ...

**ეთერი** — გასაგებია, გეჩქარება... კარგია, რომ შემომიარე. ოღონდ არ მკითხო: ფული გაქვს? რამე ხომ არ გჭირდება? არაფერი არ მჭირდება, გესმის? არაფერი!

**მამა** — რა მოგივიდა?

**ეთერი** — აი, ესეც შენი ჩვეული კითხვა — რა მოგივიდა?

**მამა** — ჰო, მაინტერესებს.

**ეთერი** — გგონია, არ ვიცი, რა საქმეებიც გაქვს? კვირაობით ქალბატონ ნინულის ქმარ-შვილთან ერთად რომელიმე წესიერ რესტორანში სადილობა უყვარს, როგორც სამაგალითო ოჯახს შეეფერება. თქვენ ერთად სადილობთ: შენ, შენი ცოლი და შვილი... მაგრამ არ მესმის, რა არის აქ დასამალი?

**მამა** — ნუ იგონებ რაღაცას. კარგი, წავედი.

**ეთერი** — ნახვამდის. ფული, შეგიძლია, არ დატოვო — ის ლარნაკი გატყდა და გადავაგდე. **(მამა რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ გადაიფიქრებს. მიდის)**

მართლა, ლეკვი როგორ არის? დარწმუნებული ვარ, საათობით იზრდება. ნამდვილი მხეცია, მთელი ავეჯი დაღრღნა. **(ონკანს მოუშვებს)** ჩემგან ასეთ ვერაგობას არ მოელოდით, ხომ მართალია?

**(შემოდის დიტო. ხელში მანქანის გასაღებს ატრიალებს. ანერვიულებული ჩანს)**

**დიტო** — უკაცრავად...

**ეთერი (მობრუნდება)** — ვაი, როგორ შემეშინდა!

**დიტო** — წყალს დავლევ, თუ შეიძლება. **(ზედიზედ სვამს ორ ჭიქას)**

**ეთერი** — თქვენ საიდან? წვიმას მოყევით? ახლახან რადიოში გისმენდით.

**დიტო** — რა მითხარი? **(შემოდის პეტიკო)**

**პეტიკო (ეთერს მიმართავს, მაგრამ ისე, რომ დიტოს მისჩერებია)** — დიდი ბოდიში, სალაპარაკო გვაქვს...

**დიტო** — მე არაფერი მაქვს შენთან სალაპარაკო.
**პეტიკო** — მე მაქვს.
**დიტო** — მოვრჩით, გვეყოფა! **(იატაკზე დაახეთქებს ჭიქას)**
**ეთერი** — ვაიმე!
**დიტო** — შენ მე რაღაც ბრალებს ნუ მდებ, გაიგე?
**ეთერი** — ბრალს.
**დიტო** — რაო?
**ეთერი** — ბრალი — მხოლობითში.
**პეტიკო** — გავიდეთ აქედან.
**დიტო** — არსადაც არ გავალ!
**პეტიკო (ისევ დიტოს უყურებს, მაგრამ ეთერს მიმართავს)** — მაშინ, თქვენ გაბრძანდით ერთი წუთით, თუ შეიძლება.
**ეთერი** — კი, ბატონო. **(განაწყენებული გადის თავის ოთახში)**
**პეტიკო** — როგორ აფეთქდი, ბიჭო. ნერვები რა დღეში გქონია. ასეთი ნერვებით პატრონობთ ქვეყანას?
**დიტო** — თუ ძმა ხარ, შენი საქმე არაა, ვინ რას პატრონობს.
**პეტიკო** — სწორია, რა ჩემი საქმეა ჩემი ქვეყნის ამბები.
**დიტო** — არ გვინდა ახლა პატრიოტული...
**პეტიკო (შეახსენებს)** — ლირიკა.
**დიტო (ნერვებმოშლილი)** — აღარ უნდა შემეშვა? მოვრჩეთ ამ საქმეზე ლაპარაკს ერთხელ და სამუდამოდ!
**პეტიკო** — ჰა, მოდი, მოდი. **(ხელებს გაშლის და წინ დაუდგება)** დამარტყი! ისე ძალიან გინდა, ხელით შემეხო, რომ მაგაზე ვერ გაწყენინებ. ბავშვობის მეგობრები ვართ, ერთად გაზრდილები. მე მთელი დღეები შენთან ვეგდე, შენ — ჩემთან. დაგავიწყდა? აი, იქ **(ზევით ანიშნებს)**, სადაც ახლა ევროპიული რემონტი ჩაგიტარებია. დიდი შრომა გაგიწევია, დიდი!
**დიტო** — ის ოთახები კანონით გაფორმებულია და, საერთოდ, ორჯერ მეტი გადავიხადე. პეტიკო — რა გადაგისხეს, ბიჭო. რა სითხე გიდგას მაგ ძარღვებში.
**დიტო** — შენ აქ ციხე კი ნუ გგონია.
**პეტიკო** — ნუ გეშინა, შენი სისხლის ანალიზი არ მაინტერესებს.
**დიტო** — მეშინია? მე მეშინია?
**პეტიკო** — მე ის მაინტერესებს, ამდენ მაყუთში თუ ცურავდი.... არა, ქველმოქმედებას შენ ვერ მოგთხოვდი, მაგრამ ბაბუაჩემს ოთახები როგორ გააყიდინე, ბიჭო? ან რა გულით შესახლდი შიგ. ეს გამაგებინე და, თუ გინდა მომკალი, რა!
**დიტო** — აი, ის გოგო რო... იმას რატო არაფერს ეუბნები? ეგეც მყიდველი არ არის? თან ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში... მე ორმაგს ვაძლევდი ბაბუაშენს და არამ!
**პეტიკო** — აჰა, ესე იგი, ის ოთახიც გინდოდა?
**დიტო** — კაცი ოთახებს ყიდდა. მეც ავდექი და იმაზე მეტი გადავუხადე, რასაც აფასებდა. თუ არ გჯერა, ჰკითხე ვახოს, ანდა სარჩიმელიას. მაშინ სად იყვნენ შენი ძმაკაცები, ახლა რომ ამოიდგეს ენა? ჰა? გეკითხები, ჰა? ახლა კი მანქები, მაგრამ ის ფული რომ არ მიმეცა, ციხიდან ვინ გამოგიხსნიდა?
**პეტიკო (თვალებში ჩასცქერის)** — ციხიდან გამომიხსნა და ორ კვირაში ისევ დააჭერინე ჩემი თავი. რატომ, დიტო?
**დიტო** — დავაჭერინე? მე? ეგ ვიღამ დამაბრალა, მე იმისი?!

**პეტიკო** — კაი, არ გვინდა. **(უცებ მოშორდება, ზურგს შეაქცევს და ფანჯარასთან დგება)**
**დიტო** — მე არც არაფერი მინდა. შენ გაქვს თავში რაღაცები არეული წამლისგან!
**პეტიკო (კარგა ხნის პაუზის შემდეგ)** — ლანუკა როგორ არის?
**დიტო (დაიბნევა)** — ლანუკა? რა ლანუკა... რა ვიცი... თვითონ იმას ჰკითხე.
**ეთერი (რომელსაც ყველაფერი ესმის)** — ვინ არის ლანუკა? გული ეჭვიანობისგან მეფლითება... ააა, გამახსენდა! ბაბუა პეტრე მიყვებოდა — ლანუკა ამათი კლასელია. ნამდვილი ქალბიჭა, ახტაჯანა... ნუთუ პრინცსა და მას შორის რამე ხდება? ახლა უნდა ვიეჭვიანო... მერე ეჭვიანობისგან დავსნეულდები. მერე ალბათ ის შემამჩნევს, მაგრამ ძალიან გვიან იქნება — მე მოვკვდები, მას კი სინანულის გრძნობა ისე დატანჯავს, რომ ჩემს საფლავზე მოიკლავს თავს, მერე გვერდი-გვერდ დაგვმარხავენ და ახალი ლეგენდები, ლექსები, სიმღერები დაიწერება ჩვენზე, ხოლო შეყვარებულები ივლიან ჩვენს საფლავზე, სადაც ჩემი პალმები გაიხარებს...
არა, სიკვდილი არ მინდა! და პალმებიც ჩემს აივანზე დარჩება.

## 4.

**სიბნელე. ეთერი ხელისცეცებით მიაგნებს ჩამრთველს, შუქს ანთებს და შეჰკივლებს — სავარძელში პეტიკო — პეტიკო ზის გულხელდაკრეფილი.**

**ეთერი** — ვაიმე! თქვენა ხართ? აქ რა გინდათ?
**პეტიკო** — კარი ღია იყო.
**ეთერი (ანერვიულებული)** — მერე რა, რომ კარი ღია იყო?
**პეტიკო** — არაფერი. ისე გითხარი, კარი ღია იყო-მეთქი.
**ეთერი** — ჰო, მაგრამ, აქ რას აკეთებთ?
**პეტიკო** — ვიცი, რო?
**ეთერი** — თან ღამეა.
**პეტიკო** — ღამეა. **(ახლაღა ახედავს)** შენ აქ ცხოვრობ, ხომ? შენ ხარ... **(ცდილობს მოიგონოს)**
**ეთერი** — ეთერი, თქვენი მეზობელი.
**პეტიკო (იმეორებს)** — ეთერი, ჩემი მეზობელი.
**ეთერი** — ნასვამი ხართ?
**პეტიკო (ჩაიცინებს)** — არა.
**ეთერი** — აბა? ნუთუ... **(სახე მოეღრუბლება)**
**პეტიკო** — უბრალოდ ვიჯექი და ვფიქრობდი.
**ეთერი (მაგიდასთან ჩამოჯდება)** — ფიქრობდით?
**პეტიკო** — ჰო... ეს დედაჩემის ოთახი იყო. შენ იცი, რას ნიშნავს დედის ოთახი? მამა არ მახსოვს, მაგრამ დედა... დედა სულ მახსოვს. აი, მანდ — ახლა შენ რომ ზიხარ, წითელი ხის კარადა იდგა, სადაც დედა თავის კერამიკის ნაკეთობებს ინახავდა. როგორ ხატავდა, იცი? უწვრილესი ფუნჯით ისე რბილად ავლებდა ხაზებს, სულ მეგონა, სადაცაა მოხატული ჭურჭელი გაცოცხლდება და ხელიდან გაუფრინდება-მეთქი.
**ეთერი** — ხატავდა?

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

**პეტიკო** — ჰო, თიხაზე... ბაბუას და დედას მამაშვილივით უყვარდათ ერთმანეთი. ბაბუას გული აწუხებდა და დედას ეშინოდა, რამე არ მოუვიდესო. ძალიან უფრთხილდებოდა... მაგრამ პირიქით მოხდა — დედას უმტყუნა გულმა და ბაბუას გულიც გადაავიწყდა და ყველაფერი, ჩემს გარდა...

ამ ოთახში კიდევ დგას სალებავების სუნი. ვგრძნობ ამას.

**ეთერი** — სალებავებს მეც ვიყენებ და ალბათ იმიტომ.

**პეტიკო** — მართლა?

**ეთერი** — ჰო. აი, ნახატებიც. აქამდე ვერ შეამჩნიე?

**პეტიკო** — ალბათ ამჩნევ, რომ მე ვერაფერს ვამჩნევ... მხოლოდ მახსოვს... უფრო და უფრო ნათლად მახსოვს ყველაფერი, რაც ადრე იყო და რაც დავკარგე. სანამ შუქს აანთებდი, სიბნელეში ვიჯექი და ჩემთან მოდიოდა დედა, სადღეობო ტორტით. ზედ ათი სანთელი ენთო... ბოლო ტორტი ჩემს ცხოვრებაში... ბაბუაც მოდიოდა, უზომოდ დაღლილი და ხელს გულზე იდებდა, ტკიოდა, მგონი. დედას ნაფერები მოჭიქული სურებიც დავინახე, ბაბუს ძველი პიჯაკი და გადაშლილი წიგნი, ზედ სათვალე რომ იდო... მე ხო ვპირდებოდი, ოქროს სათვალეს გიყიდი-მეთქი და ყველაზე მაგარ საათს... მაგრამ პირიქით გამოვიდა — თვითონ გაყიდა საათიც და ნიშნობის ბეჭედიც და წიგნებიც... ბოლოს დედას ოთახიც... მარტო კერამიკას ვერ შეელია თურმე და სათუთად ინახავდა იმ თავის პატარა ოთახში. და კიდევ — ჩემი მიკროსკოპი...

**ეთერი** — მიკროსკოპი?

**პეტიკო** — ჰო, მიკროსკოპი.

**ეთერი** — ვიცი. ,,პეტიკოს მიკროსკოპში ცქერა უყვარდა, ბაქტერიოლოგია აინტერესებდა" — ეს ბაბუა პეტრეს სიტყვებია.

**პეტიკო** — მართლა? კიდევ რას გეუბნებოდა? თქვენ მეგობრობდით? გელაპარაკებოდა ხოლმე?

**ეთერი** — ჰმ! რა თქმა უნდა, მელაპარაკებოდა.

**პეტიკო** — მითხარი, რაზე... ძალიან ჯავრობდა ჩემზე, ხომ? მადანაშაულებდა?

**ეთერი** — თქვენ კი არა, საკუთარ თავს იდანაშაულებდა. ასე ამბობდა: სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვე და თითქმის ყველაფერი გავყიდე. პეტიკო ალბათ არასოდეს მაპატიებსო.

**პეტიკო** — მე? მე ვერ ვაპატიებ? **(თავს ხელებში ჩარგავს. პაუზა)** კი, მაგრამ შენთან რატომ იყო ასე გულახდილი? მითხარი, მარტო იყო, ყველა შემოეცალა თუ უბრალოდ, შენ მიგილო თავისიანად?

**ეთერი** — ჰო, ეტყობა, თავისიანად მიმიჩნია... **(ყოყმანის შემდეგ)** იცით, კიდევ რას მეუბნებოდა? ის ოთახი, სადაც შენ ცხოვრობ, გაყიდული არ მგონია, რადგან შენიაო!

**პეტიკო** — მართლა? კიდევ მითხარი რამე, გეხვეწები!...

**ეთერი** — კიდევ... კიდევ ის, რომ მე პროდუქტისთვის თუ გავეგზავნებოდი ათასში ერთხელ და სულ თვითონ აკეთებდა საჭმელს. ზოგჯერ ერთად ვსადილობდით და თითქმის ყოველთვის ერთად ვვახშმობდით. ძალიან მრცხვენია, მაგრამ სულ თვითონ მახსენებდა — ვახშმის დროაო... სამაგიეროდ, მე სუფრას ვალაგებდი და ჭურჭელს ვრეცხავდი, თუმცა ვამტვრევდი კიდეც... ჰალსტუხსაც ვუკრავდი და ვამოწმებდი, წნევის წამლის მიღება ხომ არ დავიწყებია-მეთქი. ჩვენ ერთმანეთი გვყავდა, გესმით?

**პეტიკო** — ჰო, ეს ძალიან მნიშვნელოვანია — როცა ადამიანებს ერთმანეთი ჰყავთ. მითხარი, იმ დღეს, როცა... როცა ცუდად იყო და... მოკლედ, იმ დღეს — მარტო იყო?

**ეთერი** — ცუდად სულ არ ყოფილა, დედას გეფიცებით! პირიქით, მე ვიყავი ავად და ის მივლიდა. ჩემი ბრალია ყველაფერი. ექიმიც მომიყვანა და წამლებიც თვითონ მიყიდა. მერე, როცა მასთან გაველი — მინდოდა მეთქვა, რომ კარგად ვარ და მაინტერესებდა, რატომ არ მისურვა ღამე მშვიდობისა — სავარძელში იჯდა, მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო, ზედ სათვალით... ძალიან მშვიდი ღიმილი ეფინა სახეზე, მაგრამ... აღარ სუნთქავდა..

**პეტიკო** — მე ვპირდებოდი... რას აღარ ვპირდებოდი.

**ეთერი** — მეც! მეც ვპირდებოდი ათას რამეს. არადა, წაგებულიც კი არ მიმიტანია არასდროს.

**პეტიკო** — წაგებული?

**ეთერი** — ჰო, საღამოობით ზოგჯერ კარტს ვთამაშობდით.

**პეტიკო (გაოცებული)** — ბაბუას კარტი ეჯავრებოდა. მგონი, არც იცოდა თამაში.

**ეთერი** — მეც! მეც თვალის დასანახავად ვერ ვიტანდი კარტს!

**პეტიკო** — და მაინც თამაშობდით? თანაც, სანაძლეოზე.

**ეთერი** — მართლაც... რა უცნაურია, არა?

**პეტიკო** — არაფერი არ არის უცნაური.

**ეთერი** — მაგრამ ხომ გაგიკვირდათ?

**პეტიკო** — მე იქნებ ბევრი რამ მიკვირს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. **(საათი რეკავს)** რა დრო გასულა! ბოდიშს გიხდი, რომ მყუდროება დაგირღვიე.

**ეთერი** — არა უშავს.

**პეტიკო** — შენც მარტო ცხოვრობ, ჰო?

**ეთერი თავს დაუქნევს.**

**პეტიკო** — კარგი, წავედი. არ გეგონოს, რომ ყოველთვის ასე ბევრს ვლაპარაკობ. მეტად აღარ შეგაწუხებ, გპირდები. **(წამოდგება)**

**ეთერი** — ნუ შემპირდებით. იქნებ პირობის გატეხვა მოგიხდეთ.

**პეტიკო (გაეცინება)** — შენ მართლა სხვანაირი გოგო ჩანხარ, სულ სხვანაირი... ოღონდ, თქვენობით ნუ მომმართავ, ვიბნევი რაღაც... ღამე მშვიდობისა.

**ეთერი** — თუ საშინელ ცნობისმოყვარედ არ ჩამთვლი... შეიძლება გავიგო, ლანუკა ვინ არის?

**პეტიკო (დაიბნევა)** — ლანუკა?... ლანუკა ჩემი შეყვარებული იყო.

**ეთერი** — ახლა?

**პეტიკო** — ახლა დიტოს საყვარელია. **(გადის)**

**ეთერი (კარს მიეყრდნობა ზურგით)** — საყვარელი! დიტოს საყვარელი ჰყავს? ისე, რატომ გამიკვირდა. რა არის ამაში გასაოცარი: საყვარელიც ეყოლება, საცოლეც და მეორე საცოლეც — სათადარიგოდ... **(ზევით იხედება, ჭერისკენ)** იცი რა, მეგობარო? მგონი, დიდ გაუგებრობაში ხარ მოხვედრილი. შენ კინომსახიობი უნდა ყოფილიყავი. ითამაშებდი უჰალსტუხო გმირებს და იქნებოდი არხეინად. ტექსტსაც სხვა დაგიწერდა და აღარ დაგჭირდებოდა გრამატიკის სახელმძღვანელო. ეკრანზე თუ მოიტყუებდი,

მაინც ყველა დაგიჯერებდა, რადგან მსხვილი პლანით აჩვენებდნენ შენს ხშირწამწამებიან ლურჯ თვალებს და ქათქათა, ოღონდ ნამდვილ კბილებს.

გასაგებია, რომ საცოდავ ბაქტერიას შანსიც არ დაუტოვე. ის ხომ არც კი იღიმება... როგორ მითხრა? ,, შენ მართლა სხვანაირი გოგო ჩანხარ, სულ სხვანაირი!''

უბრალოდ კი არ ვჩანვარ, მართლა ასეთი ვარ... ჩემი შემადგენელი მოლეკულები, ეტყობა ზოლიანები ან ჭიამაიებივით დაწინწკლულები არიან და ყველაფერი მათი უცნაური შეფერილობის ბრალია — მე არაფერ შუაში ვარ.

## 5.

**თავსხმა წვიმა. ქარის ზუზუნი. აივნის კარი ჯახუნით იღება და მინებს ზრიალი გაუდის.**

**ოთახში ეთერი და ბატონი ნიკო შემოდიან. ეთერი სკამზე დაჯდომაში მიეშველება სტუმარს, რომელიც ბარბაცებს. მერე აივნის კარს მივარდება და ჩაკეტავს.**

**ეთერი (ქურთუკს იხდის და ჰკიდებს)** — თქვენც გაიხადეთ პალტო. მოდით, მე მოგეხმარებით.

**ნიკო (მთვრალია)** — არავითარ შემთხვევაში! გინდა, სიტუაციით ისარგებლო? ვერ მოგართვი. თავს მშვენივრად ვაკონტროლებ. მართალია, ცოტა დავლიე, მაგრამ ღირსების დაცვას კიდევ შევძლებ. ჩემმა გარეგნობამ არ მოგატყუოს. სუსტი და სიფრიფანა მხოლოდ ვჩანვარ, თორემ ისე... ოოო!

**ეთერი** — კარგი ერთი, ნუ მაცინებთ. ახლა ცხელ ჩაის დაგალევინებთ, გაგაშრობთ, თორემ ფილტვების ანთება დაგემართებათ. კიბეზე როგორ დაგეძინათ? დიდი ხანია, მელოდებით?

**ნიკო** — ეგ რამ გაფიქრებინა, გოგონი? რამ გაფიქრებინა, რომ შენ გელოდებოდი?

**ეთერი** — როგორ, ჩემი სახლის კიბეზე იჯექით და მოაჯირზე თავმიდებულს გეძინათ. საცოდავ უსახლკარო მაწანწალას ჰგავდით. კიდევ კარგი, რომ ადამიანი უბრალოდ გვერდს ვერ აგივლით.

**ნიკო (ასლოკინებს)** — ჰმ-ყ!... შეურაწ... შეურაცხყოფას მაყენებ. ნუთუ მართლა შენს სადარბაზოში შემოვეხეტე? ალბათ ქარმა ამიტაცა ფოთოლივით.

**ეთერი** — მართლაც, რა ქარმა გადმოგაგდოთ ნეტავ? **(სამზარეულოში გადის)**

**ნიკო** — დასწყევლოს ღმერთმა! საყელო მიჭერს. რა ჯანდაბამ დამაძინა კიბეზე? ქარიო... მე რომ დამძრას, ქარიშხალი ,,კატრინა" მაინც უნდა ამოვარდეს. ფუჰ, საყელო კი არა, კაშნე ყოფილა — ოთხრიგად მქონია შემოხვეული. თავის დახრჩობას ხომ არ ვაპირებდი? მომკალით და არაფერი მახსოვს. სულ გამომაბენტერა იმ განსხვავებულმა.

ე, ბიჭო, მასე! გაიხსენე, როგორ დალიე სპილენძის თუნგით, მერე ბიძინა გადაკოცნე და წამოხვედი პირდაპირ წვიმაში. ვიღაც გამოგეკიდა. ესე იგი, მაინც დათვერი, ნიკო. აბა, რო ტრაბახობდი, ჩემი დათრობა ზღაპარიაო? მართლა, ზღაპარი! **(მთელი ხმით ყვირის)** ეი, ეთერ! სად არი დაპირებული ილუს... ტრაციები?!

**ეთერი** — ვაიმე, მთელ სახლს ფეხზე დააყენებს! **(შემოდის ლანგრით ხელში)** დამშვიდდით, რა გაყვირებთ? ჩაი მოგიტანეთ.

**ნიკო** — ჩაი კი არა, ის არ გინდა? ნახატები სად არი? სად არი შეპირებული ილუსტრაციები აფრიკული ზღაპრებისთვის?

**ეთერი** — დღეს მივიტანე ჩვენს მხატვრულ რედაქტორთან და ძალიან მოეწონა.

**ნიკო** — ვის, ლალის? იმას ხომ აფრიკა თბილისის უბანი ჰგონია და მარტორქა კამეჩისგან ვერ გაურჩევია.

**ეთერი (კაშნეს მოხსნის)** — როგორ დასველებულხართ.

**ნიკო** — მაგას არ ვამბობ მეც? სად დავსველდი, როგორ, რანაირად... ეგ ჩაი წაიღე და ღვინის ჭიქა მომიტანე. ერთი სადღეგრძელო დამრჩა დაულეველი... თუმცა, შენ რომ გიყურებ, ვატყობ, ვერც ვერასდროს დავლევ. გეძინება, ხომ? იქნებ გგონია, მე არ მეძინება. თვეზე მეტია, უძილობა მტანჯავს. ვწრიალებ, ვწრიალებ და თვალს ვერ ვხუჭავ. სახლში ისეთი სიწყნარეა, მინდა ავღრიალდე, ფანჯრის მინები ჩავლეწო, ან დიდი სარკე დავამსხვრიო შემოსასვლელში. ჩემი ირაკლი და ბაჩო რომ დახტოდნენ და ბურთს თამაშობდნენ სასტუმრო ოთახში, ვუყვიროდი და ქვედა სართულიდან კიდე ჩვენი მარტოხელა მეზობელი გვიბრახუნებდა ხელჯოხით. ახლა ამოისუნთქა იმ კაცმა, არის მოსვენებული. შენ არასდროს მოგსურვებია ხმაურის ატეხა საკუთარ სახლში?

**ეთერი** — ჩემი სახლი, აი, ეს პატარა ოთახია და, მე ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი მყუდროება ვაჩუქო მას.

**ნიკო** — ვის? მყუდროებაზე უარესი რაღა უნდა იყოს თანამედროვე გოგოსთვის?

**ეთერი** — სულაც არა.

**ნიკო** — კატა გაკლია კალთაში და საქსოვი... შენ კი ძალიან ახალგაზრდა ხარ, შეუბრალებლად ახალგაზრდა.

**ეთერი** — ეგ არაფერს ნიშნავს. მე მიყვარს ჩემი მარტოობა. აი, კატებს კი არასდროს ვიყოლიებ.

**ნიკო** — დეიდაჩემიც ასე ამბობდა და ახლა ორი ჰყავს: მუსია და პუსია.

**ეთერი** — სჯობს, ჩაი მიირთვათ. თუ გინდათ, წამოწექით. თბილ შალს გადაგაფარებთ. აი, ამ ტახტზე მშვენივრად მოთავსდებით.

**ნიკო (თითს დაუქნევს)** — ააა, გინდა დამიყოლიო არა, შე ეშმაკო? იცოდე, კაცთა უფლებათა დაცვის საზოგადოებას გავაგებინებ, როგორ ცდილობენ ჩემი თანამშრომელი ქალები, ძალადობის მსხვერპლად მაქციონ.

**ეთერი** — როგორც გენებოთ... მე მეძინება.

**ნიკო** — მე კი შენთან ლაპარაკი მინდა. რა მძინარა ყოფილხარ. ერთი ღამის გატეხაც არ შეგიძლია. შენი ტოლები კი ამ დროს იწყებენ კლუბებში გართობას.

**ეთერი** — მძულს ღამის კლუბები... სჯობს თქვენც წამოწვეთ. შუაღამის ორი საათია უკვე.

**ნიკო** — არა! თუ ასეა, წავალ. მანქანით ვარ. მე რომ შემამჩნიე, იმხელა მანქანა რომ იდგა ეზოში, ის რატომ ვერ დაინახე?

**ეთერი** — მანქანა მანქანაა...

**ნიკო** — ეგრე გეგონოს! ეს რა არის? **(მაგიდაზე გაფანტულ ფურცლებს დასწვდება)** რას ასურათებ?

**ეთერი** — საკუთარ ზღაპარს.

**ნიკო** — მართლა? რაზეა შენი ზღაპარი?

**ეთერი** — არ ვიცი, ჯერ არ დამიწერია.

**ნიკო** — დაწერე, დაწერე... გული მიგრძნობს შენ ნამდვილ ზღაპარს დაწერ. იცი, ჩემი თაობა რომ გაიზარდა, ის ზღაპრები, წიგნები და მულტფილმები მენატრება ამხელა კაცს. რა სიკეთე იყო? რაღაც სხვა იყო... ახლა კი: რობოტები, რობოტუნები, ვარსკვლავთა ომები და ათასი უბედურება... შენ გგონია, ტყუილად დავაარსე საბავშვო გამომცემლობა? ბიზნესი? არა — მონატრების ბრალია ყველაფერი.

თავი ნისლში დაკარგული ზღარბუნია მგონია. გახსოვს ეგ მულტფილმი? ეჰ, რა თქმა უნდა, არ გახსოვს.

**ეთერი** — ზღარბუნიას ცოტათი მართლა ჰგავხართ, ისეთი ჯაგარა თმა გაქვთ.

**ნიკო** — თმა კი არა, სული მაქვს აჯაგრული.

**ეთერი** — აბობოქრებული გინდოდათ გეთქვათ, ალბათ.

**ნიკო (ჯიუტად)** — არა, აჯაგრული! მექსიკის უდაბნოში მდგარი გიგანტური კაქტუსივით ვარ.

**ეთერი** — რა შედარებები მოგაქვთ? მე უფრო ჩვენს მთავარ რედაქტორს მაგონებთ, ბატონ ნიკოს, რომელიც დათვრა და მელანქოლია შემოაწვა.

**ნიკო** — გგონია, სიმთვრალე მალაპარაკებს? არა, გული მტკივა, გული!

**ეთერი** — გულზეც ეკლებმა ხომ არ გამოგაყარათ?

**ნიკო** — ნუ დამცინი. მე მინდა, ჩემი ბიჭები კომპიუტერში ომობანას კი არ თამაშობდნენ, ინანიშვილს კითხულობდნენ. შვილებს წიგნი ვერ შევაყვარე. დარტანიანი და სამი მუშკეტერი არ გაუგიათ, მე კი მაგათი ხათრით ფარიკაობაზე დავდიოდი.

**ეთერი** — ვისი ხათრით? თქვენი შვილების თუ მუშკეტერების?

**ნიკო** — მუშკეტერების... პორთოსას მეძახდნენ ბიჭები.

**ეთერი** — იქნებ დაიძინოთ, ბატონო პორთოს? მე უკვე თვალები მეხუჭება.

**ნიკო** — რა გინდა, ხვალ ადრე არა ხარ ასადგომი. უფლებას გაძლევ,სამსახურში დაიგვიანო. როგორ გგონია, რაღა მაინცდამაინც შენს კარებთან ჩამეძინა? თანაგრძნობისთვის მოვედი, არა? მომისმინე, შენს მიმართ რაღაც განსაკუთრებულს ვგრძნობ, თითქოს უხილავი სიმებია ჩვენს შორის გაბმული. ძააალიან დაჭიმული თხელი სიმები და ზედ ვუკრავთ მარტო ჩვენთვის გასაგებ მელოდიას, ოღონდ ხანდახან მაგრად ვურევთ. **(პაუზა)** ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი. საერთოდ არ გვესმის ერთმანეთის, მაგრამ სულ ერთია, მის გვერდით ყოფნა მსიამოვნებს. ძალიან უხასიათოა და მაინც ყოველთვის მენატრებოდა — მაშინაც, როცა ერთად ვიყავით და ახლაც, როცა ცალ-ცალკე ვართ...

შენ კი ღვინო მაინც არ დამალევინე. ნეტა რატომ მივადექი კარზე შენნაირ ძუნწს? **(სულს ძლიერად შეუბერავს მაგიდაზე დაყრილ ფურცლებს და ნახატები ფრიალით იფანტება)** ეგეც შენ!

**ეთერი** — ბოროტი დევივით იქცევით. **(ცდილობს წამოდგომაში მიეშველოს)** არ სჯობს, ტახტზე გადაჯდეთ? მუთაქებსაც შემოგიწყობთ და იქნებით ბატონკაცურად.

**ნიკო** — ვერ გამაცურებ. მე ახლა წავალ, შენ კი დაწექი, ძილის გუდავ! **(უცებ ხელში აიტაცებს ეთერს და დაატრიალებს)**

**ეთერი** — ვაიმე! **(შიშისგან კისერზე მოეხვევა)**

**ნიკო** — ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... ტრიალი!... ეს იმისათვის, რომ კორექტორის დაბადების დღეზე არ მეცეკვე! ერთი, ორი, სამი...

**ეთერი** — არ ვიცი ცეკვა.

**ნიკო** — მართლა? კატა გინდა, კატა და საქარგავი. უჰ! მძიმე ხარ. **(ფრთხილად ჩამოსვამს. ტახტზე ჩამოჯდება და უცებ გვერდზე გადავარდება. ხვრინავს)**

**ეთერი** — ვაიმეე! ეს რა უცნაურად დაეძინა. ახლა ჩვენმა თანამშრომლებმა რომ ნახონ ეს სურათი?... **(შალს გადააფარებს და შუბლს უსინჯავს)** მშვიდად იძინე, პორთოს. ოღონდ, გეხვეწები, ხვრინვა შეწყვიტე, თორემ ჭკუიდან გადავალ! **(სავარძელში მოეწყობა. ხვრინვა ძლიერდება)** ო, არა! **(ბალიშს დაიფარებს თავზე)**

**კიბეზე პეტიკო ამოდის სვენებ-სვენებით. კედელს მიეყრდნობა. ოთახში შესვლას აგვიანებს. ბოლოს იქვე, კართან ჩამოჯდება.**

**პეტიკო** — ახლა რა ვქნა? რა გავაკეთო? არსად არ მინდა ყოფნა, ბაბუ!

**(ეთერის კარი ღიაა და იქიდან ხვრინვა მოისმის)**

ვაა, ნახე? ჩვენი მხატვარ-ილუსტრატორი... ყველა ერთნაირია!

**(წამოდგება, გასაღებს ძლივს მოარგებს კარს და თავის ოთახში შედის)**

**თენდება.**

**ბატონი ნიკო იღვიძებს. გაოგნებული იყურება აქეთ-იქით. მოუხერხებლად წამოდგება და საწერ მაგიდას დაეჯახება. შემოდის ეთერი, ლანგრით ხელში.**

**ეთერი (მხიარულად)** — დილა მშვიდობისა, ბატონო ნიკო! როგორ გეძინათ?

**ნიკო** — მე აქ მეძინა?

**ეთერი** — აღარ გახსოვთ?

**ნიკო (უხერხულობისგან აღარ იცის, რა ქნას)** — ჰო, რაღაც კი მახსოვს. კარგი, წავედი. ბოდიშს გიხდი, რა. ეს როგორ მომივიდა...

**ეთერი** — არაფერიც არ მოგსვლიათ. დიდი ამბავი... დაბრძანდით, გთხოვთ. ცხელი ქართული ჩაი, ქართული ლიმონის ნაჭრებით.

**ნიკო** — არა, რა ჩაი! ახლავე წავალ, ახლავე.

**ეთერი** — მინერალური წყალი?

**ნიკო** — უნდა წავიდე! აქ რამ მომიყვანა, გადავირევი, რა!

**ეთერი** — ისეთი რა მოხდა?

**ნიკო** — სად არი!.. **(რაღაცას ეძებს)** მანქანით ვარ ალბათ და გასაღები სად ჯანდაბაშია? **(კარისკენ მიდის)**

**ეთერი** — მოიცადეთ! **(პალტოს და კაშნეს მიაწვდის)**

**ნიკო (იცვამს)** — ჰო, აგერ ყოფილა, ჯიბეში.

**ეთერი** — თავი დახარეთ! **(კაშნეს ლამაზად მოახვევს)**

**ნიკო (შეყოყმანდება)** — ერთი მითხარი... წუხელ ბევრი ვილაპარაკე? რამე ისეთი ხომ არ მითქვამს?

**ეთერი** — როგორ ისეთი?

**ნიკო** — არ გინდა ახლა, რა!..

**ეთერი (გაოცებული)** — კი მაგრამ, ბატონო ნიკო...

**ნიკო** — კარგი, კარგი, დაივიწყე! და წუხელ თუ რამე გითხარი, ისიც დაივიწყე...

**ეთერი** — ყველაფერი? ნისლში დაკარგული ზღარბუნიაც, უდაბნოს კაქტუსიც და სამი მუშკეტერიც?

**ნიკო** — რაო? ზღარბი? რას ნიშნავს შენი სიტყვები? რაღაც ვერ გავიგე... კარგი, ნახვამდის. **(საჩქაროდ გადის და ეჯახება ეთერის მამას)**

**ეთერი (თავისთვის)** — თითქოს მართლა ეკლებმა გამოგაყარათ, ბატონო ნიკო. **(დაჯდება და ჩაფიქრებული სვამს ჩაის)** ნეტა იცოდეთ, რა საშინელი ღამე გავატარე თქვენი გადამკიდე. ასეთი ხვრინვა თუ შეეძლო ადამიანს, არ მეგონა. **(მამას შეამჩნევს)** უი, მამა! **(წამოხტება)** მოდი, მამა, რას დგახარ. რა მოგივიდა, რამ გაგაშეშა?

**მამა** — ვინ გამოვიდა შენი ბინიდან, ეთუნა? ვინ იყო ის კაცი?

**ეთერი** —ააა! მე კი მეგონა, ქვეყნის აღსასრული უნდა შემატყობინოს-მეთქი. ის კაცი, იმ გამომცემლობის მფლობელი და მთავარი რედაქტორია, სადაც მე უკვე ორი წელია ვმუშაობ. უბრალოდ, შენ არც კი იცი, სად, ვისთან და რატომ ვმუშაობ!

**მამა** — ხმას დაუწიე, თუ შეიძლება. გეკითხები, რა უნდოდა შენს უფროსს ღამით შენთან? ოღონდ, სიმართლე მითხარი. ნუ გეშინია, არაფერს ვიზამ. არ გიყვირებ და სკანდალს არ ავტეხ.

**ეთერი** — არ მიყვირებ, მამა? დიდი მადლობა.

**მამა** — ნუ მაგიჟებ, ისედაც ძალიან ცუდად ვარ.

**ეთერი** — რატომ, მამა? მე აქ ვცხოვრობ მარტო. შენ თვითონ არ გადაწყვიტე ასე? თვითონ არ მიმაჩვიე დამოუკიდებლობას და თავისუფლებას? ჰოდა, მეც თავისუფლება ყველაფერს მირჩევნია. თუ ფიქრობ, რომ ეს ჩვენს ტრადიციებსა და ზნეობას არ შეეფერება, შეგახსენებ, რომ ჩვენში, წესით, მთელი ოჯახი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს, მაშინაც კი, როცა ერთმანეთს ვერ იტანენ. ჰოდა, თუ მამა არღვევს ტრადიციას, მან შვილსაც აღარ უნდა მოსთხოვოს დრომოჭმული წესების მონობა. ასე არაა, მამა? **(მასთან მიდის)** კარგი, დამშვიდდი. რა სისულელელეა, როგორ გაიფიქრე, რომ მე და ბატონ ნიკოს რამე ისეთი გვაკავშირებს, რაც შენ გულს გაგიხეთქავდა? უბრალოდ, მთვრალი იყო და ქუჩაში რომ არ დასძინებოდა, ჩემთან ამოვიყვანე.

ე, მამა, ამოიღე ხმა! თუ გინდა, მიყვირე. რატომ მიყურებ ასე საშინლად? და საერთოდ, რა გინდოდა უთენია ჩემთან, ხომ არ მითვალთვალებდი?

**მამა** — ონკოლოგიურიდან მოვდივარ.

**ეთერი** — საიდან? იქ რა გინდოდა?

**მამა** — ნინული დავაწვინეთ გუშინ.

**ეთერი** — რაო? რატომ?

**მამა** — იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ... **(ვეღარაფერს ამბობს, ხელს ჩაიქნევს)**

**ეთერი** — კი, მაგრამ ის ხომ ძალიან ჯანმრთელია, მამა!

**მამა** — ჰო, იმდენად ჯანმრთელია, რომ ვერაფერი შენიშნა და ახლა უკვე მეტისმეტად გვიანია რამის გაკეთება. მხოლოდ რამდენიმე თვე გვაქვს...

**ეთერი (ჩაეხუტება)** — მამა, მაპატიე, გეხვეწები!

**მამა** — შენც მაპატიე... რა ვქნა, ძალიან მიყვარს.

**ეთერი** — მეც, მამა. იმიტომ ვერ დავივიწყე წყენა. უბრალოდ, თქვენს გვერდით მინდოდა ყოფნა. მე ხომ სხვა არავინ მყავს.

**მამა** — ახლაც არ მოხვალ ჩვენთან?

**ეთერი** — მოვალ. რა თქმა უნდა, მოვალ.

**მამა** — ახლა შეგიძლია იყო ჩვენს გვერდით... როცა ის აღარ იქნება.

**ეთერი** — არა, მამა. მითუმეტეს, მერე ვერ შევძლებ ამას. უკვე ვეღარაფერს შევცვლი.

## 6.

**აივნის კარი ღიაა. ეთერი სახლს ალაგებს. ეტყობა, საფუძვლიანი დალაგება აქვს გადაწყვეტილი. თაროებიდან წიგნებს გადმოალაგებს. ტახტს ადგილს შეუცვლის. დაგვის იმ ადგილს.**

**ეთერი** — აი, სად ყოფილა ჩემი აქვამარინის ცალი საყურე, შარშან რომ დავკარგე!. არადა, მეგონა, სადმე ქუჩაში დამივარდა. კი, მაგრამ მე ხომ ხანდახან ტახტის ქვემოთაც ვხვეტავდი?.. თუკი ამ სახლში ფუძის პატარა, ცელქი ანგელოზი ცხოვრობს, ძალიან გამიხარდება. გესმის, პატარა ონავარო? თუ გინდა, ზოგჯერ რამე დამიმალე, ან ეს ვარდისფერი შპალერი დაკაწრე, ნებას გრთავ. მაგის გადამკიდეს თავი თოჯინების ყუთში მგონია. რაღაც უნდა შევცვალო აუცილებლად. ტელევიზიაში რომ დავრეკო? აი, რაღაც პროექტი რომ არის — ვინც ძალიან მოინდომებს, ოთახს ურემონტებენ... მაგრამ არა, არ მინდა. რაღაცნაირად შევეჩვიე კიდეც ამ სასაცილო შპალერსა და ფარდებს. თუმცა რამეს მაინც შევცვლი. სადაცაა, ახალი წელი მოვა და ცოტათი ახლებურად ხომ უნდა შევეგებო?

რა კარგი ამინდია. ჩემს პალმებს წესით უნდა უხაროდეთ. მაგრამ ახალ წელს თოვლი მინდა. ძალიან მინდა თოვლი. თუნდაც სულ პატარა, სულ უმნიშვნელო... ციოოტათი რომ წამოთოვოს. უხდება ახალ წელს თოვლი და კიდევ კარგი, ორი ახალი წელი გვაქვს. იქნებ ძველით ახალ წელს მაინც გათოვდეს, რა საჩუქარი იქნება? მართლა, დათუნას უნდა ვუყიდო ახალი ბურთი, მამას — პერანგი, ნინულის... ნინულის რამე საოჯახო ნივთი, რომ უფრო განუმტკიცდეს მარადიულ და შეუცვლელ დიასახლისად ყოფნის რწმენა.

აი, მე ზუსტად ვიცი, საჭირო ნივთს არავინ მაჩუქებს... თუ საერთოდ მაჩუქეს რამე. ახლაც მივიღებ სამ წყვილ ერთნაირ ხელთათმანს გოგოებისგან, ბაფთიან სინთეტიკურ საცვლებს ბიცოლაჩემისგან, ჩინურ მაღაზიაში ნაყიდ იაფფასიან ოთახის ჩუსტებს კიდევ ვილაცისგან და ვინმე ისეთ სუნამოსაც გამოიმეტებს, რომ ვერასოდეს დავისხამ.

ოღონდაც ბატონი ნიკო კატას არ მომიყვანდეს, მთვრალი... ვერავინ მოიფიქრებს, რომ მაჩუქოს რომელიმე ვარსკვლავი. აი, ასე, უბრალოდ მითხრას: ეთერ, ის ვარსკვლავი შენია. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, ძვირფასო!.. ან ჩიტის ბუდე, ჭრელი კვერცხებით, ან მთვარის სხივი დაიჭიროს ჩემს აივანზე და ხელში ჩამიდოს...

წარმომიდგენია, რა მეფურ საჩუქრებს მიართმევდა დიტო თავის ცოლს. ახლახან დაბრუნდნენ იტალიიდან და ალბათ საშობაოდ საფრანგეთში წავლენ. რატომაც არა? მართლა საოცრად ლამაზი გოგოა, უბრალოდ მზეთუნახავია. თან ცნობილი ჟურნალისტი. მერე, რა ახალგაზრდაა. როგორ მოასწრო კარიერის შექმნაც და პრინცის ცოლობაც?

ჩვენი დიტო ბეწვზე გადაურჩა სკანდალს. ვიღაც ქალს შვილი გაუჩენია მისგან — ბიჭი. მაგრამ ამან ქორწინებაში ხელი ვერ შეუშალა. ჩემი დაშანტაჟება უნდოდათ, მაგრამ ვერ მივართვით.

მგონი, ვიცი, ვინც არის ის ქალი. დარწმუნებული ვარ, მისი კლასელია — ლანუკა. მე კი არც მიეჭვიანია და არც დავსწეულებულვარ ამის გამო. ასე გადაურჩა პრინცი სინანულს, შავ ნაღველსა და ჩემს სამარეზე თვითმკვლელობას. **(შალს გაიტანს აივანზე. აღელვებული ბრუნდება უკან)** როგორ მიყურებს... რატომ მიყურებს ასე? ძალიან უცნაურად შემომხედა და ეს პირველად არ ხდება. რაღაცნაირი თვალები აქვს — ისეთი არა, როგორც დიტოს, მაგრამ გულის სიღრმემდე მწვდება ეს მზერა. მართლა უცნაური ბიჭია. რას აღარ მეუბნებიან მასზე, მე კი მებრალება. ვითომ რატომ არ შეიძლება, რომ გავულმიმო? ოღონდ სიბრალულისგან ერთიანად შეძრული ვარ და გაღიმების თავიც აღარ მაქვს. **(ტელეფონის ზარი)**

არ მცალია. ვინც უნდა იყო მანდ: მდიდარი თუ ღარიბი, უცნობი თუ ნაცნობი, მტერი თუ მოყვარე — სიხარულით ვილებ ზარს... მაგრამ არ ვპასუხობ. **(წიგნებს აწყობს)** უკვე რამდენი წიგნი დამიგროვდა, ჩემს მიერ გაფორმებული. ესენი ცალკე დავალაგოთ, დანარჩენები კიდევ — ცალკე. ოო, „ადამიანთა სევდა". რამდენი ხანია, აღარ წამიკითხავს. **(გადაშლის)** „თუ დრო არა გაქვს, ნუ დაიწყებ კითხვას..." **(გულში ჩაიხუტებს და მერე ტახტზე დადებს)** ღამით აუცილებლად დაგიბრუნდები კიდევ ერთხელ. **(სამზარეულოში გადის)** დავილალე. მე ახლა მინდა ჩაი ან ყავა... არა, რძიანი ყავა! **(იმზადებს ყავას და მაგიდასთან ჯდება)** იქნებ მართლა მჭირდება კატა?

შემოდის პეტიკო. უხერხულად მიაჩერდებიან ერთმანეთს.

**პეტიკო** — უკაცრავად!

**ეთერი** — რას ამბობ... ყავას ხომ არ მიირთმევ?

**პეტიკო** — არა, მადლობა. მხოლოდ წყალს ავიღებ მაცივრიდან.

**ეთერი** — ბრრ. ცივა. მაცივრის წყალი ზამთარში?

**პეტიკო** — რაღაცნაირად ასე მირჩევნია.

**ეთერი** — სულ მინდოდა მეკითხა... ოდესმე რამეს ჭამ ან სვამ?

**პეტიკო** — კი, საერთოდ კი. ისე როგორ ვიქნები.

**ეთერი** — მაპატიე. რაღაც სისულელე გკითხე.

**პეტიკო** — არა უშავს. ძალიან ბუნებრივი კითხვა იყო.

**ეთერი** — სიტყვებს ასე არ უნდა ვისროდე.

**პეტიკო** — მე სიტყვებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

**ეთერი** — რატომ? ხომ გახსოვს, პირველად იყო სიტყვა...

**პეტიკო** — ეგ ცოტა სხვა თემაა.

**ეთერი** — ჩემთვის კი ყველაზე მთავარი სწორედ სიტყვებია.

**პეტიკო** — მართლა?

**ეთერი** — ჰო. სიტყვებით შეიძლება გააბედნიერო ადამიანი.

**პეტიკო** — მე კი მეგონა, ეგ მხოლოდ ღმერთს შეეძლო.

**ეთერი** — შენ ღმერთი გწამს?

**პეტიკო (მხრებს იჩეჩავს)**

**ეთერი** — მე მწამს, რომ ღმერთს ყოველთვის ვეყვარები, რაც უნდა ჩავიდინო.

**პეტიკო** — ჰო, იმიტომ, რომ ეგ შენშია.

**ეთერი** — შენშიც ასე უნდა იყოს.

**პეტიკო** — არა, შენში ეგ რწმენა, რა... მე ცოტა სხვანაირად ვუყურებ ამ ყველაფერს. არ გეინდა ამაზე... რაღაც „დურაკული" ლაპარაკი გამომდის.

**ეთერი** — ჰო, მართლაც სევდიანი საუბარი გამოგვივიდა.

**პეტიკო** — სევდიანი? სევდა... **(ჩაიცინებს)**

**ეთერი (წყენით)** — რატომ გაგეცინა? ეს ერთადერთია, რაც ნამდვილია.

**პეტიკო** — არა, შენ ვერ გამიგე... სულაც არ გამიცინია, გეფიცები. **(პაუზა)** თვალს რატომ მარიდებ? ჩემი გეშინია?

**ეთერი** — შენი რატომ უნდა მეშინოდეს?

**პეტიკო** — მაშინ შემომხედე. **(ეთერი შეხედავს, მაგრამ მაშინვე აარიდებს თვალს)** ვხედავ, რაღაც ინტერესის მსგავსი გაგიჩნდა. იმასაც ვგრძნობ, რომ ეს მხოლოდ სიბრალულის გამო ხდება.

**ეთერი** — ვერ ვხვდები, რას მეუბნები...

**პეტიკო** — მინდა ახლავე გითხრა, რომ მე ცუდი ვარ.

**ეთერი** — ცუდი? რას ამბობ. არ მჯერა.

**პეტიკო** — მე ავადმყოფი ვარ.

**ეთერი** — რატომ მელაპარაკები ასე?

**პეტიკო** — ნურასოდეს აჰყვები ილუზიებს, კარგი? სიყვარული არ არსებობს...

**ეთერი** — დამცინი? საიდან მოიტანე, რომ ... მე...

**პეტიკო** — ნუ ხარ ასეთი დაძაბული, გთხოვ.

**ეთერი** — ჰო, დაძაბულიც ვარ და ემოციურიც! მთელი ცხოვრება ასეთი ვარ და როცა მეუბნები, ავადმყოფი ვარო, ეს ჩემში პროტესტს იწვევს. არა, შენ ავადმყოფი არ ხარ. თავს ამით ნუ გაიმართლებ. ავადმყოფი ჩემი დედინაცვალია, რომელსაც კიბო აქვს და მხოლოდ რამდენიმე თვე შეიძლება იცოცხლოს.

**(პაუზა)**

**პეტიკო** — თუკი იცი, რისთვის იცოცხლო, რამდენიმე თვე ალბათ სულაც არ არი ცოტა... მე მინდა თუნდაც ერთი დღე — როცა ვიგრძნობ, რომ რაღაცის გამო აზრი აქვს არსებობას.

**ეთერი** — იქნებ შენში უნდა ეძიო ასეთი უიმედობის მიზეზი?

**პეტიკო** — რა თქმა უნდა. სწორედ ამიტომაც არაფრის იმედი აღარ რჩება.

**ეთერი** — თუ მოინდომებ, უსათუოდ შეძლებ...

**პეტიკო** — ეს შენებური თერაპიაა, არა? კარგი გოგო ხარ. მაპატიე ჩემი ლირიკული გადახვევები... არადა, ერთხელ შეგპირდი, ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენმეთქი. **(კარებთან მიდის. შეყოვნდება)**

ჩემი ავადმყოფობა კი, სულის ავადმყოფობაა, თურმე... **(გადის)**

### 7.

**ოთახში შემოდის ეთერი, ჩიჩილაკით ხელში. ღიღინებს. პალტოს იხდის და მაშინვე იწყებს ჩიჩილაკის მორთვას.**

**ეთერი** — ზუსტად ასე რთავდა ბებია ჩიჩილაკს, როცა გურიაში ჩავდიოდით. რაღაც მიხარია და ნეტავი რა?

ნაძვის ხე ძალიან ძვირია. ნინულიმ რამხელა ნაძვი მორთო? სულ ძვირფასი სათამაშოებით. ასეთი გახარებული არასდროს მინახავს. ახალ წელს ერთად შევხვდეთო... რა ვიცი... ვნახოთ. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. ისე, ნინულის მომზადებულ ტკბილეულზე როგორ ვთქვა უარი? მითუმეტეს, რომ მე თვითონ თითქმის არაფერი მექნება შინ. რა მოხდება, გოზინაყი რომ გავაკეთო? ოდესმე ხომ უნდა ვცადო... **(კმაყოფილი ათვალიერებს ჩიჩილაკს)** ნაძვის ხესაც მოვიტან აუცილებლად... ნაძვის ხე მინდა შინ, ოღონდ ნამდვილი, ოღონდ ფესვებით, ოღონდ ყუთში ჩარგული კი არა, აი, ასე — იატაკიდან რომ ამოდიოდეს ყოველ ახალ წელს, შრიალ-შრიალით და უცაბედად. **(მანქანის საყვირის ხმა)** დიტოა. ალბათ კიდევ ერთხელ გადმოტვირთავენ მანქანიდან საახალწლო რამე-რუმეებს. მე რომ არაფერში დავჭირდები, მშვენივრად ვიცი. თუმცა, ამ ბოლოხანს ძალიან თბილად მესალმება. მიღიმის კიდეც. თუ მეჩვენება? ეს დღეებია, თითქოს ყველა ღიმილით მომჩერებია. ან არადა, მე დავდივარ გაღიმებული... **(კარზე აკაკუნებენ. შემოდის დიტო)**

**დიტო** — უკაცრავად, შეიძლება?

**ეთერი (წამოდგება. დაბნეულია)** — მობრძანდით!

**დიტო** — ეს შენ! **(უწვდის ლამაზად შეფუთულ კოლოფს)** პატარა საახალწლო სუვენირია.

**ეთერი (გაოცებული)** — დიდი მადლობა! დაბრძანდით.

**დიტო (ჯდება)** — რა მყუდრო ოთახი გაქვს. ეს რა ლამაზი რაღაცაა.

**ეთერი** — ეს ჩიჩილაკია.

**დიტო** — ჰო, მაგარი რამეა. **(პაუზა)** ალბათ ფიქრობ, რატომ მოვედი, ხო? ადრეც უნდა მომეკითხე, მაგრამ დრო არასდროს მრჩება და ბევრ რამეს ვერ ვასწრებ. ხომ გესმის, ეთერ... შეიძლება, ეთუნა დაგიძახო?

**ეთერი (მხრებს იჩეჩავს)** — დიახ.

**დიტო** — მოდი, პირდაპირ გეტყვი, რისთვისაც ვარ ეხლა შენთან. მინდა ძალიან კარგი წინადადება შემოგთავაზო წინასაახალწლოდ.

**ეთერი (გაეღიმება)** — წინადადება მგონი უკვე დაგვიანებულია.

**დიტო** — შენ ხომ არ იცი, რას გთავაზობ? იცი რა, ეთუნა, ცოტა შორიდან დავიწყებ. შენ რა უბანში გაიზარდე?

**ეთერი** — რატომ მეკითხებით?

**დიტო** — იმიტომ, რომ ვიცი, აქაური არა ხარ. ეს ქუჩა მშობელ დედასავით მიყვარს. ეს უბანი, ეს ჩვენი სახლი მართლა ყველაფერს მირჩევნია.

**ეთერი** — მესმის თქვენი. მეც ძალიან შევეჩვიე.

**დიტო** — მაგრამ შენთვის ის არ არის, რაც ჩემთვის, ხომ მართალია? მოდი, პირდაპირ მიხვევ-მოხვევის გარეშე გეტყვი, რა!

**ეთერი** — გისმენთ, მაგრამ პირდაპირ რატომღაც არაფერს მეუბნებით.

**დიტო** — ეთუნა, მოკლედ ეს უბანი, ეს სახლი ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ამიტომ ვცდილობ, რაღაცნაირად დავმკვიდრდე აქ. სურვილი მაქვს, შენი ოთახი შევიძინო. მე შემიძლია შემოგთავაზო ბინის გაყიდვა ან გაცვლა. ან ერთიც და მეორეც. შემიძლია ძალიან კარგი, ბევრად უკეთესი ბინა გაჩვენო მშვენიერ უბანში და გარკვეული თანხაც დაგიმატო. ვხედავ, რომ ვიწროდ ხარ, თან საერთო სამზარეულო... ახალგაზრდა გოგოსთვის მთლად გადასარევი ვარიანტი არ არის, არა, ეთუნა, გენაცვალე?

**ეთერი** — არა.

**დიტო** — მეთანხმები, ხო? აი, ხო ხედავ...

**ეთერი** — არა. მე გეუბნებით არას. ესაა და ეს.

**დიტო** — როგორ?

**ეთერი** — არ ვყიდი, არ ვცვლი, არ ვჩუქნი!..

**დიტო** — ეთუნა, ასე პირდაპირ ნუ მიპასუხებ. იქნებ დაფიქრდე. მე დროს მოგცემ. ახალი წლის მერე კიდევ დავილაპარაკოთ.

**ეთერი** — ჩემი პასუხია „არა" და ახალი წლის მერეც იგივე იქნება.

**დიტო** — რატო ხარ ესე დარწმუნებული, ეთუნა, გენაცვალე?

**ეთერი** — უფრო მეტსაც გეტყვით — საერთოდ არ ვიყიდები.

**დიტო** — ეგ რა ლაპარაკია, ეთუნა. არ გვეკადრება უბრალოდ. მე მხოლოდ კეთილი გულით... ისევ შენთვის, თორემ ასეთ მომგებიან წინადადებას სხვისგან ვერც მოისმენ, რა.

**ეთერი** — ვაფასებ ამ შესანიშნავ წინადადებას, მაგრამ უბრალოდ სურვილი არ მაქვს, სადმე გადავიდე.

**დიტო** — სურვილი შეიძლება გაგიჩნდეს, როცა კარგად აწონ-დაწონი. ასე რომ, წყნარად მოიფიქრე. დროს გაძლევ.

**ეთერი** — სულ ტყუილად ვლაპარაკობთ. არაფრის მოფიქრება არ მჭირდება. **(საჩუქარს უბრუნებს)** აი, ეს შეგიძლიათ თან წაიღოთ.

**დიტო** — არ გრცხვენია? ეგ როგორ მაკადრე. აბა, დროებით! **(გადის)**

**ეთერი** — არ შეშინდე, ეთერიკო! დიდი ამბავი — პრინცი მეფედ გადაიქცა და მეფე ტირანად. შენ მას არაფერს დაუთმობ, ხომ მართალია? **(ჩიჩილაკს მოეხვევა)** ვიღაც ძალიან მჭირდება! ძალიან მჭირდება ვინმე, ახლა, ამ წუთას, სულ ახლოს, გვერდით!.. მამა? დათუნა... ბატონი ნიკო... მაგრამ ის თითქოს მებუტება, არ ვიცი, რატომ... ბაბუა პეტრე! როგორ მჭირდებით ახლა, ბაბუა პეტრე, თქვენ ხომ არ იცით? ცხელ რძესაც დავლევდი, თუ მომიტანდით და მერე თავს მოგაყრდნობდით კეთილ გულზე, სუფთაზე სუფთა ლუნლულა ჯემპრით რომ გქონდათ დაფარული. **(შემოდის პეტიკო)**

**პეტიკო** — გამარჯობა, ეთერ.

**ეთერი** — პეტიკო! **(მივარდება და კისერზე მოეხვევა)**

**პეტიკო (დაბნეული)** — მე მხოლოდ... რაღაც მინდოდა მეკითხა.

**ეთერი** — არაფერი არ მკითხო, გეხვეწები.

**(პაუზა)**

**პეტიკო** — მგონი დამავიწყდა, რა უნდა მეკითხა.

**ეთერი (მოშორდება. მისგან ზურგშექცევით დგება ფანჯარასთან)** — ძალიან მინდა დაიჯერო, რომ სიყვარული ნამდვილად არის ბუნებაში, ოღონდ ქიმიური ფორმულის გარეშე და ამიტომ ათასნაირია. შენ ერთხელ მითხარი — არ მჯერა, რადგან წარმავალიაო, მაგრამ ხომ იცი, სიცოცხლეც წარმავალია და ცეცხლიც ცეცხლია, სანამ ჩააქრობ... მთავარია დაიჯერო და მე კი არა, ვინმე შეიყვარო — სულ ერთია, ვინ... ამისთვის ნამდვილად ღირს სიცოცხლე. ასე ამბობენ... თუმცა შენთვის ხომ სიტყვები არაფერს ნიშნავს.

**პეტიკო** — არა, უკვე ბევრს ნიშნავს.

**ეთერი (მოტრიალდება)** — მართლა?

**პეტიკო** — ჰო... თუმცა მე თვალებიც ძალიან ბევრს მეუბნება... როცა შემოვედი, მომეჩვენა, თითქოს ტიროდი. რამე მოხდა?

**ეთერი** — მოგეჩვენა მართლაც... მეც მინდა გკითხო.

**პეტიკო** — მკითხე.

**ეთერი** — მითხარი, ოღონდ გულწრფელად... ის ოთახი, სადაც მე ვცხოვრობ, ანუ დედაშენის ოთახი — ისევ დაკარგული გგონია?

**პეტიკო (უხმოდ გააქნევს თავს უარის ნიშნად)**

## 8.

31 დეკემბერი. ღამე.

**ეთერი სადღესასწაულოდ არის გამოწყობილი. სარკესთან თმას ისწორებს და საკიდიდან პალტოს ჩამოხსნის, რომ ჩაიცვას. კაკუნი. ეთერი კარს აღებს. შემოდის პეტიკო, თავჩაღუნული.**

**პეტიკო** — მე მგონი, ადამიანი არასდროს ისე არ გრძნობს თავის სიმარტოვეს, როგორც ახალი წლის ღამეს. ყოველთვის ასე ვფიქრობდი. წელს კი მართლა მარტო აღმოვჩნდი. მივიხედ-მოვიხედე და ვერავინ დავინახე... **(ახლაღა შეამჩნევს ეთერის მორთულობას)** მაგრამ შენ სადღაც მიდიხარ, ხო? რა ლამაზი ხარ... კარგი, მე წავალ.

**ეთერი** — არა, დაჯექი! არსადაც არ მივდივარ.

**პეტიკო** — რა უფლება მაქვს, დარჩენა მოგთხოვო, მხოლოდ იმიტომ, რომ მჭირდები.

**ეთერი** — მინდა და ვრჩები... მიხარია, თუკი მართლა გჭირდები.

**პეტიკო** — იცი, ვერ ვიტანდი, როცა ვინმე შემიცოდებდა, მაგრამ შენ სულ სხვა ხარ... შენი სიბრალული საკუთარი თავის მიმართ ზიზღსაც მიქრობს თანდათან... რაღაც მინდა გაჩუქო და დაგტოვებ. შენ კი წადი იქ, სადაც გელოდებიან. ნახე... **(კერამიკის პატარა ნაკეთობას გაუწვდის)** დედაჩემის ნამუშევარია. ფანქრები ჩააწყვე შიგ. გამიხარდება.

**ეთერი (უხმოდ აკოცებს ლოყაზე)**

**პეტიკო** — მინდა შენთან იყოს. თუ კიდევ დამიჭერენ, ცუდად ნუ მომიგონებ.

**ეთერი** — რამე დააშავე?

**პეტიკო** — ჩემი აზრით, არა, მაგრამ თუ მაინც ასე მოხდა, ძალიანაც ნუ შეგებრალები... თუმცა არა, როგორც გინდა... ოღონდ ისევ აქ დამხვდი, მპირდები?

**(ტელეფონის ზარი)**

უპასუხე. ვინ იცის, როგორ სჭირდებათ შენი ხმის გაგონება.

**(ეთერი ყურმილს დასწვდება. რომ მობრუნდება, პეტიკო აღარსად ჩანს)**

**ეთერი** — ხომ არ მომეჩვენა ყველაფერი? **(ყურმილში)** ალო! ჰო, მამა, უკვე გამოვდივარ... **(ყურმილს დადებს. კერამიკის ნაკეთობას აიღებს)** არ მომჩვენებია. რა მშვენიერი საჩუქარია... თითქმის ისეთივე, როგორც მთვარის სხივი...

## 9.

**ეთერი აივანზე ზის და ხატავს.**

**ეთერი** — აი, ასე დადგა გაზაფხულიც.

ჩვენს ეზოში სასწაულით შემორჩენილი დაგვალული ტყემალი აყვავდა და თეთრად გაიპენტა. ჩემი პალმებიც მშვენივრად ნებივრობენ მზეზე. უი, მართლა, რა ხანია წყალი არ დამისხამს. **(სარწყავს აიღებს და მცენარეებს რწყავს)** მხარზე პატარა მაიმუნი ან თუთიყუში მაკლია და ნამდვილი კუნძულის ბინადარი ვარ. დიახ, კალთაში ჩასმული კატა კი არა, მხარზე შემოსკუპებული მწვანე თუთიყუში უფრო მჭირდება, ბატონო ნიკო. **(ტელეფონის ზარი)** ეს თქვენ მირეკავთ, არა? ბოდიში გინდათ მომიხადოთ? მაინც არ გიპასუხებთ. გუშინდელ ხუმრობას დიდხანს არ გაპატიებთ და „ჭინჭრაქაშიც“ და „ხუთკუნჭულაშიც“ დევებს თქვენს სახეს დავუხატავ. **(ზარი არ წყდება)** რეკეთ და რეკეთ, სანამ არ მოგბეზრდებათ. დღეს კვირაა. უფლება მაქვს, დავისვენო. შუადღისას მამა მოვა და დათუნას მოიყვანს. თვითონ კი, ჩვეულებრივ, წუთითაც არ ჩამოჯდება. მაგრამ ახლა საყვედურს ვერ ვეტყვი, რადგან ვიცი, მართლა არ სცალია — ვიღაც კერძო მკურნალთან ატარებს ცოლს იმ დღეებში, როცა საავადმყოფოში არ დადიან.

დათუნა ჩემს ოთახს აიღებს და სადღაც გადადგამს. ბურთსაც თან წამოიღებს და ბულდოგსაც მოიყვანს. ჰოდა, დიტოს ბებია ალბათ ჯოხით დამიკაკუნებს — ეს რა ამბავიაო! მეც იძულებული გავხდები, დათუნა ბურთიან-ძაღლიანად ეზოში ჩავუშვა და თან გავაფრთხილო, რომ მეზობლების ფანჯრები მოწინააღმდეგე გუნდის კარი სულაც არ არის. **(ნახატს ათვალიერებს)** მართლა კარგი გამომივიდა. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ეს ზღაპარი. სევდიანია და თან ნათელი... წიქარა იმ ხარებს მივამსგავსე, სოფელში რომ მყავს ნანახი ოდესღაც. ისეთი დინჯები იყვნენ, თითქოს გამუდმებით ფიქრობდნენ... ჰოდა, ჩემი წიქარაც ფიქრიანია. ბიჭს კი დიდი, მუქი, მავედრებელი თვალები დავუხატე და მისი მზერა გულის სიღრმემდე მწვდება.

ბიჭი ახლა ცხრაკლიტულში ზის, სადაც არც ჯადოსნური სალამური აქვს და წიქარაც ვერ მიეშველება... მერე რა, ოდესმე ხომ მაინც დააღწევს თავს იქაურობას. იმედია, იქ პატარა სარკმელი მაინც არის, საიდანაც ცის ნაწილი მოჩანს — დღისით მზე, ღამით ვარსკვლავები... მართლა საოცარია ღამეებია და დიდხანს ვერ ვიძინებ, სულ ცას შევყურებ. **(ნახატს დასცქერის)**

რა უცნაური თვალებით მიმზერ... ხვალ შენი დაბადების დღეა. როცა დაღამდება, ცას ახედე. ყველაზე ნათელ ვარსკვლავს გჩუქნი დიდი დათვის თანავარსკვლავედიდან, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს. შენი იყოს, არ მენანება. ოღონდ არ მითხრა, ზეცაში ცქერას ბაქტერიების თვალთვალი მირჩევნიაო. პირადად მე მიკროსკოპსა და ტელესკოპს ერთმანეთს არც კი შევადარებდი. თუმცა, როგორც გენებოს, შენი ნებაა. როცა დაბრუნდები, მიკროსკოპი ხომ ისედაც დაგხვდება. წიგნებიც, კერამიკული ნაკეთობებიც და დედის ოთახიც...

ანონსი

ჟურნალის მომდევნო ნომრებში გაეცნობით

**ლაშა იმედაშვილის**

დეტექტივს

**„ბოზოიანის დღიური“**



ემზარ კვიტაიშვილის პოეზიის ერთი ციკლი – მათ შორის, ეს რკალიც – ძალაუნებურად მოგვაგონებს აკაკი წერეთლის სახელს, მაგრამ არა უშუალო ზეგავლენის გამო, არამედ ზოგადი სტილისტიკით – უბრალოებითა და სიმსუბუქით. თუნდ მარიტასა და მისი შემოქმედის მოლანდებისა არ იყოს: „გუნდი, ანგელოზების, გალობს, თავზე გევლება, განანავეს, გაგბანეს — ლეონიძის ცრემლებმა“.

აკაკის იმთავითვე გაუჩნდა თავისი პოეტური სკოლა, რადგანაც ბევრი აცთუნა მისი ლექსის გარეგნულმა, მოჩვენებითმა სიიოლემ, მაგრამ ამგვარი მიმდევრობა სახიფათო აღმოჩნდა და მათ ხელში უბრალოება გადაიქცა პრიმიტივიზმად, სიმსუბუქე კი – ამჩატებად. ამის გათვალისწინება ყველას მართებს, რათა უნუგეშოდ არ დაშორდეს ერთმანეთს ჩანაფიქრი და შესრულება.

ემზარ კვიტაიშვილი, თავისი გამოცდილებისა და ოსტატობის იმედად, თავდაჯერებით მიჰყვება ამ გზას (მიუხედავად იმისა, რომ „დროს გადაჰყვა რამდენი — წვიმა, თოვლი, გრიგალი...“) და უბრალოებასა და სიმსუბუქეს მხატვრულ ღირებულებასა და დანიშნულებას უბრუნებს ამ ხელოვნური გართულებების ხანაში.

## ემზარ კვიტაიშვილი

### გასერილი გული

თითქოს გულზე დამისვესო
ვიოლინოს ხემი;
თვით მიხვდებით, იქნებოდა
რა ხმის გამომცემი.

მომეჩვენა, საცოდავი,
შუა გაიკვეთა;
შავ ნაღველში დაცურავდა
ნახევარი, ქვედა.

ბასრი, მუხლის მომკვეთავი,
დაიკლაკნა კვნესა...
ის ნაღველი მოწვეთავდა
მაღლას, მეორესაც.

არ მინდოდა, ხელს, შემართულს,
ჩავეთვალე ლაჩრად...
სხვა რა უნდა ყოფილიყო,
რად უნდოდა გაჭრა?!

მბუბნის, მაგუნდავებს ჟამი,
ვინ დაგინდობს, ვინო?..
ჩემს დაფლეთილ სიცოცხლეზე
მოსთქვამს ვიოლინო.

### ღმერთკაცის სახლთან ჩავლა
*(ვინახავ რაინდის ხსოვნას)*

რაც წახველ, გადაგეკეტა
სუნთქვა, მაღალი ყელი,
ბიძინა ავალიშვილო,
შვიდი გასულა წელი!

უპოვართა და გლახაკთა
იყავი მომხედავი...
რუსთაველს ველარ ჩაივლის
შენი ამაყი თავი.

წუთისოფელთან, ვერაგთან,
ვერარამ შემარიგა...
გაქრა სიზმარი... შენს გვერდით
ამიწევია ჭიქა...
აქ ვერვინ შეგედრებოდა,
კაცად დარჩები იქაც.

საჭრეთლიანი მარჯვენა
კელაპტარივით ჩანდა.
რას კვეთდი? ფიდიასისას,
თავად მოჰგავდი ქანდაკს,
ნაბიჯ და ნაბიჯ, თანისთან,
გადაიქეცი ლანდად.

რა გზებზე ნავალს, დაგზნებულს,
დრონატარებს და ნეტარს,
გალმერთებს, თვალცრემლიანი,
ის შენი ქვრივი, ვეტა...
ტირილი ქმრისა და შვილის —
რამდენი გულდაწყვეტა!..

გხედავდი უფლის ნახელავს,
სხვა იყო ის სიამე...
მდუმარებაა ტაძრული,
ჩემიც დაძრულა ღამე,
ჭამ ჩამითრია უძირომ,
თავი ამოვიჭამე.

### ნაყოფთა მონაცვლეობა შუა ზაფხულში

გატყობ, მალე უნდა გაქრე,
გწადს, სურნელი ფანტო...
ხარ, გარგარო, გამქცევი
ანუ არასანდო.

ხენდროს ბალი, მაყვალი,
ნახავთ, თუ არ მიყვა;
დროა, თხილის გროვება
რომ დაიწყოს ციყვმა.

ლელვმაც, ბადაგჩამდგარმა,
მალე იცის მოცლა,
ჟოლოც აიკრიფება,
ვერც მოვასწრო კოცნა.

ყუნწში დასწვდი ალუბალს,
მისი წვენიც შესვი...

ერთურთს გადაებმება —
საზამთრო და ნესვი.

ნაკლებ ვწუხვარ ატამზე,
დიდხანს უნდა გაძლოს...
გინდ იყავ და გინდ — არა,
არაფრად გთვლი, ანწლო!

ბროწეულის, მსხლის, ვაშლის —
არ იქნება ტევა;
ვაზი სასწაულია —
ვლოცავ ქარვის მტევანს.

კაკალს უცდის და წაბლიც
ჩაებმება ომში;
ყველას გახსოვთ — ზამთრის პირზე,
ოქროდ ელავს კომში.

მტრისას, ფერთა რიალი
თვალებს თუ მოსცილდა...
მთა-გორებად დაძრული,
ზღვა წამლეკავს ხილთა.

დღემდე ბჭობენ, დაობენ —
რომელია მეფე?!
მეც ვერ ამირჩევია,
ნიადაგ მათ მქებელს.

## პოეტის ოცნების ქალი

სად წავიდა, ვინც დახატა
შენი სახე, მარიტა?
ასწლეულთა მოლანდებავ,
ნაქსოვო სიზმარითა!

გუნდი, ანგელოზების,
გალობს, თავზე გევლება,
განანავეს, გაგბანეს —
ლეონიძის ცრემლებმა.

ცელი, ძვლების მომსრავი,
დალეწა, აგარიდა...
ცეცხლში, ბროწეულების,
ალსდექი, ჭეშმარიტად!
ეშმა რას დაგაკლებდა,
სხვა იყავი, მარიტა!

უზიდველი ცოდვები,
მათვე დარჩათ ლაქებად...
ცად გაფრენილს, გარგუნეს —
რა პატივი, რა ქება!
დაღლილხარო, ღვთიშობელმა
სკამი შემოგაგება.

ადვილია ყურება —
შორიდან და გარედან...
შხამმა, წუთისოფლისამ,
მომაშთო, გამარეტა...
დედოფლობა ობლობამ
გადაფარა, მარიტა!

გიმზერ, გლოცავ, არვის მინდა,
ვესესხო და ვევალო!
წამითაც არ გიფიქრია,
სამოთხეში შევალო,
ლაჟვარდების გამხეველო,
მაცხოვარის მხევალო!

## ვერ შევძელ დავიწყება

*(ქეთინო ვაშაყმაძე მომენატრა)*

დადიოდი, იასამნის
ამეტებდი სურნელს...
შემოგეჭდო, ვერ დაუსხლტი —
ავ სენს, განუკურნელს.

როგორ გავდა ჩანჩქერის ქაფს,
ხვეულს, ლოკონები!..
გაგითეთრდა, ვერ ვერევი
ნაღველს, მოგონების.

რა ვიღონო, ბორგვა გულის
რითი დავიოკო?!
დაიჩივლე, როს ორივე
გაგეპარა გოგო.

დანასავით მოღერებულს,
რად დანებდი წკვარამს?
მთვარისფერი ლანდი შენი
საით გაგვეპარა?

ტანმაღალი, მოღალული,
გაჰყევ სისხლის ღელეს...
მეტირება, რა იოლად
დაგთმეს, მოგინელეს.

რა მშხამავი იყო ბოლო,
რა გაუხარები!
გვიან მივხვდი, ვარდად გაშლილს —
ღიმილს, მწუხარების.

წითლად წვეთავს წასვლა შენი,
სიკვდილზედაც მწარე...
ნადიკვარში დამმარხეთო,
ასე დაიბარე.

## საფლავები საბურთალოს ეკლესიის გაყოლებაზე, მარჯვენა მხარეს

ვერეს ხევიდან ამოჰყევ მესერს,
ბარბაცით... ჩრდილშიც კი არ გრილოდა.
ალმური, ცეცხლი ეკიდა, მზეზე,
კედლებს, ყავისფერ მარმარილოთა.

ფერდს ამშვენებდნენ პირმშონი გლოვის,
კუბოსებრ გლუვნი და პრიალანი...
გამცნონ, სიმშვიდე მართლა თუ ჰპოვეს,
მყუდრო თუ ერგოთ, ბნელში, ტალანი.

სალტე ავლია მრავალს და მრავალს,
წყვდიადი ღებავს სურვილს, აღობილს...
იქ არ ექნებათ მიჯნაზე დავა,
არც მოსახვეჭი და გასაყოფი.

ისმენ გოდებას,
დაგუდულ ტირილს...
მოზღუდულ წრეზე სახლობენ მკვიდრად.
შავად ზიმზიმებს რამდენი პირი,
უძლომელია სიკვდილის ჰიდრა.

ამბობ, დამდგარი სულ ბოლო ზღვართან —
დამინდა, ერთ დროს თვალს ვინც ახელდა...
მოუნელებელ წუხილის გარდა,
რას მოგცემს კითხვა ამ გვარ-სახელთა.

საკვირველია, არ კარგავ ხალისს
(ცრემლი დაგდინდათ, ქვანო, მლაშენო!..),
ლამობ, სტრიქონთა აკლდამა, სალი,
ამ მასალითვე ამოაშენო.

ასო-ნიშნებო, ჯგროდ, კეცა-კეცად,
თარგზე მოჭრილნო, ერთურთს მიწნულნო!
სიტყვაც ხომ ქვას გავს, თალე, ეცადე —
ხელობა ვერვინ ვერ დაგიწუნოს.

არ ჩახმე, სული დახუთა ჩიხმა,
რამდენ ხიფათში თავი გაყავი...
ნეტავი იყოს ყოველის მიღმა —
უცხო სამზერი და სანახავი.

რამ დაგვცა, ნუთუ ასე დავოსდით,
ვერარა ვარგეთ მამულს დასევდილს...
რა გვემართება, სააქაოსთვის,
რომ ვერ შევძელით მეათასედიც?!

მზე გადნობს, ტანზე გეხვევა ალხად,
წრიალებ: „ვისი ხელით დავები?"
გაურღვეველი, დაგარტყეს ალყა,
არსად გიშვებენ ეს საფლავები.

## ძველი სურათები

*(ეპოქათა ცვლა)*

ჩავყურებ ალბომს. რამდენი რაა —
სათქმელი, დასანერგი!
თუნდ ფოტოებზე, ფიჭვმა რამდენჯერ
გამოიცვალა ქერქი.

ვინ დაითვალოს, ზაფხულმა, ჭრელმა,
კორდი რამდენჯერ მორთო?!
მწვანე რტოებით უხმობდა წყვილებს
ადგილი, საკურორტო.

გიკვირს, მათთან ხარ გადასროლილი,
ფიქრი რაღას არ მიწვდა!
უსასრულობა. იძვრის, სრიალებს,
ფეხქვეშ, ფარდაგი წიწვთა.

გაქრნენ ისინი, დახამხამებულ,
კვამლივით გამდნარ წამში...
დინება დროის, ვიცი, იმათზე
არანაკლებად წამშლის.

## მეზობლის გოგო გამახსენდა

ბროლს გიგავდა სიცილი,
წკრიალებდა შენი ხმა...
ერთი წელი გატყუა,
მიგატოვა „ჟენიხმა".

მოდიოდა თვალჭრელი,
ბნელ ოთახში გბუბნიდა...
უცებ გადაიკარგე,
მერე, ჩვენი უბნიდან.

წლებს გადაჰყვა რამდენი —
წვიმა,
თოვლი,
გრიგალი...
რა ქათქათა იყავი,
იქნები ბერიქალი.

ქალწულობის ტოტები
რამ გადაგაბელინა?!
მთვარისფერი სახელი
დარჩა შენი — „სელინა".

## კდემამოსილება

*რუსუდან მოსიძეს*

შეხედავ, ატყობ, რისი ხატია,
ამაღლებული მიწიდან ცამდე...
ძნელად შეხვდები, იშვიათია,
სახე უთქმელად ამბობდეს ამდენს.

დაგშვენდებოდა, სამოთხის ბაღო,
შენი ღირსია იგი, ედემო!..
ერთხელ და თუნდაც სიზმარში ნახო,
იტყვი, გაშალა ფრთა სიკეთემო.

ვერ დაივიწყებ, მსგავსია მზისა,
ღიმილი მისი, საგანთიადო,
არ შეგეშლება, იგია, ვისაც,
დაუფიქრებლად, თვით სულს მიანდობ.

სიყვარულს გზა ვერ გადაუკეტეს,
გაჭრა წინაპრის მადლმა და ჯიშმა;
ვერც ინატრებდა ჯილდოს უკეთესს —
ქართული სიტყვის მსახურად იშვა.

გაქრეს ფერები — თალხი და მუქი,
მოგვშორებოდეს სანუხ-სანანი...
ნინოს, თამარის დაჰყვება შუქი,
ღმერთო, გვიმრავლე, გთხოვთ, მისთანანი!

## სათნოების სიმაღლე

*უსაზღვროდ კეთილ მაკა გოგუაძეს*

ცად ქრება ბოლო იმ ვერცხლის კიბის,
ბედნიერია, გიპოვნა ვინაც.
ებნევა სუნთქვა ბალახის ბიბინს,
ალმასის კოშკი — ცაში გაქვს ბინა.

არიგებ და არ გელევა ხვავი,
შუქად იღვრება თვალების ნისლი...
არც იცი, რამდენს ახარებ ყვავილს,
მზე ბანგით ავსებს მაყვალს და ისრიმს.

ანთებს ვარსკლავებს ღვთიური ზეთი,
არსება შენი სიბილწეს კრძალავს...
ვერ ვხატავ, ყველა სალბუნზე მეტი,
სხვაა შენი ხმის სილბო და ძალა.

## კრაზანა ხის აივანზე

ნეტარებს სექტემბერი,
მთენთავს მზის აბაზანა;
მუცელაჭრელებული,
დამზუზუნებს კრაზანა.

შავი აზის წარბები,
მიზუზიანს, ბრაზიანს...
ვეფხის ფხა და სიყვითლე,
ხაზებში თელემს — აზია.

კუთვა, კეცვა, ბზრიალი
და ბოლო გაბრძოლება...
ზამთრის ძილი შებოჭავს —
ფიცხელს, უცხოზოლებას.

მწიფე მტევნის წვენს იწოვს
მათი ნესტარ-სასანი...
ორქიდეებს ვინ მისცათ,
მორთულობა კრაზანის?!

## გადავლა „მშრალ ხიდზე"

ჩავუარე გამოფენილ
ნივთებს, ძველს და ახალს;
ნოხებსა და ფარდაგებზე —
რაღას აღარ ნახავ!

ფაიფურის ნაკეთობა
სინდიოფალასი,
ნატიფი, ყელმოღერილი...
არც მიკითხავს ფასი.

მზის სხივებით გულდანინწკლულ
ხოხობს, კუდაპრეხილს,
ვხედავ გვერდით, მოვიწუსხე,
ველარ წავდგი ფეხი.

უელავდა ბიბილონი,
წითლად, მაბალს, ფრთაჭრელს...
ნიჟარების გამყიდველსაც
ველარ შევევაჭრე.

თვლა არ ჰქონდა ნაირნაირ
თეფშებს, თასებს, ყანწებს,
დანებს, შანდლებს, საფერფლეებს...
მოვწყდი, დავიქანცე.

გავცდი ქოქებს, ვერცხლის კოვზებს,
ხალხი რას არ ყიდის...
მედლების ზღვა გაუშლიათ —
მკერდზე „მშრალი ხიდის".

ვინ თქვა ჩემი დანაზოგი,
რას ვაპირებ ხვალ-ზეგ?
ვერაფერი შევიძინე,
მე, დასმულმა მშრალზე.

## დავეძებ საშველს

*(არეულ-დარეული ლექსი)*

რას მეყოფა, ავზნიანს,
მოზიმზიმე ავზები?!
ავგზნებულვარ, ჟინი მკლავს —
ვერსად მოსათავსები.

ცისტერნებში ასხია
მაზუთი და ნავთიო...
გახელება, ამხელა,
მე რაღაში დავტიო?!

მინდა, მკერდზე, ხანდახან,
მეხლებოდეს ზღვაური...
საზღვარს არ გადავსულვარ,
რა გთხოვეთ საზღაური?!

## ერთმანეთს გასვენებაში ვნახულობთ

*(ლევან დევიძის წლისთავი)*

გადამვარდეს, დამავიწყდეს –
არც იმდენმა განვლო ხანმა:
ჭანდარაში მეწვიეთო,
ტარიელმა, გულედანმა.

არ ვარ ძნელი მოსაგნები,
მიკრო ჩამოგიყვანთ, ავტო,
არ მოგაკლებთ საჭმელ-სასმელს,
ცხვარს ან ბურვაკს დაგიკლავთო.

ისე გვითხრა, ხელად მივხვდი,
რომ არ გვაკმარებდა მცირედს;
შარშან ამ დროს კაი კაცი,
თანატოლი დავიტირეთ.

კლდეც რო მოსკდეს, ვერ დადრიკავს
მხარ-ბეჭს, ათას ჭირში ნაცადს;
ისე ლაღად დაალაჯებს,
ვერვინ ჩათვლის ბერიკაცად.

## სინათლეს გარიდებული

თვით მეშინია, ნუ მკითხავთ რა ხნის
(რა გავიმზადე ლამის ლოგინად!)
ჩათბუნებული და ჩახრახნილი,
წითელ საბანში, ვარ ლოკოკინა.

არც მაქვს იმედი უკეთესობის,
ასე ვიყავი შარშანწინ, შარშან,
ეკლადაც, თვალში არვის ვესობი,
ძირმწარე ჯავრი ჩამყვა და ვხარშავ.

ზოზინით მივდევ უაზრო მიზანს,
ზოგჯერ მაკითხავს წამიც, აგზნების...
გავდივარ, რა დროს შეცვლაა ზნისა,
წვიმს, ნაწვიმარზე მივიზლაზნები.

## ფერების საპყრობილე

ნუ ფიქრობთ, გაქრა ის დაისები,
მუცლის ყრუ ღრუში რომ დაილექა;
ჩამავალ მზეთა წვენით ვივსები,
ჩემივე თავის ვიქეც დილეგად.

ჩემშია, რაც ზღვის ფსკერზე ელავდა,
ნეკნებმა ირგვლივ შემოიჯარა;
გახეხილ ხმათა, ცისარტყელათა —
შემგროვებელი მე ვარ ნიჟარა.

## ვერ ვიხეტიალე

უცხო ქალაქებში უნდა
დამბეგვოდა ქუსლები;
მაგიერად, სინანულის
მბუგავს მე მუგუზლები.

იშვიათად მინატრია
ოქრო და მილიონი...
სულს დავთმობდი, რო მომევლო
მარსელი და ლიონი.

სადღა არი, გაქრა ის დრო,
თავს რომ სინდბადს ვადრიდი;
სიზმარშიაც ვერ დავლანდე —
ბარსელონა, მადრიდი...

დარდიანმა, დავრდომილმა —
საითკენღა ვიოტო;
ჩემთვის გადაკეტილია —
ტოკიო თუ კიოტო.

მწადდა ხილვა ხატაელთა,
არაბთა და ინდოთა;
რა ჩამოთვლის ყველა ადგილს,
საცა ყოფნა მინდოდა.

თუმცა ბლომად დავახვავე
მონაჩმახი, ნაროში...
ერთს კი შევძლებ — სული ჩემი
განიბნეს სამყაროში.

## ბუდეს მიაშურა

ხვლიკი, გატრუსულ ეზოში,
რომ გაცუნცულდა მზე-მზე,
კიბის ქვეშ შეძვრა, რამდენად
ბედნიერია ჩემზე!

მწვანეზურგიანს, ვერაფერს
დააკლებს წვიმა, ქარი...
იქ ეგულება, ეტყობა,
თავისი მონაგარი.

## ვერ გივიწყებ

ერთია, შხამი გიმსხვერპლებს
თუ დაგცემს თოფის ლულა;
რა იქნებოდა, მუნანო,
ერთხანს შენც გეცუნცულა.

ადრე თუ გულ-მკერდს მიზელდი,
ახლა ოცნებით გხატავ,
სიზმარშიც, ვეჭვობ, ვიხილო,
მე, შენნაირი კატა.

ვერ ვიტან, გემოს ვერ ვატან,
დღე რომ უშენოდ გადის,
მახსოვს, მარჯვენა ლოყაზე,
მოცაცუნება თათის.

## მედიდურობა სიყალბეა

თუნდაც შენი ნათქვამი ენთოს კოცონებად;
სირცხვილია რაიმეთი თავის მოწონება.

იოლია დაცინვა, სხვისი დაწუნება;
მოქნეული, თავად შენ გაგელაწუნება.

დადექ, ღმერთი იწამე, გეყო, ძამა ყეფა;
თავი უნდა დახარო, რა გეამაყება?!

სალვატორე კუაზიმოდო

# პოეტი და პოლიტიკოსი

*

## სიტყვა, წარმოთქმული 1959 წელს სტოკჰოლმში, ნობელის პრემიის მიღებისას



„გრძელია ღამე, რომელსაც არ სდევს თან იმედი გათენებისა“, – შექსპირის „მაკბეტის“ ეს სიტყვები პოეტის ყოფიერების ახსნაში დაგვეხმარება; პოეტისა, რომელსაც შემოქმედების დასაწყისში, მარტოსულობის ჟამს წარმოსახვაში ბავშვობის მეგობრის სახითა და ჟესტებით მკითხველი გამოეცხადება; ეს მეგობარი მის პირველ მკითხველთა შორის ყველაზე მგრძნობიარეა და ლიტერატურულ ქვეტექსტთა მარჯვე ამომკითხველი, ცოტათი გალიზიანებულიც კი თავის შეფასებაში პოეტის მიმართ, რომელიც სამყაროს ძალადობის მკაცრი და პრეტენზიული ტონით წარმოჩენის მცდელობისას ისეთ დაუზოგავ გამოთქმებსა და მკაცრ საზომებს იყენებს, მეცნიერებისთვის რომ უცხოა.

ადამიანში რომ გაიგივდეს, პოეტმა მინიერებაზე უარი უნდა თქვას, თუმცა ეს მის არსებობას გაუსაძლისს ხდის, რადგანაც პოეტის უმთავრესი მოთხოვნაა, ხმა მიაწვდინოს რაც შეიძლება ბევრ ადამიანს, გაითავისოს და გაიზიაროს მათი მისწრაფებანი, ესა თუ ის შეხედულება. გულუბრყვილობა ზოგჯერ მკვახე შეიძლება აღმოჩნდეს და გრძნობის უკიდურეს კონფიგურაციამდეც კი მივიდეს; ეს იმ ბავშვობის მეგობარი მკითხველის თვისებაა, რომელიც გაფხიზლებს, გიბიძგებს იმ პირველი პოეტური ნიმუშებისკენ, ლოგიკის კანონით მუდამ რომ დარჩება ზუსტ ათვლის წერტილად, იმ ცეცხლად, რომელიც პარაბოლის ნახევარს მაინც შეგაქმნევინებს. სხვა დანარჩენი მკითხველი ძველი პოეტებია, რომლებიც ახალგამომცხვარ ნაწარმოებებს მოუსყიდველი სიშორიდან ადევნებენ თვალს; მათ დროს გაუძლეს და ახლებს ძნელად თუ ამოიყენებენ გვერდით.

მოთხრობის, რომანის ავტორის ყურადღების საგანი ადამიანია და მის იმიტაციას ახდენს; იგი ფაქტობრივად პერსონაჟთა მომხმარებელს წარმოადგენს, მაშინ, როცა პოეტი თავის აურაცხელი ამბით სავსე ბურუსით მოცულ სამყაროში ეულია და არ იცის, ეს მისი განწყობა გულგრილობა უფროა თუ იმედი. მოგვიანებით ის ერთადერთი სახე მეგობრისა გაბევრდება, ის ჟესტები, თანხმობის ან კონტრასტისა, სახეებად გარდაიქმნება და ეს პირველი ლექსების გამოქვეყნებისას მოხდება, როცა ჩამოჰკრავს მოსალოდნელი განგაშის ზარი, ვინაიდან დაბადება პოეტისა, რომელიც ლიტერატურული კასტის წრეში ბაგირით ცენტრისკენ მიიწევს, უკვე დადგენილი კულტურული წესრიგისთვის მუდმივ საშიშროებად იქცევა.

და გამოუჩნდება კიდეც ახირებული მკითხველი, რომელთანაც მდუმარე საბრძოლო ურთიერთობა ეწყება: ესენი არიან კრიტიკოსები, პროვინციელი პროფესორები, ლიტერატორები. უმეტესი ნაწილი ამ ადამიანებისა, პოეტის ახალგაზრდულ აზროვნებაში მეტაფიზიკას ანგრევს, მის სახისმეტყველებაზე ძალადობრივ ზემოქმედებას ახდენს; ისინი აბსტრაქტული მსაჯულები არიან: ასწორებენ პოეტურ დიფერენციალებს, „მცდარ“ ლექსებს.

პოეზია პოეტის ფიზიკურად განსხეულებული არსებაა, და თუმც პირადულის უგულებელყოფა არ ეგების, აქ აღარ შევეხები ჩემს ავტობიოგრაფიულ მომენტებს ჩვენს ქვეყანაზე საუბრისას, რომელიც, კარგად ვიცით, ყველა საუკუნეში მდიდარი იყო ჯოვანი დელა კაზას (XVI საუკუნის მწერალი და სასულიერო პირი, რომელიც ინკვიზიციის სახელით ებრძოდა რეფორმისტებს და 1548 წელს შეადგინა „აკრძალულ წიგნთა სია“ – მთარგმნ.) მსგავსი ლიტერატორებით, ანუ მეტრიკის მწმენდავებითა და ისეთი სრულყოფილი გენიოსებით, ჩარჩოებს რომ არასოდეს სცილდებიან. ტრადიციის ამ ნათლისმცემლებს, თავიანთი ნათელმხილველობითა და ფანტაზიით ფანატიკურად სჯერათ სამყაროს ალეგორიული ნგრევისა. ისინი შეუწყნარებლები არიან რეალური ისტორიული ქრონიკებისადმი, იდეალურ სახეებსა და საქციელს ითხოვენ: პოეზიის ისტორია მათთვის ოდენ ფანტაზმების გალერეაა. პოლემიკასაც აქვს თავისი საფუძველი, თუ ვიგულისხმებთ, რომ ჩემს პოეტურ წიაღსვლებს დიქტატურის ჟამს მივმართავდი, რაც ჰერმეტიზმის — როგორც კულტურული მიმდინარეობის — დაბადებას იუწყებოდა.

ჩემი პირველი წიგნიდან მოყოლებული, რომელიც 1930 წელს გამოვაქვეყნე, მეორე, მესამე და მეოთხე („ბერძენი კლასიკოსების“ თარგმანი, გამოსული 1940 წელს) გამოცემების მთელი იმ ხანის განმავლობაში სხვა ვერას ვხედავდი, თუ არა ერთფეროვან მკითხველს, როგორც თავმდაბალს, ისე ამბიციურს, უნივერსიტეტის პოლიტიზებული ინტელექტუალების ანტიპატიას ახალი რეალისტური, მკაცრი პოეტიკისადმი, რომელიც კლასიკურ ტრადიციულ კომპოზიციებს საგრძნობლად იყო დაშორებული. “ბერძენი კლასიკოსები“, – და ეს იყო მთელს ევროპაში კლასიკოსების ყველაზე სწორი წაკითხვის პრინციპი, – იმდროინდელმა ლიტერატურულმა თაობამ სრულიად

ახლებურად წაიკითხა. იმჟამინდელი ახალგაზრდები, ვიცოდი, სასიყვარულო ბარათებში ჩემს მიერ თარგმნილ ლირიკოსთა ციტატებს იყენებდნენ, საკუთრივ ჩემი ლექსების სტრიქონებს  კი, პოლიტპატიმართაგან გაგონილებს, ციხეების კედლებზე წერდნენ. ვინ იცის, რა პირობებში დავწერე ეს სტრიქონები ან ჩვენ როგორ შევქმენით ეს ლექსები – იმ დაუნდობელ ხანაში, გაუსაძლისი მარტოობა რომ გვარგუნა! ჩვენივე სულის მოთხოვნა იყო ეს თუ რეალობისა? თავისუფალი ბებერი ევროპული პოეზია ჩვენს არსებობას არ იმჩნევდა, ლათინური პროვინცია ცეზარიზმს დამონებოდა, სისხლი დუღილს იწყებდა და ჰუმანიზმის გაკვეთილები არავის სჭირდებოდა.

ჩემი  მკითხველი ჯერ კიდევ ლიტერატორთა ვიწრო წრე იყო, მაგრამ ხომ უნდა გამოჩენილიყო ვინმე სხვა, ვინც ჩემს ლექსებს წაიკითხავდა? სტუდენტები, მოსამსახურეები, მუშები? ნუთუ ასე აბსტრაქტული იყო ჩემი მხატვრული ძიებანი? ბრიყვული თვითდაჯერებულობით ხომ არ ვიყავ შეპყრობილი? არადა, ეს იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გადალახოს პოეტმა სიმარტოვე. მარტოობა, შექსპირისეული „გრძელი ღამე“, პუბლიკისთვის ასე აუტანელი – რასაც ქადაგებდა ტირტეოსი აფრიკულ თუ რუსულ  სეზონებში ( იგულისხმება იტალიური ფაშიზმის საომარი პროპაგანდა აფრიკული ქვეყნებისა და რუსეთის წინააღმდეგ – მთარგმნ.) – ისეთივე ადვილი ამოსაკითხი იყო, როგორც პოეტიკა:  ისეთი ფორმით, რომელიც ევროპული დეკადენტიზმის გაგრძელებას ჰგავდა, თუმცა ნეოჰუმანიზმის პირველ არქიტექტონიკას წარმოადგენდა. ომი, ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, ადამიანს ახალი საწყაულით შეაფასებინებს სამშობლოს, გინდ დამარცხებულს, გინდ გამარჯვებულს. პოეზია და ფილოსოფია იმსხვრევა, როცა „ხეები ეცემიან და კედლები ინგრევიან“: ძალიან ადვილი იქნებოდა  ატომის პირველი დარტყმის მერე იმ ადრინდელი ფორმების მეყსეული აღდგენა, რომლებიც ადამიანს დეკორისა და ფონეტიკური დახვეწილობის ეპოქას აკავშირებს.

სიკვდილის მძვინვარების შემდეგ მორალური პრინციპებიც სხვაგვარი განსჯის საგანი ხდება, სხვათა შორის, რელიგიის გამოცდაც: საკუთარ კნინ ესთეტიკურ გამოკვლევებს  მიჯაჭვული კრიტიკოსები პოეზიის მშფოთვარე არსს ძირშივე სწყდებიან. პოეტი ღამიდან, ანუ სიმარტოვიდან დღის სინათლეზე გამოდის და საზეიმოდ გადაშლის მომაკვდინებელ დღიურს უმოქმედოთა ყურადსაღებად. ნაღვლიანი პეიზაჟი ადგილს დიალოგს უთმობს. პოლიტიკოსი და ალესანდრინები (ალექსანდრიელი ფილოლოგები, რომელთა სახელთანაც დაკავშირებულია ფილოლოგია და ტექსტის კრიტიკული ანალიზი – მთარგმნ.), სიმბოლოთა ჯავშნებითა და მისტიკური სიწმინდეებით შეიარაღებულნი, თავს იკატუნებენ, თითქოს პოეტს ვერ ამჩნევენ, და მსგავსი მოვლენები მამლის ყივილივით, უფრო ზუსტად, მამლის მესამე ყივილივით ხშირად მეორდება ისტორიაში.

პოეტი კანონგარეშეა და ვერ თავსდება ყალბი ლიტერატურული ეპოქის ნაჭუჭში, რომელიც ძველი დროის კომუნების მსგავსად კოშკებითაა სავსე. პოეტი თითქოს ანგრევს თავისსავე ფორმებს, სინამდვილეში კი აგრძელებს მათ. ლირიკიდან ეპიკაზე გადადის, რათა იამბოს სამყაროზე, ილაღადოს იმის შესახებ, რაც ამ სამყაროს ტანჯავს. და მაშინ პოეტი საშიში ხდება. პოლიტიკოსი უნდობლობით სჯის კულტურის თავისუფლებას და კონფორმისტული კრიტიკის მეოხებით ცდილობს გააუვნებლოს თვით არსი პოეზიისა, მიაჩნია რა შემოქმედებითი ფაქტი დროის მიღმა არსებულად და ყოველგვარ ძალისხმევას მოკლებულად, თითქოსდა პოეტი პიროვნება კი არ იყოს, არამედ  რაღაც აბსტრაქცია.

პოეტი არის თავისი დროის ადამიანთა მრავალი „გამოცდილების“ ჯამი, მისი ენობრივი ქსოვილი არ ჰგავს ავანგარდისტებისას, უფრო კლასიკოსების ენას იყენებს, რადგანაც ეს ენა კონკრეტულია. ამასთან დაკავშირებით ელიოტი ამბობს, რომ დანტეს ენა „არის საერთო სახალხო ენა სრულყოფილების ფაზაში... თუმცა „ეს მარტივი სტილი“, რომლის ყველაზე დიდი მაესტრო თვით დანტეა, ურთულესია“. საჭიროდ მიმაჩნია, სწორედ ასეთ ენას დავეყრდნოთ, ვინაიდან იგი არც პარნასელთა ენაა და არც ენობრივი კრიზისის მჩხლართავებისა იმ სოფლებში, სადაც დიალექტებით ენის დანაგვიანება სხვას არაფერს იწვევს, თუ არა კიდევ ახალ საეჭვო ლიტერატურას და იეროგლიფებს, ამიტომაც ფილოლოგები ვერასოდეს განაახლებენ სამწერლო ენას, ეს უფლება მხოლოდ პოეტებს ენიჭებათ. პოეტის ენა ფილოლოგიური თვალსაზრისით კი არ არის რთული ან ბუნდოვანი სულიერი ნიაღსვლებით, არამედ თავისი შინაარსის თავისებურებით. პოეტების თარგმნა შეიძლება, მაგრამ კრიტიკოსებისა – არა, ვინაიდან ეს უკანასკნელნი იყენებენ სხვა პოეტთა ტექნიკას, მოარგებენ რა მას საკუთარ ინტელექტუალურ კუსტარულ ნახელავს, რათა დაიცვან შინაარსს მოკლებული სიმბოლიზმი ან დეკადენტიზმი; ნააზრევის სხვა ნააზრევზე დართვით  საზრდოობენ გოეთეს ან XIX საუკუნის ფრანგი პოეტების გამოხმობით. საკუთარი ტრადიციების ერთგულება, ინტერნაციონალიზმისათვის თავის არიდება – აი, რა ქმნის პოეტს. ლიტერატორები ევროპის ან მსოფლიო პოეზიის ფუნქციაზე ფიქრისას მიიჩნევენ, რომ ეს უკანასკნელი საკუთარ ნაჭუჭშია ჩაკუჭული, თითქოსდა „საგანი“ იყოს, მთელს დედამიწაზე ერთნაირად იდენტური. პოეზიის ამ სახით შეწყნარების შემდეგ, ფორმალიზმი ზოგიერთ შინაარსს გამოარჩევს, ზოგს კი ძალადობით განდევნის, მაგრამ შინაარსის პრობლემა, ანუ ბარიკადი ამ ორს შორის, ისევ რჩება.

ამგვარ ვითარებაში პოეტის სიტყვა მთელი ძალით იწყებს ყველა რასის ადამიანის გულების ანთებას და ეს მაშინ, როცა უმწიკვლო ლიტერატორი მთელს ქვეყანაზე თავს იწონებს, პოეტს კი პროვინციაში გამოკეტავს, თავისი სილაბური ვარჯიშებით პირმოხეულს. პოლიტიკოსი იყენებს ისეთ ლიტერატორს, რომელსაც არსებულ ვითარებაში სულიერი პოზიცია არ გააჩნია, თუმც ორ პოლიტიკურ თაობას მაინცაა გაცდენილი და კულტურის ერთიანობის ექსპერიმენტული და ახირებული დეკომპოზიციით  ერთობა, და აქ  ადამიანის გონის დატყვევებას შეიძლება რელიგიურმა ფაქტორმაც  უბიძგოს.

რელიგიური, სამოქალაქო, ლირიკული თუ დრამატული პოეზია: ადამიანის თვითგადმოღვრის  ეს კატეგორიები იმ შემთხვევაშია ღირებული, თუ ღირებულია  კონკრეტული შინაარსი. შეცდომაა იმის ფიქრი, რომ  ერთი სული-

ერი მიღწევა, ერთი კონკრეტული და ინდივიდუალური შემთხვევა სენტიმენტისა ( ვგულისხმობ რელიგიურს) შეიძლება „საზოგადოებრივად“ იქცეს, ამ სიტყვის ფართო გაგებით. ასკეტური დისციპლინა, ადამიანის ადამიანთან მისასვლელი გზის გადაკეტვა სიკვდილის ფორმულაა. „ქმედითი“ სული ნიადაგ მოჰყვება მგლის ხაფანგში: მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ხშირად მისტიკურობასა და სულის თავისუფლებაზეა დამოკიდებული, სულისა, რომელიც ამ დედამიწაზე მონად გრძნობს თავს. და აშინებს თანამოსაუბრეს (მისი აჩრდილი – მუდმივი დამორჩილების საგანი) ფიზიკური დეკომპოზიციის წარმოსახვითი სურათებით, საშინელების მაამებლური ანალიზით. პოეტს სიკვდილისა არ ეშინია, არა იმიტომ, რომ გმირობის ვნებითაა შეპყრობილი, არამედ სიკვდილი მისი ფიქრების მუდმივი სტუმარია და ყოველდღიურად მშვიდ დიალოგსაც კი მართავს მასთან. ამ განმარტოებისას იგი პირისპირ შეეყრება ადამიანის ხატს, რომელსაც საკუთარ თავში ჰყავს გამომწყვდეული ოცნება, ავადობა, სილატაკისგან თავდახსნის სურვილი, რაც პოეტისათვის მინიშნებაა ამგვარი ცხოვრების დაუმორჩილებლობისა.

იმის მისახვედრად, თუ როგორი ხერხებით ახდენს ზემოქმედებას პოლიტიკოსი, და აქ სასულიერო პირთა ძალაუფლებაც იგულისხმება, საკმარისია გავიხსენოთ ათასწლოვანი დუმილი პოეზიასა და ხელოვნების სფეროში კლასიკური ეპოქის გასრულების შემდეგ, ანდაც თვალი გადავავლოთ კუატროჩენტოს დიდ მხატვრობას, ეპოქას, როდესაც ეკლესია იყო დამსაქმებელი და თვითონ კარნახობდა თემებს.

ფორმალისტური კრიტიკა ცდილობს დარტყმა მიაყენოს ხელოვნების კონცეფციას ფორმის საკითხებზე და გამოთქვამს სერიოზულ შენიშვნებს შინაარსის კონსისტენციაზე, რათა სრული გავლენა მოახდინოს მის ავტონომიაზე. ფაქტია, პოეზია არ ცნობს პოლიტიკოსის „მისიონერულ“ მცდელობას, არც კრიტიკის ჩარევას, რომელიც ფილოსოფიიდან იღებს სათავეს. პოეტისთვის უცხოა მორალური ან ეთიკური გადახვევები, ამიტომაც გარკვეულ ჟამს, იბადება მისი ორმაგი მარტოობის განცდა, ერთი მხრივ, სამყაროს მიმართ და, მეორე მხრივ ლიტერატურული მილიციისადმი.

არსებობს კი თანამედროვე ესთეტიკა? და რომელი ფილოსოფიიდან შეიძლება ეფექტური მითითების მიღება? ეკზისტენციური თუ მარქსისტული პოეზია ჯერ კიდევ პუნქტუალურად არ შეჩერებულა ლიტერატურულ ციფერბლატზე: დიალოგი თუ ქორო ახალი თაობებისა უკვე არსებული კრიზისის შედეგია, რაც პიროვნების კრიზისიცაა, და ამ არეულობას პოლიტიკოსი ნამსხვრევებად ქცეული პოეზიის მოჩვენებითად სტაბილური ზონების შესაქმნელად იყენებს.

დუალიზმი პოლიტიკოსსა და პოეტს შორის ზოგადი გაგებით ნებისმიერი დროის კულტურაში აშკარაა და დღესაც, როცა ორი ბლოკი მართავს მსოფლიოს, აშკარაა თავისუფლების ორი სხვადასხვა გაგება, დღესავით ნათელია, რომ პოლიტიკოსს თავისუფლება ცალმხრივად ესმის. ძნელია ამ ბარიერის გადალახვა, რომელმაც კაცობრიობის ისტორია სისხლით შეღება. ყოველთვის არსებობდა კულტურის თავისუფლების ორი განსხვავებული გაგება: თავისუფლება იმ ქვეყნებისა, სადაც ძირეული სოციალური გადატრიალება ხდება ( საფრანგეთის რევოლუცია, მაგალითად, ან ოქტომბრის რევოლუცია) და იმ სხვა ქვეყნებისა, რომლებიც ვიდრე სამყაროს ახლებურად აღიქვამენ და მოდუსს შეიცვლიან, დიდხანს მედგრობენ თავიანთ ციტადელებში.

შესაძლოა თუ არა პოლიტიკოსსა და პოეტს შორის თანხმიერება? ალბათ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საზოგადოებაში, მაგრამ სრული თავისუფლების პირობებში – არასოდეს. თანამედროვე სამყაროში პოლიტიკოსი ბევრნაირ ვალდებულებას ითავისებს, მაგრამ შეუძლებელია, რომ ოდესმე იგი პოეტთან შეთანხმდეს, ვინაიდან ერთი ემსახურება პიროვნების შინაგან წესრიგს, მეორე კი – პიროვნების ჩამოყალიბებას. პიროვნების შინაგანი წესრიგის მოთხოვნა კი შეიძლება დაემთხვეს, ოღონდ ამა თუ იმ ეპოქაში, ახალი საზოგადოების შექმნა-ჩამოყალიბების სურვილს.

რელიგიური ძალაუფლება, რომელიც ხშირად პოლიტიკურ ძალაუფლებასთან იგივდება, როგორც უკვე ვთქვი, ყოველთვის იყო პროტაგონისტი ამ მწვავე დაპირისპირებისა, მაშინაც კი, როცა თითქოს განზე ჩანდა. მიზეზი, რის გამოც პოეტი საშიში ხდება პოლიტიკოსისთვის (პოეტი თავისი ერის მორალის ინდიკატორი იყო მუდამ), უცვლელად იგივეა, რაზეც ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ ამბობდა ჯოვანი ვილანი თავის „ქრონიკაში“ დანტეს შესახებ: რომ მან თავის თანამედროვეთა აზრით, „კომედიაში“ პოეტის კვალობაზე გვარიანად გაილაღა დროშის ფრიალითა და შეძახილებით, ზომაზე მეტადაც, რაც, ალბათ, იმან განაპირობა, რომ გაძევებული იყო.“

დანტე ვილანივით ქრონიკებს არ წერს და ახალი საამო სტილის სკოლის უტკბეს ჰერმეტულ ლექსებს გვერდით ამოუყენებს მწვავე და გამანადგურებელ ლანძღვა-გინებას ისე, რომ არ ღალატობს საკუთარ მორალურ სიმტკიცეს, თავს ესხმის ადამიანურ და პოლიტიკურ ძალადობას, რაც სიძულვილით არ არის ნაკარნახევი, არამედ შინაგანი სამართლიანობის შეგრძნებითა და რელიგიურობის უნივერსალური გაგებით. დანტეს ეს მარად ცეცხლოვანი ისრები ესთეტიკოსებმა დიდი სიფრთხილით გააუვნებლეს და ისეთ არეალში მოაქციეს, პოეზიად რომ საერთოდ არ ჩათვლილიყო. პოეტურად უფრო მისაღებად მიიჩნიეს დანტეს ისეთი სტრიქონები, როგორიცაა, მაგალითად, „იცინის ტრივია მარადიულ ნიმფებს შორის“, რაც არ არის პიზელთა გინება, ან იმავე დანტეს მიერ დატეხილი ცეცხლის კვესა ფლორენციელთა თავზე, რის გამოც საუკუნეების განმავლობაში კდემამოსილი ბეატრიჩეს ქალაქმა სამარცხვინო დაღი ატარა. დანტეს პოეზიამ ბევრი ეჭვი წარმოშვა თავისივე სიდიადის გამო, და ყალბი კულტი მისი ხსოვნისა დღესაც სხვა არაფერია, თუ არა რიტორიკა, ცოტა თუ მოიძებნება დღეს მისი ადამიანური „კომედიის“ სწორად წამკითხველი. ყველა ერსა ჰყავს დანტეს სადარი მოაზროვნე, გავიხსენოთ შილერი გერმანელებისთვის, შექსპირი ინგლისელებისთვის, მოლიერი და კორნელი საფრანგეთისთვის, სერვანტესი ესპანეთისთვის, დოსტოევსკი რუსეთისთვის, ხოლო დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ამჟამად მცხოვრები ჩვენი თანამედროვენი დროებით მოვასვენოთ თავიანთ იარალშემართულ სიმშვიდეში.

ყველა დროის საზოგადოების ამ ორი „ტიპის“ – პოლიტიკოსისა და პოეტის — გამიჯვნის, დაახლოების თუ დაშორების მცდელობა, ასე თუ ისე, საჭიროა, თუნდაც იმისთვის, რომ ისტორიული ვითარება დავადგინოთ. მე რომ ვისურვო და ამ ორ ქვემდებარეს მსაზღვრელად „კაცი“ მივუწერო, ავამაღლებდი პოეტის სპეციფიკურ ინტენსივობას და დავამცირებდი პოლიტიკოსისას. პოლიტიკოსში მოვიაზრებ საერთო მნიშვნელს, ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად შესაბამისი იდეოლოგიით შეკავშირებულ პოლიტიკოსთა წრეს.

ვერავინ უარყოფს პოეტის დანიშნულებას ზრდასრული თუ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოების სტრუქტურაში. ბოდლერის, მალარმეს, რემბოს მნიშვნელობა, როგორც ფრანგული ეროვნული ერთიანობის ცხოვრების „წესის“დამამკვიდრებლებისა, დღეს უფრო თვალნათელია, ვიდრე მაშინ, თანამედროვეთათვის, როცა ფიქრობდნენ, რომ მათი პოეზია კოჭლი ლიტერატურული ავანგარდის ნაყოფი იყო და ენის რეფრაქცია, იძულებით რომ იკრუნჩხებოდა იმპროვიზაციული ლირიკის სინტაქსში. ცნობს კი პოლიტიკოსი პოეტის ამ ცხოველმყოფელ ძალას საზოგადოებაში? ვფიქრობ, ცნობს, და თვალსაჩინოებისთვის საკმარისი იქნებოდა გაგვეხსენებინა მათ მიერ სხვადასხვა ფორმით კულტურის მოღვაწე ადამიანთა იგნორირების ან დამორჩილების მაგალითები.

შემოქმედებითი გენია ყოველთვის ითვლებოდა მომაკვდინებელ გადამდებ სენად. აქედან გამომდინარეობს ნაირგვარი გამართლება მეცენატობისა შუა საუკუნეების სასახლეთა კარზე – რაინდული პრემიები და მორჩილი გმირები, მადრიგალების ამოუწურავი სტილისტური კაზმულობანი და ა.შ. – მეცენატობისა, რომელმაც ხოხვით მოაღწია ჩვენი საუკუნის ზღურბლამდე, ეპოქამდე, როცა საკუთარი გონიერების წყალობით ბურჟუაზია თავისუფლების სტატუსს იმკვიდრებდა. ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია დააკვირდეს, თუ წარსულს გამოიხმობს, რომ პლატონი, რომელიც იდეალური სახელმწიფოს არქიტექტორად გვევლინება, ამ სახელმწიფოდან პოეტს, როგორც არეულობის შემტან ელემენტს, აძევებდა (ალბათ წესრიგის შემტანი უნდა ითქვას, თუ გავითვალისწინებთ მათ მცდელობას ანტიდემოკრატიულ ბაზაზე დაფუძნებული მოწესრიგებული საზოგადოების ამოსაძირკვად), მაგრამ ფილოსოფოსის მიერ ამ გაძევებას სხვა რა უნდა ვუწოდოთ, თუ არა თავის არიდება და იგნორირება?!

თავისუფალია დღეს პოეტი? თავისუფალია იმის მიხედვით, თუ როგორ საზოგადოებაში ცხოვრობს, ან ფსევდო-ეკზისტენციალისტური განმანათლებლის გამგრძელებლად გვევლინება, ან კიდევ ადამიანური უწყინარი გრძნობების დეკორატორად, ერთი სიტყვით, იმად, ვინც ბოლომდე არ ულრმავდება თავისი დროის დიალექტიკას და ამას ან პოლიტიკური სიფრთხილის გამო სჩადის, ანდაც ინერციით. თავისუფალი იყო XV საუკუნეში, მაგალითად, ანჯელო პოლიციანო, რომელსაც თავის ნაწარმოებში „სტანსები ჯულიანო დე მედიჩის სარაინდო ტურნირებისთვის“ საკვირაო წირვაზე არისტოკრატ ქალბატონებს შორის ფრთხილად შეჰყავს დაბნეული ნიმფა. აი, ლეონარდო და ვინჩი კი, გენიოსი მწერალი, არ ყოფილა თავისუფალი. აქ თავისუფლების უნივერსალურ მნიშვნელობაზეა საუბარი და იგულისხმება პოლიტიკოსის ნებართვა, რომ პოეტი საზოგადოებაში უიარაღოდ შევიდეს. თავისუფლები არ ყოფილან არც არიოსტო და ტასო, აბატი პარინი, ალფიერი და ფოსკოლო: შეწირულთა რიტორიკა დროთა განმავლობაში მათ იმ ადამიანთა ხმის განმვრცობთა რიგში ჩააყენებს, ვინც თითქოს უდაბნოსა შინა ღაღადებდა, სინამდვილეში კი უსამართლობას უთხრიდა ძირს.

მაგრამ, თავის მხრივ, თავისუფალი თუა პოლიტიკოსი? ცხადია, არა. იგი მუდმივად ალყაში ჰყავთ კასტებს, რომლებიც წყვეტენ საზოგადოების ბედს და დიქტატორზეც ზემოქმედებენ. ისტორიის ამ ორი თავისუფლებაწართმეული პროტაგონისტისა და ერთმანეთის მეტოქის (პოეტში ვგულისხმობ ამა თუ იმ ეპოქის განმსაზღვრელ ყველა მწერალს) გარშემო დუღს და გადმოდუღს ვნებები და არ არის მშვიდობა არც რევოლუციის, არც ომის დროს, – ამათგან პირველი წესრიგის დამამყარებელია, მეორე კი არეულობისა.

უკანასკნელი ომი სისტემათა, პოლიტიკათა, სამოქალაქო წეს-წყობილებათა, ერების ერთმანეთთან შეტაკების ომი იყო და ბრძოლა იმხანად არსებული ერთიბეწო თავისუფლების აღმოსაფხვრელად. მოხდა კი ხელახალი აღმოჩენა სიცოცხლის არსისა შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგ დაუმორჩილებელი ბრძოლის გზით. „წინააღმდეგობის მოძრაობა“ ( ასე ერქვა იტალიაში ფაშიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლ საერთო–სახალხო მოძრაობას – მთარგმნ.) კულტურისა და გლეხური ჰუმანიზმისა, რომელმაც „თავი ასწია სასტიკ ველზე“ – ამა ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ, როგორც ამბობს ვერგილიუსი.

წინააღმდეგობის ამ შეიარაღებულმა მოძრაობამ ყველა ქვეყანაში წარმოშვა ხანგრძლივი კულტურული მიმდინარეობა, და არა დროებითი, როგორც ამას ფიქრობენ მარადიული ჰიპოთეზების კონსერვატორები „უძრავ“ კულტურაზე. დაჟინებით ვიმეორებ – არა დროებითი, არამედ ხანგრძლივი, რადგანაც ახალი კულტურის ბირთვი (ყოფიერების ფილოსოფიის ჩათვლით) სულის ტრაგედიაზე კი არ ზრუნავს, ადამიანის დამსხვრეული სახსრების გამთლიანება და მომავალია მისი საფიქრალი. აქ ადგილი არა აქვს არც შიშს, არც თავის არიდებას, არც გულგრილობას, არც უუნარობას, რათა პოეტს იმისათვის მიეცეს სიტყვა, რომ ადამიანებს აუწყოს არა მეტაფიზიკური, არამედ რეალური ბედის შესახებ.

პოეტს ძალუძს თქვას, რომ ადამიანი დღეს იწყება; პოლიტიკოსს ძალუძს თქვას და ამბობს კიდეც, რომ ადამიანი იყო და ყოველთვის დარჩება საკუთარ მორალურ სიმდაბლეზე ყულფგამობმული, სიმდაბლეზე, რომელიც დაბადებიდან კი არ დაჰყვა, საუკუნის კოშმარში თანდათან აითვისა.

ეს სიმართლე, რომელიც პოლიტიკური ცოდნის ამოუცნობი ქმედების მიღმა იმალება, პირველ დასკვნას გვკარნახობს, ანუ იმას, რომ პოეტს ხმის ამაღლება მხოლოდ ბარბაროსობის ინტერვალებში შეუძლია. „წინააღმდეგობის მოძრაობა“ მორალური უსაფრთხოებაა და არა პოეტიკური. პოეტი სიტყვებს ვინმეს დასასჯელად კი არ იმარჯვებს, მისი განაჩენი შემოქმედებითი თანმიმდევრობაა და არა დეკალოგების ჩამოყალიბება „წინასწარმეტყველებათა“ გასაცხადებლად.

ევროპელებმა ამ წინააღმდეგობის მოძრაობის წონა იციან, რაც თანამედროვე სინდისის ოქროს კვეთის საიდუმლოების ცოდნაა. დაე იყვიროს, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ მტერი დღეს უკვე აჩრდილია თავისი სუსტი კანონებით: მისი ხმა სულ უფრო მეტად უსახოა მის მიზნებზე. ხალხის მგრძნობელობა არ ტყუვდება არც პოეტის და არც მისი მეტოქის ქმედებით. როდესაც ანტითეზა მწვავდება, პოეზიაა, რაც პოლიტიკოსის მიერ დათრგუნულ აზროვნებას ჩაენაცვლება, პოლიტიკოსისა, რომელსაც ჰგონია, როცა უნდა გაანელებს და როცა უნდა გამოიყენებს პოეზიას.

„წინააღმდეგობის მოძრაობა“ სრულყოფილი სურათია დღევანდელსა და წარსულს შორის კონფლიქტისა. სისხლის ენაზე მეტყველი ქმედება მხოლოდ ფიზიკური თვალსაზრისით კი არ არის მომაკვდინებელი, არამედ ადამიანის მორალზე მუდმივი ზემოქმედებითაც. ევროპა „წინააღმდეგობის მოძრაობიდან“ დაიბადა და რეჟიმის საეჭვო პიროვნებების ფარისევლობა, რაც ომს უნდოდა დაეკანონებინა, ძირშივე ჩალპა. სიკვდილს თავისი ბუნებრივი ძილი აქვს, და საკუთარი ლოგიკითა და პოლიტიკური ხერხებით მის დასაჩქარებლად მედიაცია არაჰუმანურობად მიმაჩნია. პოეზიის პატიოსნება უკვე მის არსებობაში ვლინდება, იმაში, რომ შორსა დგას უსამართლობისა და მისგან წარმოქმნილი სიკვდილისაგან. პოლიტიკოსს ნებავს, რომ ადამიანი გმირულად მოკვდეს. პოეტს სურს, რომ ადამიანმა გმირულად იცხოვროს.

პოეტმა კარგად უწყის პოლიტიკოსის ძალაუფლების შესახებ, პოლიტიკოსი კი მხოლოდ მაშინ ამჩნევს პოეტის ძალაუფლებას, როცა მისი ხმა უკვე ღრმადაა შეჭრილი სხვადასხვა სოციალურ ფენაში, როცა მისი ლირიკა თუ ეპიკა არა მხოლოდ ფორმაში, შინაარსშიც გაცხადდება. ამ მომენტიდან იწყება ფარული ბრძოლა პოლიტიკოსსა და პოეტს შორის. ისტორიას განდევნილი პოეტი იმდენი ახსოვს, რამდენიც შემთხვევით აგდებული კამათელი არსებობს, თუმცა კი პოლიტიკოსი, სიტყვიერად, ვითომ ხელს უწყობს კულტურას, სინამდვილეში ცდილობს დააკნინოს მისი ძალა: პოლიტიკოსის მიზანი ყველა საუკუნეში სხვა არა იყო რა, თუ არა ადამიანისათვის სამი-ოთხი ფუნდამენტური თავისუფლების წარკვეთა, იქამდე, ვიდრე ეს უკანასკნელი ამ თავის მარადიულ წრეში ხელახლა დაიწყებდა ისევ თავიდან მოპოვებას იმ ყველაფრისა, რაც წაგლიჯეს.

ჩვენს დროში პოლიტიკოსი კულტურისა და ამავდროულად პოეტისაგან თავს იცავს აშკარად ან ფარულად, სხვადასხვანაირი გზით და ყველაზე ადვილი კულტურის კონცეფციის დეგრადაციის გზაა, საშუალებანი კი — სამეცნიერო-ტექნიკური, რადიო და ტელევიზია, ეს ყოველი პოლიტიკოსს ეხმარება გახლიჩოს ხელოვნების ერთიანობა, მფარველობა გაუწიოს ისეთ პოეზიას, ჩრდილსაც რომ არ აწუხებს. ასეთ პოეზიაში მოიაზრება არკადიის თემები და ის პათოსი, რომელიც გამოიხმეს სწორედ ჩვენი ეპოქის შემოქმედების დასამცირებლად. ამ ვითარებას კარგად ესადაგება ესქილეს ნათქვამი: „ვიტყვი, რომ მკვდრები ცოცხლებს მოკლავენ“, რომელიც ჩემი ბოლო წიგნის — „შეუდარებელი მიწა“ — ეპიგრაფად გამოვიყენე.

კულტურის კონცეფციის დეგრადაცია, განხორციელებული მასებზე, რომლებსაც სჯერათ, ამ სახით წარსდგებიან ცოდნის სამოთხეში, თანამედროვე პოლიტიკის ფაქტორი კი არა, არამედ ახალი და უფრო სწრაფი ტექნიკაა, გამოყენებული ადამიანის მზარდი ინტერესების დასაქსაქსად. ოპტიმიზმი ხელშესახები გახდა, მეხსიერების თამაში სულაც არ არის, მითებსა და არაკებს (ვთქვათ, ზებუნებრივი მოვლენების მოუთმენელი ლოდინი) დღეს „ყვითელ პრესა“ ჩაენაცვლა და ხილული მეტამორფოზის როლს ითავსებენ კინემატოგრაფში, ანდაც ეპიკურ მოთხრობებად იქცევიან დანაშაულის შესახებ. ალტერნატივა პოეტსა და პოლიტიკოსს შორის გამორიცხულია. „მაღალი წრეების“ ირონია, რაც ზოგჯერ მოჩვენებით გულგრილობის ნიშანია, კულტურას თავისი ისტორიის ბნელ კუთხეში ამწყვდევს და ამით ამტკიცებს, რომ უთანხმოების კონტრასტული სურათი დრამატიზებულია, რომ პიროვნება და მისი ტკივილი თავის მარადიულ შემოღობილში იყო და დარჩება. ასე ყოფილა ძველად, ასეა დღეს, და ხვალაც უცილობლად ასე იქნება. მაგრამ პოეტმა იცის, რომ არსებობს დრამა, დრამის სიმწვავე, იცის, რომ კულტურის ფარისევლები, ცეცხლის ფანატიკოსი გამჩაღებლები, ნებისმიერი რეჟიმის გარშემო შემოწყობილი ვაიმწერლების ეს კოლაჟი ანაგვიანებს ლიტერატურული დაჯგუფების ცენტრსა და პერიფერიას, და თავისი ფშუტი სულის ნააზრევითა და უნიადაგო ყოფის ერთფეროვანი საღებავებით ცდილობს მარადიულობას ეზიაროს. ისტორიის განსაკუთრებულ მომენტებში კულტურის ყველა დარგი საიდუმლოდ ერთიანდება პოლიტიკოსის წინააღმდეგ: ეს დროებითი ერთიანობაა და ვერძის მოვალეობას ასრულებს დიქტატურის კარის შესალეწად. ნებისმიერი დიქტატურის ჟამს თავს იჩენს ეს ძალა, როცა მისი მოთხოვნა ადამიანის მიერ ელემენტარული თავისუფლების ძიების სურვილს ემთხვევა. ეს ერთიანობა იშლება მას შემდეგ, რაც დაამარცხებს დიქტატორს და წარმოიშობა სხვადასხვა დაჯგუფებათა ჯაჭვი.

პოეტი მარტოსულია: მის წინ შემთხვევითი ლიტერატურული ამხანაგობების მიერ ნასროლი ქვებით სიძულვილის კედელია აღმართული. ამ კედლიდან ჭვრეტს იგი სამყაროს და ძველი აედებივით მოედნებზე კი არ გადის, ან კრიტიკოსებივით „მაღალი წრის“ თავყრილობებს კი არ ეტანება, ამ სპილოსძვლის კოშკიდან, რომელიც ასერიგად ექვირფასებათ რომანტიკული სულის ჯალათებს, ხალხამდე, მათ გულებამდე მიდის და სწვდება არა მხოლოდ მათ გრძნობებს, არამედ მათ იჭვნეულ პოლიტიკურ აზროვნებასაც.

ეს რიტორიკა არ არის: პოეტს ჩასაფრებული მდუმარე ალყა ყველა ერის ყველა დროის ქრონიკის თანმდევია, მაგრამ პოლიტიკოსის მხარეს მდგარი ლიტერატორები მთელ ერს არ წარმოადგენენ, ემსახურებიან მხოლოდ, ვიმეორებ, „ემსახურებიან“ იმას, რომ პოეტის ხმას სამყარომდე მისვლა რამდენიმე წუთით დააგვიანებინონ. თუმცა, როგორც ლეონარდო იტყოდა, „ბოლოს ყველა მრუდე სწორდება“.

**იტალიურიდან თარგმნა**
**ნუნუ გელაძემ**

# „ვცდილობ დრო ნაყოფიერად გამოვიყენო“

*

ლევან ბრეგაძეს
ესაუბრება
დავით გურგენიძე*

**— დღევანდელ მსოფლიოში, ვინც ჭადრაკი იცის, მას საქართველოც ეცოდინება. იშვიათია ქვეყანა, რომელიც ამდენი მსოფლიო ჩემპიონის სამშობლო იყოს — პირად თუ გუნდურ, პრაქტიკულ ჭადრაკსა თუ საჭადრაკო კომპოზიციაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებულთა სამშობლო. თქვენც, ბატონო დავით, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრძანდებით ეტიუდების შედგენაში. პირველი შეკითხვა, რომელსაც დაგისვამთ, ორნაწილიანი იქნება: ა) რამდენად პოპულარულია 21-ე საუკუნის დამდეგს 1500 წლის ისტორიის მქონე ეს თამაში მსოფლიოში და ბ) რა ადგილი უჭირავს საქართველოს მსოფლიო საჭადრაკო რუკაზე?**



— ჭადრაკის პოპულარობა მსოფლიოში შეიძლება რამდენიმე კუთხით განვიხილოთ. მას შემდეგ, რაც გარი კასპაროვმა თამაშს თავი დაანება, მსოფლიო ჩემპიონობისთვის მატჩები ნაკლებად საინტერესო გახდა. მეორე მხრივ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჭადრაკი განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ინდოეთში, თურქეთში, სინგაპურსა და კიდევ ბევრ სხვა ქვეყანაში დღეისათვის საჭადრაკო ბუმია.

თანამედროვე ცხოვრებაში ჭადრაკი არა მხოლოდ სპორტული თვალთახედვით განიხილება. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჭადრაკი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

სპორტული თვალსაზრისით ისეთ არასაჭადრაკო ქვეყნებში, როგორიცაა მექსიკა, სალვადორი, ვენესუელა, მოზარდებისთვის ჭადრაკის სწავლების სპეციალური პროგრამები არსებობს.

რამდენიმე წლის წინ მექსიკაში ერთ-ერთი პროექტის მიზანი 6 მილიონი ბავშვისთვის ჭადრაკის სწავლება იყო. ვენესუელასა და სალვადორში ჭადრაკი ყველა სკოლაში ისწავლება.

ნიუ-იორკში ყოველწლიურად საქველმოქმედო ფონდებიდან ოთხ მილიონამდე დოლარია გათვალისწინებული ბავშვთა ჭადრაკისთვის.

ჭადრაკის სოციალურ-პედაგოგიური ფუნქციის სრული თეორიული ანალიზი არ არსებობს, თუმცა ცნობილია რამდენიმე ექსპერიმენტისა და გამოკვლევის შედეგი. ჰარვარდის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა შეისწავლეს ორი სკოლის მოსწავლეთა განვითარების დონე. ორივე სკოლა ერთ კვარტალში მდებარეობდა. ერთ მათგანში ჭადრაკსაც ასწავლიდნენ. დადგინდა, რომ ამ სკოლაში გაცილებით უკეთესი შედეგები ჰქონდათ მოსწავლეებს, არამარტო მათემატიკაში, არამედ სხვა საგნებშიც.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჭადრაკის მოთამაშე ბავშვები ეჩვევიან დამოუკიდებელ აზროვნებას, უყალიბდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა, რადგან დიდი და ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათ მიერ ჭადრაკის დაფასთან მოფიქრებულ თითოეულ სვლას.

გამოკვლევების შედეგებიდან ირკვევა, რომ ჭადრაკით დაინტერესებულ მოზარდებს შორის მინიმუმამდეა დასული ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება.

ბუნებრივია, ისეთი მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო, ჭადრაკის სპორტული მიმართულება პრიორიტეტულია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ყურადღება, რაც აღზრდის საშუალებად ჭადრაკის გამოყენებას ექცევა ჩვენში.

1996 წლიდან, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, განათლების სამინისტრომ რამდენიმე სკოლაში ექსპერიმენტის სახით დაიწყო ჭადრაკის სწავლება. მას შემდეგ ყოველწლიურად იზრდება ასეთი სკოლების რიცხვი.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჭადრაკით დაინტერესებულ ბავშვთა ასეთი რაოდენობა საქართველოში არასოდეს ყოფილა.

ქართველი მოჭადრაკეები წარმატებით ასპარეზობენ ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატებში. 1992 წლიდან დღემდე ასამდე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი გვაქვს მოპოვებული. შთამბეჭდავია ამ მედლების „გეოგრაფიაც“: ჩემპიონები და პრიზიორები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენლები არიან.

**— კომპიუტერმა და ინტერნეტმა რა ზეგავლენა მოახდინა ჭადრაკზე? რა შემატა ან რა დააკლო მას?**

— კომპიუტერულმა პროგრამებმა დააზუსტა უამრავი თეორიული პოზიცია, გადააფასა ძალთა თანაფარდობანი. მაგალითად, თუ ადრე ითვლებოდა, რომ მხედარს შეეძლო ყაიმის გაკეთება ორი კუს წინააღმდეგ, დღეისათვის დადგენილია, რომ ორი კუ ყოველთვის ჯაბნის მხედარს.

ასეთივე სიტუაციაა საჭადრაკო კომპოზიციაშიც. წარსულის ბევრმა შედევრმა ვერ გაუძლო კომპიუტერულ შემოწმებას.

დღეისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს საჭადრაკო ამოცანის შემოწმება. ამიტომაც კომპიუტერი თანამედროვე საჭადრაკო კომპოზიტორის განუყრელი

---

* საერთაშორისო დიდოსტატი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში

„მეგობარი“ გახდა. მისი საშუალებით გაიოლდა წინამორბედის მოძიება.

კომპიუტერის ხშირმა გამოყენებამ მაინც თავისებური დაღი დაასვა ამოცანებსა და ეტიუდებს. ისინი მხატვრულობის მაღალი დონით ვერ გამოირჩევიან. კომპიუტერისა და ადამიანის ერთობლივი მუშაობის განმსაზღვრელი ფაქტორი მაინც შემოქმედის გემოვნებაა.

პრაქტიკულ ჭადრაკშიც კომპიუტერის როლი ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

**— პირადად თქვენი მოღვაწეობის შესახებ გვიამბეთ — რა საქმიანობას ეწევით ამჟამად როგორც საჭადრაკო კომპოზიტორი, პედაგოგი და ჭადრაკის ისტორიკოსი? როგორია თქვენი გეგმები?**

— ამჟამად რამდენიმე საინტერესო პროექტზე ვმუშაობ, ისინი ქართული ჭადრაკის წარსულთან არიან დაკავშირებული. ქართული ჭადრაკის მემატიანესთან, ბატონ თენგიზ გიორგაძესთან, ერთად გამოსაცემად ვამზადებ „ქართული ჭადრაკის ფოტოისტორიას“. მასში ასახული იქნება ჩვენი საჭადრაკო ცხოვრების ყველა მოვლენა. არქივში უამრავი ფოტო გვაქვს, დაწყებული გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან.

მომავალი წლის 1 აპრილს ბატონ თენგიზს 85 წლის იუბილე აქვს, ამიტომ ვეცდებით წიგნის პრეზენტაცია ამ თარიღს დავამთხვიოთ.



*ნანა ალექსანდრიასა და ნანა იოსელიანთან ერთად*

რამდენიმე წელიწადია ვაგროვებ მასალას ცნობილი ქართველი მოჭადრაკისა და ჭადრაკის მეცენატის ანდრია დადიანის (1850-1910) შესახებ. მის მოღვაწეობას თენგიზ გიორგაძემ ორი წიგნი მიუძღვნა: „თამაშობს ანდრია დადიანი“ და „რაინდული სულის მოჭადრაკე“. ჩემი საზღვარგარეთელი მეგობრების დახმარებით მივაგენი ანდრია დადიანის ბევრ, დღემდე ჩვენთვის უცნობ, პარტიას, ახალ ინფორმაციებს მისი ქველმოქმედების თაობაზე. ანდრია დადიანის შემოქმედებას რამდენიმე უცხოელი საჭადრაკო ისტორიკოსიც იკვლევს. თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა მადლობა ვუთხრა ქალბატონ ლილი ბერაიას, ზუგდიდის მუზეუმის დირექტორს, რომელიც მისთვის ჩვეული გულისხმიერებით დამეხმარა, როცა ზუგდიდის მუზეუმში ანდრია დადიანის პარტიათა ჩანაწერებს ვეძებდი.

იმდროინდელ რუსულ და სხვაენოვან ჟურნალებში დადიანზე ფაქტების ძიებამ მე-19 საუკუნის საქართველოში გამართულ სხვადასხვა ტურნირებსა და მატჩებამდე მიმიყვანა. დღეისათვის შეგროვებული მასალებიდან ჩანს, როგორ ჩაეყარა ჩვენში საფუძველი ტურნირების გამართვას.

1892 წელს თბილისში ჩატარდა ჩვენთვის ცნობილი პირველი საჭადრაკო ტურნირი. 1901 წლამდე კიდევ რამდენიმე ასპარეზობა მოეწყო. შემონახულია მათი შედეგები, ერთ-ერთი მათგანის ცხრილი და რამდენიმე პარტიაც. იქვე აღნიშნულია, რომ 1866 წელს თბილისში შემდგარა ტურნირი ოთხი მოჭადრაკის მონაწილეობით, მაგრამ სხვა ცნობები ამ შეჯიბრების შესახებ 1901 წელსაც არ მოეპოვებოდათ.

მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის დამდეგის თბილისური საჭადრაკო ბატალიები უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ჭადრაკის ისტორიისათვის. ეს მასალა რომ სრულფასოვნად გავაშუქო, იმდროინდელ მოჭადრაკეებზე დამატებითი მონაცემები დამჭირდება.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ ჭადრაკს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან, გიორგი მაჭარაშვილთან, ერთად 2001 წელს გამოვეცი წიგნი „ქართული ჭადრაკი — 2000“. მასში ერთი წლის განმავლობაში ქართველ მოჭადრაკეთა ყველა ოფიციალური შეჯიბრების ამსახველი ინფორმაციაა წარმოდგენილი, აგრეთვე — ქართული საჭადრაკო ცხოვრების ყველა საინტერესო მოვლენა. მას შემდეგ ჩვენ რამდენიმე მსგავსი წიგნი შევთავაზეთ ჭადრაკის მოყვარულებს. მომავალი წლის პირველ კვარტალში კი 2008-2009 სპორტული წლების შემაჯამებელ ნაშრომს გამოვაქვეყნებთ.

თქვენი ჟურნალის მკითხველებს ყველაზე მეტად ალბათ ჩემი შემდეგი პროექტი დააინტერესებთ: „ჭადრაკი ქართულ მწერლობაში“ — ასე ერქმევა წიგნს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ჭადრაკთან დაკავშირებული ეპიზოდები და პასაჟები ყველა მხატვრულად მეტ-ნაკლებად ღირებული ნაწარმოებიდან, ძველი ქართული მწერლობით დაწყებული და თანამედროვეთი დამთავრებული. საკმაოდ სოლიდური მასალა მაქვს თავმოყრილი, მაგრამ ვგრძნობ პროფესიონალის დახმარებაა საჭირო. ამიტომ მინდა ამ წიგნის თანაავტორობა შემოგთავაზოთ, ბატონო ლევან. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ნაშრომი იმ დონისა გამოვა, ქართულ მწერლობასა და ქართულ ჭადრაკს რომ შეეფერება.

მე საჭადრაკო კომპოზიტორი ვარ და, ბუნებრივია, საჭადრაკო ხელოვნების ეს სფერო ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია. ვამზადებ ქართული საჭადრაკო კომპოზიციის ისტორიას. აღმოჩნდა, რომ ამოცანებს თბილისში მე-19 საუკუნის 70-იან წლებშიც ადგენდნენ. დღეისათვის ჩემს კოლექციაში ხუთი ათასზე მეტი ამოცანა და ეტიუდია. ამჟამად ჩემი მთავარი საზრუნავი ამ მასალის „მოთვინიერება“ და მკითხველისათვის სათანადო ფორმით მიწოდებაა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პროექტს უამრავი დრო და დიდი ძალისხმევა სჭირდება. მე თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საჭადრაკო სკოლის პედაგოგი ვარ. ინტენსიურად ვმუშაობ საჭადრაკო კომპოზიციაში და საზღვარგარეთის საჭადრაკო პრესაში ახალ ეტიუდებს ვაქვეყნებ. წიგნებზე სამუშაოდ ცოტა დრო მრჩება, მაგრამ ვცდილობ ეს დრო ნაყოფიერად გამოვიყენო.

ეკა ბუჯიაშვილი

# შენიდან ჩვენამდე

*

## თეკლა ბატონიშვილის გახსენება ერეკლეს სასახლეში

— აბა, რაღაა ანი ჩემი ცხოვრება, ახლა მჭირდებოდა დედა, ჯერ გამოსასვლელი ვარ საქვეყნო ასპარეზზე, ის კი სწორედ ამ დროს გამომეცალა ხელიდანო, — ასე წუხდა 44 წლის ალექსანდრე ორბელიანი, არადა, ცხოვრებას განსაცდელი არ დაეკლო მისთვის — დიდი იმპერიის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების ერთ-ერთ თაოსანს გაცემული ამბოხისა და ჩაფუშული გეგმის ტრაგიზმიც გამოეცადა, გადასახლებაცა და პატიმრობაც, მაგრამ დედის – თეკლა ბატონიშვილის – დაკარგვას ისეთ სასოწარკვეთაში ჩაეგდო, ცხოვრების არსისა და აზრის პოვნა გაძნელებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ თეკლა ბატონიშვილისა და ალექსანდრე ორბელიანის ურთიერთობას ექვთიმე თაყაიშვილი დედაშვილური სიყვარულის სამაგალითო ნიმუშად, იდეალად სახავდა.



*კატო ჯავახიშვილი*

ამ ამბავსაც და 1832 წლის შეთქმულებასაც ბატონი **როსტომ ჩხეიძე** თელავის ისტორიულ მუზეუმში გაიხსენებს, როცა ერეკლეს სასახლის იმ დარბაზში, სადაც ქართველი მეფე უცხოელ ელჩებს იღებდა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ძალისხმევით თეკლა ბატონიშვილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. სიმბოლურია ისიც, რომ ამ საზოგადოებასა და თელავს შორის წლების წინათ დაწყებული ურთიერთობები სწორედ თეკლას — ერეკლე მეფის უმრწემესი და უსაყვარლესი ასულის – გახსენებით განახლდა:

— ახლაც ისეთივე რეალობაში ვცხოვრობთ, როგორიც ორი საუკუნის წინათ იყო, და თუ გვინდა ჩვენი სახელმწიფო ნამდვილ სახელმწიფოს დაემსგავსოს, მოვალენი ვართ ვიცოდეთ დიდებული მოღვაწენი, რომელთა შორისაც თეკლა ბატონიშვილი ერთ-ერთი უპირველესიაო, — იტყვის ბატონი როსტომი და საგულისხმო ეპიზოდებსაც გაიხსენებს ალექსანდრე ორბელიანის მოგონებებიდან, დოკუმენტური პროზის ერთ-ერთ საყურადღებო ნიმუშად რომ შემორჩა ჩვენს მწერლობას, ცოცხლად და მიმზიდველად შემოგვინახა არა მხოლოდ ის ეპოქა, თეკლა ბატონიშვილის სახეც და მნიშვნელოვან წყაროდ იქცა მკვლევართათვის, მათ შორის იოსებ უთურაშვილისთვისაც, ვისაც ეკუთვნის მეტად საგულისხმო მონოგრაფია მეფე ერეკლეს ასულის შესახებ.

სასახლეში გამართულ შეხვედრაზე კი მოხსენებას თეკლას ცხოვრებაზე, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ვახანია წაიკითხავს და კიდევ ერთხელ წარმოაჩენს პიროვნულ პორტრეტსაც და ღვაწლსაც ქალისა, რომელიც თავის სამ შვილთან — ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანებთან – ერთად მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, ალექსანდრე კი სულაც ერთ-ერთი თაოსანი იყო იმპერიის წინააღმდეგ დაგეგმილი ამბოხისა.

ვაჟური ბუნების გამო მეფე ერეკლეს თავისი უსაყვარლესი ასულისთვის 4 წლის ასაკში უბოძებია „სიგელი", რომლის მიხედვითაც თეკლა-ბიჭად უნდა მოეხსენიებინათ და თავადაც ვაჟკაცურად ზრდიდა მას. აკი სწორედ ამ ბუნების გამოა, წლების შემდეგ თეკლა მხნედ რომ ამოუდგება გვერდით გადასახლებაში მიმავალ ამაყ დედას — დარეჯან დედოფალს – და ქმართან ერთად მოზდოკამდე გააცილებს საქართველოს დედოფალს; ამ სიმტკიცით ამხნევებს შეთქმულების გაცემის შემდეგ მკაცრი განაჩენის მომლოდინე შვილებსაც. დედას შეეყვარებინა მათთვის სამშობლო, ის უამბობდათ გარდასულ დღეებზე, წინაპრებზე, წარსულ დიდებაზე... აქედან იღებდა სათავეს ძმების ფანატიკური სიყვარული საკუთარი ქვეყნისადმი.

გონიერებითა და მაღალი ზნეობითაც გამოირჩეოდა თეკლა ბატონიშვილი, ამიტომ თავისი სიბრძნით საყრდენადაც ქცეულიყო შვილებისთვის. საყურადღებოა, რომ ილია ჭავჭავაძე ერთ თავის ნაშრომში საგანგებოდ ჩერდება თეკლას პიროვნებაზე და უაღრესად გულთბილად ახასიათებს მას:

„თეკლა ბატონიშვილი ზედმიწევნით მცოდნე ყოფილა მის დროინდელ ქართულ მწერლობისა, საღმრთო წერილისა, კარგად განათლებული მაშინდელ კვალობაზე ჭკუით, სიბრძნით და სათნოებით შემკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭრიახი. ამისთანა დედა, რა თქმა უნდა, ბევრს რამეს სანაღვლელს და სანატრელს სახელოვანი წარსულისა ჩააგონებდა თავის შვილს და გაუთბობდა გულს სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის ღრმა პატივისცემით".

...და რა გასაკვირია, ასეთ ქალს ალექსანდრე ორბელიანი აღეზარდა, დიმიტრიც, ვახტანგიც... და მთელი თავისი ცხოვრებით წარუშლელი კვალი დაეჩნია იმ ეპოქისათვის, ორი საუკუნე რომ გვაშორებს და იმავე რეალობაში კი ვცხოვრობთ ისევ.

...ერეკლეს სასახლეში შეხვედრა პოეზიის საღამოთი გრძელდებოდა — თეკლა ბატონიშვილის ფსევდონიმით მკითხველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ახალგაზრდა პოეტი **კატო ჯავახიშვილი** კითხულობდა ლექსებს.

„შენიდან ჩემამდე" — ასე დაურქმევია თავისი კრებულისათვის და ამ სათაურში „დაჭრილ მანძილში" სწორედ თეკლა ბატონიშვილიდან დღევანდლობამდე ხანა უგულისხმია პოეტს, ამ ქალში სულაც თავისი იდეალის განსხეულე-

ბას რომ ხედავს. შეხვედრაზე კი ახლა შეკრებილები საუბრობდნენ: თეკლა ბატონიშვილზეც, მთელ იმ ეპოქაზეც, დღევანდელობაზეც და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ღვაწლზეც ეპოქათა გზაჯვარედინზე.

სიტყვით გამოვიდნენ თელავის ისტორიული მუზეუმის დირექტორი **გია ბატიაშვილი,** უნივერსიტეტის პროფესორი **გიორგი ჯავახიშვილი,** მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის" თავმჯდომარე **ფარნაოზ რაინაური,** პოეტი **ნუციკო დეკანოზიშვილი...**

საღამოს დასასრულს კი თელავის უნივერსიტეტის პედაგოგი **თინათინ ბიჭოლაშვილი** ასეთ ინფორმაციასაც მოგვაწვდის:

— კალუგაში პირად საქმეზე ყოფნისას სულ შემთხვევით შევიტყვე, რომ არსებობს რუსული დოკუმენტები — იქაურ არქივებში დაცული — რომელიც თეკლა ბატონიშვილის გადასახლებაში ყოფნის ჟამს ასახავს და ძალზე საინტერესო მასალა იქნება მკვლევარებისთვისო.

* * *

თელავის სამუზეუმო კომპლექსი „ბატონის ციხის" სახელწოდებით „კახთ მეფეთა სასახლესთან" ერთად მეფის აბანოს, კარის ეკლესიებს, ერეკლე II-ის მიერ XVIII ს-ის 50-იან წლებში დაარსებული ფილოსოფიურ-სალვთისმეტყველო სკოლის ნაგებობის ნაშთებს, საიდუმლო გვირაბს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარის უნიკალურ კარიბჭეებს, მუზეუმს, ყოფილი წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელსა და ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეას მოიცავს.

ამ ყველაფრის შესახებ საინტერესო ცნობების მოძიება შეიძლება მუზეუმის ხელმძღვანელობის ძალისხმევით მომზადებულ, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ ალბომში, ცალკეული ფონდების ექსპოზიციებსაც რომ გვაცნობს, ჩვენ კი ქეთევან იაშვილის სამხატვრო გალერეას ვსტუმრობთ და იქ დაცულ უნიკალურ კოლექციასთან ერთად **ჯემალ ხუციშვილის** საინტერესო ფერწერასა და პოეტ **მარინა კოზმანიშვილის** ქვის ფიგურების ორიგინალურ გამოფენასაც ვათვალიერებთ — 600-მდე პატარა ქანდაკებას, ქვაში ამეტყველებული სიცოცხლის, მართლაც „ქვის პოეზიის" უჩვეულო ნიმუშებს.

ორდღიანი სტუმრობისას ყვარელსაც ვეწვევით და ილია ჭავჭავაძის მუზეუმში მაღალ დონეზე წარმოდგენილ ექსპოზიციასაც მოვინახულებთ. ამ სამყაროში საინტერესო მეგზურობას გაგვიწევს მუზეუმის თანამშრომელი **მაია შავბალახაშვილი;**

მერე ილიას სახლის კედლების მადლსაც ვეზიარებით, მის მარანშიც შევიხედავთ და აყვავებულ ეზოში ხუთასწლოვანი კაკლის ჩრდილშიაც გავივლით...

თანამედროვე მიღწევებით წარმოდგენილი ექსპოზიციები დაგვხვდება კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმშიც, სადაც ამ დიდი მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების გზებს **ანა ქემოკლიძე** შემოგვატარებს.

მანამდე კი...

მანამდე ალავერდის ტაძარი იყო, სადაც რესტავრაცია მიმდინარეობს და სულ მალე განახლებულ ძეგლს იხილავს საზოგადოება.

შუამთის მონასტერში კი, საიდანაც წაიყვანეს და დააპატიმრეს 1832 წლის შეთქმულების კიდევ ერთი მონაწილე, „აქტი გონიურის" შემდგენელი ფილადელფოს კიკნაძე, ეს ეროვნული გმირიც გავიხსენეთ და მის ხსოვნასაც მივაგეთ პატივი.

ორი საუკუნის მანძილს გვინათებდა ძველთაძველი ეკლესიის კედლებში ალიცლიცებული სანთლები...

ტრაგიკულ ბედად დასდევნებოდა ის რეალობა საქართველოს, დარდიც დასდევნებოდა თეკლა ბატონიშვილისა, საფლავში რომ ჩაჰყოლია გაუხარელი სამშობლოს გამო.

— აბა, რაღაა აწი ჩემი ცხოვრება, ახლა მჭირდებოდა დედა, ის კი სწორედ ამ დროს გამომეცალა ხელიდანო, — თავისსას წუხდა ალექსანდრე ორბელიანი.

...და რა იცოდა მაშინ, რომ ორი საუკუნის შემდეგაც ასევე დასჭირდებოდა თეკლა... მთელ საქართველოს.



ქარდა ქარდუხი

# შიოს მწვერვალი

✵

## მინაწერები ბიოგრაფიულ რომანზე „მზე და მწუხრი"

ბურანიდან ამოიჭრება თითქოს არაგვისპირელის სახება, მძიმედ, დუნედაც შეიძლება მოგეჩვენოს, მაგრამ იკვეთება ნელინელ, როგორც მარმარილოზე საჭრეთლის მონოტონური კაკუნითა თუ ხეთქებით გამოიჭრება ქანდაკი კაცის, და ხელშესახებად ცხადი და ნათელი ხდება.

როგორღაც ახერხებს როსტომ ჩხეიძე შიოს თანამედროვე გაგვხადოს, მისებურია ხელწერაც, არავისში შეგეშლება, ცნობიერების ნაკადად მოედინება თითქოს დაბნეული და გაფანტული თხრობა, სადღაც მაინც რომ იკვრება; გგონია, უკვე დაჰკარგე სიუჟეტური ძაფი და ვერაფერი გიშველის ძირითადსა და მთავარს მიჰყვე და დედააზრს გაადევნო გონება, რომ უცებ ამოიჭრება ადამიანის მთელი ბიოგრაფიული შტრიხი თავისი ნიუანსებით და ფიქრობ — შიოს ვიცნობ, სახოკიასავით ჩემი მეგობარიც იყო და ჩემთან ერთად დატანტალებდა აგერ, სკოლაში თუ სემინარიაში და მეც მეშინოდა კუპრივით შავი, ნახვისას პირჯვარგადასაწერი ბალღისო; სითბოთი ჩაგეჭრება გულში მივიწყებული გმირის (კი გმირის) აღმოსავლური შავლეგო ჰაბიტუსი და გაგათბობს როგორც დედაბრიშვილის მამის წვერზე დაკიდული კანფეტები ათბობს და მოუბრუნებს გულს ერთ ციდა გოგოს, წვერის შეჭრით რომ ემუქრებოდა მღვდელს, როგორც მითიურ ტყაშმაფას აუვნებელყოფენ უმთავრესი ძალის – დალალების მოკვეცით, როგორც სამსონს აუვნებელყოფენ ღვთაებრივი თმის შეჭრით, ასე რომ ემუქრებოდა მღვდელს წვერის შეკრეჭვითა და ისიც ძილში, ამსოფლიურ სიძნელებათაგან მცირეხნით განკიდევანებულს.

* * *

არაფერს ვიტყვი როსტომ ჩხეიძის ენერგიაზე, რომელიც ასე ანებივრებს მკითხველს ბიოგრაფიული რომანებით, არ ელოდები, თითქოს ისეთ პიროვნებას მიუძღვნის და ხელახლა აღმოუჩენს თანამედროვე მკითხველსაც და საზოგადოებასაც, ფართო ლიანგებს. კარგად გამოსდის ეპოქა დახატოს პიროვნების ბიოგრაფიით, და ამ დროს არც მისდევს თითქოს გმირის ცხოვრებას, ააგებს პირამიდას ცნობიერების ნასხლეტებით, მოგონებებით, საარქივო თუ მემუარული ცნობებითა თუ ნაკვესებით და აჰყავხარ ნელი-ნელ მწვერვალზე, შიო არაგვისპირელის მთა რომაა, და ხან რომ გვგონია, არა აქვს მწვერვალი, და თვითონაც არ ელი, ისე აღმოაჩენ, არათუ ჰქონია მწვერვალი, ციცაბოც ყოფილა საკმაოდ, სახიფათოცა და ძნელადასასვლელიც; და რაოდენ გიხარია, რომ შენც მოგახერხებინა ავტორმა მწვერვალის დალაშქვრა.




* * *

როგორ იხატება არაგვისპირელის ფსევდონიმად აღების თითქოსდა აშკარა თავგადასავალი, როგორ ასურეთამდე ჩასდევს ავტორი, „ქალდეას მონატრებასაც" გაგახსენებს და დიაგნოზივით დასვამს– ყველა ქართველს რაღაც არამინიურ წარსულში, იდიგინასა და ბურანუნას ორმდინარეთში ეგულება სანყისი თუ ფესვები, სადაც ღმერთები დაეშვნენ პირველად, სადღაც ერიდუში: ყველა ქართველს იქვე, მესოპოტამიის შემოგარენში რომ ეგულება წინაპრები, მაინც. ეჭვიც არ შეგაქვს „არაგვისპირელი განბილებისა" რომაა და, შიოს დაასწრეს, თორემ „მღვიმელს" იგი აირჩევდა უთუოდ, და სინანულიც გაგკრავს თითქოს, ვერ მოასწროო.

* * *

გლობალური და მასშტაბური ანალიზის ფონზე მთელი კაცობრიობის გამოცდილებაზე დაყრდნობით იკვლევს მწერალი ნოველის არსსა და რაობას და აანალიზებს მას არაგვისპირელის შემოქმედების ჭრილში, დამაჯერებლად და დამარწმუნებლად, „თქმული სიდონია დედაკაცისა"-დან და ანტიკური ხანიდან მოყოლებული მთელი შუასაუკუნეების მწერლობა აქვს ერთ ლამაზ პრიზმაში გატარებული. გულისშემატოკებლად მოქმედებს მკითხველზე, ბიოგრაფოსი მამის –ოთარ ჩხეიძის– სულს რომ გამოიხმობს უკვე გაკვალულ, მამისგან გაკვალულ ღრანტეებში სამოგზაუროდ, ოთარ ჩხეიძის სუნთქვაც გესმის არაგვისპირელის ბიოგრაფიული რომანის კითხვისას, ასე ოსტატურად რომ გასმენინებს ავტორი და თან მამაშვილობის მართლაცდა იშვიათ და ძაფის ხიდზე გასასვლელ ნიუანსებს ეხება ხელით.

* * *

რომანული სიუჟეტებიც გამოკრთება ხოლმე 16 წლის საკინძეჩახსნილი გოგონას სახით, სამოცი წლის გაბუდაყებულ ვაჭარს რომ მიათხოვებენ და კლასიკური სასიყვარულო, მაგრამ ამჯერად ტრადიციული სამკუთხედიც ინაკვთება ბიძის, ძმისწულისა და მეგობრის სახით — ტრადიციული ქართული ვაშინერსით რომ ზღვარდადებულა ენითგამოუთქმელი ურთიერთობისას, თითქოს განიცდი, ემანდ ვინმეს რამე არ შეეშალოსო, არაგვისპირელისთვის საბედისწეროდ რომ გასრულდება შემდგომ და საზოგადოების რისხვად გადაექცევა ბოლოს.

* * *

საოცარ ოსტატობას ავლენს მწერალი, როცა შიოს ევროპულ სტუდენტობას აღწერს, იმდროინდელ ახალ „რელიგიასთან" – მარქსიზმთან — შეხებაც რომ უწევს და თვით „სიმართლის თქმით დაღლილ" ფილიპე მახარაძესაც კი ადამიანურ რაღაც პროფილს უძებნის და გაოგნებულს დაგვანახებს საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ სასტიკად მებრძოლს, – რა ემართება ამ ხალხს, თითქოს თავიდან სწორ პოზიციაზე არიან და უცებ ეროვნული ბაცილა შემოეყრებათო, რაღაცნაირად გეცოდება თვით ეს უსამშობლო რევოლუციონერიც კი....

* * *

ისე მრავლისდამტევია თხრობა და ფართო ჰორიზონტი კვლევისა – ქართული ლიტერატურის ისტორიას მომაგონებს თავისი მონუმენტურობით, როგორც ოთარ ჩხეიძის ჩანაფიქრი „ახალი ქართლის ცხოვრების" რკალად რომ განეზრახა რომანების ციკლი, ასევე ხომ არაა ამ შემთხვევაში და საქმე ფაქტობრივად ქართული ლიტერატურის ისტორიასთან ხომ არ გვაქვს? მით უფრო, რომ სხვა წიგნებში თითქოსდა კვეთენ ერთმანეთს ეპოქათა სამანები, „აგვისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)" ხომ საერთოდ მთელი XX საუკუნის II ნახევრის ისტორიაა თითქოს, მაგრამ ეს სხვა თემაა და აქ არ განვავრცობთ, მითუმეტეს – ეს უფრო ლიტმცოდნეების სფეროა და არა უბრალო შთაბეჭდილებებისა თუ გამოხმაურებისა.

* * *

განსაკუთრებით ფინალმა შემძრა ამ წიგნში, როცა მწერალი შიოს შვილის – შოთას — სახეს გვიხატავს, თითქოს მარადიულ ფილოსოფიამდე, ცხოვრების უბრალო სარკასტულ ფილოსოფიამდეა აყვანილი: წუთისოფელში უმწეოდ და უნუგეშოდ მირჩენილი შვილი, განდევნილი, მოკვეთილი, საზოგადოებისაგან გარიყული, მწერლის შვილი, უცხო ენაზე მოლაპარაკე რომ დააბიჯებს თბილისში, როგორც ამ გულგრილი და უზნეო საზოგადოების განაჩენი.

**P.S.** მე მგონი, ზედმეტი საუბარი არ ეგების ამ წიგნზე, ერთადერთი გზა მისი ნამდვილი ღირსების გასაგებად წაკითხვაა მხოლოდ, იმასღა დავამატებ– მადლობა როსტომს ამ წიგნისთვის და კიდევ იმიტომაც, რომ „მაიძულა", „ქართული მწერლობის" 32–ე ტომი მომეძია მაღაზიებში (ათამდე ტომი გადავშალე, ვიდრე შიო არაგვისპირელის ტომეულს მივაგნებდი) და გადამეკითხა: იქ სადღაც ჩემი ბავშვობის ტკბილი მოგონებები იყო შემორჩენილი.

გურამ ბათიაშვილი

# სახეები და სიტუაციები

* * *

რასაც ახლა დავწერ, ძვირფასო მკითხველო, ყველაფერი იერუსალიმში ხდება და კარგად რომ დაფიქრდეს კაცი, შეიძლება ერთი რომანის ქარგადაც გამოდგეს.

1991 წლის აპრილის ბოლო დღეებში საქართველოში მიწისძვრა მოხდა. უსახლკაროდ დარჩა ასობით ოჯახი, განსაკუთრებით რაჭაში. ისრაელის ქართველი ებრაელობა აალელვა საქართველოს მოსახლეობის მძიმე მდგომარეობამ, შექმნილა (მე იერუსალიმში პირველ მაისს ჩამოვედი) საქართველოს დახმარების კომიტეტი. ყველა ქალაქში საქართველოსთვის დახმარებას აგროვებენ.

რამდენიმე დღეში ისრაელის პარლამენტის წევრი ეფრაიმ გური ისრაელის მოსახლეობის ძღვენს ჩაიტანს საქართველოში. ეფრაიმი მეუბნება: პრეზიდენტს ხომ არ დაველაპარაკოთ, ხომ არ ვკითხოთ რა სჭირდებათ, რაზე გავამახვილოთ ყურადღებაო. კარგი აზრია-მეთქი. დავრეკე. ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მდივანსა, თუ თანაშემწეს ვუთხარი ვინც ვიყავი. პრეზიდენტმა ყურმილი მალე აიღო, მოვახსენე, რაც ისრაელში ხდებოდა. ძალიან გაიხარა. ახლა კი ეფრაიმ გურს გალაპარაკებთ-მეთქი. ეფრაიმი ზვიად გამსახურდიას გულითადად მიესალმა და მცირე საუბრის შემდეგ უთხრა, ჩვენ აქ ვცდილობთ, ბევრ რამეს ვაგროვებთ, თქვენ კი იქნებ, სხვა რამ გჭირდებათო. ეფრაიმი ზ. გამსახურდიას უსმენს და ვხედავ როგორ ეცვალა ფერი ისრაელის პარლამენტის წევრს. ქვედა ტუჩიც კი ჩაიკვნიტა. აშკარაა, რომ რაღაც ვერ არის რიგზე. ეფრაიმი პრეზიდენტს დაემშვიდობა ყურმილი დასდო, ერთხანს უხმოდ ზის. მზერით კი ვეკითხებოდი, რა ხდება-მეთქი, მაგრამ არაფერს მპასუხობს. მერელა თქვა:

— შევცდით, არ უნდა დაგვერეკა. რასაც ჩავიტანდით, ყველაფერი სასიამოვნო იქნებოდა.

— რატომ, რა მოხდა?!

— ისეთი რამ მთხოვა, რომლის გაკეთება თითქმის შეუძლებელია — კარვები გვიჭირსო, ხალხს მინდორში ძინავსო. ისრაელი კი კარვებს არმიის საჭიროებისათვის ჰოლანდიაში ყიდულობს. შეუძლებელია!

მივხვდი, რამდენად უსიამოვნო მდგომარეობა შეიქმნა. ეფრაიმი ცუდ გუნებაზე დადგა. ერთხანს უხმოდ იჯდა, ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— ბატონო პრემიერ-მინისტრო, სასწრაფო საქმე მაქვს, იქნებ ათი წუთი უნდა დამითმოთ. აუცილებელია.

პაუზა.

— იცხაკ შამირს ურეკავ? — ვეკითხები ეფრაიმს. ეფრაიმი თითით მანიშნებს მაცალე, ვუსმენო. მერე ყურმილი დასდო და თქვა — გავვარდეთ!

თუ ათ წუთში მოხვალ, მნახავ, თუ არადა, ორ დღე-ღამეს არ მეცლება, ვერ მნახავო, უპასუხნია პრემიერს. ამიტომ კიბეზე სირბილით ჩავედით, მანქანაშიც საჩქაროდ ჩავსხედით და პრემიერ-მინისტრის კანცელარიისაკენ გავეშურეთ. შორს არ იყო — ბევრი არ გვივლია, მაგრამ ეფრაიმს სიტყვა არ უთქვამს, ალბათ, იმაზე, თუ ფიქრობს, რა და როგორ უთხრას პრემიერს-მეთქი და მეც არ ამომიღია ხმა. პრემიერის კანცელარიასთან რომ მივედით, მანქანიდან გადავიდა, მითხრა „აქ ხო იქნები?" კი-მეთქი.

ცხელოდა, მანქანიდან გადავედი, იქვე, ხეივანს შევაფარე თავი. იცხაკ შამირი რომ ეფრაიმს ერთობ აფასებდა, ამის მოწმე ამ შვიდი თვის წინათ გავხდი, მაგრამ მაინც... სამხედრო დანიშნულების კარავი?

ეფრაიმმა კანცელარიაში ალბათ, ნახევარ საათზე მეტ ხანს დაჰყო — წავიდა ფიქრით, საზრუნავით დათრგუნვილი კაცი და ვხედავ, კანცელარიიდან მსუბუქად მოაბიჯებს, ლაღი, სახენათელი ჭაბუკი — ისეთი, როგორიც მაშინ იყო ეფრაიმი — 36 წლისა.

— იცი, რა ვუთხარი? ჩემს სამშობლოს უჭირს და ერთად დავეხმაროთ-მეთქი — გახარებული მეუბნება ეფრაიმი, იმდენად გახარებული იყო, ყველაფერი მიამბო: თუ როგორ დაურეკა იცხაკ შამირმა თავდაცვის მინისტრს, როგორ სთხოვა ერთი სამხედრო კარავი, იმან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგრამ შამირი რის შამირი იქნებოდა, თუ თავისას არ გაიტანდა. შამირმა კი ქვას მაშინ შეუშვირა თურმე თავი, როცა ეფრაიმმა სამხედრო თვითმფრინავი სთხოვა — საქართველოში ჰუმანიტარული დახმარება ისრაელის სამხედრო თვითმფრინავით უნდა ჩავიტანოო.

— საბჭოთა კავშირში ისრაელის არმიის თვითმფრინავს ვინ შეუშვებს, კიდეც შეუშვან, რაიმე ხათაბალას გადაეყრები — ამბობს შამირი და საკითხის გადაწყვეტას რომ თავი აარიდოს, მოუცლელობას იმიზეზებს (მართლაც ეჩქარებოდა თურმე, მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეზე ეშურებოდა) ეგ საკითხი ორ დღეში გადავწყვიტოთო. მაგრამ ეფრაიმი არ დანებდა მთავრობის მეთაურს — ორ დღეში — ზეგ თუ არა, ხუთშაბათს უნდა გავფრინდეო. ეფრაიმი ერთობ გახარებული გახლდათ — ბოლოს ეს საკითხიც დადებითად გადაწყდებაო.

ამასობაში მზეც გადაიხარა, სასტუმრო „ჰილტონში" მსოფლიოს ებრაული კონგრესის მორიგი სხდომა იწყებოდა, რისთვისაც გახლდით იერუსალიმში ჩამოსული. იმ დღეს უნდა არჩეულიყო მსოფლიოს ებრაული კონგრესის გამგეობა — ფაქტიურად მსოფლიოს ებრაული პარლამენტი.

მაგრამ ამ არჩევნებამდე ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა და ამან უფრო დამამახსოვრა ეს დღე:

მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის ებრაელობა მთელი 70 წელი იზოლირებულ ცხოვრებას ეწეოდა. იზოლირებული ვიყავით მსოფლიოს ებრაელობისაგან. ჩვენ არ ვიცოდით, როგორ ცხოვრობდა ამათუიმ ქვეყნის ებრაელობა, რა ამოძრავებდა, რა ტენდენციებს უდებდა სათავეს. მსოფლიოს ებრაული კონგრესი კი თითქმის მთლიანად აირეკლავდა მსოფლიოს ებრაელობის ცხოვრებას.

დღეს, 1991 წლის 6 მაისს, მანამ, სანამ გამგეობის არჩევნები გაიმართებოდა, უნდა გადაწყვეტილიყო ჩვენი — საბჭოთა კავშირის ებრაელობის — მსოფლიოს ებრაულ კონგრესში მიღება-გაწევრიანების საკითხი. ამაზე შარშან, ბრიუსელშიც იყო საუბარი, მაგრამ ათასმა ბიუროკრატიულმა წინაღობამ ხელი იმდენად შეგვიშალა, რომ საკითხი

* თავები მეორე წიგნიდან

არც განხილულა. დღეს კი ამ თემაზე ყრილობას კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი იზი ლიბლერი წარუდგა.

აი, რა თქვა მაშინ იზი ლიბრელმა, აი, რა ჩამიწერია ჩემს დღიურში:

— ბატონებო, ძვირფასო მეგობრებო, ებრაელებო! დღეს ჩვენ ძალიან ბედნიერნი ვართ. მრავალი წელი ვოცნებობდით ჩვენს შორის გვეხილა ჩვენი დები და ძმები — ის სამი მილიონი ებრაელობა, რომელიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობს. ვიბრძოდით, რომ ყველა საბჭოთა ებრაელს ეცხოვრა ებრაულად. ამ იდეას აცოცხლებდა ებრაული კულტურა. ამისთვის იბრძოდა ჩვენი პრეზიდენტი ედგარ ბროფმანი. აი, ისინი, აი, საბჭოთა კავშირის ებრაელობის წარმომადგენლები დღეს აქ არიან.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება, ტაშს გვიკრავს. ტაშით ესალმებიან ებრაულ წიაღში ჩვენს დაბრუნებას. გაისმის შეძახილები — სიხარულის, აღფრთოვანების შეძახილები. ყრუანტელისმომგვრელი ემოცია აპოგეას აღწევს. ბევრი ადამიანის თვალებში ცრემლი კიაფობს.

ტაში არადა არ ცხრება. აცხადებენ სიტყვა საბჭოთა კავშირის ებრაელობის დელეგაციის ხელმძღვანელს, პროფესორ მიხეილ ჩლენოვს ეძლევაო. კიდევ უფრო იქუხა ტაშმა. ტანმორჩილი, შთამაგონებელი მზერის, ინტელექტუალი მიხეილ (მიკა) ჩლენოვი აუჩქარებლად მიდის ტრიბუნასთან. იწყებს თავის გამოსვლას... ებრაულ ენაზე.



ვასილი კანდინსკი — აბსტრაქცია

და დარბაზში ისევ იქუხა ტაშმა. კვლავ ფეხზე წამოდგა მსოფლიოს ებრაელობა. მიკას ებრაულ ენაზე გამოსვლით მსოფლიოს ებრაელობამ დაინახა ის მუგუზალი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ნაღვერდალში ყოფილა შენახული. ტაში მინელდა, მერე კვლავ გაძლიერდა და ვილაცამ ებრაული სიმღერა წამოიწყო — ძლიერი, ღონიერი სიმღერა. ხალხი სიმღერას აჰყვა. მღერიან, ყველა მღერის, ვილაც ქალმა ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი წკიპურტით მოისროლა, მაგრამ ახლა უფრო მეტად წასკდა ცრემლი, ცხვირსახოცი აიფარა სახეზე.

სიმღერა კი უფროდაუფრო ღონიერი ხდება, ყველა მღერის — მოზამბიკელიც და სამხრეთ აფრიკელიც, უნგრელიც და ამერიკელიც, ქართველიც და უზბეკიც, რუსიც და ესპანელიც. და ყველა ებრაელია, ყველა ერთ — თავის ჰანგზე — მღერის, სიმღერას ცეკვა მოსდევს, ადამიანები ერთ წრეში მოექცნენ, მღერიან ცეკვავენ, გამთლიანებას დღესასწაულობენ... მიკა კი დგას ტრიბუნასთან — მომღიმარი შესცქერის ოცნების ასრულებას — მსოფლიოს ებრაელობის გაერთიანებას.

მერე იყო მიკას — პროფესორის, ცნობილი ეთნოლოგის — მიხეილ ჩლენოვის შთამაგონებელი საუბარი, მერე კენჭისყრა, მერე გამგეობის არჩევნები და...

კონგრესის სხდომა რომ დამთავრდა, გვიანი საღამო იყო — ალბათ 10 საათი. ეფრაიმი ჩემს ზარს ელოდა. მეც არ შემეძლო დღევანდელი სიხარული არ გამეზიარებინა მისთვის. „მახანეი იეჰუდას“ უკანა მხარეს ათასი პაწია რესტორანია. ერთ-ერთს ვესტუმრეთ. იმ ღამეს ნაჭამი კერძის — „იერუსალიმური“— გემო ახლაც მახსოვს. დიდხანს ვიბაასეთ, იცხაკ შამირის — ამ ტანდაბალი, მამაცი, მოუსვენარი პრემიერის კეთილგანწყობასაც თავისი მივაგეთ.

ნაშუაღამევს დავიშალეთ. — მე ფეხით მეწადა გავლა. ეფრაიმს არ გავყევი. იაფოს ქუჩას მივუყვებოდი. ჩემი სასტუმროს — „იერუსალიმის ჭიშკარი“— უკვე მოჩანდა.

* * *

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის იუბილესათვის მზადებისას, ამ თეატრის მესაძირკვლის — ლერი პაქსაშვილის ხატება მდევდა თან — ისევე ვხედავდი, როგორც ადრე, თვალწინ მედგა მისი ანთებული მზერა, მანერული ჩაცმა თუ მოძრაობა. მე ვიცი საიდან მოდიოდა ეს ყველაფერი: სანდრო ახმეტელის დიდი, უზარმაზარი თაყვანისმცემელი იყო. ის, რაც ჩვენთვის მანერულობის იერს ატარებდა, მისთვის ქართული სულის ახმეტელისეული გამოვლინება იყო. ცხადია, გარეგნული, არა არსში, ფორმაში გამოხატული სული ახმეტელისა.

შეუპოვარი იყო, მებრძოლი. ქიშპში არაფერს დათმობდა, ერთ მისხალსაც კი. მეგობრობა, ადამიანური ურთიერთობა ბევრ რამეზე ათქმევინებდა უარს. ალბათ, ამის გამოც ჰყავდა უამრავი მეგობარი.

ამასწინათ ერთმა თეატრმცოდნემ სინანულით მითხრა, მუზეუმში მასალებს ვეცნობოდი და დავრწმუნდი, წელში იმათ გადატეხეს, ვისთან ერთადაც დიდი ქალაქის ამ ახალ, საძინებელ რაიონში სულიერებას ამკვიდრებდაო. მართლაცდა, ლერი კი არ დაბერდა, დროთა რბოლამ კი არ მიანავლა, წელში გადატყდა — ბოლო წლებში, ეს მოძრავი, რაღაცის დამკვიდრებით ან უარყოფით მუდამ აფორიაქებული, ისე დადიოდა, თითქოს ამ სამყაროს არ ეკუთვნოდა, თითქოსდა, ეს ჩვენს შორის მოსიარულე (ლერიზე მიჭირს თქმა მოლასლასე-მეთქი) კაცი ჩვენს შორის აღარ იყო. იგი მანამ ცხოვრობდა, სანამ ქმნიდა, ამ ქვეყნის ნაწილი მანამ იყო, სანამ თეატრს აყალიბებდა, სპექტაკლებს დგამდა — ზოგჯერ კარგს, ზოგჯერ სუსტს, მაგრამ ქმნიდა და თავს სამყაროს ნაწი-ლად მიიჩნევდა. ხოლო, როცა სამოქმედო ასპარეზი გამოაცალეს, ეს ჩვენს შორის მყოფი კაცი სხვა სამყაროდან ჩვენს შორის შემთხვევით მოხვედრილს გავდა.

რამდენი რეჟისორი ჩავარდნილა ამ დღეში!

დღესაც ყურში ჩამესმის ბატონი დოდო ალექსიძის ნაამბობი იმაზე, სანდრო ახმეტელი რუსთაველის თეატრთან აცრემლებული როგორ მიყრდნობოდა ბოძს — იგი დღეს თეატრიდან გამოაძევეს. ე.ი. სასიცოცხლო მუხტი გამოაცალეს.

ხშირად დგება ჟამი თეატრიდან რეჟისორთა მოკვეთისა.

„რეჟისორი თეატრიდან მიდის“ ასე დაარქვა თავის წიგნს მიხეილ თუმანიშვილმა.

სწორედ რეჟისორებს უდგებათ ჟამი ცრემლთა დენისა — რადგან ისინი არიან მეთაურნი, იდეათა სულისჩამდგმელნი, შხამიანი ფიალების შესმა მათი მწარე ხვედრია.

თუმცა, დგება ჟამი სინანულისა — ცთომილებათა შეცნობისა.

კაცთა ხსოვნაში მკაფიოდ აღიბეჭდება ყველაფერი.

მეხსიერებას ვერც ცთომილნი უხერხებენ რაიმეს — საითაც არ უნდა გაიქცნენ, ნამოქმედარი თან მისდევთ.

დღეს მის მიერ შექმნილი თეატრის იუბილეზე სინანულით, გულისტკივილით ვიხსენებ ლერი პაქსაშვილს.

ბოლოსდაბოლოს ყველა რეჟისორი მიდის თეატრიდან. მე ადამიანის გამეტება, ადამიანისადმი უდიერი დამოკიდებულება, უპატივცემლობა მაწუხებს. მინდა რობერტ სტურუას ნათქვამი ფრაზა გავიმეორო: მდუმარედ ნუ გაჰყვებით ქარავანს! და დავუმატო: თქვენი პროფესია არტისტობაა — ემოციათა, გრძნობათა ცვალებადობა და არა მსჯავრის გამოტანა. ამიტომ ფრთხილად იყავით, მეგობრებო, ძალიან ფრთხილად!

* * *

იმ დღიდან 20 წელზე მეტი გავიდა, ლამის ოცდახუთიც, მაგრამ მაინც ვერ ჩავხვდი, თუ რატომ გააკეთა ეს ბ-მა ოთარ თაქთაქიშვილმა. დიდებულმა კომპოზიტორმა და საქართველოს კულტურის მინისტრმა შეხვედრის დასაწყისში თქვა კიდეც:

— ჩვიდმეტი წელია კულტურის მინისტრი ვარ, ჯერ არ მქონია შემთხვევა, დრამატურგთან ასე დავმსხდარიყავით და მესაუბრა პიესის თაობაზე, მის ავ-კარგზე. ამას ესენიც კარგად აკეთებენ.

„ესენი" კი იყვნენ: მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ გურაბანიძე, კულტურის სამინისტროს მთავარი რედაქტორი, დიდებული მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძე, თეატრალური სამმართველოს უფროსი ალეკო შალუტაშვილი, რედაქტორები ეთერ გალუსტოვა და ვაჟა ბრეგაძე.

საქმე ისაა, რომ ჩემს ახალ პიესას „ახლო არს ზაფხული" იჭვის თვალით შეხედა ცენზურამ. გულახდილად რომ ვთქვა, ჰქონდა კიდეც იჭვის მიზეზი: პიესა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო ქართველ თავადთა შეთქმულებას ეხებოდა. ცენზურას პიესა პარტიის ცეკასათვის გაუგზავნია, ასეთი „კრამოლა" დაიწერაო. ამ პიესის ბედი ცოტა უკეთესი იყო, ვიდრე წინა პიესისა. მხედველობაში მაქვს პიესა „ვალი" — იგი პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც გაგზავნეს და სხვა — ავადსახსენებელ ორგანოშიც. იმ ორგანოსთან რომ საქმე არ მქონდა, ეს მამხნევებდა. როგორც ჩანს ამიტომ, სწორედ ერთობ დაურიდლად ვრეკავდი ცეკაში პიესას რატომ აყოვნებთ-მეთქი. ეს ჩემი გულუბრყვილო დაურიდებლობა თუ გახდა იმის მიზეზი, რომ ცეკამ სამინისტროს დაავალა რამენაირად დაეცხროთ ჩემი ენთუზიაზმი.

ცხადია, პარტიის ცეკას იმ მუშაკს, რომელსაც პიესის განხილვა დაევალა, არ ენადა ცეკას სახელით ეთქვა უარი პიესის დადგმაზე და მე — ესოდენ თავხედი ავტორი (ჩემი „თავხედობა" კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ვკითხულობდი, როდის წაიკითხავთ პიესას, პასუხს როდის მივიღებ-მეთქი) რომ თავის ადგილზე დაესვა, კულტურის სამინისტროს დაავალეს ჩემთან საუბარი. მაგრამ ბატონი მინისტრის ნათქვამისა არ იყოს, როცა ეს ძალიან საჭირო გახლდათ, რედაქტორები, სამმართველოს უფროსი, თუ მთავარი რედაქტორი ამას ყოველთვის კარგად აკეთებდნენ, მითუმეტეს, რომ მე ყოველ მათგანთან ერთობ მეგობრული დამოკიდებულება მქონდა. მეგობრებს კი პრობლემებს არ ვუქმნი.

პირველი სიტყვა მთავარმა რედაქტორმა, ბატონმა ანტონ (ტატული) წულუკიძემ თქვა. ეს „ნაგულაგარი" ერუდიტი კაცი, ამავე დროს ერთობ მართალი ადამიანიც იყო. პიესას მისი სამინისტროში მიტანის დღიდანვე უჭერდა მხარს და ახლა, როცა პიესის ირგვლივ სიტუაცია დაიძაბა, ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია უკან — კვლავ დადებითი შეფასება მისცა მის პათოსს.

ბატონმა მინისტრმა სხვებსაც სთხოვა აზრის გამოთქმა, ყველამ ისაუბრა — ჰქონდათ შენიშვნები, არ მოსწონდათ ესათუის ეპიზოდი პიესისა, ფერების გამუქებასაც მსაყვედურობდნენ (არცთუ უსამართლოდ!) მაგრამ პიესის პათოსის მიმართ ყველა დადებითად გახლდათ განწყობილი. შეიქმნა უხერხული სიტუაცია — შეკრების მიზანი პიესის დაწუნება — იმის დადგენა იყო, რომ ამის დადგმა არ შეიძლებოდა, მოხდა კი პირუკუ — ისაუბრეს ცალკეულ ნაკლოვანებებზე.

ახლა ბატონ მინისტრს — ოთარ თაქთაქიშვილს უნდა ეთქვა სიტყვა. მან საათს დახედა.

— გვაგვიანდება, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მარშალ გელოვანის ძეგლი იდგმება, შენ აქ იყავი, გურამ, მე და ნოდარი წავალთ, ძეგლს გავხსნით და ერთ საათში დავბრუნდებით.

ასეც მოხდა. წავიდნენ. ერთ საათში მობრუნდნენ და ისევ მინისტრის ოთახში შევიკრიბეთ.

იმას, რაც იმ კაბინეტში ძეგლის გახსნის შემდეგ ითქვა, მე იმ დღეს ვერ ჩავწვდი. ამას რომ მიხვედრილიყავ, ოთარ თაქთაქიშვილის სიბრძნის მფლობელი უნდა ყოფილიყავ, მე კი როგორც ჩანს, აქედან შორს გახლდით.

სამი თვის შემდეგ მივხვდი, რაოდენ გონიერ კაცთან ვსაუბრობდით იმ დღეს და რა დიდებული რჩევა მომცა ბატონმა მინისტრმა და კომპოზიტორმა.

ბატონმა ოთარმა ძალიან საინტერესოდ დაახასიათა 1801 წლის შემდგომი პერიოდის საქართველო, ქართული შემეცნება, ფსიქოლოგია, რუსეთის ინტერესები კავკასიაში, საქართველოს როლი და ადგილი რუსეთის მიერ კავკასიის დაუფლების საქმეში, იმაზეც ისაუბრა, თუ რა სიკეთე ჰპოვა ამ დრამატულ სიტუაციაში საქართველომ, ქართველმა ხალხმა.

ლაპარაკობდა მშვიდად, აუღელვებლად, ერთობ შთამაგონებლად. ორიოდ წინადადება თქვა თუ არა, ვიგრძენი, რომ კარგად იცნობდა იმ ეპოქას, რომელზეც მე პიესა დავწერე და რომლის შესწავლასაც დიდი დრო მოვანდომე. მერე, როცა 1832 წლის შეთქმულების შუქ-ჩრდილებზე წამოიწყო საუბარი, გაოგნებული დავრჩი: მე იდეის ტყვეობაში ვიყავი, ის კი ადამიანებზე ლაპარაკობდა, მათს პიროვნულ თვისებებზე. მერე თქვა:

— ჩემო გურამ, თქვენს პიესაში ყველაფერი პირდაპირაა ნათქვამი, ეს გულწრფელი, მაგრამ გაბრაზებული კაცის დაწერილი პიესაა. სიბრაზე კი ვერაფერ სამსახურს ვერ გაგიწევთ. ეს ყველაფერი სულ სხვაგვარად უნდა დაიწეროს. ის, რისი თქმაც თქვენ მაგ პიესით გსურთ, ძალიან საინტერესოა, კარგია, მაგრამ მაგ გზით არ გამოვა. სხვანაირად უნდა დაწეროთ — აბა, სცადეთ და ეს შეთქმულება განიხილეთ

როგორც დეკაბრისტული მოძრაობის გაგრძელება საქართველოში, აბა, ამ ჩარჩოში მოაქციეთ ყველაფერი... ლიბერალური რუსული ინტელიგენცია, მართლაც, დიდ გავლენას ახდენდა ქართველ თავადაზნაურობაზე.

პიესის იდეის ტყვეობაში ისე ვიყავი მოქცეული, ბატონ ოთარს ცივი უარი განვუცხადე. პიესა ან ასე უნდა დაიდგას, ან სულაც არ დაიდგას-მეთქი.

ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

დრო გადიოდა. ბატონი ოთარის ნაუბარი თავში მიტრიალებდა, ვაჟა, ეთერი, ტატული მოხიბლული იყვნენ ბ-ნი ოთარის მოსაზრებით.

ვფიქრობდი, ვფიქრობდი...

სამი-ოთხი თვის შემდეგ მივხვდი, რა სიღრმეებისკენ მეძახდა ბ-ნი ოთარ თაქთაქიშვილი. თითქოს გონება გამინათდა. ყველაფერი ცხადად დავინახე, ყველაფერი კარგად დალაგდა.

დავჯექი და დავიწყე პიესის წერა. ბატონ ტატული წულუკიძეს ვთხოვე ო. თაქთაქიშვილისათვის გადაეცა დიდი მადლობა რჩევისათვის. ისიც გადაეცით, ვზივარ და ვმუშაობ-მეთქი.

პიესა რამდენიმე თვეში დაიწერა. მერე დაიდგა. მშვენიერი სპექტაკლი შეჰქმნეს სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. სახელმწიფო თეატრში (მოგვიანებით სხვა ბევრ თეატრში, ამათ შორის, რუსთაველის თეატრში) გოგი ქავთარაძემ, დიმიტრი ჯაიანმა, ვალერი არლვლიანმა, სერგო პაჭკორიამ, გიზო სირაძემ ჩინებულად წარმოსახეს ეპოქა, პერსონაჟები. ეროვნული სულისკვეთებით აღვსილი სპექტაკლი გახლდათ.

თეატრი საგასტროლოდ წავიდა ბალტიისპირეთში, აქ თურმე ძალიან კარგად ღებულობდნენ ამ სპექტაკლს — ჩემთვის გასაგებია რატომაც — ცარიზმი მათთვისაც ისეთივე აუტანელი გახლდათ, როგორც საქართველოსათვის. აი, მოსკოვში საგასტროლო რეპერტუარში კი თეატრმა ეს პიესა ვერ შეიტანა. ესეც გასაგები მიზეზების გამო.

სოხუმის თეატრის გასტროლები თბილისში გეორგიევსკის ტრაქტატის ზეიმის წინ გაიმართა. მარჯანიშვილის თეატრში თამაშობდნენ სპექტაკლებს: კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, მ. გორკის „ფსკერზე“.

„1832 წელი,“რომელიც საგასტროლო აფიშაში მესამე თუ მეოთხე სპექტაკლი იყო. დიდად არ გამხარებია, როცა მეცხრე რიგში, სადაც ტრადიციულად საპატიო სტუმრები სხდებიან, პარტიის ცეკას ერთ-ერთი მდივანი და განყოფილებათა ხელმძღვანელები დავინახე. ყოველი ტაში, მხურვალე აპლოდისმენტები, რომელსაც მაყურებელი მსახიობებს, პიესას უმართავდა, გულს ეკლად მესობოდა. სხვა დროს, მაყურებლის ასეთი რეაქცია, რასაკვირველია, ძლიერ გამახარებდა, მაგრამ დღეს, როცა დარბაზში ცეკას მდივანი იჯდა, მე სპექტაკლს მათი თვალით ვუყურებდი და ცუდს მითქვამდა გული.

ასეც მოხდა. სპექტაკლი დამთავრდა თუ არა (იგი ანტრაქტის გარეშე მიდიოდა) ცეკას მდივანს უკითხავს, ამ პიესის დადგმის ნებართვა ვინ მისცაო. ბ-ნ ოთარ თაქთაქიშვილს მშვიდად მიუგია:

— მე მივეცი.

ბ-ნი ოთარი, თეატრების სამმართველოს უფროსი, მთავარი რედაქტორი, აფხაზეთის კულტურის მინისტრი ალ. არგუნი, მარჯანიშვილის თეატრის დირექტორის ოთახში მიიხმეს სასაუბროდ. ჩვენ — არც მე და არც დამდგმელი რეჟისორი გოგი ქავთარაძე არ მიგვიწვიეს. როგორც ჩანს, სპექტაკლის აკრძალვას აპირებდნენ, ჩვენ კი შევეკამათებოდით, ამიტომ საქმე არ გაირთულეს.

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად დატრიალდა. ვიდრე ცეკას მდივანი დაიწყებდა საუბარს, ბატონ ოთარ თაქთაქიშვილს უთქვამს სიტყვა.

აფხაზეთის კულტურის მინისტრი, თავადაც დრამატურგი და ჩემი კარგი მეგობარი ალექსი არგუნი მიამბობდა:

— ბატონი ოთარი მართლა ძალიან ღრმა პიროვნებაა, ძალიან ჭკვიანი. ისე კარგად მიმოიხილა სპექტაკლი, ისე გონივრულად გაანალიზა ეპოქა, მოვლენების რიგი, 1832 წლის შეთქმულების არსი, პიესაში წამოჭრილი თეზა და ანტითეზა ისე გამოიტანა წინა პლანზე, ხმა აღარავის ამოუღია, ველარავინ ვერ გაბედა აუგის თქმა. „კარგით, დიდი მადლობა — თქვა ცეკას მდივანმა“ და ამით დავიშალეთ.

მე და გოგი ქავთარაძე კი თეატრის ფოიეში დაძაბული ვიდექით და განაჩენს ველოდით.

* * *

შმუელ აგნონი დიდი მწერალია, ნობელიანტი. ცხადია, პატივს ვცემ იმის გამო, რაც დაწერა, მაგრამ მისი ერთი თეზა ძალიან მიზიდავს: „გმირი ის კი არ არის, ვინც მტერს ჰკლავს, გმირი ის არის, ვინც მტერს მოყვრად მოიქცევს“. ამიტომ იგი დაბეჯითებით ქადაგებდა არაბთა და ებრაელთა დამეგობრებას, ურთიერთგაგებას. რამდენიც არ უნდა ვხოცოთ ერთმანეთი, მაინც ერთიმეორის მეზობლებად დავრჩებითო.

აგნონმა დიდხანს იცხოვრა დედამიწაზე, ისეთი კარგი რომანები, მოთხრობები დაწერა, ახლაც ცოცხლობს. მის წიგნებს კითხულობენ, თეატრებში ასცენიურებენ. ამასწინათ ქართულადაც კი ითარგმნა. ერთი სიტყვით, კვლავაც ცოცხალია, თუმცა, მაშინაც ცხადი იყო, რომ ისრაელი არ დაივიწყებდა, როცა იერუსალიმის ერთობ ხმაურიან უბანში — რეხავიაში ცხოვრობდა (ამ უბანში ყოფნისას, აგნონი უსათუოდ მაგონდება).

ერთხანს რეხავია ძალიან ხმაურიანი უბანი გახდა. აგნონმა ქალაქის მერიას სთხოვა, იქნებ, რაიმე მიშველოთო. ამ დროს იერუსალაიმში ახალი რაიონი

— თალპიოთი შენდებოდა. ჩვენი დიდი მწერალი ახალ და კარგ რაიონში უნდა ცხოვრობდესო, ბრძანა ქალაქის მერმა და აგნონი თალპიოთში, ამ მართლაც, ულამაზეს და მშვიდ უბანში გადაიყვანეს, მაგრამ უბანი ჯერაც შენდებოდა და ხმაურმა აქაც შეაწუხა მწერალი. მაშინ ქალაქის მერმა ბრძანება გასცა აგნონის სახლის მისასვლელთან, ორივე მხარეს ჩამოჰკიდეთ დაფა წარწერით: „აგნონი მუშაობს“. ეს მშენებლებმაც გაითვალისწინონ, მძღოლებმაც და გამვლელებმაცო.

აგნონი მუშაობს.

მწერალი მუშაობს.

ქალაქის ხელისუფლება ფიქრობს იმაზე, რომ მწერალს პირობები შეუქმნას.

მე კი დღეს მეუბნებიან მწერალზე ზრუნვა მხოლოდ კომუნისტური საზოგადოების სტილიაო. ამით გვაშინებენ. თუ რაიმეს იტყვით, კომუნისტების ნოსტალგიაზე ვისაუბრებთო. ყველაფერი საბაზრო ეკონომიკამ უნდა გადაწყვიტოსო.

იზოლდა გრძელიძე

# ხიდი არაბულ სამყაროსთან

არაბულ ტერმინოლოგიურ ლექსიკოგრაფიას მდიდარი ტრადიციები აქვს, მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის განუხრელი პროგრესი, სხვადასხვა სახის საერთაშორისო ურთიერთობანი, როგორებიცაა ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული, დიპლომატიური და ა.შ., შესაბამისი ახალი ტერმინოლოგიის მოძიება-დადგენის რთულ და მუდმივ პროცესს განაპირობებს. ამ პროცესის სათავეში ძირითადად დგანან კაიროს, დამასკოს, ბაღდადის არაბული ენის აკადემიები, ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტი, სადაც აქტიურად მიმდინარეობს სათანადო ტერმინოლოგიის შერჩევა-დადგენის მეთოდოლოგიურ და მეცნიერულ პრინციპთა შემუშავება. მათი საქმიანობის შედეგები ქვეყნდება სპეციალურ კრებულებსა და ჟურნალებში, რაც შემდგომ, თავის მხრივ, აისახება სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ლექსიკონებში.




ქალაქ რაბატში 1964 წლიდან გამოდის ჟურნალი „არაბული ენა" (ალ-ლისან ალ-არაბი), რომელიც არაბიზაციის საკითხებზე არაბულ სახელმწიფოთა ლიგასთან არსებული მუდმივი საკოორდინაციო ბიუროს ორგანოს წარმოადგენს. ეს ბიურო სწავლობს არაბულ ქვეყნებში მიმდინარე კულტურულ და სამეცნიერო პროცესებს და ხელმძღვანელობს სათანადო უახლესი ტერმინოლოგიის სრულყოფასა და უნიფიკაციას. იგი სადისკუსიოდ აქვეყნებს სხვადასხვა თემატიკის სიტყვანს.

დღეს დამოუკიდებელი საქართველო ჩაბმულია ამ საერთაშორისო კონტაქტებში. კერძოდ, დამყარებული აქვს ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული და ოფიციალური დიპლომატიური კავშირები მთელ რიგ არაბულ სახელმწიფოებთან. ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ სრულფასოვანი ურთიერთობებისათვის აუცილებელია დარგობრივ ლექსიკონთა არსებობა.

2005 წელს გამოვიდა ნუნუ ბეროზაშვილის „ქართულ-არაბული დიპლომატიური ლექსიკონი"[1], რომელიც პირველი დარგობრივი ლექსიკონია ქართულ არაბისტიკაში. 2008 წელს კი გამოიცა ჩვენი სარეცენზიო ნაშრომი.

ქალბატონი ნ. ბეროზაშვილი თავისი მეუღლის, ცნობილი სწავლულისა და დიპლომატის, გოჩა ჯაფარიძის, გვერდით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სირიის, ეგვიპტისა და ქუვეითის დიპლომატიურ გარემოცვაში. დღესაც ბატონი გოჩა ჯაფარიძე საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩია ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკაში.

ქალბატონ ნუნუს მრავალჯერ მისცემია საშუალება „რეგულარული სამუშაო კონტაქტები ჰქონოდა როგორც დიპლომატიური შინაარსის მიმოწერისა და საბუთების ენასთან და სტილთან, ასევე, ამ დოკუმენტების შემქმნელებთან – არაბ დიპლომატებთან"[2]. შეუძლებელია დარგობრივი ლექსიკონის შედგენა, თუ ამ სპეციალობასთან აქტიური საქმიანი შეხება არ გაქვს. ბატონ აპოლონ სილაგაძის სიტყვებიც ამის დასტურია. მოქმედი არაბისტის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი საბაზო მასალა, ზემოხსენებული არაბული აკადემიების უახლესი ლექსიკოგრაფიული ნიმუშების გათვალისწინებით, მის ლექსიკონებში აისახა.

460-გვერდიანი ლექსიკონი შეიცავს დაახლოებით 10000 ტერმინს, შესიტყვებასა და ფრაზეოლოგიურ გამოთქმას. რედაქტორი – აპოლონ სილაგაძე. რეცენზენტები – მარიამ ნედოსპასოვა, იზოლდა გრძელიძე და რუსუდან კვიჟინაძე.

სიტყვები დალაგებულია არაბულ ლექსიკოგრაფიაში მიღებული წესის მიხედვით – ბუდეების სისტემით. სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია მთავარი სიტყვა თავისი ძირითადი თუ არაძირითადი მნიშვნელობებითა და სინონიმებით. მის ქვემოთ კი თავმოყრილია შესიტყვებათა თუ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა ამომწურავი რაოდენობა:

დიბლუმასიჲა — დიპლომატია
~ ად-დულარ — დოლარის დიპლომატია
~ და'იმა — პერმანენტული დიპლომატია
~ სირრიჲა — საიდუმლო დიპლომატია
~ მაქშუფა — ღია დიპლომატია
~ ჰადი'ა — წყნარი, მშვიდი დიპლომატია

ხშირ შემთხვევაში ავტორი გვაძლევს უცხო სიტყვით გადმოცემული ტერმინის განმარტებას. მაგ. თასაჰულ — ინდულგენცია; დათმობა; შეწყალება; სინ. თასამუჰ. ჰარბ ას-სა'იკა — ბლიცკრიგი; ელვისებური ომი. — თარსიმ ალ-ბაბა — პონტიფიკაცია, პაპად კურთხევა.

სარეცენზიო ნაშრომის ლექსიკა სცილდება დიპლომატიურ-პოლიტიკური ტერმინოლოგიის საზღვრებს, რაც სავსებით კანონზომიერი და აუცილებელია ანალოგიური ტიპის ლექსიკონებისათვის.

ამის მაგალითია სუკ (მრ. რ. ასვაკ) — ბაზარი.
ას-სუკ ალ-ჰურრა — თავისუფალი ბაზარი
~ ას-სავდა — შავი ბაზარი
~ ალ-ურუბიჲა ალ-მუშთარაქა— საერთო ევროპული ბაზარი
~ ალ-'უმლა — სავალუტო ბაზარი
~ ალ-იკლიმიჲა — რეგიონული ბაზარი
~ ალ-'ალამიჲა — მსოფლიო ბაზარი
~ ას-სანავიჲა — ბაზრობა, ყოველწლიური ბაზრობა

„ლიტერატურული არაბულის ლექსიკურ ფონდში გამოიყოფა ისეთი ლექსიკური შრეები, რომლებიც გამოყენების დიაპაზონით შეზღუდულ ლოკალურ ხასიათს ატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებენ, იხმარებიან მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყანაში ან ქვეყნების ჯგუფში"[3]. ლოკალური ვარიანტების არსებობა სათავეს არაბული სინონიმების მდიდარი არსენალიდან იღებს. ნებისმიერი ლექსიკონი, უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო წყაროა და სასურველია, რომ ოპტიმალურად ასახოს ქვეყნების მიხედვით სინონიმურ ვარიანტთა გამოყენება. სარეცენზიო ნაშრომში მოტანილი ლოკალური (რეგიონული) გამოყენების არასრულ სიას „მობილურ ტელეფონზე" შევავსებთ მისივე „ქართულ-არაბული დიპლომატიური ლექსიკონიდან":

მუთაჰარრიქ — მობილური ტელეფონი
მაჰმულ — (ეგვიპტე)
მუთანაკკილ — (სირია)
ჰათიფ ჯაввал — (საუდის არაბეთი)
ჰათიფ ხილჲავი — (ლიბანი)

აქვე სინანულით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკონში გამოტოვებულია ესოდენ პოპულარული სიტყვა „გლობალიზაცია", რომელიც ქართული არაბისტიკის სინამდვილეში პირველად ნ. ბეროზაშვილის „ქართულ-არაბული დიპლომატიის ლექსიკონში" აღიბეჭდა. ეს მცირეოდენი ხარვეზები გათვალისწინებული იქნება არაბულ-ქართულ თარგმნით ლექსიკონში, რომელზეც ავტორი მუშაობს და რომლის ნაწილსაც სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს.

ქართველ არაბისტთა ვიწრო წრისათვის ცნობილია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა უახლეს ტერმინოლოგიას ჩვენს ხელთ არსებული ლექსიკონები დიდი ხანია ველარ წვდება. ამ დეფიციტის შესავსებად ნუნუ ბეროზაშვილის „არაბულ-ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური ლექსიკონი" ფასეული შენაძენია და იგი დიდ დახმარებას გაუწევს არაბისტებს, თარჯიმნებს, სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და არაბული ენით დაინტერესებულ ყველა პირს.

1. ნ. დოლიძე. პირველი ქართულ-არაბული დიპლომატიური ლექსიკონი. — „ჩვენი მწერლობა", 4, 2007

2. ა.სილაგაძე. რედაქტორის წინასიტყვაობა წიგნში: ნ. ბეროზაშვილი. ქართულ-არაბული დიპლომატიური ლექსიკონი, თბ., 2005.

3. Г.Ш. Шарбатов, Типы вариантности лексико-семантических противопоставлений в арабском литературном языке и их отражение в современных словарях. — "Семитские языки", вып.3, М., 1976.

ეპისტოლე

# ფიქრი კოკორიას აღსასრულზე

✹

## გია ხოფერიას ახალი მოთხრობის გამო

მე ის პატარა ბიჭი ვარ, ამ მოთხრობაში რომ არსად არაა ნახსენები. ეგ მე ვიყავი, კოკორიას პატრონის ყვირილზე კისრისტეხით რო შევვარდი ბოსელში და მერე ჩაცუცქული, სიამოვნებისა და გაოცებისაგან გაფართოებული თვალებით მივჩერებოდი ბუნების ამ პაწია სასწაულს, ქვეყნად ყველაზე ლამაზ თვალებს რო აფახულებდა და წყნარად რო ბლაოდა შიგადაშიგ. მერე კარებთან უხერხულად ატუზულს ლუკიანემ რომ დამიძახა, კოკორიასთან რო მივედი და იმანაც სველი და ხორკლიანი ენით რო ამილოკა ეს ჩემი დაუბანელი ხელისგული, ჩემზე ბედნიერი თუ დადიოდა ქვეყანაზე ვინმე, არ მეგონა. იმასაც ვესწრებოდი, კოკორიე რომ დაკოდეს და ვბლაოდი კიდეც გამწარებით, ცხოვრებაში პირველი ბარბაროსული აქტის შემხედვარე.

მაშინ ამხელა მუტრუკი არ ვიყავი, არც მაკროეკონომიკის ლექციებს ვესწრებოდი და შესაბამისად ვერაფრით ვერ გამეგო, რატომ ცხოველობდა ადამიანი და რატომ სჯიდნენ კოკორიას არჩადენილი დანაშაულისათვის... ვერ ვგებულობდი და ვღნაოდი, მეტი რა უნდა მექნა პატარას.

სამაგიეროდ, მერე ვყიჟინებდი სიხარულით, ლუკიანემ კოფოზე რო შემსვა და კოკორიემ კიდე უწინდებურად თამამად რო გააკვანკვალა ურემი. მართალი გითხრათ, ბებერი ხარების შურით დაყვლიპინებული თვალები არ შემინიშნავს, საერთოდაც არა მგონია მაგათ შურისა ესმოდეთ რამე, ცხოველები არიან ბოლოს და ბოლოს. სამაგიეროდ, ტელევიზორის ყურებას რო დააპირებდა სხივნათელი ლუკიანე და კოკორიეც ჩაფიქრებულ თავპირს რო შემოდებდა რაფაზე, მეც იქ ვიყავი ხოლმე, ლოგინზე ჩამომჯდარი ვაქანავებდი ფეხებს და კოკორიეზე გონივრულს არა, მაგრამ უფრო უხერხულ შეკითხვებს კი ვუსვამდი მის პატრონს.

ისე სიმართლე რომ ვთქვა, მგონი კოკორიე უკეთესად გებულობდა ყველაფერს. სულ ბოლოს იქაც ვიყავი, თავჩაქინდრული ხალხი რომ შეიკრიბა, ამოდენა სახარე რომ ეგდო ბოსლის წინ ფეხებგაფშეკილი, უსულოდ. სხვა რა შემეძლო, ვტიროდი ისევ და ჭუჭყიანი ხელებით ვიწმენდდი ცრემლებს და ცხვირსაც შიგადაშიგ. ერთადერთი მე ვიყავი იმოდენა ბრბოში, ვისაც მშვენივრად ესმოდა, რატომ არ დაკლა კოკორიე მისმა პატრონმა, რატომ "გააფუჭა" ამოდენა ხორცი და საერთოდაც რატომ არავის უყურებდა თვალებში. ტყეშიც მინდოდა წავყოლოდი ლუკიანეს, მარა არ წამიყვანა, პატარა ვიყავი მაინც, ამოდენა კი არა ვყოფილვარ.

ასეა, მეც ამ ცრემლნარევი ღიმილით მონათხრობი ისტორიის ერთი ნატეხი ვარ და ეს ყველაფერი მეც მეწვის და მტკივა. მერე რა, რომ არსად არა ვარ იქ ნახსენები.

გმადლობთ, გია ბიძია, ამ ცრემლნარევი სიხარულისთვის.

**ვაჟა თავბერიძე**
რიგა

პლუტარქოსი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ახ.წ. I-II საუკუნეების მიჯნაზე, მისდა უნებლიედ აღმოჩნდა იმ კულტურის გავლენის ქვეშ, რომელიც ანტიკურ ლიტერატურათმცოდნეობაში ელინურ აღორძინებად არის სახელდებული. თუმცა იგი არასოდეს ყოფილა ერთგული თანამიმდევარი იმ პრინციპებისა, რომელიც ამ მიმართულებისათვის იყო ნიშანდობლივი. ელინურ აღორძინებაზე საუბრისას, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მისთვის გარდასული კლასიკის ზედმიწევნითი სიზუსტით გაცოცხლება კი არ იყო მთავარი, არამედ მისი ესთეტიზმისა და საუკუნეთა სიღრმეში ჩაძირული მშვენიერების განცდის ჭვრეტა. თეზა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ სწორედ ამ ეპოქამ წარმოშვა. თუმცა ასეთი ესთეტი პლუტარქოსი არასოდეს ყოფილა. მისთვის უცხო იყო ფილოსტრატოსების იმპრესიონიზმი, ათენეოსის მხოლოდ საინტერესო ამბებზე აგებული ფილოლოგიზმი, მითოგრაფოსთათვის ნიშანდობლივი აღწერილობითი სიმშრალე ან ლუკიანოსისეული მოურიდებელი იუმორი. პლუტარქოსის შემოქმედებაში მთელი სისრულით აირეკლა ანტიკური კულტურის გარდასული ეტაპების უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობა, რომელსაც განვითარების თითქმის ათასწლოვანი გზა უკვე განვლილი ჰქონდა. კერძოდ, მაღალი კლასიკის კოსმოლოგია, რომელიც პლატონის „ტიმეოსშია“ აღბეჭდილი. ამ მოძღვრებას საფუძვლად ედო კოსმოსის, ვითარცა გონებით აღჭურვილი ცოცხალი არსების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა ასეთ იერარქიას: გონება, სული, სხეული. გონება (რომელზე მსჯელობაც „ტიმეოსში“ გარკვეულ წინააღმდეგობებსაც შეიცავს) არის შემოქმედი ყოველივე არსებულისა. იგი არამატერიალურია, მაგრამ რაციონალური. პლატონი მას უწოდებს შემოქმედს (poietes: 28 c, 38 c, 40 ა), დემიურგოსს (28 a, 29 a, 40 c, 41 a-c, 47 e, 68 e, 69 c), მამას (28 c, 37 c, 41 a, 42 e) და, რაც მთავარია, ღმერთს (theos: 31 c, 34 a, c, 36 b, 41 a, 44 e, 45 e, 46 d, 37 c), რამაც წარმოშვა ტენდენცია პლატონისეული „გონების კონცეფციის“ ქრისტიანულ თეორიად გააზრების თაობაზე. რა თქმა უნდა, ამ კონცეფციაში სავსებით ნათელია მინიშნება მონოთეიზმზე, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ მძლავრად გაიკვლევს გზას მსოფლიო რელიგიაში. კლასიკური აზროვნება, რომელიც მიიღებს გრძნობად-მატერიალური კოსმოსის ამ იდეას, მასზე დაყრდნობით შეეცდება პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების არსის განსაზღვრას, რაც მოგვიანებით, უკვე ელინისტურ სამყაროში, აღინიშნება სამი ფილოსოფიური სკოლის — სტოიციზმის, ეპიკურეიზმისა და სკეპტიციზმის აღმოცენებით. პლატონისეულ კონცეფციას ზიარებული პლუტარქოსისთვის მიუღებელი იყო სტოიკოსთა ე.წ. უშფოთველობაც, ეპიკურელთა სიამეთაკენ ლტოლვაცა და სკეპტიკოსთა აგნოსტიციზმიც. მისთვის იმხანად დომინირებული სუბიექტივიზმის ნაირსახეობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უბრალო, ადამიანური არსებობა — პიროვნება თავისი მისწრაფებებით, ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულით. თუმცა პლატონის „კეთილი დემიურგის“ თეორიაზე აღზრდილი მორალისტი მწერალი თავად პლატონის საპირისპიროდ აღიარებდა, რომ სამყაროში სიკეთეს უპირისპირდება ბოროტება, რომელიც ასევე კოლოსალური კოსმიური ძალაა. მართალია, პლუტარქოსი თავს პლატონის სკოლის მიმდევრად თვლიდა, მაგრამ ის ეკლექტიკოსი იყო, რომელსაც რელიგიური და მორალური საკითხები უფრო აინტერესებდა, ვიდრე ფილოსოფიური. მისი ეთიკა, ჰუმანურ-ფილანთროპიული, ერთიანად ეფუძნებოდა რა წინამორბედ ფილოსოფოსთა შეხედულებებს, გამორჩეულად შემწყნარებლურია და სიკეთის ნიშნით აღბეჭდილი. ეს თვისება მორალისტი მწერლის თხრობის მანერაშიც შეინიშნება და შემოქმედების მეთოდშიც. მართალია, იგი ზოგან ზედმეტად სიტყვაუხვია, ზოგან საკითხთა გართულებასაც თავს არიდებს, მაგრამ ყოველთვის ინტერესით იკითხება. მისი მსჯელობა გაჯერებულია მხიარული ამბებით, ისტორიული წიაღსვლებით, პოეტური ამონარიდებით, მახვილგონივრული დაკვირვებებით.



პლუტარქოსი

პლუტარქოსი ბევრს კითხულობდა და ბევრს წერდა. მის თხზულებათა ანტიკური ხანის ნუსხაში 227 ნაწარმოებია დასახელებული. მათგან 150-მა მოაღწია ჩვენამდე. ამ ვეებერთელა ლიტერატურულ მემკვიდრეობას ორ კატეგორიად ჰყოფენ ასეთი სახელწოდებებით: „მორალიები“ და „ბიოგრაფიები“, თუმცა ეს დაყოფაც პირობითია. პლუტარქოსი წერდა ნოველებსაც, ფილოსოფიურ წერილებსაც, დიალოგებსაც და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟანრობრივ ფორმათა სპეციფიკა მასთან შედარებით შესუსტებულია. უფრო მეტიც, მის დიალოგებში აღარ შეიგრძნობა თხრობის ის დინამიურობა, რაც ესოდენ ნიშანდობლივი იყო პლატონის დიალოგებისათვის. თუმცა მათში წამოჭრილი პრობლემები აქტუალურია დღესაც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დიალოგის ფორმით დაწერილი ტრაქტატი „შვიდი ბრძენკაცის ნადიმი“, რომლის სათაურშიც ერთგვარი ინტრიგაა ჩაქსოვილი. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაიმე სიზუსტეზე საუბარი აქ ზედმეტია, მიუხედავად იმისა, რომ ნადიმის მასპინძელ კორინთოსელ პერიანდროსსთან შეკრებილი ბრძენკაცები: ათენელი სოლონი, პრიენელი ბიასი, მილეტოსელი თალესი, როდოსელი კლეობულოსი, მიტილენელი პიტაკოსი, ლაკედემონელი ქილონი, სკვითი ანაქარსისი, მეიგავე ესოპოსი თუ სხვები თითქმის თანამედროვენი არიან. ისინი ძვ.წ. VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. მაინც რაზე ამუსაიფა ერთ სუფრასთან შეკრებილი ბრძენკაცები პლუტარქოსმა? უპირველეს ყოვლისა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ღირსეული მბრძანებელი. „ძალაუფლებას თან ახლავს მრავალი ბოროტება, — იტყვის ბრძენი თალესი, — სიკეთე კი მხოლოდ ერთი აქვს: პატივი და დიდება და ისიც მხოლოდ მაშინ, თუკი უღირსეულესი მეუფებს ღირსეულებზე და უდიადესი დიადებზე. ხოლო ის, ვინც მხოლოდ საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრობს და არა ღირსებაზე, მან უნდა მწყემსოს შინაური ცხოველები, ცხვრები, ცხენები, ძროხები და არა ადამიანები“ (2). ბრძენკაცთაგან ყოველმა გამოთქვა საკუთარი აზრი იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს უმშვენიერესი, უდიდესი, უგონიერესი, უძლიერესი, გარდაუვალი; რომელი წყობაა საუკეთესო ძლევამოსილი სახელმწიფოსთვის ან როგორ ხელისუფალთ იმსახურებენ გონიერი მოქალაქენი; რომელი სახლია საუკეთესო; რა არის ოჯახი; როგორ უნდა დავიცვათ ზომიერება და სხვა. კლეოდოროსის თქმისა არ იყოს „სწორედ ეს არის მეფეთა საქმე, შეკითხვებზე რომ მოიფიქრონ ბრძნული პასუხები“ (20). „ხოლო როდესაც ერთ დარბაზში თავს მოიყრიან ისეთი კაცები, როგორებიც პერიანდროსმა მიიწვია... აღარც თასია საჭირო და აღარც ფიალა, რადგან მათ მაგიერ თავად მუზები გვთავაზობენ საუბრის თემას“ (13).

### პლუტარქოსი

# შვიდი ბრძენკაცის ნადიმი

1. წარმავალი დრო, ჩემო ნიკარქოს, ალბათ სულაც წყვდიადით ფარავს და აბუნდოვნებს ყველა მოვლენას, თუ სულ ახლახანს მომხდარსა და ახალ ამბებზე შეთხზულ მონაჩმახს [ხალხი] იჯერებს. უნდა გითხრა, რომ იმ ნადიმს მხოლოდ შვიდი [ბრძენი] კი არ ესწრებოდა, როგორც გვიამბობდნენ,[1] არამედ ორგზის მეტი. (თავადაც გახლდით ამ ნადიმზე ორი მიზეზით: პერიანდროსთან ვახლობლობდი ჩემი ხელობის წყალობით[2] და იმავდროულად თალესის მასპინძელიც ვიყავი, რამეთუ ჩემთან სტუმრობა ამ კაცს პერიანდროსმა შესთავაზა). არც იმ ნადიმზე ნაუბარი გამცნოთ სწორად ამბის მომტანმა, რადგანაც თავად მონადიმეთა შორის არც კი იმყოფებოდა. ჰოდა ამიტომ, რაკიღა ეს გსურთ, თავად გიამბობთ ყველაფერს, რადგან დროც მაქვს ამის, ხანდაზმულიც ვარ და ჩემი ასაკის გამო არც ივარგებდა მიჩუმება.

2. პერიანდროსმა სტუმართა მიღება განიზრახა არა ქალაქში, არამედ ლიქეიონის[3] ერთ მშვიდსა და წყნარ ადგილას, აფროდიტეს ტაძრის მახლობლად, სადაც იგი ამ ქალღმერთის პატივსადებად მსხვერპლშეწირვას ალასრულებდა. მას შემდეგ, რაც დედამისმა, სიყვარულის ვნებით აღძრულმა, თავი მოიკლა,[4] მან მიატოვა აფროდიტეს თაყვანისცემა. და აი ახლა, ძილში მოვლენილი მელისოსის ნაქეზებით განიზრახა კვლავაც მიეგო პატივი ქალღმერთისათვის. მოპატიჟებულ ყოველ სტუმარს სათანადოდ ალკაზმული ეტლი ელოდა. მაგრამ ზაფხულის ხვატი იდგა და გზას ზღვის სანაპირომდე ხალხის გნიასისა და ეტლების სიმრავლის გამო მტვრის ბული ასდიოდა. ამიტომ თალესმა ჩვენს კარიბჭესთან ოთხთვალა ეტლს თვალი ჰკიდა რა, გაიღიმა და დაითხოვა. ჩვენ გზიდან გადავუხვიეთ და მინდვრის გავლით მშვიდად გავემართეთ [ტაძრისკენ]. მესამე კაციც გვახლდა, ნავკრატისელი ნილოქსენოსი,[5] ღირსეული ადამიანი, რომელიც ეგვიპტეში ყოფნისას დაუახლოვდა სოლონსა და თალესს. მოხდა ისე, რომ იგი კვლავ გაგზავნეს ბიასთან, თუ რა მიზნით, თავადაც არ იცოდა, მხოლოდ ხვდებოდა, რომ ბიასისათვის უნდა გადაეცა დალუქული გრაგნილი, რომელშიც [იგი ამოიკითხავდა] მეორე ამოცანას. და თუ ბიასი [ამ გრაგნილს] არ მიიღებდა, ნაბრძანები ჰქონდა გაეხსნა იგი ელინთა შორის უბრძნესისათვის. «გამიმართლა, — თქვა ნილოქსენოსმა, — ყველანი ერთად თავშეყრილნი აქ რომ გიხილეთ, რადგანაც მომაქვს ეს უსტარი იმ თქვენს ნადიმზე» — და მან დალუქული გრაგნილი დაგვანახა.

თალესმა გაიღიმა და თქვა: «პრიენეს თავს ისევ რაღაც უბედურება ტრიალებს?[6] რა გაეწყობა, ბიასი ამასაც პირველის მსგავსად ამოხსნის».

«მაგრამ რა იყო პირველი?» — ვიკითხე მე.

«[მეფე ამასისმა] — თქვა [თალესმა] — სამსხვერპლო ცხოველი გამოუგზავნა მას და შემოუთვალა, ამოეკვეთა ხორცის ყველაზე ცუდი და ყველაზე კარგი ნაწილი და ის დაებრუნებინა უკან. ჩვენმა [ბიასმა] დიდებულად განსაჯა, მსხვერპლს ენა[7] ამოაჭრა და გაუგზავნა. ამის გამო მან ყველა აღაფრთოვანა და ისინი მას განადიდებენ».

«და არა მხოლოდ ამიტომ — მიუგო ნილოქსენოსმა — არამედ იმიტომაც, რომ შენსავით არ გაურბის სხვა მეფესთან მეგობრობასა და ურთიერთობას. შენშიც მრავალი რამ მოსწონს მეფეს, მაგრამ ყველაზე მეტად აღაფრთოვანა იმან, თუ როგორ გაზომე პირამიდის სიმაღლე ისე, რომ დიდად არც კი გარჯილხარ და არც რაიმე საზომი გამოგიყენებია, მხოლოდ კვერთხი, რომელიც იქ აღმართე, სადაც მთავრდებოდა პირამიდის ჩრდილი, ისე რომ მზის სხივი მათ თხემებს ეხებოდა რა, ორ სამკუთხედად ეფინებოდა [მიწას].[8] და შენ განაცხადე, რომ ერთი ჩრდილის [სიგრძე] ისე შეეფარდება მეორე ჩრდილის [სიგრძეს], როგორც პირამიდის [სიმაღლე] შეეფარდება კვერთხის [სიმაღლეს]. და მაინც, როგორც გითხარი, ბრალად გდებენ, რომ მეფეთმოძულე ხარ, ამასთანავე მას გააგებინეს შენი ქედმაღლური გამონათქვამები ტირანებზე: თითქოს მოლპაგოროს იონიელის შეკითხვაზე, ყველაზე საოცარი რა გინახავსო, გეპასუხოს: „დაბერებული ტირანიო";[9] თითქოს ოდესღაც წვეულებაზე ცხოველებზე რომ საუბრობდი, გითქვამს: „ველურ მხეცთაგან უსაშინლესი ტირანია, შინაურთაგან — ფარისეველი". 1010 პლუტარქოსი ამ სენტენციის ავტორად ბიასსაც ასახელებს.

და თუმცა მეფენი ძალიანაც ცდილობენ თავი ისე მოაჩვენონ [ხალხს], რომ ტირანებს სულაც არ ჰგვანან, ამგვარ გამოთქმებს სიამით როდი ისმენენ». «მაგრამ — აღშფოთდა თალესი — ეს სიტყვები ხომ პიტაკოსს ეკუთვნის ოდესღაც ხუმრობით რომ უთქვამს მირსილოსზე.[11] მე კი ვთქვი, რომ ჩემთვის საკვირველი იყო არა ტირანის, არამედ ბებერი ხომალდის მესაჭის ხილვა. თუმცა, თუ გინდათ, იმ პატარა ბიჭივით ვიტყვი, რომელმაც ქვა ესროლა ძაღლს, მოახვედრა კი დედინაცვალს და ეს აღმოხდა: „ესეც არ არის ცუდი". სწორედ იმიტომ მივიჩნევ სოლონს უბრძნესად, რომ მან უარი თქვა ტირანის ძალაუფლებაზე.[12] და პიტაკოსმაც ისე არ მიიღო ერთმეუფება, რომ არ ეთქვა: „ძნელია, იყო ღირსეული" (სიმონიდესი ფრ. 5, 9).[13] პერიანდროსს კი თავისი ტირანია ერგო ვითარცა შთამომავლობითი ავადმყოფობა, და აქამომდე ცუდად არ უძლევა, რადგანაც ერთობ სასიკეთო აღმოჩნდა მისთვის გამაჯანსაღებელი საუბრები და ურთიერთობები საღად მოაზროვნე ადამიანებთან; და როდესაც ჩემმა თანამემამულე თრასიბულოსმა მას ურჩია „მოეკვეთა კენწეროები",[14] ვერ დაითანხმა. განა ტირანი, რომელიც ისურვებს იყოს არა მოაზროვნე ადამიანების, არამედ მონათა მბრძანებელი, განსხვავდება კი იმ გლეხისაგან, რომელიც პურის მარცვლითა და ქერით სავსე ბეღელში შეუშვებს ფრინველებსა და შეიტანს ღვარძლს? ძალაუფლებას თან ახლავს მრავალი ბოროტება, სიკეთე კი მხოლოდ ერთი აქვს — პატივი და დიდება და ისიც მხოლოდ მაშინ თუკი უღირსეულესი მეუფებს ღირსეულებზე და

უდიადესი დიადებზე. ხოლო ის, ვინც მხოლოდ საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრობს და არა ღირსებაზე, მან უნდა მწყემსოს შინაური ცხოველები, ცხვრები, ცხენები, ძროხები და არა ადამიანები. თუმცა — განაგრძო თალესმა — ასეთი სჯა-ბაასი, რომელშიაც ჩაგვითრია უცხოელმა, უდროოა და ახლა არ გვმართებს. უმჯობესია იმაზე ვიფიქროთ და ვისაუბროთ, რაც სანადიმოდ მიმავალთ შეგვეფერება. ხომ არ გგონია, ნილოქსენოს, რომ მხოლოდ მასპინძელი კი არ უნდა მოემზადოს ნადიმისათვის, არამედ სტუმარიც? ამბობენ, სიბარიტები თავიანთ ქალებს მოსაწვევებს ერთი წლით ადრე უგზავნიდნენ,[15] რათა მათ ჰქონოდათ დრო სათანადოდ მორთულიყვნენ და ალკაზმულიყვნენ წვეულებაზე მისასვლელად. მე კი მგონია, რომ კარგი მეინახისათვის ეს დროც ცოტაა ჭეშმარიტად რომ მოემზადოს სანადიმოდ, იმიტომ, რომ გაცილებით რთულია სული ალკაზმო სათანადო ალსაკაზმავით, ვიდრე სხეული შეიმკო გარდამეტებით და უგემოვნოდ. გონიერი ადამიანი ხომ სანადიმოდ მიეშურება არა როგორც ცარიელი სასმისი, რათა პირთამდე ალივსოს, არამედ იმისთვის, რომ კიდეც იხუმროს, კიდეც იმსჯელოს, კიდეც მოისმინოს და კიდეც იბაასოს სათანადოდ, ოღონდაც ისე, რომ ეს სხვებისთვისაც იყოს საამო. უგემური საკვები შეიძლება განზე გადადგა, ცუდ ღვინოსაც წყაროს წყლით შეცვლი, მაგრამ თუ თანამეინახე შეგხვდა თავშემაწყენელი, აბეზარი და უბირი, მაშინ ის ჭამით, სმით თუ მუსიკობით მიღებულ ყველა სიამოვნებას აუგემურებს და აცუდებს. არც ისე იოლია, დააღწიო თავი ასეთ რეგვენს. თანამესუფრის თავხედობითა და კადნიერებით განაწყენებულ ზოგიერთ კაცს ეს სიბრაზე სიცოცხლის ბოლომდე თან სდევს, როგორც ღვინოში ჩარჩენილი თხლე. სწორედაც რომ კარგად მოიქცა ქილონი, რომელმაც გუშინდელ მიპატიჟებაზე მანამ არ განაცხადა თანხმობა, ვიდრე არ გამოიკითხა სათითაოდ, თუ ვის იწვევდნენ. ბოლოს ასეთი რამ თქვა: „ვისთან ერთადაც უნებლიეთ უნდა გავცუროთ ხომალდით ან ვიომოთ ჯარში, მათ რალაცნაირად ჩვენ ვუძლებთ გემბანზეცა და კარავშიც, მაგრამ სუფრასთან ნებისმიერის გვერდით ჯდომას გონიერი კაცი არ იკადრებს". როდესაც ეგვიპტელებს ჩონჩხი შემოაქვთ თავიანთ წვეულებებზე,[16] მოქეიფეებს შეახსენებენ, რომ სულ მალე ისინიც მას დაემსგავსებიან. ერთი შეხედვით, ამ საზარელი სტუმრის ადგილი იქ არ არის, თუმცა ამასაც თავისი აზრი აქვს: ის დაგვაფიქრებს, რომ ქეიფი და დროის ტარება კი არ არის მთავარი, არამედ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული; ამასთანავე შეგვახსენებს, რომ არ ღირს ჩვენი ისედაც ხანმოკლე ცხოვრების დამძიმება უსიამოვნო შეგრძნებებით».

3. ამ საუბარში გართულებმა მივაღწიეთ კიდეც სანადიმო დარბაზს. თალესმა განბანა არ ისურვა, რადგანაც ჩვენ უკვე ნელსაცხებელი გვქონდა წასმული და გაემართა ზღვის სანაპიროსკენ ბილიკების, პალესტრებისა[17] თუ დიდებული ჭალის დასათვალიერებლად არა იმიტომ, რომ გულით ენადა მათი ხილვა, არამედ იმიტომ, რომ არავის ეფიქრა, არად აგდებს პერიანდროსს და მის პატივმოყვარულ ფუფუნებასო. დანარჩენ სტუმრებს კი, მათი განბანისა და ნელსაცხებლებით დაზელის შემდეგ, მსახურები სტოას[18] გავლით მამაკაცთათვის განკუთვნილი ადგილისაკენ წარუძღვნენ. სტოაში ანაქარსისი[19] იჯდა, მის წინ კი იდგა გოგონა, რომელიც ხელებით თმას უვარცხნიდა. როდესაც სტოაში თალესს მოჰკრა თვალი გოგონამ, თამამად მიირბინა მასთან, ხოლო თალესმა აკოცა და ღიმილით უთხრა:

«გაალამაზე ჩვენი სტუმარი, რადგან ეს უკეთილშობილესი ადამიანი უსახური და მტარვალი არ ეგონოს ხალხს!»

ვინ არის-მეთქი ეს გოგონა, როდესაც ვკითხე, ასე მომიგო:

«ნუთუ ვერ იცანი ჩვენი ბრძენი და სახელოვანი ევმეტისი?[20] მამამ შეარქვა ეს სახელი, თუმცალა სხვანი მას მამის სახელის მიხედვით კლეობულინად უხმობენ».

«ალბათ, ამ გოგონას მისი ერთობ საზრიანი და ბრძნული ენიგმების გამო აქებ, — შეეპასუხა მას ნილოქსენოსი, — ზოგიერთმა ამ ენიგმათაგან ეგვიპტემდეც კი მიაღწია.»

«არა მხოლოდ, — არ დაეთანხმა თალესი, — ენიგმებით ის, დროს რომ იხელთებს, კოჭობანას თამაშის მსგავსად მხოლოდ ერთობა და მოსაუბრეს მუდამ ჯაბნის. უნდა გითხრა რომ მას სული აქვს საოცრად ღირსეული, აზროვნება სახელმწიფოებრივი, ზნე კი კეთილი. სწორედ იგი აიძულებს მამამისს ლმობიერად მართოს ხალხი და იყოს კეთილმოწყალე».

«ასეც იქნება, — თქვა ნილოქსენოსმა, — რადგან სახეზე აწერია უბრალოება და თავმდაბლობა. მაგრამ ასეთი სინაზითა და სიყვარულით რად ეპყრობა ანაქარსისს?»

«მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძენკაცია და მრავლისმცოდნე; ანაქარსისმა უამბო მას გულმოდგინებით და ხალისით სკვითიაში რას მიირთმევენ ან რით ალწევენ თავს სალმობებს, რით მკურნალობენ. აი, ახლაც, ასე მგონია, ის თავს ევლება, ესიყვარულება [ამ ბრძენკაცს] და თანაც ისმენს რა მის საუბარს, ცოდნასაც იძენს».

უკვე ვუახლოვდებოდით მამაკაცთა სამყოფელს, წინ რომ შემოგვხვდა მილესელი ალექსიდემოსი[21] (ტირან თრასიბულოსის გერი). აღელვებული იყო და გაბრაზებით თავისთვის რალაცას ბუტბუტებდა, მაგრამ რას — ვერ ვარჩევდით. როდესაც თვალი ჰკიდა თალესს, ცნობას მოეგო, შეჩერდა და ასე მიმართა:

«რომ იცოდეთ, როგორ მაწყენინა პერიანდროსმა! შინ არ გამიშვა, მაიძულა, რომ წვეულებაზე მოვსულიყავი, ხოლო როდესაც ვესტუმრე, ისეთ არასაპატიო ადგილზე მომათავსა, რომ ეოლიელებიცა და კუნძულელებიც (და კიდევ ვილაც) თრასიბულოსზე საპატიო სტუმრები ალმოჩნდნენ! ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი სახით მას სურს შეურაცხყოს და დაამდაბლოს თრასიბულოსი, რადგანაც მისი მოგზავნილი ვარ. ეს ხომ ცხადია».

«თუ სწორად მახსოვს, — მიუგო თალესმა, — ეგვიპტელები მიიჩნევენ, რომ ზეცად მბრწყინავი ვარსკვლავები იმის მიხედვით, მაღლა არიან განლაგებულნი თუ დაბლა, უკეთესად და უარესად მოსჩანან. ხომ არ გგონია, რომ შენც მათ მსგავსად იბრწყინებ ანდა მიმქრალდები მხოლოდ იმიტომ, თუ რა ადგილზე ალმოჩნდები? ნუთუ შენ იმ ლაკონიელზე[22] სულელი ხარ, რომელსაც ქოროს მეთაურმა გუნდის სულ ბოლო რიგში მიუჩინა ადგილი. მან კი მიუგო: „ქების ღირსი ხარ, რომ ეს ადგილიც საპატიო გახადეო!" ის კი არ უნდა ინაღვლო, თუ ვის შემდეგ ხარ წამოწოლილი, არამედ იმაზე უნდა იფიქრო, თუ როგორ მოაწონო თავი შენს გვერდით მყოფებს. მეგობრობაც აქედან იწყება

და სანაქებოც სწორედ ის არის, რომ თავი ისე მოაჩვენო, თითქოს სულაც არ ბრაზობ მასპინძელზე, პირიქით, მისი მადლიერიც ხარ, რადგანაც მათთან დაგაახლოვა. ასეა, სანადიმოდ გაშლილ სუფრასთან თავის ადგილით უკმაყოფილო მასპინძელზე უფრო მეტად თავის მეზობელს გაანაწყენებს და ორთავეს გადაიმტერებს».

«ეს სიტყვებია, — აღმოხდა ალექსიდემოსს, — მხოლოდ სიტყვები. საქმე საქმეზე თუ მიდგება, თქვენ, ფილოსოფოსებიც კი[23] დიდებასა და პატივს ეძიებთ. თავად ვიხილე!» და ამ სიტყვებით ჩაგვიარა.

ამ კაცის უდიერობამ გაგვაოცა, ხოლო თალესმა აღნიშნა:

«უცნაურია და წაისულელებს კიდეც! ჯერ ბავშვი იყო, როდესაც თრასიბულოსს საუკეთესო ზეთი მიართვეს ტანის საცხებად. მან კი ეს ზეთი დიდ, გამაგრილებელ თასში ჩაასხა, შემდეგ ის სუფთა ღვინით გააზავა და შესვა. სწორედ ამის შემდეგ შეიძულა ის თრასიბულოსმა».

ამ დროს მოგვიახლოვდა მსახური და ასე მომმართა: „თალესსა და შენ, თქვენს მეგობარსაც სასწრაფოდ გიხმობთ პერიანდროსი, რათა განახოთ, რა მიართვეს. [აინტერესებს], არის ეს რაღაც სასწაული,[24] რაღაცის უწყება თუ არა? ჩანს, თავად მეტისმეტად არის შეშინებული, რადგან ჰგონია, რომ ეს ჯადოა, რომელსაც შეუძლია გააცუდოს მისი ზეიმი».

იგი წარგვიძღვა იმ ქოხისაკენ, ბაღის განაპირას რომ იდგა. იქ დაგვხვდა ახალგაზრდა კაცი, ალბათ, მწყემსი, ჯერ უწვერული და არც თუ ურიგო გარეგნობის, რომელმაც ტყავის ბოლო ასწია და დაგვანახა ახალშობილი, რომელიც, მისი სიტყვებით, ფაშატს მოუგია. ზემოთ, კისრამდე და მკლავებამდე ის ადამიანისებრი იყო, დანარჩენი ჰქონდა ცხენის და ჩხაოდა ისე, როგორც ახალშობილი ბავშვი.

«ღმერთო, მიშველე!» — წამოიძახა ნილოქსენოსმა და მზერა აარიდა. ხოლო თალესმა ყურადღებით შეხედა ახალგაზრდას, შემდეგ გაიღიმა და მომმართა (ჩემს ხელოვნებაზე იგი მუდამ მეხუმრებოდა):

«შენი დროც დადგა, ჩემო დიოკლეს! ხომ არ განწმენდ აქაურობას, რათა მიმართო მფარველ ღვთაებებს? იქნება რაღაც გასაოცარი და დიადი რამ გვენიშნა!»

«გეთანხმები, ძვირფასო თალეს! ეს ნიშანია განხეთქილების და ამბოხის, რომელიც, ვშიშობ, ემუქრება პერიანდროსის ოჯახსა თუ შთამომავლობას: ვერც კი მოვასწრეთ, დაგვეცხრო ქალღმერთის პირველი რისხვა, რომ მან მეორე დაგვატეხა თავს მოულოდნელად».

ჩემი სიტყვები უპასუხოდ დატოვა თალესმა, გაიღიმა და გზა განაგრძო. კარებთან პერიანდროსი დაგვხვდა შეკითხვით, რას მოასწავებსო ის, რაც ვიხილეთ. მაშინ თალესმა მანიშნა გავცლოდი იქაურობას, თავად ხელი ჩასჭიდა პერიანდროსს და უთხრა:

«რასაც დიოკლესი გირჩევს, ის აღასრულე მშვიდად და წყნარად. მე კი აი, რას გეტყვი: ფაშატებს ან არ უნდა მიუჩინო ასეთი ახალგაზრდა მწყემსები, ან არ უნდა დატოვო ეს მწყემსები ქალების გარეშე».

ჩემის აზრით, ეს სიტყვები პერიანდროს ერთობ ეამა. მან გულიანად გაიცინა, შემდეგ თალესს გადაეხვია და ეამბორა. ხოლო თალესმა, ჩემსკენ შემობრუნებულმა, წამჩურჩულა:

«ჩემო დიოკლეს, ვშიშობ, დაიწყო შენმა უწყებამ აღსრულება! თავადაც ხედავ, რა უსიამოვნებაც მოხდა: ალექსიდამოსს აღარა სურს ჩვენთან ვახშმობა!»

4. შევედით თუ არა, თალესმა ხმამაღლა წამოიძახა:

«აბა სად არის ის ადგილი, იმ ყმაწვილმა რომ იუკადრისა?»

და იგი უმალ წამოწვა იქ, სადაც მიუთითეს, ჩვენც იქვე მოგვათავსა და დასძინა:

«არდალოსის გვერდით ყოფნისთვის საზღაურსაც კი გავიღებდი!»

ეს არდალოსი[25] ტროიძენიდან იყო, მეფლეიტე და ქურუმი არდალიელ მუზათა ტაძრისა, უფროს არდალოსს რომ აღუმართავს ტროიძენში. იქვე იწვა სოლონი, რომელიც მეფე კროისოსს სწორედ იმ ხანად გამოეგზავნა პერიანდროსთან და დელფოსელ ქურუმებთან; მის მახლობლად კი, ოდნავ ქვემოთ, დაბალ სკამზე იჯდა ესოპოსი,[26] რომელმაც თქვა იგავი:

«ლიდიელმა ჯორმა მდინარეში თავის გამოსახულებას მოჰკრა თვალი და გაიხარა, გაოცდა, რომ დიდი ჩანდა და ლამაზი; აკუნტრუშდა და ცხენივით ფაფარიც აიფრიალა; მაგრამ მალევე გაახსენდა, რომ ვირის შვილი იყო და უმალ შეწყვიტა ეს კუნტრუში, მედიდურობაც დაიცხრო და ბაქიაობაც».[27]

აქ კი ქილონი ლაკონიურად შეეპასუხა:

«შენივ [ნათქვამზე] წამოეგე, განა ჯორივით არ დარბიხარ?»[28]

ამ დროს მელისსაც შემოვიდა და პერიანდროსის გვერდით წამოწვა, ევმეტისიც მიუჯდა სუფრას. მე ბიასის ახლოს ვიყავი წამოწოლილი და ამიტომ თალესმა სწორედ მე მომმართა:

«დიოკლეს, ნავკრატისელ სტუმარს რომ ახალი სამეფო გრაგნილი აქვს ჩამოტანილი რატომ არ ეტყვი ბიასს, რათა მან ის წაიკითხოს ჯერ კიდევ ფხიზელმა გულმოდგინებით?»

«უკვე მიამბო და მაშინებს თავის გრაგნილით, — თქვა ბიასმა, — მაგრამ მე ვიცი, დიონისე დიდი ღმერთია, განა ამაოდ შეარქვეს მას სიბრძნისთვის „მხსნელი"? სწორედ ამიტომ სულაც არ მაფრთხობს ის, რომ მისით თუ ავივსები, წამერთმევა შეჯიბრის ძალი?»

აი, ასე თან მიირთმევდნენ, თან ხუმრობდნენ. მე კი შევამჩნიე, რომ სუფრა ჩვეულებრივზე მწირი იყო. დავფიქრდი და მივხვდი, რომ ბრძენ და კეთილშობილ კაცთა სტუმრობა ჩვენ ძვირი სულაც არ გვიჯდება, პირიქით, სახსრებს ვიზოგავთ იმის ხარჯზე, რომ არ ვყიდულობთ უზომო საკაზმს, უცხოურ ნელსაცხებლებს, სხვადასხვა ნუგბარს, ძვირფას ღვინოს — ყოველივე იმას, რითიც პერიანდროსი უმასპინძლდებოდა სხვებს, რადგანაც ასე შეეფერებოდა მის ტირანულ ძალაუფლებას, სიმდიდრესა და ღირსებას. ახლა კი იგი ასეთი სტუმრების წინაშე ლამობდა თავი გამოეჩინა თავისი უბრალოებითა და ზომიერებით.[29] და მართლაც, დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მან საკუთარ მეუღლესაც კი მოახსნევინა სამკაული, რათა სტუმრების წინაშე სადად და უბრალოდ აღკაზმული წარედგინა.

5. ვიდრე აწყობდნენ სუფრებს, მელისამ გვირგვინებით შეგვამკო და შევიწირეთ ზედაშე; მეფლეიტე ქალი უკრავ-

და, მალე შეწყვიტა ჩვენი გართობა და განზე გადგა. მაშინ არდალოსმა ჰკითხა ანაქარსისს, გყავთო მეფლეიტე ქალები სკვითებს?

«ჩვენთან ვენახი არ ხარობსო»,[30] — მოკლედ მოუჭრა ანაქარსისმა.

«ღმერთები კი გყავთ?» — არ ცხრებოდა არდალოსი.

«რა თქმა უნდა, — მიუგო სკვითმა, — თანაც მათ ადამიანური ენაც ესმით. მართალია, ელინებს სკვითებზე უფრო ენამჭევრებად მოგაქვთ თავი, მაგრამ რატომღაც გგონიათ, რომ ღმერთებს უფრო ხეთა და ძვალთა ენა სიამოვნებთ».

მას ესოპოსი გამოეხმაურა:

«ერთი შეგახედა, უცხოელო, რისგან აკეთებენ ახლა ფლეიტებს! ირმის ძვლებს აღარ დაეძებენ, მხოლოდ ვირისას და თან ამბობენ: „მათგან უფრო მაღალ ხმებს ვიღებთო!“ სწორედ ამიტომ შეთხზა კლეობულინამ ასეთი გამოცანა ფრიგიულ ფლეიტაზე: „რქიანი ფეხით მკვდარი ვირი ყურებს მიყრუებს!“ განა საოცარი არ იქნება, რომ ვირს, ამ ყოვლად უხეშსა და უგრძნობ ცხოველს, უნატიფესი და უფაქიზესი ძვლები რომ ჰქონდეს სამუსიკოდ!»

«ჩვენ, ნავკრატისელებს განა ამაოდ გვსაყვედურობდნენ ბუსირისელები[31] იმაზედ, რომ ფლეიტებს ვირის ძვლებისგან ვამზადებთ, — მხარი აუბა ნილოქსენოსმა, — მათ ცოდვად ეთვლებათ საყვირის მოსმენაც კი, რადგანაც მის ხმას ამსგავსებენ ვირების ყროყინს. მოგეხსენებათ, რომ ეგვიპტეში ვირი სძულთ, რადგანაც ტიფონისადმი [მიძღვნილ] ცხოველად მიიჩნევენ».

6. ყველა მიჩუმდა. პერიანდროსმა შენიშნა რა, რომ ნილოქსენოსს სურდა რაღაცის თქმა და ვერ ბედავდა, [საუბარი] თავად წამოიწყო:

«დარბაისელნო, მუდამ მხიბლავდა ის, რომ ქალაქები თუ მბრძანებელნი თავდაპირველად პასუხთა პატივს მიაგებდნენ უცხოელ სტუმრებს და მხოლოდ შემდეგ საკუთარ თანამოქალაქეებს. ვფიქრობ, რომ ახლაც ჩვენებურთა ბრძნული სიტყვები მცირე ხნით ადგილს დაუთმობენ, როგორც ეს ხდება თავყრილობებზე, ეგვიპტურსა და სამეფო გზავნილთ, რომლითაც ბიასს ეწვია ჩვენი ძვირფასი სტუმარი ნილოქსენოსი. ბიასმა კი მათი მოსმენა ჩვენთან ერთად ისურვა».

«დიახაც, — თქვა ბიასმა, — განა სხვაგან სად, ანდა ვისგან, თუ არა თქვენგან ძალმოცემულმა შევძლებ მივიღო ეს გამოწვევა? თავად მეფემაც ასე ბრძანა, ჩემსგან დაიწყოს, ხოლო შემდეგ ყველამ გასცეს კითხვას პასუხი».

მაშინ ნილოქსენოსმა გაუწოდა მას მეფის სიგელი, მაგრამ ბიასმა სთხოვა, თავად გაეხსნა და ყველასთვის გასაგონად წაეკითხა. ხოლო ეწერა კი ეს:

«ეგვიპტის მეფე ამასისი ელინთა შორის უბრძნეს ბიასს გამცნობ: ეთიოპიის მეფე სიბრძნეში რომ გამეჯიბრა, დიახაც, ვაჯობე, მაგრამ ბოლოს უცნაური და რაღაც უაზრო რამ შემომთავაზა: ზღვა შესვიო! თუკი ამოვხსნი ამ თავსატეხს, მრავალ სოფელსა და ქალაქს მივიღებ მისგან, თუ ვერ ამოვხსნი, უნდა დავუთმო ელეფანტინეს[32] მახლობლად მდებარე ქალაქები. გაიაზრე და პასუხი ნილოქსენოსის პირით სასწრაფოდ შემატყობინე. ამის სანაცვლოდ შენი მეგობრებისა და თანამოქალაქეების თანამდგომი ვიქნები მუდამ».

ეს რომ მოისმინა, ბიასი მცირე ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ გვერდით მწოლ კლეობულოსს გაესაუბრა, ბოლოს იკითხა:

«აბა, რას ამბობ ნავკრატისელო? ნუთუ ამასისს, მრავალი ხალხის მბრძანებელსა და დიდებული მიწების მფლობელს, სურს ზღვა დალიოს რაღაც უბადრუკი და უმსგავსო სოფლების გამო?»

ნილოქსენოსმა გაიცინა და ეს მიუგო:

«ბიას, ძვირფასო, წარმოიდგინე, რომ სწადია! ჰოდა მოიფიქრე, როგორ მოიქცეს».

«როგორ და, უბრძანოს ეთიოპელს, ვიდრე ზღვის შესმას შეუდგებოდეს, მასში ჩამავალი ყველა მდინარე გადაკეტოს, რადგანაც თავსატეხი ხომ იმ ზღვას ეხება, რომელიც არის და არა იმას, რომელიც მომავალში შეივსება».

ეს თქვა თუ არა, ბიასმა, ნილოქსენოსი სიხარულით ზეწამოიჭრა, მიუახლოვდა [ბრძენ-კაცს], გადაეხვია და გადაკოცნა. დანარჩენებმაც შეაქეს მისი პასუხი. ქილონმა კი თქვა:

«ნავკრატისელო სტუმარო! ვიდრე ამასისს ზღვა ჯერ კიდევ არ დაულევია, მიცურე მასთან და გადაეცი, იმაზე კი არ იფიქროს, როგორ შეხვრიპოს ესოდენი მლაშე წყალი, არამედ იმაზე, თუ როგორ დაუტკბოს ქვეშევრდომებს თავისი მეუფება. ბიასი ამის ოსტატიც არის, სხვებზე აღმატებული; უკეთეს მოძღვარს ვერც ინატრებს; თუ ამასისი ერწმუნება მას, აღარ დასჭირდება ოქროს ფეხსაბანი თასი ეგვიპტელთა მოსათვინიერებლად, რადგან ისინი შეიყვარებენ მას და რომც იყოს მირიადგზის უფრო მდაბიო წარმოშობისა, ქედს მოუხრიან მისივე ღირსებების გამო[33]

«მაშ ასე, — თქვა პერიანდროსმა, — ახლა კი, მოდით ვუბოძოთ მეფეს ჩვენი პირველი ნააზრევი და, როგორც იტყოდა ჰომეროსი,[34] მისთვის ეს ძღვენი ყველა სავაჭრო მონაგებზე უფრო ძვირფასი აღმოჩნდება, ჩვენთვის კი ფრიად სასარგებლო».

7. «რადგან ასეა, — თქვა ქილონმა, — სამართლიანი იქნებოდა, საუბარი სოლონს დაეწყო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასაკით უფროსია და უფრო მაღალ ადგილსაც ფლობს, არამედ იმიტომაც, რომ ძალაუფლება მოიხვეჭა უფრო მეტიც და უმტკიცესიც: მან ხომ ათენელებს კანონები დაუწესა».

«ჩემო დიოკლეს, — მშვიდად მითხრა ნილოქსენოსმა, — რამდენ სიცრუეს ვიჯერებთ და რა მონდომებით თხზავენ, მერე ისმენენ ზოგიერთები წარმოუდგენელ დანაყბედს ბრძენ კაცებზე! ეგვიპტეშიც კი ჩამოაღწია ხმამ ქილონზე, თითქოს იგი აღარც მეგობრობს და აღარც სტუმრობს სოლონთან მხოლოდ იმიტომ, რომ მან თქვა: კანონებიც იცვლებიანო».

«სასაცილოა, — ვუპასუხე, — თუკი ასეა, თავდაპირველად ის ლიკურგოსს უნდა განდგომოდა, რადგანაც მან კანონები კი არ შეცვალა მხოლოდ, არამედ ლაკედემონელთა სახელმწიფო წყობაც!»

მცირეოდენი დაახანა რა, სოლონმა თქვა:

«ვფიქრობ, ის მეფე ან ტირანი მოიხვეჭს სახელს, რომელიც ერთმმართველობას ხალხის ხელისუფლებად აქცევს».

შემდეგ ბიასმა თქვა:

«და რომელიც თავად იქნება სანიმუშოდ კანონმორჩილი».

თალესმა თქვა:

«ბედნიერი იქნება ის მბრძანებელი, ვინც ბუნებრივი სიკვდილით მოკვდება ხანდაზმული».

ანაქარსისმა თქვა:

«რომელიც არ იქნება ერთადერთი სალად მოაზროვნე მრავალთა შორის».

კლეობულოსმა თქვა:

«და არ იქნება მოყვასთა სიტყვის შეუსმენელი».

პიტაკოსმა თქვა:

«რომელიც იმას მიაღწევს, რომ ქვეშევრდომთ თავად მისი კი არა, მისი სიცოცხლის გამო ჰქონდეთ შიში».

ქილონმა თქვა:

«მბრძანებელს მართებს იფიქროს არა მხოლოდ იმაზე, რაც ჟამიერია, არამედ უფრო იმაზე, რაც მარადიულია».

ამ სიტყვათა მოსმენის შემდეგ, ყველამ ვისურვეთ, რაიმე ეთქვა პერიანდროსსაც. მან კი ფიქრმორეული სახით განაცხადა:

«ერთს კი დავძენდი: ყოველივემ, რაც ითქვა, გონიერ კაცს ძალაუფლებაზე ხელი არ უნდა აალებინოს!».

ბოლოს ესოპოსმა, როგორც ჩვეოდა, მამხილებელი ტონით განაცხადა:

«უმჯობესი იყო, ყოველს საკუთარი თავიდან გამომდინარე ესაუბრა და არა ისე, თითქოს მბრძანებელთა მეგობრები ან მრჩევლები ყოფილიყვნენ, სინამდვილეში კი მათ ბრალმდებლებად იქცნენ».

სოლონმა თავზე ხელი გადაუსვა და ღიმილით მიმართა:

«შენი აზრით, ქვეყნის გამრიგე უფრო მოწყალე, ხოლო ტირანი უფრო სამართლიანი ხომ არ გახდება, თუკი მიხვდება, რომ სჯობს მბრძანებელი სულაც არ იყოს, ვიდრე იყოს?».

«ვინ დაგიჯერებს შენ და არ ირწმუნებს ღვთისას, — შეედავა ესოპოსი, — რომელმაც შენვე შთაგაგონა:

„ბედი ენევა ქალაქს, რომელიც
ერთი [მბრძანებლის] ხმას შეისმენს!».

«აი, ათენში, — თქვა სოლონმა, — თუმცა დამყარდა სახალხო მმართველობა, მაგრამ მაინც ერთ ხმასა და ერთადერთ მბრძანებელს ემორჩილებიან — კანონს. მართალია, შენ კარგად გესმის ყვავთა და ჩხიკვთა ენა, იმისიც გჯერა, რომ ქალაქი, ღმერთის განგებით, მაშინ არის ძლევამოსილი, თუკი შეისმენს მხოლოდ ერთის ხმას, თუმცაღა ამასთანავე მიიჩნევ, რომ დიდებულია ის ნადიმი, სადაც ყველა ყველაფერზე მუსაიფობს».

მას ესოპოსმა ასე მიუგო:

«შენ ხომ აქ ჯერ არ დაგიკანონებია, როგორც ათენში, არ სვან მონებმა, არ შეიყვარონ, ან დაუბანლად არ წაიცხონო ნელსაცხებელი?»

ამ სიტყვებზე სოლონს გაეცინა, ხოლო მკურნალმა კლეოდოროსმა თქვა:

«მშრალად ნელსაცხებლის წასმა იგივეა, რაც ბაასის დროს ღვინით [ყელის] გასველება. განსხვავება დიდი არ არის — ორთავე საამურია».

«მითუმეტეს, — თქვა ქილონმა, — უმჯობესია თავშეკავება».

«თორემ ადრე დაბერდებიო, — არ ცხრებოდა ესოპოსი, — ვგონებ თალესს უბრძანებია».

8. პერიანდროსმა გაიცინა და ესოპოსს ასე მიმართა:

«საუბარმა გაგვიტაცა და ბოლომდე აღარ ჩავიკითხეთ ის უსტარი, ამასისმა რომ გამოგვიგზავნა. იქნებ გენახა, ნილოქსენოს, კიდევ რასა გვწერს [ეგვიპტის მეფე]?»

«უნდა გითხრათ, რომ ამ ეთიოპურ გამოწვევას, არქილოქოსისა არ იყოს, შესაძლოა ვუწოდოთ „ამოსახსნელად აუცილებელი სკიტალე[35]“, — დაიწყო ნილოქსენოსმა. — შენი სტუმართმოყვარე ამასისი ასეთ თავსატეხებში გაცილებით ზომიერი და დახვეწილია. მან სთხოვა ეთიოპელს დაესახელებინა თუ რა იყო აღმატებულად[36] უფროსი, მშვენიერი, დიდი, გონიერი, გარდაუვალი? ღმერთს გეფიცები, უფრო მეტიც [მოსთხოვა, ეთქვა თუ რა იყო] აღმატებულად სასარგებლო, მავნე, ძლიერი და მსუბუქი?»

«მერე რა მოხდა? — იკითხა პერიანდროსმა. — პასუხი გასცა? გამოიცნო ეს თავსატეხი?»

«მომისმინეთ და განსაჯეთ, — თქვა ნილოქსენოსმა, — ჩვენი ხელმწიფე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ რომელიმე ავისმზრახველმა არ მოსდოს შარი, ანდა მცდარობა არ გამოეპაროს მის პასუხებში. მაშ, წაგიკითხავთ, რაც უპასუხა: „აღმატებულად უფროსი — დრო; უმშვენიერესი — სინათლე; უდიდესი — სამყარო; უგონიერესი — ჭეშმარიტება; გარდაუვალი — სიკვდილი; უსასარგებლოესი — ღმერთი; უმავნესი — დემონი; უძლიერესი — წარმატება; უმსუბუქესი — სიამე».

9. ეს რომ წაიკითხეს, ჩემო ნიკარქოს, და სიჩუმემ დაისადგურა, თალესმა ჰკითხა ნილოქსენოსს, როგორ მიიღო ამასისმა ეს პასუხებიო. მან კი მიუგო: ზოგს დაეთანხმა, ხოლო ზოგი არ მოიწონა. მაშინ თალესმა განმარტა:

«ამ პასუხთაგან უცილობელი არცერთია. პირიქით, ბევრი მცდარია და მიუღებელი. მაგალითად, განა შეიძლება ვირწმუნოთ, რომ დრო აღმატებულად უფროსია? დრო ხომ გარდასულიც არის, აწმყოც და მომავალიც და ის დრო, რომელიც ჩვენთვის მომავალია, ჩვენს თანამედროვე ადამიანებსა და საგნებზე ახალგაზრდაა. ხოლო ის, რომ ვერ განასხვავო ერთმანეთისგან გონიერება და ჭეშმარიტება, განა იგივე არ არის, რომ ვერ განასხვავო ერთმანეთისგან სინათლე და თვალი?[37] და თუ ის მიიჩნევს, რომ სინათლეა მშვენიერი, მაშინ რატომ არაფერს ამბობს თავად მზეზე? რაც შეეხება სხვებს: მის მიერ ღმერთებისა და დემონების დასახელება[38] კადნიერებად და სახიფათოდ მეჩვენება; ალოგიკური ჩანს პასუხი წარმატებაზეც — ის რაც ყველაზე ძლიერია, როდია ასე ცვალებადი; თავად სიკვდილიც კი არ არის გარდაუვალი, რადგანაც ის, ვინც ცოცხალია, მკვდარი არ არის. მაგრამ ისე რომ არ გამოჩნდეს, თითქოსდა მხოლოდ სხვებს ვმოძღვრავდეთ, ახლა ჩვენიც ვთქვათ; ნილოქსენოსსაც თუ სწადია, მზად ვარ პირველმა ვუპასუხო ამ შეკითხვებზე».

ახლა გიამბობთ, რაც მოხდა შემდეგ. შეკითხვებსაც და პასუხებსაც [ზუსტად გადმოგცემთ]. თალესმა ბრძანა: „აღმატებულად უფროსი არისო „ღმერთი, რადგანაც იგი დაუსაბამოა; ყველაზე მშვენიერი სამყაროა, რადგანაც მასში ყველაფერი ჰარმონიულია და მწყობრი; ყველაზე დიდი სივრცეა, რადგანაც მასში სამყაროა, სამყაროში კი — ყველაფერი; ყველაზე გონიერი დროა, რადგანაც ზოგი რამ უკვე აღმოაჩინა, ზოგსაც მომავალში აღმოაჩენს; გარდაუვალი არის იმედი, რადგანაც იგი აქვს იმასაც, ვისაც აღარაფერი აქვს; აღმატებულად სასარგებლო სიქველეა, რადგანაც მას თუ სასიკეთოდ გამოვიყენებთ, ყველაფერს გააკეთილშობილებს; უმავნესია მანკიერება, რადგანაც თავისი არსებობით მის გარშემო ყველაფერს ამახინჯებს; უძლიერესია აუცილებლობა, რადგანაც მხოლოდ ის არის

შეუცვლელი. უმსუბუქესი კი ის არის, რაც ბუნებრივია, რადგანაც ხშირად საამურიც მომქანცველია».

10. თალესის პასუხები ყველამ მოიწონა, კლეოდოროსმა კი თქვა «აი, ეს არის, ნილოქსენოს, მეფეთა საქმე, შეკითხვებზე რომ მოიფიქრონ ბრძნული პასუხი. ხოლო იმ ბარბაროსს, რომელმაც ამასისს ზღვის შესმა შესთავაზა, საკმარისია გაეცეს მოკლე პასუხი, ზუსტად ისეთი, პიტაკოსმა რომ მისწერა ალიატესს, როდესაც მან ლესბოსელებს რაღაცის მოთხოვნით გაუგზავნა თავხედური წერილი. პიტაკოსმა კი პასუხად მხოლოდ ურჩია მეფეს, ეჭამა ხახვი და შემთბარი პური».[39]

«ასე არ არის, — შეაწყვეტინა პერიანდროსმა — ელინებსაც უძველეს დროს ჩვევად ჰქონიათ ერთმანეთისთვის მიემართათ ასეთი ძნელსაცნაური გამოცანებით. ყველას გვსმენია ის, თუ ოდესღაც როგორ მოიყარეს ერთად თავი ბრძენთა შორის სახელგანთქმულმა პოეტებმა ქალაქ ქალკისში, სადაც ამფიდამასის პატივსადები ქელეხი იმართებოდა. ეს ამფიდამასი კი იყო სახელმწიფო კაცი, რომელმაც ერეტრიელებს მრავალი საზრუნავი გაუჩინა და ლელანტონისათვის ბრძოლისას დაიღუპა.[40] დიდებამ, მოწინებას რომ იმსახურებდა, მსაჯულები სულ დააბნია. სწორედ იმხანად მოიფიქრეს ძნელსაცნაური კითხვებით რომ გამოევლინათ გამარჯვებული. და აი, როგორც გადმოგვცემს ლესქესი,[42] ჰომეროსმა თქვა:

მუზავ, განმიცხადე ის, რაც არასოდეს მომხდარა ქვეყნად და არც მოხდება!

ჰესიოდემ კი დაუხანებლივ მიუგო:

კაცნი ზევსის სამარხს არც ფლოქვთახმაურით მოჯირითე ცხენებს

გაათელინებენ არასდროს, არც ეტლებს, რათა გაიმარჯვონ!

როგორც გადმოგვცემენ, ამ პასუხმა ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ სამფეხი მას მიაკუთვნეს».

«კი მაგრამ, — გაიოცა კლეოდოროსმა, — რით განსხვავდება ეს ძნელსაცნაური იმ გამოცანებისაგან, ევმეტისი რომ იგონებს? ვითარცა სხვები ქსოვენ წელსაბმელებსა და ბადეებს, ისიც ასევე თხზავს თავის მწყობრსა და მხიარულ გამოცანებს ქალებისათვის. კაცებისთვის კი, მცირეოდენი აზროვნება თუ გააჩნიათ, სასაცილო იქნებოდა მათზე დაფიქრება».

ევმეტისს თითქოს სურდა საპასუხოდ რაიმე ეთქვა, მაგრამ დაირცხვინა და თავი შეიკავა, თუმცა სახეზე ალმურმა გადაუარა. მას ესოპოსი გამოექომაგა ამ სიტყვებით:

«განა უფრო სასაცილო არ არის, როდესაც ვერ ვხსნით? ევმეტისმა, ვიდრე ნადიმი დაიწყებოდა, ასეთი გამოცანა შეთხზა:

მინახავს კაცი, ვისაც კაცისთვის მიურჩილავს ცეცხლით სპილენძი!

— იცი, რას ნიშნავს?» ჰკთხა კლეოდოროსს ესოპოსმა.

«არც მსურს ვიცოდე», — უპასუხა კლეოდოროსმა.

«და მაინც იცი, თანაც სხვებზე უკეთ, — შეედავა ესოპოსი. — როგორც არ უნდა იუარო, ის კოტოშები, ადამიანებს რომ მოჰკიდებ-ხოლმე, მუდამ გამხელენ».

კლეოდოროსმა გაიცინა: იგი იმხანად მკურნალთაგან ყველაზე ხშირად მიმართავდა-ხოლმე კოტოშებს. მკურნალობის ამ მეთოდსაც მანვე გაუთქვა სახელი.

11. შემდეგ სოლონის მეგობარი და თანამზრახველი მნესიფილოს ათენელიც ალაპარაკდა:

«მე ასე ვფიქრობ, ჩემო პერიანდროს, რომ ნადიმისას სიტყვათა წარმოთქმა შესაძლებელი უნდა იყოს არა იმის მიხედვით, თუ კაცი რაოდენ მდიდარია ან სახელოვანი, არამედ ამ დროს ყველა უნდა იყოს თანაბარი, როგორც ეს სახალხო მმართველობის ჟამს ხდება. რაც კი აქამდე ითქვა სახელმწიფო თუ სამეფო მმართველობაზე, ჩვენს სახალხო წყობას სულაც არ შეეფერება. ამიტომ ხომ არ ჯობს, ყოველმა ჩვენგანმა კვლავაც გამოთქვას თავისი აზრი ისეთ სახელმწიფოზე, სადაც ყოველი თანასწორია კანონის წინაშე; და ახლაც ისევ სოლონს ვთხოვოთ პირველი სიტყვა».

თანახმა იყო ყველა, სოლონმაც თქვა პირველმა:

«მნესიფილოს, სხვა ათენელებთან ერთად შენც ხომ გსმენია, თუ რა აზრის ვარ სახელმწიფო წყობის შესახებ. მაგრამ რაკი გსურს კვლავ გაიგო, გაგიმეორებ. საუკეთესო წყობა და უძლიერესი სახალხო ხელისუფლება იმ სახელმწიფოშია, სადაც დამნაშავის გასამართლებას ითხოვს არა მხოლოდ ის, ვისაც დაუშავეს, არამედ ისიც, ვისთვისაც არაფერი დაუშავებიათ».

მეორე სიტყვა ბიასმა თქვა:

«სახალხო ხელისუფლება უძლიერესია იქ, სადაც კანონის ძალის წინაშე ისე ძრწიან, როგორც ტირანის წინაშე».

შემდეგ თალესმა:

«სადაც არ არიან არც ღარიბები და არც უზომოდ მდიდრები».

ანაქარსისმა:

«ის არის კარგი სახელმწიფო, სადაც ღირსებისამებრ ფასდება სიქველე, იგმობა მანკიერება, ხოლო დანარჩენს მიეგება დამსახურებით».

მეხუთე იყო კლეობულოსი:

«აღმატებულად გონიერია ის ხალხი, რომელსაც კანონზე მეტად გაკიცხვისა ეშინია».

მეექვსე სიტყვა პიტაკოსმა თქვა:

«საუკეთესოდ მივიჩნევ იმ სახელმწიფოს, სადაც დაუშვებელია, რომ უგუნურებმა მართონ და არა გონიერებმა».

მათ მიუბრუნდა ქილონი და ასე მიმართა:

«ის სახელმწიფოა უმჯობესი, სადაც კანონებისა მეტად სჯერათ, ორატორებისა კი, ნაკლებად».

ბოლოს თავისი აზრი კვლავ პერიანდროსმა გამოთქვა:

«ვფიქრობ, აქ ისეთ ხელისუფლებაზეა საუბარი, რომელსაც იმსახურებენ საუკეთესო მოქალაქენი».

12. როდესაც ეს საუბარიც გასრულდა, ბრძენკაცებს მივმართე თხოვნით, ებაასათ იმაზეც, თუ რას ფიქრობდნენ ოჯახის მართვის თაობაზე, რადგანაც სამეფოსი თუ სახელმწიფოს განმგებლობა ერთეულთა ხვედრია მხოლოდ, ოჯახისა თუ სახლისა კი, ყოველი ჩვენთაგანის».

ამაზე ესოპოსმა გაიცინა და თქვა:

«ყოველ ჩვენთაგანში, ცხადია, ანაქარსისს არ გულისხმობ. მას ხომ ოჯახი არ გააჩნია. უსახლ-კარობით ამაყობს კიდეც; ურემზე ცხოვრობს, ვითარცა მზე, რომელიც, როგორც ამბობენ, თავისი ეტლით მოგზაურობს ცის კაბადონზე».

«ჰოდა ამიტომ, — მიუბრუნდა ანაქარსისი, — ეს ღმერთი ან ერთადერთი თავისუფალი ღმერთია, ან არა და, თავისუფლებით გამორჩეული ღვთაებათაგან; ცხოვრობს საკუთარი კანონებით, სხვებს განაგებს, თავად არავის

ემორჩილება, მეფობს და მართავს სადავეებს. შენ, ალბათ, ვერც კი შეამჩნიე, რომ მისი ეტლი საოცრად ლამაზია და წარმოუდგენლად დიდი, თორემ თავს არ გაიმასხრებდი ამ შედარებით. ესოპოს, ეს მიწის, ხის თუ თიხის სადგომები შენ სახლები ხომ არ გგონია? ეს იგივეა, ლოკოკინად მიიჩნევდე მხოლოდ ნიჟარას და არა იმას, ვინც შიგ ბინადრობს. სწორედ ამიტომ გეცინებოდა სოლონზე, რომელმაც იხილა რა კროისოსის სასახლის ბრწყინვალება, არ აღიარა მისი მფლობელი უბედნიერეს და უნეტარეს ადამიანად. მას ხომ სურდა დაენახა ის სიკეთე, რაც იყო მასში და არა ის, რაც კი გარს ეფინა. ჩანს, დაგავიწყდა საკუთარი მელა, რომელმაც, ეკამათებოდა რა ლეოპარდს სიჭრელეზე, შესთავაზა, ჩაეხედა მისთვის სულში, სადაც კიდევ უფრო მეტს სიჭრელეს დაინახავდა.[43] და აი, ახლაც, უმზერ რა კალატოზთა და ხუროთა ნახელავებს, სახლებად სწორედ მათ მიიჩნევ, და არა იმას, რასაც შიგ დაუსადგურებია — ბავშვთა, მეუღლეთა, მეგობართა, მსახურთა და სხვა მობინადრეთა ოჯახს, რომელიც საზრიანად და ბრძნულად თუ იქნება ანყობილი, ჭიანჭველათა ბუნაგში ან ჩიტის ბუდეშიც რომ ცხოვრობდეს, სანეტარო და ბედნიერ სახლად ჩაითვლება. აი, ასე ვეპასუხები ესოპოსს, ხოლო დიოკლესს — ვექარაგმები. სხვებმა კი, წესისამებრ, თქვენი აზრებიც განაცხადეთ:

სოლონმა თქვა:

«საუკეთესოა ის სახლი, სადაც დოვლათი გროვდება სამართლიანად, ინახება სანდოობით და იხარჯება დაუნანებლად».

ბიასმა:

«სადაც ოჯახის უფროსი ისე იქცევა საკუთარი ნებით, როგორც გარეთ — კანონის ძალით».

თალესმა:

«სადაც ოჯახის უფროსს საქმე ყველაზე ნაკლები აქვს».

კლეობულოსმა:

«სადაც უფრო მეტია მათი რიცხვი, ვისაც უყვარს ოჯახის უფროსი, ვიდრე მათი, ვისაც არ უყვარს».

პიტაკოსმა:

«საუკეთესოა ის ოჯახი, სადაც არც ფუფუნება იგრძნობა და არც აუცილებლობის ნაკლებობა».

ქილონმა კი თქვა:



*მხატვარი კარლო ფაჩულია*

«ოჯახი ისე უნდა იმართებოდეს, როგორც სამეფო — და დაასრულა იმ სიტყვებით, ოდესღაც რომ მიუმართავს ლიკურგოსს ვიღაც კაცისთვის, რომელსაც მისთვის ურჩევია სახელმწიფოში შემოეღო სახალხო მმართველობა: „თავდაპირველად დაამყარე სახალხო მმართველობა საკუთარ სახლში".[44]

13. როცა ეს საუბარიც გასრულდა, ევმეტისი და მელისსა დარბაზიდან გავიდნენ. მაშინ პერიანდროსმა დიდი ფიალით შესვა ქილონის ჯანმრთელობის სადღეგრძელო, ხოლო ქილონმა ბიასისა; ამის შემხედვარე არდალოსი წამოდგა და ესოპოსს მიმართა:

«იქნებ ჩვენთვისაც გადმოგეცათ თქვენი სასმისი, თორემ, ხომ ხედავ, ეგენი თავიანთ ბათიკლესის თასს[45] მხოლოდ ერთმანეთს აწვდიან და სხვას აღარავის აკარებენ!»

«განა ეს თასი საერთოა, — მიუგო ესოპოსმა, — ოდითგანვე სოლონს ეკუთვნის».

«მაშინ სოლონი რატომ არ სვამს? — იკითხა პიტაკოსმა და მზერა მიაპყრო მნესიფილოსს. — ამით ის ხომ ეწინააღმდეგება თავისივე შეთხზულ ქმნილებას, სადაც წერია:

„მესათნოება კიპროგენეას საქმენი და დიონისესიც, მუზებისაც, რადგან ისინი ანიჭებენ კაცებს სიამეს»"[46]

«ალბათ იმიტომ, ძვირფასო პიტაკოს, რომ — ჩამოართვა სიტყვა ანაქარსისმა, — მას ეშინია შენი და შენივე არც თუ ისე მსუბუქი კანონის,[47] სადაც წერია: „მთვრალს სასჯელი უორმაგდება ფხიზელთან შედარებითო"».

პიტაკოსმა კი შეახსენა:

«თავად შეურაცხყავი ეს კანონი გასულ წელს დელფოსში, როდესაც მთვრალი თხოულობდი ჯილდოს და გვირგვინს».

«რატომაც არ უნდა მომეთხოვა? — აღშფოთდა ანაქარსისი, — განა ასე არ იყო დათქმული, რომ გამარჯვებულად აღიარებდნენ მას, ვინც ყველაზე მეტს შესვამდა. მე კი პირველი გამოვთვერი. გამაგებინეთ ერთი, სუფთა ღვინოს განა იმიტომ არა ვსვამთ, რომ უგონოდ დავთვრეთ?»

აქ პიტაკოსმა გაიცინა, ესოპოსმა კი თქვა იგავი:[48]

«მგელს დაუნახავს, თუ როგორ შეექცეოდნენ მწყემსები ბატკანს ქოხში. მათთან მიახლოებულს აღმოხდომია: „წარმოგიდგენიათ, რა აურზაური ატყდებოდა, ეს რომ მე გამეკეთებინაო!"

«კარგად გადაგვიხადა სამაგიერო ესოპოსმა, — ალაპარაკდა ქილონი, – მას სულ ახლახანს ხმა ჩავაკმენდინეთ და მისივე თვალწინ არ ვალაპარაკებთ მნესიფილოსს, რომელსაც ჰკითხეს, რატომ არ სვამსო სოლონი».

«გიპასუხებთ; — თქვა მნესიფილოსმა, — სოლონი დარწმუნებულია, და მე ეს კარგად ვიცი, რომ ადამიანურ თუ ღვთაებრივ შემოქმედებაში მთავარია არა ის, თუ რისგან იქმნება რაიმე, არამედ ის, თუ რა იქმნება, რატომ იქმნება და როგორ. მართლაც, მქსოველს თუ ჰკითხავთ, რას აკეთებო, ის გიპასუხებთ, მოსასხამსო, ან გადასაფენს და არავითარ შემთხვევაში არ იტყვის იმას, რომ თითისტარს ვატრიალებო ან ძაფს ვქაჩავო; მჭედელი იტყვის, რომ რკინას ჭედავს ცულებისათვის, და არ დაიწყებს იმის ჩამოთვლას, რაც საჭიროა გამოსაჭედად: როგორ ალვივებს ნაკვერჩხალს ან ამზადებს ჩაუმქრალ კირს; ასევე განაწყენდება ხუროთმოძღვარი, თუკი გამოვაცხადებთ, რომ ის სახლს ან ხომალდს კი არ აშენებს, არამედ მორებს თლის და თიხასა ზელს. და მით უმეტეს უნდა განრისხდნენ ჩვენზე მუზები, თუკი ვიფიქრებთ, რომ მხოლოდ ფლეიტაზე ან კითარაზე დასამღერებლად იყვნენ მოწოდებულნი და არა იმისთვის, რომ ზნეობრივად აღზარდონ და ვნებათაგან განწმინდონ ისინი, ვინც მათ მუსიკობასა და სიმღერას ისმენს. ზუსტად ასევე, აფროდიტე ხორციელ ვნებებს კი არ ქადაგებს, ან დიონისე — ღვინით თრობას, არა! ისინი გვასწავლიან ურთიერთსიყვარულს, კეთილმოსურნეობას, ერთმანეთის გაფრთხილებასა და სიახლოვით ტკბობას, რომელიც სწორედ ამ [ვნებითა და თრობით] მიიღწევა. აი, სწორედ ასეთ მოლვაწეობას უწოდებს სოლონი ღვთაებრივს, ასეთი შრომა უყვარს და თავადაც ილვწის, განსაკუთრებით — სიბერეში. აფროდიტე ნიადაგ ლამობს აღძრას ურთიერთსიყვარული და კეთილგანწყობა ქალებსა და კაცებს შორის. სურს მათი სხეულების შეერთებით, რასაც თან სდევს სიამოვნება, შეაერთოს მათი სულებიც. დიონისე კი, თავისი ცეცხლოვანი ღვინით ჩვენს გულებს რომ იმორჩილებს, მათში კეთილგანწყობის საფუძარს დებს და გვაახლოვებს ჩვენთვის სავსებით უცხო ადამიანებთან. ხოლო როდესაც ერთ დარბაზში თავს იყრიან ისეთი კაცები, როგორებიც პერიანდროსმა მოიწვია, ასე მგონია, აღარც თასია საჭირო და აღარც ფიალა, რადგანაც მათ მაგიერ თავად მუზები გვთავაზობენ საუბრის თემას. ეს იმ უღვინო კრატერსა[49] ჰგავს, სავსე რომ არის სიტკბოებითაც, შესაქცევითაც, სარგებელითაც, რასაც ისინი უხვად გვთავაზობენ და აცოცხლებენ ჩვენში ურთიერთსიყვარულსა და კეთილგანწყობას. ხოლო „ციცხვს კრატერში" დიდხანს ტოვებენ უმოძრაოდ, რასაც სთავაზობდა ჰესიოდე[50] იმ ადამიანებს, რომლებიც უფრო კარგად სვამდნენ, ვიდრე საუბრობდნენ. მე ისიც გამიგია, რომ ძველები ღვინის სმისას სადღეგრძელოებს ამბობდნენ და სვამდნენ, თუკი ჰომეროსს[51] დავუჯერებთ, მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით — ხომ ცნობილია, თუ როგორ უთმობდა აიასი თავის წილ ღვინოს თანამეინახეს».

როდესაც მნესიფილოსმა დაასრულა თავისი სათქმელი, ალაპარაკდა პოეტი ქერსიასი[52] (სწორედ ის, რომელსაც პერიანდროსმა სულ ცოტა ხნის წინ მოუხსნა სასჯელი და ქილონის თხოვნით ისევ დაიახლოვა):

«განა ზევსი ღმერთებსა და აგამემნონი გმირებს ასეთი „მკაცრი წესით" არ ჩამოუსხამდნენ-ხოლმე ღვინოს, რათა ნადიმზე მიწვეულებს შეძლებოდათ შეესვათ ერთმანეთის სადღეგრძელოები?»

«იქნებ გგონია, ქერსიას, — შეეპასუხა კლეოდოროსი, — თუკი თქვენი თქმით, ამბროსია ზევსთან მიაქვთ მტრედებს, რომლებიც ძლივს აღწევენ თავს მოხეტიალე კლდეებს,[53] ამიტომ მას ნექტარიც არ დაეძებნება უხვად და უფრთხილდება რა, მოზომილად სთავაზობს სტუმარს?»

14. «რატომაც არა? — თქვა ქერსიასმა, — თუმცა, რადგანაც საუბარი შეეხო საოჯახო საქმეებს, იქნება ვინმემ ისაუბროს იმაზე, რაც გამოგვრჩა? გამოგვრჩა კი, ჩემი აზრით, შენაძენი. როგორ უნდა დავიცვათ ზომიერება, როდესაც საქმე ეხება შენაძენს?»

«გონიერთათვის, — უპასუხა კლეობულოსმა, — ამ ზომიერებას კანონი აწესებს; სულელთა გასაგონად კი ერთი არაკი მახსენდება, რომელიც ჩემმა ქალიშვილმა თავის ძმას უამბო: ერთხელ, მთვარემ თავის დედას მიმართა თხოვნით, შეეკერა მისი ზომის შესაფერისი ქიტონი, რაზედაც დედამ ასე მიუგო: „როგორ შევკერო შენი ზომა? ახლა სავსე ხარ, მალე მიილევი, ბოლოს შეიზნიქები კიდეც". ზუსტად ასევე, ძვირფასო ქერსიას, სულელსა და უგუნურ კაცს ზომიერების გრძნობა ღალატობს. ის სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამეს ამოიჩემებს ხოლმე, რითაც ემსგავსება ესოპოსის ძაღლს, რომელსაც, იგავის თანახმად, ზამთარში სიცივისაგან მოკუნტულს სახლი მოუნდა. მაგრამ როდესაც დადგა ზაფხული და მან შეძლო, ძილისას წელი გაემართა, ეს სურვილი წყალს გაატანა, რადგან ჩათვალა, რომ სახლი სულაც არ სჭირდება, თანაც დიდია და მისთვის შესაფერისი სადგომის შენება იოლი საქმე არ იქნება. განა ვერ ხედავ, ჩემო ქერსიას, რომ ადამიანები ხან მომჭირნეობით ცხოვრობენ, როგორც იტყვიან ლაკონიკურად, ხანაც მიიჩნევენ, რომ არ ღირს სიცოცხლე, თუკი მათ მეფურად ცხოვრების შესაძლებლობა არ ეძლევათ».

ქერსიასმა ხმა არ გაიღო, მაშინ ისევ კლეოდოროსმა იკითხა:

«თქვენ, ბრძენკაცები, თქვენივ შენაძენს განა თანაბრად ანაწილებთ?»

«კეთილო კაცო, — მიმართა კლეობულოსმა, — კნონი თერძს ჰგავს, ყოველს გვთავაზობს იმას, რაც შეგვფერის, რაც არის ჩვენთვის დროული და მართებული. აი, შენ, როცა სნეულებს ურჩევ საკვებს, ჯანზე მოგყავს და წამლობ, ყველას თანაბრად ექცევი თუ საჭიროებას ემორჩილები, როგორც ჩვენ — კანონს?»

«ასე გამოდის, — შეაწყვეტინა არდალოსმა, — თქვენს მეგობარსა და სოლონის მასპინძელს, ეპიმენიდესს[54] რომელიღაც კანონი ავალდებულებს, არაფერი მიირთვას, მხოლოდ ერთი ლუკმა, რომელსაც თავად მოიმზადებს, ისიც იმისთვის, რომ შიმშილის გრძნობა დაიოკოს და იცხოვროს საუზმისა და სადილის გარეშე?»

ამ სიტყვებით ნადიმი დასრულდა, მხოლოდ თალესმა იხუმრა, მით უკეთესი ეპიმენიდესისთვის, თუ მას არ სურს დაფქვას ან გამოაცხოს პური, როგორც ამას აკეთებს პიტაკოსიო. შემდეგ დასძინა:

«როდესაც ერესოსში გახლდით, მესმოდა, როგორ მღეროდა ჩემი დიასახლისი თავის წისქვილში:

„დაფქვი, წისქვილო, დაფქვი,
რადგანაც თავად პიტაკოსიც ფქვავს
მეფე დიადი მიტილენესი!»

«გამკვირვებია, — თქვა სოლონმა, — ნუთუ არდალოსმა ვერ შენიშნა, რომ კანონი, რომელიც ამ კაცს ასეთ კვებას ავალდებულებს, ჯერ კიდევ ჰესიოდემ გამოთქვა ლექსად. პირველმა სწორედ ჰესიოდემ დათესა ეპიმენიდესის საკვებად გამოსადეგი თესლი და მისი მოპოვების წესიც გვამცნო:

„რამდენი ბალბა გვიშველის და რამდენი ასფოდელოსი"[55]

პერიანდროსი აღშფოთდა:

«მაშ, შენი აზრით, ჰესიოდე, რომელიც მუდამ მოგვიწოდებდა ყაირათიანობისაკენ, სწორედ ამას მიანიშნებდა, როდესაც უმწირეს საკვებზე წერდა უგემრიელესიაო? უნდა გითხრა, რომ ბალბა მართლაც სასარგებლოა, ასფოდელოსი — გემრიელი. ისინი კი არ გვანაყრებენ, არამედ შიმშილსა და წყურვილს გვიკლავენ, ხოლო მათი ჭამა შესაძლებელია თაფლთან, უცხოურ ყველთან და სხვა იშვიათ საკვებთან ერთად. ჰესიოდესი არ იყოს, ხომ არ „დაგველუქა კვამლი", რადგანაც

„ხარებისა და გატანჯული ჯორების ჭაპანწყვეტას ბოლო მოელოს",[56] თუ სხვა საკვებიც ასევე უნდა მომზადდეს? გამკვირვებია ასევე, ჩემო სოლონ, როგორ ვერ ხვდება შენი მასპინძელი, რომელმაც სულ ახლახანს აღასრულა დელოსზე „დიდი განწმენდა",[57] რომ პირველყოფილი საკვების მოსაგონებლად მათ სალოცავებში სხვა უბრალო და ველურ ბალახეულთან ერთად მოაქვთ ბალბაცა და ასფოდელოსიც? ვფიქრობ, იმიტომაც აქებს ჰესიოდე, ამ მცენარეებს, რომ ისინი ესოდენ უბრალონი და სასარგებლონი არიან».

«კიდევ იმიტომ, — დასძინა ანაქარსისმა, — რომ ისინი ჯანმრთელობას უფრთხილდებიან».

«დიახ, ასეა — დაუდასტურა კლეოდოროსმა, — რადგანაც ჰესიოდე, ცხადია, ფლობდა მკურნალობის ხელოვნებას, მას არც გამოცდილება აკლდა და არც დამაჯერებლობა, როდესაც მსჯელობდა საკვების შემადგენლობაზე, ღვინის შეზავებაზე, კარგი წყლის თვისებებზე, ქალთა განბანაზე თანაყოფის დროსა თუ ჩვილთა ჩასახვაზე. ვფიქრობ, ჰესიოდეს მოწაფედ ეპიმენიდესი კი არა ჩვენი ესოპოსი უნდა ვაღიაროთ, რადგანაც მისი სიბრძნე, ესოდენ მშვენიერი, ნაირგვარი და მრავლისმეტყველი დასაბამს იღებს იმ იგავში, რომელსაც ჰესიოდე მოგვითხრობს ბულბულსა და ქორზე.[58] თუმცა ხომ არ ჯობს თავად სოლონს მოვუსმინოთ? ის დიდხანს ცხოვრობდა ათენში ეპიმენიდესთან ერთად და, ალბათ, კარგად მოეხსენება, რამ მოაფიქრა ამ ბრძენკაცს ასე ეკვება?»

15. «განა ღირს კი ასეთი შეკითხვის დასმა? — აღნიშნა სოლონმა. — ცხადია, მწირი საკვებით კმაყოფილება უახლოვდება უმაღლესსა და უმთავრესს სიკეთეთაგან. განა კარგი არ იქნება, რომ საკვების მოთხოვნილება არც არსებობდეს?»

«ვერ დაგეთანხმები! — გამოეპასუხა კლეოდოროსი, — დიდი მკრეხელობაა სწორედ აქ, ამ სუფრებთან საჭმელსასმელზე აუგის თქმა. გაშლილი სუფრა სხვა რა არის, თუ არა საკურთხეველი იმ ღმერთებისა, რომლებიც მეგობრობასა და სტუმართმოყვარეობას მფარველობენ? თალესი ხომ ამტკიცებს, დედამიწის გაქრობით მთელი სამყარო აირევაო; იგივე მოხდება სახლშიც: საჭმელ-სასმელი თუ არ იქნა, აღარც კერიის ცეცხლი იქნება, აღარც კერია, აღარც თასები და აღარც სტუმარ-მასპინძლობა, რაც ყველაზე ამაღლებული და კაცთმოყვარული ურთიერთობაა ადამიანთა შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მთელი ცხოვრებაა, თუკი ცხოვრებად ვაღიარებთ იმ ადამიანურ საქმეთა ერთობლიობას, რომლის დიდი ნაწილიც საკვების მოპოვებასა და მომზადებას ეთმობა. ჩაკვდება მიწათმოქმედება, ჩემო ძვირფასო, ხოლო მიწას, მოუვლელს და უნაყოფოს სარეველები მოერევიან და ნიაღვრები წალეკავენ. მასთან ერთად კი გაქრება ყოველნაირი ხელობა და ხელოსნობა, რამეთუ მათი საფუძველი იყო, არის და იქნება მიწა, რომლის გარეშე ისინი ველარც იარსებებენ. გადაგვარდება ღმერთებისადმი პატივის მიგების წესი. შეუმცირდება მზეს პატივი, უფრო მეტად კი — მთვარეს, რადგანაც ადამიანები მათდამი თაყვანისცემას მხოლოდ სინათლის და სითბოს გამო თუ გამოხატავენ. განა სამსხვერპლოს აღუმართავენ, მსხვერპლს შესწირავენ წვიმისმომყვან ზევსს, მინდვრისმხვნელ დემეტრეს, მარჩენალ პოსეიდონს? რაც არ დაგვჭირდება, რას გვიწყალობებს მადლისმომნიჭებელი დიონისე? ანდა თავად მას რას შევწირავთ, რას გადავუღვრით ზედაშედ? და ყოველივესთან სდევს დიდი არეულობა და ქაოსი. უგუნურია, ვინც მთელი არსებით ეძლევა ყოველგვარ ნეტარებას, თუმცა გრძნობათაგან დაცლილია ის, ვინც გაურბის ყოველივეს. დაე, განაგოს სულმა თავისი უმაღლესი და უმთავრესი სიამენი; სხეულისთვის კი არ არსებობს იმაზე უფრო კანონიერი სიამოვნება, ვიდრე ჭამა-სმა, რადგანაც ამას აღასრულებს ადამიანთა თვალწინ, გაშლილ სუფრასთან შინ თუ ნადიმზე მიწვეული და არა ისე, როგორც ეძლევა სასიყვარულო ვნებას მალულად, ღამის სიბნელეში. მათ, ვინც გაურბის ლხინს და ნადიმს, მრუშების მსგავსად მიიჩნევენ სინდის-ნამუს გარეცხილებად და ტყიურებად».

«ის ხომ გამოგრჩა, — სიტყვა ჩამოვართვი კლეოდოროსს, — საკვების გარეშე რომ ჩვენ აღარც ძილი მოგვეცემა; ძილის გარეშე კი სიზმარსაც ველარ ვიხილავთ. ხოლო მათ გარეშე წინასწარმეტყველების უძველესი უნარი გაგვიქრება. ცალმხრივი შეიქნება მაშინ სიცოცხლე, რადგანაც სხეულს, რომელშიც სული ისადგურებს, დანიშნულება დაეკარგება. სხეულში ხომ ყველაზე მეტი და უმთავრესი ის ორგანოებია, რომლებიც კვებას ემსახურებიან: კბილები, ენა, კუჭი და ღვიძლი. უმოქმედონი როდი არიან, თუმცაღა მათი დანიშნულება მხოლოდ ეს არის. ასე გამოდის, თუ სმა-ჭამა არ არის აუცილებელი, მაშინ სხეულიც არ ყოფილა აუცილებელი და აღარც ჩვენ ვყოფილვართ აუცილებელნი, რადგანაც არ არსებობს ადამიანი სხეულის გარეშე. აი, ასე ვექომაგებით ჩვენ სტომაქს, — ვთქვი მე, — თუკი სოლონი ან სხვა სტუმარი საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამენ, მათაც მოვუსმენთ».

16. «დიახაც! — თქვა სოლონმა, — თორემ ვინმე იფიქრებს, თითქოს ეგვიპტელები ჩვენზე უფრო საღად აზროვნებენ: ისინი ხომ თავიანთ მიცვალებულებს კვეთენ, მზეზე აშრობენ, შიგნეულს აცლიან და ზღვაში აგდებენ. მხოლოდ ამის შემდეგ მიიჩნევენ, რომ გვამი განწმენდილია და ზრუნავენ კიდეც მასზე. და მართლაც, სწორედ შიგნეულია ჩვენი სხეულის სიბილწე, მისი ტარტაროსი, ზუსტად ისეთი, ჰადესში რომ არის საშინელი ნაკადებით, ცეცხლოვანი ქარებითა და გვამებით სავსე. ცოცხალი ცოცხალს როდი შთანთქავს; ჩვენ კი ვკლავთა ცხოველებსა და მცენარეებს, რომლებიც ჩვენსავით ცოცხლობენ,

რამეთუ იზრდებიან და იკვებებიან, ამიტომ მათი მოსპობა სავსებით გაუმართლებელია. სხვად გარდასახვა დალუპვის ტოლფასია, ხოლო თუ სხვისი საკვები გახდი, ეს საბოლოო დალუპვაა. ხორცის ჭამაზე უარის თქმა, რასაც, როგორც ამბობენ, გვიქადაგებდა ძველი ორფევსი,[59] საკვებით გამოწვეულ უბედურებათაგან თავის დაძვრენის სურვილ-ია და არა ხსნა. ჭეშმარიტი ხსნისა და განწმენდის მხოლოდ ერთი გზა არსებობს — მიაღწიო თვითკმარობას იმით, რომ განირიდო ჭამის მოთხოვნილება. ვისთვისაც ღმერთს არ მიუცია სხვისი მოსპობის გარეშე თავის რჩენის უნარი, მისთვის ბუნებაშივე ჩაუდევს უსამართლობის დასაბამი. ასე რომ, ჩემო ძვირფასო, საკუთარი არსებიდან უსამართლობის ამოძირკვას თუ დავაპირებთ, ხომ არ აჯობებდა, უპირველეს ყოვლისა, მოგვეცილებინა კუჭიც, ღვიძლიცა და შიგნეულიც. მათგან ჩვენ ხომ მშვენიერების არც გრძნობა გვეძლევა და არც განცდა. ისინი გვაიძუ-ლებენ მხოლოდ სამზარეულო დანებთან, ქვაბებთან, დოლაბებთან, ვარცლებთან, ბუხრებთან თუ ჭებთან ვიფუსფუსოთ. იოლია იმის დანახვა, რომ მიწიერთაგან მრავალს თავისი სული ჩაუმწყვდევია სხეულში, როგორც წისქვილში და მას მხოლოდ სათქვლეფის საძიებლად აბზრიალებს. განა ზუსტად ასე არ ვიყავით ჩვენ სულ ახლახან? ველარც ვერავის ვხედავდით და ერთმანეთისაც არ გვესმოდა. ჭამის სურვილს ყოველი ჩვენგანი მონასავით ჰყავდა წელში მოხრილი. მაგრამ ახლა მაგიდები განზე გადგეს[60] და ჩვენც გავთავისუფლდით. თავადაც ხომ გრძნობ, გვირგვინებით დამშვენებულნი მშვიდად ვსაუბრობთ, არსად მიგვეჩქარება და ჭეშმარიტად ვხარობთ ერთმანეთით. აბა მითხარი, ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა მთელი სიცოცხლე რომ გრძელდებოდეს, ერთმანეთის სიახლოვით განა უფრო ბედნიერნი არ ვიქნებოდით, რადგან აღარც სიღარიბეზე ვიდარდებდით და აღარც სიმდიდრის მოპოვებაზე ვიზრუნებდით? ხომ ნათელია: როდესაც გაქვს ის, რაც აუცილებელია, გიჩნდება უფრო მეტის მოხვეჭის სურვილი. კლეოდოროსს კი მიაჩნია, რომ საკვები საჭიროა, რათა გვქონდეს გაშლილი სუფრა, სავსე თასები და მსხვერპლს ვწირავდეთ დემეტრესა და კორეს; სხვას შეუძლია თქვას ისიც, რომ საჭიროა ომები და ჯარიანობა, რათა ვაშენოთ გალავნები, გემთსაშენები და თოფხანები. სამადლობელი მსხვერპლ-შეწირვა რომ აღვასრულოთ ყოველი ასი მოკლული მტრისთვის, როგორც სჩვევიათ მესენიელებს,[61] ვიღაცას ალბათ გული დაწყდება იმის გამო, რომ ჯანმრთელნი ვართ, იტყვის: „იმიტომ რომ სნეული არავინ არის, არც საწოლია საჭირო და არც საგებელი, არც ასკლეპიოსს შევწირავთ მსხვერპლს და არც სხვა მფარველ ღმერთებს, ხოლო სამკურნალო ხელოვნება მთელი თავისი წამლებით და მალამოებით უნდა დავივიწყოთ და დავასამაროთ". თუმცა, რა სხვაობაა მათ შორის? საკვებს ხომ შიმშილის წამლად ვიღებთ და ყოველი, ვინც იკვებება იმას კი არ იტყვის, რომ სიამოვნებისათვის ჭამს, არამედ იმას, რომ ჭამის სურვილი მას ბუნებით მოსდგამს. ისე კი, უნდა ითქვას, რომ საკვებს უფრო მეტი უსიამოვნება სდევს თან, ვიდრე სიამოვნება, რადგანაც მისით მიღებულ სიამოვნებას სხეულში ადგილიც მცირე ეთმობა და დროც, მაშინ როდესაც საჭმელ-სასმელის მოსაპოვებლად შრომა და გარჯა ესოდენ გვტანჯავს და შეურაცხგვყოფს! ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში ჰომეროსს, როდესაც წერდა, ღმერთები სწორედ იმიტომ არიან უკვდავნი, რომ არ ჭამენო:

„რომ არ მიირთმევენ საკვებს და არ სვამენ მეწამულ ღვინოსაც

[ღმერთნი] უსისხლონი ამიტომ და მარადიულნი არიან".[62]

ასე გამოდის, რომ საკვები ჩვენ არა მხოლოდ გვა-ცოცხლებს, არამედ გვასიკვდილებს კიდეც. მისით სნეულებანიც კი იკვებებიან ჩვენს სხეულში, რომელსაც ერთნაირად ტანჯავს შიმშილიცა და მაძღრობაც. ხშირად ჩვენთვის არც ისე რთულია საკვების მოპოვება, როგორც სხეულისთვის მისი ათვისება და მონელება. როგორც დანაიდები ვერ გვიპასუხებენ, როგორ იცხოვრებდნენ ან რას გააკეთებდნენ ცარიელი ქვევრი წყლით რომ არ ჰქონდეთ ამოსავსები, ასევე ჩვენც ვერ ვიტყვით, რას გავაკეთებდით, საჭირო რომ არ იყოს მიწისა და ზღვის ურიცხვი ძღვენით ჩვენი გაუმაძღარი სხეულის ამოყორვა. იმიტომ შევიყვარეთ ხორციელი ცხოვრება, რომ ჯერ კიდევ ვერ შევიცანით ჭეშმარიტი მშვენიერება. როგორც მონები, მოიპოვებენ რა თავისუფლებას, საკუთარ თავს ემსახურებიან ზუსტად ისე, როგორც უწინ ემსახურებოდ-ნენ მეპატრონეებს, ასევეა ჩვენი სულიც, მრავალი შრომისა და ჯაფის ფასად რომ ასაზრდოებს ახლა სხეულს, მისგან გათავისუფლებული დაიწყებს საკუთარი თავისთ-ვის ზრუნვას და იარსებებს მხოლოდ თავისთვის, მიუყუ-რადებს მხოლოდ თავის თავს და შეიცნობს ჭეშმარიტებას. აი, ეს ითქვა, ჩემო ნიკარქოს, სანოვაგეზე».

17. სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული სოლონს, რომ მოულოდნელად შემოვიდა გორგოსი, პერიანდროსის ძმა, რომელიც ღვთის განგებით წარგზავნილი იყო ტენარონ-ზე,[63] რათა მსხვერპლი შეეწირა პოსეიდონისათვის და მონ-აწილეობა მიეღო ზეიმებში. ჩვენ მივესალმეთ, პერიან-დროსმა კი გულში ჩაიკრა და გადაკოცნა, ხოლო შემდეგ გვერდით მიისვა. გორგოსი დაიხარა და ჩუმად დაუწყო საუბარი, ისე, რომ არავის გაეგო. პერიანდროსი უსმენდა და სახეზე სხვადასხვა განწყობა ეხატებოდა: ხან სევდიანი ჩანდა, ხანაც აღშფოთებული, ხან გაოგნებით უმზერდა თანამოსაუბრეს, ხან გაოცებით, ბოლოს გაიცინა და ჩვენ მოგვმართა:

«სიამოვნებით გიამბობდით, რაც მოვისმინე, მაგრამ ვერ ვბედავ, რადგანც ოდესღაც თალესს უთქვამს: უნდა ისაუბრო იმაზე, რაც სარწმუნოა, დაუჯერებელ ამბებზე კი სჯობს იყუჩოო!»

აქ ბიასი შეეპასუხა:

«მაგრამ თალესს სხვა ბრძნული აზრიც გამოუთქვამს: „მტრისგან სარწმუნო ამბავიც კი არ დაიჯერო, მეგობრის-გან კი დაუჯერებელიც ირწმუნეო". ჩემი აზრით, მტრად ის უგუნურსა და უმეცარ კაცს მიიჩნევს, ხოლო მეგობრად — ჭკვიანსა და კეთილგონიერს».

«რაკი ასეა, — თქვა პერიანდროსმა, — ვფიქრობ, ჩემო გორგოს, სხვებსაც უნდა ამცნო ის, რაც მე მიამბე. უმჯობესი კი იქნებოდა ეგ ამბავი დითირამბოსის ახალი ჰანგით[64] მოგვეთხრო ჩვენთვის».

18. და აი, რა უამბო მათ გორგოსმა: სამი დღის განმავ-ლობაში ის საზეიმო მსხვერპლშეწირვას აღასრულებდა, ბოლო ღამე კი გაათია ზღვის სანაპიროზე, სადაც ფერხ-

ულები და თამაშები იმართებოდა. ზღვას ანათებდა მთვარე, ნიავი არ იძროდა, ცა და ზღვა იყო მშვიდი. მოულოდნელად ტალღა აგორდა, აქაფდა და ხმაურით კონცხისაკენ გამოემართა. ამ სანახაობით გაოცებულნი დაედევნენ ტალღას, რომელიც ისეთი სისწრაფით ახლოვდებოდა, რომ ვერავინ მიხვდა, რა ხდებოდა. მალე გამოჩნდნენ დელფინები; მათი ერთი ნაწილი რკალად შეკრულ გუნდს წინ მიუძღოდა იოლად მისადგომი სანაპიროსკენ, დანარჩენები უკან მისდევდნენ, ვითარცა გამცილებლები. ზღვის ზედაპირზე ჩანდა სხეული, რომელსაც დელფინები მიაცურებდნენ. ყველაფერი ბუნდოვანი და გაუგებარი იყო მანამ, ვიდრე დელფინები ერთად არ შეჯგუფდნენ, ნაპირამდე არ მიცურეს და ხმელეთზე არ გამოიტანეს ადამიანის სხეული, რომელიც კიდეც სუნთქავდა და კიდეც ირხეოდა; ხოლო თავად კვლავ კონცხისაკენ გაცურეს, ტალღებს თავს ევლებოდნენ და ისე ჩანდა, რომ საოცრად გახარებულნი ხტოდნენ და ცეკვავდნენ. „მრავალი ჩვენთან მყოფი შეშინდა და ზღვას გაეცალა — განაგრძო გორგოსმა — მაგრამ ზოგიერთმა, და მათ შორის მეც, ძალ-ღონე მოვიკრიბეთ, მივუახლოვდით ზღვის ნაპირზე მწოლს და მასში მეკითარე არიონი[65] შევიცანით. მან თავადაც გაგვიმხილა თავისი სახელი; ეს მისი სამოსითაც ცხადი იყო, ის ეცვა, რითაც მუსიკალურ აგონებზე გამოდიოდა. იგი ქოხში გადავიყვანეთ. და რამდენადაც სწრაფი ცურვითა და ზღვის ხმაურით მხოლოდ დაქანცული იყო და დაუძლურებული, ხოლო სხვა არაფერი აწუხებდა, გვიამბო ის, რასაც სხვა არავინ დაიჯერებდა საკუთარი თვალით რომ არ ეხილა ჩვენსავით.

არიონმა გვითხრა, რომ უკვე დიდი ხანია აპირებდა იტალიიდან შინ დაბრუნებას. ხოლო მას შემდეგ, რაც პერიანდროსისაგან მიიღო წერილი, ეს სურვილი უფრო გაუმძაფრდა. და როგორც კი კორინთოსიდან წამოსული სატვირთო ხომალდი მიადგა ნაპირს, იგი დაუხანებლივ ავიდა გემბანზე. ზურგქარი სამი დღე მშვიდად მიაქროლებდა ხომალდს. მოულოდნელად მან იგრძნო, რომ მეხომალდეებს მისი დაღუპვა განეზრახათ. მესაჭემაც სხვათაგან მალულად ამცნო მას, რომ შეთქმულები ამ განზრახვის აღსრულებას ღამის დადგომისთანავე აპირებდნენ. ამ ამბით შეძრული და მარტოსული ღვთის ხმას მიენდო და ასეთი რამ მოიფიქრა: ჯერ კიდევ ცოცხალი დიდებულად გამოწყობილიყო, თითქოს უკანასკნელ მუსიკალურ აგონზე მიემართებოდა და მომაკვდავს თავისი უკანასკნელი სიმღერა გედივით ემღერა. და აი, ალიკაზმა და განაცხადა, რომ განზრახული აქვს საკუთარი თავის, ხომალდისა და მეხომალდეთა გადასარჩენად იმღეროს პითიური სიმღერა. იგი დადგა გემბანის კიდეზე და მიმართა რა ზღვის ღვთაებებს, დაიწყო ძნობა. ჯერ შუამდეც კი არ ჰქონდა ნამღერი, როდესაც მზე ზღვაში ჩაეშვა და წინ პელოპონესოსი გამოჩნდა. ამ დროს შენიშნა, რომ მეხომალდენი დაღამებას არ დაელოდნენ და მახვილებმომარჯვებულნი მის მოსაკლავად გამოემართნენ, ხოლო მესაჭემ სახეზე მოსასხამი აიფარა. მაშინ მანაც არ დააყოვნა და ზღვად გადაეშვა, რაც შეიძლება შორს ხომალდიდან. მის თავზე ჯერ ზვირთს არც გადაევლო, ისე მოცურდნენ დელფინები, რომლებმაც ზურგზე შეისვეს დაბნეული, გაოგნებული და თავდაპირველად შეშინებული მომღერალი. მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როდესაც იგრძნო, რომ დელფინები მას მსუბუქად მიაცურებდნენ და რომ მათ მრავლად მოეყარათ თავი მის გარშემო; რომ სიხარულით დაატარებდნენ რიგრიგობით, თითქოსდა რაღაც საერთო საქმეს აღასრულებდნენ და მიცურავდნენ ისეთი სისწრაფით, რომ ხომალდი დიდი ხანია უკან ჩამოიტოვეს. ამ დროს მან იგრძნო, ასე გვითხრა, არა სიკვდილის შიში ან სიცოცხლის სურვილი, არამედ სიამაყე და ღმერთებისადმი უსაზღვრო მოწიწება, რამეთუ მისი გადარჩენა მხოლოდ იმის დასტური იყო, რომ ღმერთებს უყვარდათ იგი და უცქერდა რა ვარსკვლავებით მოოჭვილ ზეცას, სპეტაკსა და ნათელ მთვარეს, რომელიც ამოდიოდა, მოლივლივე ზღვას, რომელზეც მათი ცურვის კვალი რჩებოდა, ის განაგრძობდა ფიქრს იმაზე, რომ მხოლოდ ერთი თვალით კი არ იმზირება სამართალი (დიკე), არამედ ღმერთი გვაკვირდება მრავალი თვალით და ჭვრეტს ყველაფერს, რაც კი ხდება ხმელეთსა თუ ზღვად. და ეს ფიქრები, მისივე თქმით, ცურვის სიმძიმეს უმსუბუქებდნენ. როდესაც ბოლოს მათ წინ მაღალი კბოდე აღიმართა, დელფინები დიდი სიფრთხილით შემოესალტნენ და მიაცურეს შეზნექილ ნაპირთან, თითქოს ხომალდი შეიყვანეს მშვიდ საყუდარში. მაშინ კი სავსებით ირწმუნა მან, რომ მისი გზა მხოლოდ ღვთის ნება იყო».

«როდესაც არიონმა ეს გვიამბო, — თქვა გორგოსმა, — ვთხოვე, აეხსნა თუ სად უნდა შენავებულიყო ხომალდი. მან მიპასუხა, რა თქმა უნდა, კორინთოსშიო, თუმცა უფრო მოგვიანებით. ის საღამოხანს გადაეშვა ზღვაში, იცურა,

**დაჯილდოება შოთაობის დღესასწაულზე**

უკვე ორი წელია გაზეთ **"ლიტერატურული მესხეთის"** რედაქტორის **ავთანდილ ბერიძის** თაოსნობითა და ქალბატონი **სანდრა რულოვსის** პატრონაჟით აღდგა სახალხო დღესასწაული **"შოთაობა"**, რომელიც ასპინძის რაიონის დაბა რუსთავში იმართება.

ზეიმის მნიშვნელოვანი ნაწილი **პოეზიის კონკურსს** ეთმობა. წელს ლიტერატურულმა ჟიურიმ **ხუთი ლექსის** მიხედვით წარდგენილ ასამდე მონაწილეს შორის საუკეთესოები გამოარჩია და ჯილდოებიც ასე გადანაწილდა:

პირველი ადგილი და ფულადი პრემია 800 ლარი — **ქეთი დოლიძე;**

მეორე ადგილი და 500 ლარი—**კატო ჯავახიშვილი;**

მესამე ადგილი და 300-300 ლარი **გიორგი საჯაიასა და თამარ ლომიძეს** გადაეცა.

**სანდრა რულოვსის პრემია** (ლიტერატურული კონკურსის საგანგებო ჯილდო) — **მარიამ წიკლაურს** ერგო.

ალბათ, ხუთას სტადიონამდე და თავიდანვე აზრკოლებდა უქარობა». ამას გარდა, გორგოსმა გამოჰკითხა, რა ერქვა ხომალდის მეპატრონეს, მესაჭეს, თავად ხომალდს და მხოლოდ ამის შემდეგ გაგზავნა ნავები და მეომრები, რათა ხომალდს ჩასაფრებოდნენ. არიონი კი მან წაიყვანა, მხოლოდ სამოსი გამოუცვალა, რათა მეხომალდეებს არ ეცნოთ იგი და არ გაქცეულიყვნენ. მართლაც, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ღვთის ნება იყო: მივიდნენ თუ არა, უმალ შეიტყვეს, რომ მოდარაჯე მეომრებს უკვე დაეკავებინათ ხომალდი და შეეპყროთ კიდეც მოვაჭრენიცა და მეხოფურნიც.

19. პერიანდროსმა უბრძანა გორგოსს, დაუხანებლივ წასულიყო და ჩაემწყვდია დაკავებულნი საპყრობილეში, რათა ვინმეს არ მოესწრო მათთან მისვლა და არ მოეთხრო არიონის გადარჩენის ამბავი.

ხოლო ესოპოსმა თქვა:

«მასხარად მიგდებთ მხოლოდ იმიტომ, ჭილყვავებსა და ყვავებს რომ ვალაპარაკებ; ხედავთ, ეგ თქვენი დელფინებიც რომ არა ნაკლებ ქარაფშუტობენ?»

მე კი მივუგე:

«ესოპოს, მე სხვა ამბავსაც გაგახსენებ, რომელიც ფრიად სარწმუნოა, რადგან წიგნებში ჩაუწერიათ...[66] მას შემდეგ, რაც ინო და ათამასი ცხოვრობდნენ, ათას წელზე მეტი გავიდა».

«თუმცა, დიოკლოს, — შემეპასუხა სოლონი, — ის, რაც გვიამბე, ადამიანურზე მაღლაა და ღვთაებრივს უახლოვდება; აი, ჰესიოდეს რაც შეემთხვა, ის ადამიანურიც არის და ჩვენც გვეხება. ალბათ, გსმენია ეს ამბავი?»

«რაღაც გამიგია:» — მივუგე.

«ღირს კი მოსმენად! ლოკრისში ერთ ოჯახს ჰესიოდესთან ერთად სტუმრობდა, ასე მგონია, მილეტოსელი კაცი, რომელიც მასპინძლის ქალიშვილს უმალ დაუახლოვდა. ეს გამომჟღავნდა და ჰესიოდეს დააბრალეს, თითქოს მან თავიდანვე იცოდა ყველაფერი ამ დანაშაულზე, მაგრამ დუმდა. სინამდვილეში კი უბრალო იყო, თუმცა ემსხვერპლა უსამართლო რისხვასა და ცილისწამებას: ამ ქალიშვილის ძმებმა, ლოკრისში მდებარე ნემეელი ზევსის სამსხვერპლოსთან ჩასაფრებულებმა, მოკლეს ისიცა და მისი მეგზურიც, რომელსაც სახელად ტროილოსი ერქვა; ცხედრები ზღვაში გადააგდეს. ტროილოსის გვამი ზღვიდან მდინარე დაფნოსის ხეობაში აღმოჩნდა და იქ წყლიდან ამომართულ ერთ ფრიალო კლდესთან გაირიყა და ეს კლდე დღემდე ტროილოსად იწოდება. ჰესიოდეს გვამი კი, ზღვაში ჩავარდა თუ არა, დელფინთა დასმა აიტაცა და მიაცურა რიონთან., რომელიც მოლიკრიონის მოპირდაპირე მხარეზეა.[67] იმხანად სწორედ იქ იმყოფებოდნენ ლოკრისელები, რათა მონაწილეობა მიეღოთ რიონის მსხვერპლშეწირვებში, რომელიც ახლაც იმართება იმავე ადგილებში დიდი ზარ-ზეიმით. თვალი ჰკიდეს თუ არა ცხედარს, რომელიც მათენ მოცურავდა, რაღა თქმა უნდა, გაოგნდნენ, ნაპირისაკენ ისწრაფეს, შეიცნეს მიცვალებული, რომლის ცნობაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა, სხვა ყველაფერი დაივიწყეს და შეუდგნენ მკვლელობის ამბის ძიებას, რამეთუ ამას იმსახურებდა დიდება ჰესიოდესი. სულ მალე აღმოაჩინეს კიდეც მკვლელები და ისინი ცოცხლად მისცეს ზღვას, მათი სახლი კი ამოძირკვეს; ხოლო ჰესიოდე ნემეის სამსხვერპლოს მახლობლად დაკრძალეს. უნდა ითქვას, რომ უცხოელებმა მისი სამარხი არ იციან, რადგან ამბობენ, თითქოს იღვწიანო ორქომენოსელები, ორაკულის ნებით, რომ ამოთხარონ მისი ნეშტი, რათა საკუთარ მიწას მიაბარონ. ასე რომ, თუ დელფინები ასე წყალობენ მიცვალებულებს, სულაც არ არის გასაოცარი, რომ შეეწიონ ცოცხლებს, მით უფრო, მათი სიმღერა თუ კითარაზე დაკვრა მოხიბლავთ. ჩვენ ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ამ ცხოველებს უყვართ მუსიკა და როდესაც ხომალდები უქარობისას გზას მიიკვლევენ სიმღერისა და ფლეიტის ხმებით, მაშინ დელფინები მათ მისდევენ, გარს ევლებიან და ხალისობენ. უყვართ შეჯიბრი იმ ბიჭუნებთანაც, რომლებიც ზღვაში დაცურავენ და ყურყუმელაობენ. ამიტომ არსებობს კიდეც დაუწერელი კანონი მათი ხელშეუხებლობის თაობაზე. დელფინებზე არც ნადირობენ და მათ არც არას ავნებენ. მაგრამ თუ ისინი მოხვდებიან ბადეში და დაიწყებენ ნათევზავების განადგურებას, მაშინ მათ, როგორც დამნაშავე ბიჭუნებს, როზგებით სჯიან. მახსენდება, ერთი კაცისგან მომისმენია, თითქოს ლესბოსზე ვიღაც ქალწული გამოუყვანიათო ზღვიდან დელფინებს. მაგრამ ეს ამბავი პიტაკოსმა უკეთ იცის და უმჯობესია, თავად გვიამბოს».

20. პიტაკოსმა დამიდასტურა, რომ ეს ამბავი ცნობილიც არის და ბევრსაც ახსოვს. ლესბოსის მკვიდრებს მისანმა მოუწოდა, მესოგეონად სახელდებულ კონცხზე, რომელსაც ზღვით მოგზაურობისას წააწყდებოდნენ, მსხვერპლი შეეწირათ, კერძოდ, პოსეიდონისათვის ზღვაში გადაეგდოთ ხარი, ხოლო ნერეიდებისა დ ამფიტრიტესათვის — ცოცხალი ქალწული. იმხანად ლესბოსელებს შვიდი ბელადი და ბასილევსი განაგებდა; მერვე, ექელაოსი, ორაკულის ნებით ირგვლივმოსახლე ხალხს მბრძანებლობდა. იგი უცოლო იყო. ამ შვიდ წინამძღოლს კი გასათხოვარი ქალიშვილები ჰყავდა. მათ წილი ჰყარეს და ისე მოხდა, რომ სმინთეოსის ასულს ერგო მსხვერპლად შეწირვა. იგი შემოსეს, ოქროთი შეამკეს და როდესაც დანიშნულ ადგილს მიაღწიეს, წესისგების აღსრულებამდე სავედრებელი აღავლინეს. ირგვლივმოსახლეთა შორის აღმოჩნდა ამ გოგონაზე შეყვარებული ჭაბუკი, წარჩინებულთა მოდგმის, სახელად ენალოსი, თუ სწორად მახსოვს. მას დაეუფლა წარმოუდგენელი სურვილი, დახმარებოდა გოგონას ამ უბედურების ჟამს. უკანასკნელ წამს მიირბინა მასთან, შემოეხვია და მასთანვე ჩავარდა ზღვაში. დაუხანებლივ გავრცელდა მაშინ ერთობ დაუჯერებელი ამბავი, თუმცა კი ხალხში ბევრმა ირწმუნა, თითქოს გადარჩნენ ისინი და შინაც დაბრუნდნენ. ამბობდნენ, ლესბოსზე გამოცხადებული ენალოსი ყვებოდაო იმის შესახებ, თუ ზღვაში როგორ მოაცურებდნენ მათ დელფინები, ხმელეთამდე რომ უვნებლად მოაღწევინეს. უფრო საკვირველ ამბებსაც მოგვითხრობს ხალხი, გასაოცარს და გამაოგნებელს, თუმცა ძნელია მათი დაჯერება: ამბობენ, ერთხელ კუნძულის გარშემო აღიმართაო მაღალი ზვირთი. ხალხი შეშინდა, მხოლოდ ენალოსი გავიდა ზღვასთან, საიდანაც ამოვიდნენ და პოსეიდონის ტაძრისკენ გაემართნენ მრავალფეხები (თუ რვაფეხები); მათ შორის ყველაზე დიდს მიჰქონდა ქვა და ამ ქვას ერქვა ენალოსი. „ისე კი, ზოგადად, ადამიანებს რომ ესმოდეთ, თუ რა სხვაობაა შეუძლებელსა და უჩვეულოს შორის, ჭეშმარიტად

უაზროსა და ჩვენი გაგებით უაზროს შორის, მაშინ ისინი რაიმეს რწმენით ან ურწმუნოებით კი არ იქნებოდნენ შეპყრობილნი, არამედ შენს რჩევას გაიზიარებდნენ, ქილონ, როდესაც ამბობ: „არაფერი ზედმეტიო“».

21. ამის შემდეგ ანაქარსისმა თქვა:

«რადგანაც თალესის დიდებული განაცხადით სული განფენილია სამყაროს ყველა უმნიშვნელოვანეს და უდიდეს განჩინებულში, ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენები ღვთის ნებით ხდება. სხეული სულის აღსაჭურველია, სული კი ღმერთის. როგორც სხეული ილვწის საკუთარი ძალით, უფრო ხშირად და უფრო კარგად კი — სულის ძალით, ასევეა სულიც, ხან საკუთარი ძალისხმევით ილვწის, ხან ღმერთს ენდობა, რათა მან იგი თავისი ნებით წარმართოს. აღსაჭურველთა შორის სული ყველაზე მორჩილია. და მართლაც, განაგრძო ანაქარსისმა, თუ ცეცხლი არის ღვთის იარაღი და მასთან ერთად ქარიც, წყალიც, ღრუბელიცა და წვიმაც, რომლებითაც ის ზოგს აცოცხლებს და არჩენს ხოლმე, ხოლო ზოგს ღუპავს და ანადგურებს, მაშინ საოცარი იქნებოდა, რომ მის უამრავ ქმნილებათაგან მხოლოდ ცხოველები ყოფილიყვნენ გამოუსადეგარნი მისთვის. უფრო სარწმუნოა, რომ ისინიც ღვთის ძალას მორჩილებდნენ და მიაგებდნენ მის ღვაწლს პატივს ზუსტად ისევე, როგორ მშვილდები სკვითებს, ანდა ლირები და ფლეიტები — ელინებს».

შემდეგ პოეტმა ქერსიასმა შეგვახსენა, რომ ასეთ უიმედოდ გადარჩენილთა შორის მოიხსენიებაო კიფსელოსიც, თავად პერიანდროსის მამა, რომელიც დაბადებისთანავე უნდა მოეკლათ. მაგრამ როდესაც მან გაუღიმა მოგზავნილ მკვლელებს, ისინი შეცბნენ, ხოლო ძალა რომ მოიკრიბეს და ჩვილს დაუწყეს ძებნა, ველარ იპოვნეს, რადგანაც დედამ იგი სკივრში[68] ჩამალა. სწორედ იმიტომ აღაშენა კიფსელოსმა დელფოსში მოგვიანებით განძთსაცავი, რომ ღმერთმა ჩვილს ტირილი შეაკავებინა, რათა მძებნელებს არ აღმოეჩინათ.

ახლა უკვე პერიანდროსს მიმართა პიტაკოსმა:

«კარგია, რომ ქერსიასმა შეგვახსენა ეს განძთსაცავი, პერიანდროს, მე ხშირად მსურდა, მეკითხა შენთვის იქ, ფინიკის ქვეშ რატომ არიან ბაყაყები[69] ესოდენ მრავლად გამოქანდაკებულნი და რა საერთო აქვთ მათ შემწირველთან ანდა ღმერთთან?»

პერიანდროსმა შესთავაზა, ამ შეკითხვით მიემართა ქერსიასისთვის, ეს მან იცისო, რადგან თან ახლდა კიფსელოსს იმ დროს, როდესაც მისი სკივრი აკურთხეს. მაგრამ ქერსიასმა მხოლოდ გაიღიმა და თქვა:

«ვიდრე გიპასუხებდეთ, თავადაც მსურდა აქ შეკრებილთათვის მეკითხა, რას ნიშნავს გამოთქმა: „არაფერი უზომოდ“, ან „შეიცან თავი შენი“? ან თუნდაც ის სიბრძნე, რომლის გამოც ზოგმა უარი თქვა ქორწინებაზე, ზოგმა ნდობაზე, ხოლო ზოგმა საუბარზეც კი: „თავდებობის წილ — სასჯელი“?»

«რა ახსნა გინდა? — შეეპასუხა პიტაკოსი. — ესოპოსმა ხომ ამ გამონათქვამებზე დიდი ხანია სათითაოდ შეთხზა არაკი და შენ, მგონი, აქებდი კიდეც?»

«ოღონდ ხუმრობით, — სიტყვა მოუჭრა ესოპოსმა, — სინამდვილეში კი ქერსიასი მეუბნებოდა: „ამ სიბრძნეთა ჭეშმარიტი შემოქმედი ჰომეროსია, რადგანაც ჰექტორი სწორედაც რომ კარგად „იცნობდა საკუთარ თავს“, როდესაც სხვებს ერკინებოდა,

„ხოლო აიაქსთან, ტელამონის ვაჟთან, ბრძოლას გაურბოდა“,[70] ოდისევსი კი დიომედესს ურჩევდა, ყურად ეღო ბრძნული გამონათქვამი „არაფერი ზედმეტი“:

„ტიდიდეს, უზომოდ ნუღარც მაქებ და ნურც მაძაგებ“,[71] თავდებობას რომ იგი ამაო და უმგვანო საქმედ მიიჩნევდა, ამის გამო ამბობდა კიდეც:

„უკადრისია თავდებობა უმგვანოთათვის“[72].

ქერსიასი იმასაც გვიმტკიცებს, რომ ატე (სასჯელი) თავდებობისთვის დედამიწას თავად ზევსმა მოუვლინა, რადგანაც ეს ატე ზევსს თან ახლდა, როდესაც მან ჰერაკლეს დაბადების ჟამს დადო ფიცი.[73] ბოლოს კი მწარედ მოატყუა».

«ისლა დაგვრჩენია, — თქვა სოლონმა, — ახლაც ვირწმუნოთ ბრძენთა ბრძენი ჰომეროსისა, რადგანაც უკვე

„ღამდება. ღამის მორჩილებაც საამურია“.[74]

და ვგონებ, დროა ზედაშე შევწიროთ მუზებს, პოსეიდონს და ამფიტრიტეს და გავასრულოთ ეს ნადიმი».

აი, ასე დაიშალა მაშინ ჩემო ნიკარქოს, ეს თავყრილობა».

ძველბერძნულიდან თარგმნა
**ნანა ტონიამ**

### შენიშვნები

1. სავარაუდოა, რომ ვიდრე პლუტარქოსის ეს ტრაქტატი დაიწერებოდა, არსებობდა სხვა ქმნილებაც ამავე თემაზე.
2. დიოკლესის ხელობა, როგორც შემდგომში გამოჩნდება, იყო მკითხაობა. პლუტარქოსი ერთმანეთს უპირისპირებს დიოკლესის ირაციონალიზმსა და თალესის რაციონალიზმს.
3. კორინთოსის ჩრდილოეთით მდებარე ნავსაყუდარი. მისკენ გზა ორ გრძელ გალავანს შორის მიემართებოდა (როგორც ათენში).
4. არსებობს გადმოცემა, რომ ამ ქალბატონს თავისი შვილი, პერიანდროსი უყვარდა (შდრ. პართენიუსი, ამატორია, 17), მაგრამ ამ ამბავს დიოგენეს ლაერტიოსი „ფანტასტიურს“ უწოდებს (I, 96).
5. ნავკრატისი ნილოსის სანაპიროზე მდებარე ბერძნული კოლონია იყო, რომელიც ძვ.წ. VII საუკუნეში დაუარსებიათ.
6. ანდაზად ქცეული გამოთქმა, შდრ. ბერძნული საკითხები, 20, სადაც პლუტარქოსი პრიენელთა და სამოსელთა შუღლის თაობაზე გვიამბობს.
7. ეს ცნობილი იგავი, ჩვეულებრივ, მიეწერებოდა ესოპოსს, ზოგჯერ პიტაკოსს, სოლონსაც და თალესსაც. რაც შეეხება მეფე ამასისს, იგი ეგვიპტეს ძვ.წ. 570-526 წლებში მართავდა.
8. ამ აღმოჩენას წყაროები თალესს მიაკუთვნებდნენ (შდრ. პლინიუსი, ბუნების ისტორია, XXXVI 12; დიოგენეს ლაერტიოსი, I 27.), მაგრამ მეცნიერულად დასაბუთდა იგი მხოლოდ პლატონის ეპოქაში.
9. ამ გამოთქმასაც ქილონს მიაწერდნენ (დიოგენეს ლაერტიოსი, I 36 და 73). ცნობილია ერთადერთი მოლპაგოროსი, რომელიც იყო არისტაგორას მილესელის მამა და რომელიც ძვ.წ. 500 წელს იბრძოდა სპარსელთა წინააღმდეგ. პლუტარქოსის ამ ტრაქტატში ანაქრონიზმები ჩვეულებრივი მოვლენაა.
10. პლუტარქოსი ამ სენტენციის ავტორად ბიასსაც ასახელებს.

11. როგორც ცნობილია, მირსილოსი და პიტაკოსი თანამედროვენი იყვნენ და თავდაპირველად მეგობრობდნენ კიდეც. მხოლოდ მოგვიანებით განუდგნენ ერთმანეთს.

12. პლუტარქოსი „სოლონის ცხოვრების აღწერილობაში" (14) უფრო დაწვრილებით ეხება ამ თემას.

ამ გადმოცემის წყაროდ კი თავად სოლონის სიტყვებს მიიჩნევენ: **Ant. Lyr. I, p. 33,** ფრ. 23:

„მე სიბრალულმა ჩემი მხარე დამაზოგინა,
ტირანის ხელი არ შევახე მშობლიურ მიწას,
შემრჩა სახელი და სინდისი სამაგიეროდ;
როდი მრცხვენია გონივრული ნამოქმედარის,
ხალხსაც მივიმხრობ ასეთ რიგად გამარჯვებული"

(თარგმანი აკ. ურუშაძის, წიგნში: პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები).

13. პლატონის ცნობილი დიალოგი „პროტაგორასი" სხვა საკითხებთან ერთად ამ პრობლემასაც ეხება (348a-347a). პლუტარქოსი ამ გამონათქვამს მიაწერს პიტაკოსს, რომელიც მხოლოდ ესიმნეტად ითვლებოდა ანუ მიტილენეს „მომწყობად"; თუმცა ალკეოსი, რომელიც მას ლანძღავს, აღნიშნავს, იგი ტირანი იყოო. ხალხურ სიმღერაში პიტაკოსი მეფედ არის მოხსენიებული.

14. იგულისხმება: დაესაჯა არისტოკრატები; ჰეროდოტოსი ამ ამბავს ასე მოგვითხრობს: „...კორინთოსის ტირანის, კიფსელოსის მემკვიდრე მისი შვილი, პერიანდროსი გახდა. თავდაპირველად პერიანდროსი თავის მამაზე უფრო კეთილი იყო, ხოლო შემდეგ, რაც მოციქულთა მეშვეობით ურთიერთობა დაამყარა თრასიბულოსთან, მილეტის ტირანთან, ბევრად გადააჭარბა კიფსელოსს სისხლისმსმელობაში. მან გაგზავნა თრასიბულოსთან მაცნე იმის გასაგებად, თუ უფრო უკეთ როგორ უნდა მართოს ქალაქი, რომ ყველაზე უფრო საიმედოდ წარიმართოს მისი საქმეები. თრასიბულოსმა პერიანდროსისაგან მოსული კაცი გაიყვანა ქალაქგარეთ, შეიყვანა დათესილ მინდორში და მაშინ, როდესაც ის ყანაში დადიოდა, ამ მაცნეს წარამარა ეკითხებოდა, თუ რისთვისაა მოსული კორინთოდან. თან გამუდმებით სწყვეტდა, როგორც კი დაინახავდა რომელიმეს ამაღლებულს დანარჩენ თავთავებზე, სწყვეტდა და აგდებდა, ვიდრე ყანის საუკეთესო და ყველაზე სქელი ნაწილი არ გაანადგურა. ასე გადაიარა მან ეს ადგილი და არაფერი უთხრა, ისე გაგზავნა უკან მაცნე. როდესაც მაცნე კორინთოში დაბრუნდა, პერიანდროსს ძალიან უნდოდა რჩევის შეტყობა, ხოლო მაცნემ უთხრა, რომ თრასიბულოსს არაფერი ურჩევია და უკვირს მისგან, თუ რად გაგზავნა ასეთ კაცთან, რომელიც შეშლილია და თავის ქონებას თვითონვე ანადგურებს. ამასთანავე მოუთხრო რაც ნახა თრასიბულოსსთან. პერიანდროსი მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ეს საქციელი და იფიქრა, რომ თრასიბულოსი ამით მას ურჩევდა მოქალაქეთა შორის გამორჩეულნი დაეხოცა..." (ჰეროდოტოსი, ისტორია, V 92, თარგმანი თინათინ ყაუხჩიშვილისა).

15. შდრ. ათენეოსი, XIII 521 ც (ფილარქოსი).

16. როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ხის სარკოფაგი მიცვალებულის გამოსახულებით (შდრ. ჰეროდოტოსი, II 78). ანტიკურ ხანაში მონადიმეები მართლაც ირთობდნენ თავს ჩონჩხებით. ამაზე მოგვითხრობს პეტრონიუსიც (34) და ცნობილი თასიც ბოსკორეალედან.

17. ფიზიკური აღზრდის სკოლა ან უბრალოდ, სკოლა.

18. კოლონებით დამშვენებული დერეფანი.

19. ლეგენდარული სკვითი, პირველად მოხსენიებულია ჰეროდოტოსის „ისტორიაში" (IV 76).

20. ეს ე.წ. მეტყველი სახელი ქართულად „კეთილგონიერებად" ითარგმნება.

21. სხვა წყაროები მას არ მოიხსენიებენ. ამ ტრაქტატში იგი უპირისპირდება მილესელ ბრძენს.

22. შდრ. „სპარტელთა გამონათქვამები" (აგესილაოსის ან დამონისის შესახებ).

23. იგულისხმებიან მმართველი ფილოსოფოსები: კლეობულოსი, პიტაკოსი, სოლონი და სხვები.

24. ფედროსთან ეს ანეგდოტი ესოპოსის შესახებ გვხვდება (III, 3).

25. ღვთაება ჰეფესტოს ვაჟი, რომელსაც მიეწერება ფლეიტის გამოგონება. მის ტაძარს ტროიძენში აღწერს პავსანიასი (II 31, 3).

26. ზოგიერთი გადმოცემის თანახმად, ამ მოგზაურობის ჟამს ესოპოსი დაიღუპება. მას დელფოსელები ოქროს თასს ჩაუგდებენ ხურჯინში და მის ქურდობაში დასდებენ ბრალს (იხ. **Жизнеописания Эзопа**. წიგნში: **Эзоп, Басни, перевод и комментарии М. Л. Гаспарова**, М., 2000, გვ. 127-130).

27. ლიდიელი ჯორის შესახებ იხ. ესოპოსის იგავი #300.

28. ქილონის შეპასუხების აზრი შესაძლოა ასეთი იყოს: „თავად მონა ხარ, ბრძენთა შორის კი იმყოფები?"

29. პერიანდროსი ცნობილი იყო თავისი კანონით, ფუფუნების წინააღმდეგ. „ბრძენთა" და „ჩვეულებრივთა" ნადიმებს პლატონი ეხება დიალოგ „პროტაგორასში" (347ა-448ა).

30. აზრი ასეთია: მეფლეიტე ქალებს მემთვრალეთა გასართობად იხმობენ ხოლმე ნადიმის ჟამს.

31. ქალაქი ნილოსის სანაპიროზე. პლუტარქოსი თავის ტრაქტატში „ისისია და ოსირისის შესახებ" აღნიშნავდა, რომ „ბუსირისელებს არ გააჩნიათ საყვირები, რადგანაც ისინი ვირების ხმას გამოსცემენ" (362f).

32. ქალაქი ეგვიპტეში.

33. ჰეროდოტოსი ამასისის შესახებ ასეთ ამბავს მოგვითხრობს: „პირველად ეგვიპტელები ამასისს არაფრად აგდებდნენ და არც პატივს სცემდნენ, რადგან უწინ ის მდაბიო იყო და გამოჩენილ ოჯახს არ ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ ამასისმა ესენი სიბრძნითა და გონიერებით მოთოკა. მას უამრავი ძვირფასი ნივთი ჰქონდა და მათ შორის — ოქროს ფეხსაბანი ტაშტი, რომელშიც ფეხს იბანდნენ ყოველთვის თვითონ ამასისიც და ყველა მისი სტუმარიც. ეს ტაშტი მან დაამტვრევინა, მისგან ღმერთის ქანდაკება გააკეთებინა და დადგა ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას. ეგვიპტელები მიდიოდნენ ამ ქანდაკებასთან და დიდად სცემდნენ თაყვანს. ამასისმა ეს რომ შეიტყო, შეჰყარა ეგვიპტელები და უთხრა, ფეხსაბანი ტაშტისგან არის ქანდაკება გაკეთებულიო... შემდეგ თქვა, რომ თვითონაც ამ ფეხისსაბანი ტაშტის მსგავსი ამბავი დაემართა: თუ უწინ მდაბიო იყო, ახლა მათი მეფეა და ამიტომ მოუწოდებს მათ, სცენ მას პატივი და ყურადღებით მოეპყრან. ამგვარად მოარჯულა მან ეგვიპტელები, ისე რომ, ისინი მას თავისი ნებით ემსახურებოდნენ" (II 172. თარგმანი თინათინ ყაუხჩიშვილისა).

34. ჰომეროსი „ოდისეას" XIII სიმღერაში როდესაც აღწერს, თუ რა პატივით გაისტუმრეს ფეაკებმა ოდისევსი ითაკაზე, გადმოგვცემს მეფე ალკინოევსის სიტყვებს, დარბაზში შეკრებილ დიდებულებს რომ მიმართა. მათი შინაარსი ასეთია: „მართალია, თქვენ უხვად ჩაუწყვეთ საჩუქრები სკივრში ოდისევსს, მაგრამ მოდით, კიდევ ვუბოძოთ, ეს მას გამოადგება, ჩვენ კი გაცემულს იოლად ავინაზღაურებთ!"

პლატონმა „პირველი სიბრძნენი" უწოდა დელფოსის წარწერებს, რომლებსაც „შვიდ ბრძენს" აკუთვნებენ („პროტაგორასი", 343 ბ).

35. დაშიფრული გზავნილის ნაირსახეობა სპარტაში. წერილი იწერებოდა ჯოხის გარშემო სპირალურად დახვეულ ღვედზე. ის, ვინც მიიღებდა ამ გზავნილს, წერილს წაიკითხავდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ღვედს გადაახვევდა იმავე სისქისა და ფორმის ჯოხზე. არქილოქოსის ერთ-ერთ ფრაგმენტში (84) ვკითხულობთ:

„გიამბობ ერთ ამბავს, ო, კერიკიდეს,
სევდისმომგვრელი სკიტალესი"

36. „ყველაზე დიდი“, „ყველაზე ძლიერი“ და ა.შ. ხალხური სიტყვიერების გამოძახილია. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, გვაგონდება კროისოსის კითხვა, რომლითაც მან სოლონს მიმართა: „ვის თვლი უბედნიერეს ადამიანადო?“ (იხ. ჰეროდოტოსი, I 26-32).
37. შდრ. პლატონი, სახელმწიფო, 508 a-e.
38. პლატონისა და პლუტარქოსის თანახმად, დემონები ბოროტი სულები კი არ არიან, არამედ ისინი შუამავლებად გვევლინებიან ღმერთებსა და ადამიანებს შორის.
39. ეს გამოთქმა გულისხმობს: „ცრემლი ელვარა“. ალიატესი იყო ლიდიის მეფე, კროისოსის მამა, რომელიც ებრძოდა მცირეაზიელ ბერძნებს. ცხოვრობდა დაახლ. ძვ.წ. 617-560 წწ.
40. ქალაქი ევბოაზე, რომელიც ძვ.წ. 409 წელს სპარსელებმა დაარბიეს; ქალკისი – ევბოიას მთავარი ქალაქი; ლელანტონის ველი მდებარეობდა ქალკისსა და ერეტრიას შორის.
41. ჰომეროსისა და ჰესიოდეს შეჯიბრის თაობაზე პლუტარქოსი გადმოგვცემს თავის „სუფრულ საუბრებში“ V 2. იხ. აგრ. ლ, დ I, 867 სქ.
42. ლესქესი პროკლოსის ქრესტომათიაში დასახელებულია კიკლიკური პოემის, „მცირე ილიადა“, ავტორად.
43. ესოპოსის იგავი მელიასა და ჯიქზე: „მელა და ჯიქი ერთმანეთს ეკამათებოდნენ, თუ ვინ უფრო ლამაზი იყო. ჯიქი მთელი ძალით ტრაბახობდა თავისი დარახტული ბეწვით. მაგრამ მელამ ასე მიუგო: „ხედავ, რამდენად უფრო ლამაზი ვყოფილვარ, რადგანაც მე სხეული კი არ მაქვს დარახტული, არამედ სული!“ არაკი გვეუბნება, რომ სჯობს გონება გქონდეს მახვილი, ვიდრე სხეული ლამაზი“ (არაკი 12).
44. იმავე აზრს გამოთქვამს პლუტარქოსი ლიკურგოსის ბიოგრაფიაში (19).
45. ბათიკლესი იყო სახელოვანი მექოთნე. ოდესღაც მეთევზეების ბადეს ამოჰყოლია მისი სახელით ცნობილი თასი, რომელიც, ორაკულის რჩევით, უბრძნესი კაცისთვის უნდა ებოძებინათ. მეთევზეებმა მიუტანეს ეს თავი შვიდ ბრძენთაგან ერთ-ერთს. მან სხვას გაუგზავნა და ამგვარად თასმა მოიარა შვიდივე ბრძენი (იხ. პლუტარქოსი, სოლონი, 4. ეს ლეგენდა პირველად გვხვდება კალიმაქოსთან).
46. სოლონი, Anth. Lyr. 1p 32, ფრ. 20.
47. შდრ. არისტოტელე, პოლიტიკა, 127 ბ 15 და შემდეგ.
48. იგავი 382.
49. ღვინისა და წყლის შესაზავებელი ჭურჭელი.
50. ჰესიოდე პოემაში „სამუშაონი და დღენი“ ქადაგებს:
„როდესაც სვამენ, ციცხვი კრატერის თავზე
არასოდეს ამოძრაო: მხიარულებით ეს არ დასრულდება“.
51. ილიადა, IV 261.
52. ორქომენოსელი პოეტი, რომელსაც ჰესიოდეს ეპიტაფიის ავტორად მიიჩნევენ. მას მოიხსენიებს პავსანიასი (IX 39, 9-10).
53. იხ. ოდისეა, XII 61.
54. მითიური პოეტი-წინასწარმეტყველი, რომელიც კნოსოსში (კრეტა) ცხოვრობდა და ცნობილი იყო თავისი ხანგრძლივი სიცოცხლით. მის შესახებ მოგვითხრობს თეოფრასტოსი (მცენარეთა შესახებ, VII, 12, 1).
55. ჰესიოდე, სამუშაონი და დღენი, 41.
56. იქვე.
57. თუკიდიდესი „ისტორიაში“ მოიხსენიებს ეპიმენიდესის მიერ ძვ.წ. VI საუკუნის შუა ხანებში აღსრულებულ „დიდ განწმენდას“, რომელიც პისისტრატოსის ბრძანების თანახმად შედგა (III 104).
58. იხ. სამუშაონი და დღენი, 202-212.
59. შდრ. პლატონი, კანონები, VII 782 ბ.
60. აქ იგულისხმება, რომ დასრულდა სადილი, რომელსაც სადილის შემდგომ გაშლილი ახალი ნადიმი მოჰყვება.
61. ეს ადათი მოხსენიებულია პლუტარქოსის „რომულუსსა“ (25) და პავსანიასის „ელადის აღწერილობაში“ (IV 19, 2).
62. ილიადა, V 341-342.
63. ტენარონის კონცხი პელოპონესოსის უკიდურესი მხარეა. აქ პოსეიდონის კულტის არსებობის შესახებ მოგვითხრობს პავსანიასიც (III 25, 4).
64. პერიანდროსის ამ სიტყვებით პლუტარქოსი მიგვანიშნებს, რომ დითირამბოსის კლასიკური ფორმის გარდაქმნა დიონისესადმი მიძღვნილ სახოტბო სიმღერად მიეწერება არიონს, რომლის შესახებაც იწყება საუბარი.
65. არიონი, ძველი საბერძნეთის ლეგენდარული მგოსანი, მრავალ ბერძენ ავტორთან არის მოხსენიებული. პირველად არიონისა და დელფინის მითს მოგვითხრობს ჰეროდოტოსი (I 24. მკვლევარები ცდილობენ სიღრმისეული ახსნა მოუძებნონ ამ მითს: როგორც ცნობილია, დელფინი აპოლონის წმინდა ცხოველი იყო. აპოლონ-დელფინიას ცენტრად ითვლებოდა დელფოსის ნავსადგომი კრისა. რაც შეეხება არიონს, იგი დიონისეს მსახური იყო და ალბათ ამიტომ კორინთოსელმა ტირანმა პერიანდროსმა (ძვ.წ. 627-585), როდესაც ამ ღვთაებისადმი მიძღვნილი საკულტო დღესასწაული ოფიციალურად დააკანონა, ქოროთა წარმოსადგენად თავისი მეგობარი არიონ მეთიმნელი მიიწვია. ჰეროდოტოსის ცნობით, სწორედ არიონი ქმნის პირველად დითირამბოსს და მას, როგორც საგუნდო სიმღერას, ლიტერატურულ ფორმას ანიჭებს. ამგვარად, ლეგენდა დიონისეს მსახურ არიონზე, რომელიც აპოლონმა გადაარჩინა, ამ ორი მოპაექრე ღვთაების მორიგებას ემსახურებოდა.
66. როგორც ჩანს, საუბარი შეეხო ინოს, ორქომენოსის მეფის, ათამასის მეუღლეს, რომელიც თავის შვილთან ერთად ზღვაში გადავარდა და ზღვის ღვთაება ლევკოთეად გარდაისახა. პავსანიასის გადმოცემით (I 44, 7-8; II 1, 3), მისი შვილის, მელიკერტესის გვამი დელფინმა გამოიტანა ნაპირზე. ამ მოვლენის აღსანიშნავად კორინთოსში დაარსდა ისთმოსური ასპარეზობები.
67. რიონი იონიის ზღვიდან კორინთოსის ყელში გამავალ, აქაველთა ვიწრო სანაპიროზე მდებარეობდა, სამხრეთით. მოლიკრიონი და მდინარე დაფნოსი კი მის მოპირდაპირე ლოკრების სანაპიროზე, სამხრეთით.
68. შდრ. ჰეროდოტოსი, V 92. თავად სიტყვა „kuyevlh“ „სკივრს“ აღნიშნავს.
69. პლუტარქოსი თავის თხზულებაში „იმის შესახებ, თუ რატომ აღარ მისნობს პითია ლექსებით“ (400 E) ეს არის განახლებისა და სიმდიდრის სიმბოლო. ეს დიალოგი, პლატონისეული დიალოგების მსგავსად, უპასუხო კითხვით სრულდება.
70. ილიადა, XI 542.
71. ილიადა, X 249.
72. ოდისეა, VIII 351.
73. ამ ბუნდოვანი წინადადების შინაარსი ასეთია: ატე, ზევსის უფროსი ქალიშვილი გონების დაბნელების, გაგიჟების, უბედურების განმასახიერებელი ქალღმერთი იყო. როდესაც ზევსი ალკმენესაგან ვაჟის გაჩენას ელოდა, ატემ გონება დაუბნელა მას და აღიარებინა, რომ სულ მალე დაიბადებოდა ჰერაკლე, რომელიც შეიქნებოდა პერსევსის სახელოვანი კარის მეუფე. ეჭვიანმა ჰერამ შეიპირა ზევსი, რომ მას, ვინც შებინდებამდე დაიბადებოდა პერსევსის სახლში, უზენაეს მმართველად სცნობდნენ. როგორც კი მიიღო ზევსისაგან ურღვევი ფიცი, თებესკენ გაემართა და მანამ არ ამშობიარა ალკმენე, ვიდრე არ იშვა შვიდთვიანი ევრისთევსი. შემდეგ ოლიმპოსზე დაბრუნდა და ტრაბახი იწყო იმაზე, თუ როგორ აცდუნა ზევსი. განრისხდა ღმერთთა მბრძანებელი, მძვინვარებისგან გონებაარეულმა ხელი სტაცა თავის უფროს ქალიშვილს, ატეს და მთელი ძალით გადმოსტყორცნა დედამიწაზე, თან დაიფიცა რომ იგი ველარასოდეს აღზევდებოდა ოლიმპოსზე. შდრ.: ილიადა, XIX 120-131.
74. ილიადა, VII 282. 293.

ნინო დეკანოიძე

# სიტყვა – საგარეო სამოსელი

თბილისობის საზეიმო ღონისძიებებში საკუთარი წვლილი ოზურგეთელმა თეატრალებმაც შეიტანეს. **ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრმა**, სულ ახლახან არსებობის 140 წლისთავი რომ აღნიშნა, წარმოდგენა გამართა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრში. დრამატული სპექტაკლი **„წერილები შვილებს“ გურამ ბათიაშვილის** პიესის მიხედვით განხორციელდა.




რახან საქმე მაინც დაწინაურებული ჯობია, თეატრს 25 ოქტომბრის დილით, რეპეტიციამდე მივაკითხე. გურულების უდროო სტუმარს კამერდინერმა გულკეთილად მიმითითა დარბაზისაკენ, სცენიდან გადმოღვრილი შუქით ოდნავ რომ ნათდებოდა. გასხეპილ დიალექტზე მოლაპარაკე მსახიობებმა ღიმილს რომ იწვევდნენ, რეჟისორს მოაცლევინეს.

დასი ღელავდა, ღელავდა მათი სამხატვრო ხელმძღვანელი **ოთარ კუტალაძეც**, თუმცა, როგორც იციან ხოლმე თქმა, თავაზიანად გამესაუბრა.

– გურამ ბათიაშვილის, ამ საინტერესო დრამატურგის წიგნი, სრულიად შემთხვევით, ოციოდე წლის წინათ ერთ-ერთ ღონისძიებაზე პედაგოგებმა მაჩუქეს. ეს პიესაც იყო დაბეჭდილი. იმთავითვე მომეწონა. ერთი ოჯახის ტრაგედიაზეა, საზოგადოების გულგრილმა, უსულგულო დამოკიდებულებამ რომ გამოიწვია. მაშინდელ ჩემს ფიქრს, დადგმა განმეხორციელებინა, ვასილ ჩიგოგიძემ დაასწრო, ცხადია დამოუკიდებლად (იმ დროს თვითონ იყო სამხატვრო ხელმძღვანელი). სპექტაკლი მისივე რეჟისორობით დაიდგა წარმატებულადაც.

ამას წინათ საკუთარ ბიბლიოთეკაში ნავაწყდი პიესების ამ ძველ კრებულს და კვლავ მოვინდომე მივიწყებული ჩანაფიქრის ხორცშესხმა. მართალია, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ სასიკეთოდაც შეიცვალა, მაგრამ პრობლემა მაინც გადაუჭრელია, შესაბამისად აქტუალურიც. ჩემეული ხედვით გადავწყვიტეთ, დღევანდელობისთვის მოგვერგო, ძირითადი ქარგა შევუნარჩუნეთ, რაც შეუსაბამოდ მივიჩნიეთ – მოვაშორეთ. პრემიერაც შედგა. გაამართლა. თეატრმცოდნეებმა მოიწონეს. რეგიონში კი მაყურებლის ერთ-ერთ საყვარელ სანახაობად იქცა.

– საერთოდ, თეატრის რეპერტუარი არც ისე ღარიბულია. რამდენიმე ნიჭიერი, საინტერესო რეჟისორი მუშაობს. ვახერხებთ ახალ-ახალი სპექტაკლების შეთავაზებას მაყურებლისადმი. საამისოდ კულტურის სამინისტროსთან ერთად მზრუნველობას არ გვაკლებს და მხარში გვიდგას რეგიონის ხელმძღვანელობა, მხარის გუბერნატორი. ასე რომ თუკი წლების წინათ თეატრი მსახიობთა ერთგულებითა და ენთუზიაზმით სულდგმულებდა, მათ უკვე ხელფასი 37 ლარიდან 350-მდე გაეზარდათ. იქნებ ეს თანხა დღეს ბევრს არ ნიშნავს, მაგრამ აღარც ცოტაა...

სიტყვას თეატრის მმართველი და მსახიობი **ზაზა ჯინჭარაძეც** შეგვაწევს:

– გადაუჭარბებლად შემიძლია მოგახსენოთ, ჩვენი დასი ერთადერთია რეგიონების თეატრებს შორის, რომელიც მოძრაობს სხვადასხვა კუთხეში. წლევანდელ ზაფხულს მაღალმთიანი ხულოს რაიონის სოფლებში გავმართეთ წარმოდგენები, გურიის სოფლებს ხომ არა და არ ვტოვებთ უყურადღებოდ. ერთი წლის წინათ თურქეთში, ქალაქ გულანჯაკში მიგვიწვიეს ხელოვნების ფესტივალზე და სპეციალური სიგელით დაგვაჯილდოვეს, სპექტაკლის ყოველ მონაწილეს ფასიანი საჩუქარი უსახსოვრეს.

მსახიობი **ნინო ჯუღელი**: ოზურგეთში დავბინავდი და აგერ ოცდაათი წელია ჩემი თეატრით ვცხოვრობ. საუკეთესო წლები აქ გავხარჯე. ორმოცდაათამდე მთავარი და მეორეხარისხოვანი როლი დამიგროვდა დრამატული თუ კომიკური. როგორ ვცხოვრობ? საერთოდ მსახიობი საკუთარი გამოგონილის ტყვეა, ამიტომაცაა, რომ ცხოვრება არ ანებივრებს. ბევრჯერ უმწეო და დაუცველი რჩება ყოფის პირისპირ. არტისტი ბავშვივითაა, სულ პატარა რაღაცაზე შეიძლება ატირდეს და სხვისთვის რომ უმნიშვნელო იქნება, ისეთმა ყურადღებამ გაათბოს და დააიმედოს.

და მაინც, ცხოვრება საინტერესოა, არ გეთმობა. მითუმეტეს; ამას ალმოაჩენ მაშინ, როცა აღარაფრის შეცვლა შეგიძლია...

ალბათ, ნებისმიერი ჩემი კოლეგის სათქმელს გამოვხატავ თუ გეტყვით, რომ მეგობრული გუნდი გვყავს, შეკრული, ერთსულოვანი. პათეტიკის გარეშე – მხარში ჩემი თეატრი მიდგას. თეატრის მმართველი ზაზა ჯინჭარაძე გულითადი კაცია, ნებისმიერი თანამშრომლისათვის ყურადღებიანი და საიმედო.

...ექვსი საათისთვის ფოიეში თავმოყრილმა საზოგადოებამ ცხადყო, ოზურგეთელთა წარმოდგენას მაყურებელი არ მოაკლდებოდა. ხოლო სპექტაკლის მსვლელობისას ლიტერატურულმა ქართულმა, სცენიდან რომ გაისმოდა და ბოლომდე ბზარი არც გასჩენია, მიმახვედრა, დილით ყურმოკრული სხარტულა გურული დიალექტი შინაურული ურთიერთობისთვის ჰქონიათ გადანახული, სტუმრებს კი საგარეო „სამოსელით“ შეეგებნენ, გულიც აუთრთოლეს და თანადგომაც გამოახატვინეს.

სპექტაკლში „წერილები შვილებს“ მონაწილეობენ მსახიობები: **ბელა კიკვაძე, ნინო ჯუღელი, თეა და ჯემალ კეჭაყმაძეები, ალექსანდრე ლომიძე, ზაზა ჯინჭარაძე, ვალერიან კანთელაძე, გიორგი დოლიძე, თეა ჯიჯეიშვილი, მამუკა გაგუა.**

დასასრულ წარმოდგენას მხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვა. სცენაზე აიწვიეს პიესის ავტორი **გურამ ბათიაშვილი**. ცოტა მოგვიანებით კი **გიგა ლორთქიფანიძემ** თავის კაბინეტში მიიპატიჟა ოზურგეთელთა დასი, წარმატება უსურვა და ჩვეული დამაჯერებლობით გაამხნევა.

# თბილისში ვარდი აყვავდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორი შალვა ნუცუბიძე კითხულობს მოხსენებას „ფსევდოარეოპაგელის საიდუმლოება“, საჯარო ბიბლიოთეკაში ნიკოლოზ კანდელაკი ატარებს ლექციას თემაზე „ვეფხისტყაოსანი – გმირობის, მეგობრობისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალების საგანძური“, ოპერისა და ბალეტის თეატრში გადის „ქეთო და კოტე“, რუსთაველის თეატრში – „ღალატი“, მარჯანიშვილის თეატრში – „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, ცირკში შეჯიბრებაა ფრანგულ ჭიდაობაში.

ზემოხსენებულ ინფორმაციას თვალს რომ გადაავლებ გაზეთ „კომუნისტის“ ბოლო გვერდზე, იფიქრებ, ქვეყნად მშვიდობა და უდარდელი ცხოვრება სუფევსო, არადა დგება მრისხანე ცხრაას ორმოცდაორი.



*ქერჩი, მემორიალი*

ამბობენ, ქვემეხთა ქუხილში მუზები დუმდებიანო, მაგრამ იმხანად არ დადუმებულან.

„შინმოუსვლელო, სადა ხარ, შენ ხომ თბილისი გიყვარდა? სად ლპება შენი ქოჩორი, თვალი სად ამოგილამდა?“ – წერდა გიორგი ლეონიძე და თითქოს ესმოდა პასუხად ხმა შინმოუსვლელისა: ქერჩში ამომილამდა თვალი, ქერჩშიო.

რომელი მოვლენები უძღოდა წინ ქერჩის ტრაგედიას, რომელიც უტოლდება ჩვენი წარსულის ყველაზე სისხლიან ნიშანსვეტებს.

1941 წლის შემოდგომაზე წითელი არმია იძულებული გახდა დაეტოვებინა ყირიმი (სევასტოპოლის გამოკლებით). მალე დაიგეგმა სადესანტო ოპერაცია კავკასიიდან – ქერჩის ნახევარკუნძულის ასაღებად და იქ მძლავრი პლაცდარმის შესაქმნელად.

დეკემბრის დამლევს დესანტმა მთლიანად დაიკავა ქერჩის ნახევარკუნძული და ქალაქი ფეოდოსია.

1942 წლის დამდეგს ჩამოყალიბებულმა ყირიმის ფრონტმა გენერალ-ლეიტენანტ დ. კოზლოვის სარდლობით, რომელსაც ემორჩილებოდა 44-ე, 47-ე და 51-ე არმიები, თებერვლიდან მაისამდე სამჯერ სცადა გაერღვია მტრის თავდაცვა, მაგრამ მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, წარმატებას ვერ მიაღწია.

8 მაისს გერმანელთა მე-12 არმია, ფელდმარშალ ერიხ ფონ მანშტეინის სარდლობით, იწყებს შეტევას ქერჩზე.

წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა ლევ მეხლისმა, რომელიც კომისრად იყო მივლინებული ყირიმის ფრონტზე, დაუყოვნებლივ აფრინა დეპეშა უმაღლესი მთავარსარდლის სახელზე და ფრონტის სარდლობას ბრალი დასდო მომაკვდინებელ ცოდვებში.

უმაღლესი მთავარსარდალი საპასუხო დეპეშით ამცნობდა მეხლისს, კოზლოვს ვერ შევცვლი ჰინდენბურგით (სახელგანთქმული გერმანელი მხედართმთავარი პირველ მსოფლიო ომში), ვინაიდან რეზერვში ჰინდენბურგები არა გვყავსო. ამასთან საყვედურობდა, თქვენ რატომღაც გარეშე დამკვირვებლის პოზიციას იჭერთ, რომელიც ყირიმის ფრონტის საქმეებზე პასუხს არ აგებსო.

ნათქვამია, ბრიყვს თუკი ლოცვა აიძულე, შუბლს გაიხეთქავსო, და მეხლისმა თავისებურად გაიგო უმაღლესი მთავარსარდლის შენიშვნა. როგორც იტყვიან, თავზე წამოაჯდა ფრონტის სარდალს, მაგრამ სამხედრო საქმისა არაფერი გაეგებოდა და საოცარ უვიცობას ამჟღავნებდა. თვითმხილველნი „დამთხვეულ კომისარს“ ეძახდნენ.

მეხლისმა აკრძალა სანგრების გათხრა – მებრძოლთა საომარი სულისკვეთება არ შესუსტდესო! სიფრთხილესა და ხელსაყრელი პოზიციის ძებნას ლაჩრობად მიიჩნევდა. ყველა სიკეთესთან ერთად, სამი არმია ყოვლად გაუმართლებელი სიმჭიდროვით იყო განლაგებული 16-კილომეტრიან ფრონტზე. თითო დივიზიას 600-700 მეტრი ეკავა!

გერმანელთა შემოტევამ იქაურობა სასაკლაოდ აქცია. ყოველი საარტილერიო ჭურვის აფეთქება სისხლიან ფაფას წარმოქმნიდა.

15 მაისიდან ქერჩის მიდამოებში სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. 20 მაისს კი ყველაფერი დამთავრებული იყო. ფრონტის ძირითადი ძალების ორგანიზებული ევაკუაცია, ქერჩის სრუტით ტამანის ნახევარკუნძულზე, ვერ მოხერხდა.

საბჭოთა მონაცემებით, ქერჩის ბრძოლებში დაიღუპა 176 ათასი კაცი.

224-ე ქართული მსროლელი დივიზიის სამი მეოთხედი დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა.

ქართველთა დაღვრილი სისხლით ქერჩი ლამის გაუტოლდეს მარაბდას.

„თბილისში ვარდი აყვავდა, შენ სად არჩიე დარჩენა? ნეტავი წამოგახედა, მთაწმინდა კიდევ გაჩვენა!“ – ასე დასტიროდა გიორგი ლეონიძის ლექსი შინმოუსვლელს.

ერთი ქართველი თვითმხილველის გადმოცემით, ფრონტის სარდალი კოზლოვი გალეწილი მთვრალი ელოდა თვითმფრინავს სამშვიდობოზე გასაქცევად და ლუღლუღებდა: მთელი სამყარო ბარდაკია და ყველანი ბოზები ვართო.

ივნისის დამდეგს კოზლოვმა მიღება სთხოვა უმაღლეს მთავარსარდალს, რომელიც მშვიდად შეეგება და თავისი გულისწყრომა არაფრით გამოუხატავს. კოზლოვმა ყველაფერი მეხლისს გადააბრალა – ჩემს საქმეებში ერეოდა და ხელს მიშლიდაო.

რატომ არ დამირეკეთ და არ მაცნობეთო, უკითხავს უმაღლეს მთავარსარდალს.

კოზლოვი თავს იმართლებდა, დარეკვას დიახაც ვაპირებდი, მაგრამ ვერ მოვახერხე, მეხლისი ერთი ნაბიჯითაც არ მშორდებოდა და მისი თანდასწრებით ხომ ვერ დავრეკავდიო.

უმაღლეს მთავარსარდალს მწარედ ჩაეცინება და მომჩივანს ასე მიმართავს:

– გერმანელებზე მეტად, ეტყობა, მეხლისისა გეშინოდათ.

– ამხანაგო სტალინ, თქვენ არ იცნობთ მეხლისს!

როგორ არ ვიცნობო, გულისტკივილით უთქვამს უმაღლეს მთავარსარდალს.

მშვენივრად იცნობდა, მაგრამ მბრძანებელნი იოლად როდი ელევიან ერთგულ ლაქიებს.

ხ 50/42



# წვიმა რომ არა...

იტალიელი კინორეჟისორი ჯუზეპე დე სანტისი, ერთ-ერთი ბურჯი ნეორეალიზმისა, გაფაციცებით ეძებდა მსახიობ ქალს მთავარ როლზე თავის ფილმში, რომლის ჩანაფიქრი ჩაესახა 1947 წლის მაისში მილანის ვაგზალზე, სადაც თითქმის მთელი ღამე თვალს ადევნებდა და უსმენდა იქ თავშეყრილ გლეხის ქალებს, ბრინჯის მოსავლის ასაღებად რომ იყვნენ ჩამოსულნი სამხრეთიდან. ჩაფიქრებულ ფილმს ერქვა „მწარე ბრინჯი".

სცენარზე მუშაობის დროს რეჟისორი თვალნათლივ ხედავდა მთავარ გმირქალს, მაგრამ როდესაც დადგა დრო ფილმის გადაღებისა, გამოირკვა, რომ მისთვის ცნობილ იტალიელ მსახიობთაგან ვერავინ გამოდგებოდა ამ როლისათვის.

დე სანტისი აუცილებლად თვლიდა, რომ მსახიობებს, ძველებს თუ ახლებს, უნდა სცოდნოდათ ნამდვილი ცხოვრება, ჩაყურყუმალებულიყვნენ ყოველდღიურ რეალობაში და გაეარათ სიმართლის სკოლა. ცხოვრებისეული სიმართლე უნდა ხორცშესხმულიყო სწორედ მსახიობთა სახეებზე, ჟესტებში, ფაქტურაში, ერთი სიტყვით – მათ იერში.

დე სანტისი ძალიანაც ცდილობდა, მაგრამ ვერაფრით ვერ პოულობდა იტალიელ პროფესიონალ მსახიობებში იმ ქალს, რომელიც მის გმირს ჰგავდა. გადაწყვიტა არაპროფესიონალის მოძიება. ათობით პრეტენდენტი გასინჯა, მაგრამ უშედეგოდ. ერთ დილას გამოჩნდა ქალიშვილი, რომელსაც მყისვე მიიჩნევდი სიცილიელად. ეს იყო სილვანა მანგანო.


*სილვანა მანგანო*

რეჟისორთან ვიზიტისათვის იგი ისე გამოპრანჭულიყო, რომ, დე სანტისის სიტყვით, თუკი იტყოდი, უხამსად გამოიყურებაო, ეს ქათინაური იქნებოდა. მოელვარე ფერუმარილი ტონობით ედო სახეზე, ტუჩებსა და ცხვირზეც კი. მჭიდროდ მომდგარი კაბა ეცვა და თმა ზვინივით აეკოკოლავებინა თავზე.

რეჟისორს კი ენადა ახალგაზრდა გლეხის გოგო, უბრალო და თავდაჭერილი, მაგრამ ბრიალა, თვალებში ეშმაკუნები რომ უხტოდნენ, უმწიკვლო და, იმავდროულად, ვნების ალმძვრელი, მიმზიდველი. ერთი სიტყვით, არ გამოდგებოდა.

დე სანტისი განაგრძობდა ძიებას. ბოლოს და ბოლოს თვალი დაადგა ლუჩია ბოზეს, რომელსაც ის-ის იყო „მის იტალიის" ტიტული მოეხვეჭა და, ალბათ, მასზე შეაჩერებდა არჩევანს, რომ არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა ერთ წვიმიან დღეს 1948 წლის მარტის თვეში.

დე სანტისი გამოსულა ვია ვენეტოზე მდებარე ბარიდან, მარტოდმარტო, უქუდოდ და უქოლგოდ. მარდად მიაბიჯებდა და კედლებს ეკვროდა, არ დავსველდეო. ერთი ქუჩის კუთხეში შეეჩეხა ქალიშვილს, ერთხანს იდგნენ მოუხერხებლად და ერთმანეთს არ უთმობდნენ გზას.

ბაჯაღლო ოქროს ფერი თმა, გრძელი და გაშლილი, წვიმით განბანილი. სუფთა სახე, გრიმის ნატამალიც რომ არ ემჩნეოდა. ღია თაფლისფერი თვალები, თვინიერი და მეტყველი (როგორც ნაცემ ძაღლსო, შენიშნავს დე სანტისი). ეცვა უბადრუკი ლაბადა, ან ნათხოვარი ანდა იაფ ბაზრობაზე ნაყიდი. ხელში რატომღაც ეჭირა ვარდი, გათოშილი თითებით ეჭირა, თითქოს სხვისი იყო (პრიმიტივისტთა ნახატებზე ასე უჭირავთ ყვავილი პატარძლებსო) – აი, ასეთი სურათი წარმოუდგა თვალწინ გმირქალის მაძიებელ რეჟისორს.

ეს ისევ სილვანა მანგანო იყო, მაგრამ სრულიად სხვაგვარი.

დე სანტისი კარგახანს აკვირდებოდა, ვიდრე ქალი მორცხვად აუწყებდა თავის ვინაობას. და რეჟისორი უცებ მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო მისი ფილმის მთავარი გმირი.

რეჟისორმა დაინახა მასში ის, რასაც ამაოდ ეძებდა მთელი წელიწადი. დაინახა ხალხური და, იმავდროულად, არისტოკრატიული სიწმინდე, ის გლეხური მიამიტობა და ალალმართლობა, რასაც სამუდამოდ ინარჩუნებენ ქალაქში დამკვიდრებული სოფლელები, ის შინაგანი მგზნებარება და სილაღე, რასაც ვერ მიჩქმალავდა მისი უბადრუკი, სველი ლაბადა.

დე სანტისი იგონებს: „ამ წვიმაში, რომლის ქვეშ ორივენი ვიდექით მოჯადოებულნი, აღარაფერი გვახსოვდა (ოღონდ არ ვიცი, ის რით იყო მოჯადოებული) და სილვანა კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში".

იმ დღეს რომ არ გაწვიმებულიყო რომში, სილვანა მანგანო ეგებ ვერც გამხდარიყო კინოვარსკვლავი, ეგებ ვერც გაჰყოლოდა ცოლად „მწარე ბრინჯის" პროდიუსერს დინო დე ლაურენტისს და ვეღარ გაჩნდებოდნენ ამქვეყნად: ვერონიკა, რაფაელა, ფრანჩესკა და ფედერიკო...

აი, რა შესძლებია ერთ ჩვეულებრივ წვიმას მარტის თვეში.

## ქრონიკა

5 ნოემბერს გორში ამ უნივერსიტეტის პროფესორის, ელდარ მამისთვალიშვილის დაბადებიდან 70 და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. ბატონი ელდარი 13 მონოგრაფიისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მის მეცნიერულ და პედაგოგიურ დამსახურებას ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ერთხმად აღიარებენ სამეცნიერო წრეებში.

საიუბილეო საღამო გახსნა გორის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზაზა ცოტნიაშვილმა. ბატონ ელდარს იუბილე მიულოცეს – ვაჟა კიკნაძემ (ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი), გივი აბალაკმა (გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე), ლევან მიდოდაშვილმა (გორის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), შოთა ქურდაძემ (პროფესორი), გიორგი ციცქიშვილმა (გორის უნივერსიტეტის სტუდენტი), ევა ბაბალაშვილმა (მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი საქართველოში), ჯამლეტ ხუხაშვილმა (სპორტული რადიო "ჯაკო"-ს გენერალური დირექტორი), როსტომ ჩხეიძემ (მწერალი), გურამ ბათიაშვილმა (მწერალი), მურმან პაპაშვილმა (პროფესორი), ვანო ჩხიკვაძემ (მწერალი), გივი ღამბაშიძემ (პროფესორი), თამარ კოშორიძემ (გორის ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერმუშაკი), ქეთევან მეძმარიაშვილმა (ისტორიკოსი), რობერტ მაღლაკელიძემ (კულტურის დამსახურებული მოღვაწე). ღონისძიება მუსიკალური ნომრებით დასრულდა.

# ან კეისარი, ან არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ ჩხეიძის გახსენება

ამ სიტყვებს იმეორებს ინგლისელი პოეტი და მოაზროვნე ბაირონი ქართველი მწერლის **ოთარ ჩხეიძის** ბიოგრაფიულ რომანში **„იტალიური დღიურები ბაირონისა“**. ოთარ ჩხეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს წინა დღეებში სწორედ ამ წიგნმა შემახსენა ხელახლა თავი მწერლის მდიდარი, ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. რატომ? არ ვიცი, ალბათ უმთავრესად იმიტომ, რომ საზღვარგარეთული ლიტერატურის შეცნობის კარიბჭე ჩემთვის ბატონი ოთარის ლექციებთან იყო დაკავშირებული. შემოდიოდა **ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის** ერთ მყუდრო, საოცრად ნოსტალგიური განწყობის აღმძვრელ კაბინეტში და იწყებდა ლექციას ყოველგვარი ხმაურის, მოსამზადებელი სიტყვის გარეშე...ნელა, თანდათანობით, უაღრესი სითბოთი და მუდამდღევი იუმორით იშლებოდა ჩვენ თვალწინ სხვადასხვა ქვეყნების პროზაიკოსთა, პოეტთა, დრამატურგთა ცხოვრება-შემოქმედება. ტექსტების უმეტესობას ჩვენი სტუდენტობა იცნობდა ჯერ კიდევ სკოლის დროიდან, მაგრამ მათი ავტორების ცხოვრება უცნობი და ღირსსაცნობი...

ლექცია ერუდიციის გამოხატულებაც იყო და ქართველის თვალით დანახული, აღქმული ლიტერატურული სამყაროს რეტროსპექცია ჩვენთვის, სტუდენტებისათვის. არადა, როდესაც „იტალიურ დღიურებს“ ვათვალიერებ კიდევ ერთხელ, თვალში მხვდება, როგორი სიღრმით სწავლობდა მწერალი მეორე მწერლის ცხოვრებას, ბიოგრაფოსთა თვალით დანახულს, როგორ ეკამათება მათ და როგორ იხედება საკუთარი თვალით იმ ტრაგიკული პერიპეტიებში, რომელიც თანამდევი იყო ბაირონისათვის. და არა მარტო ბაირონისათვის, თვით მისთვისაც, როდესაც მართლაცდა საოცარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ოსტატობით შეაბიჯა ქართულ მწერლობაში და „სოცრეალიზმის“ კრედოებისაგან განსხვავებული სახეებით ერთბაშად დაიმსახურა რისხვაც, აღტაცებაც, განკიცხვაც და აღიარებაც. ალბათ, როგორ ხშირად უჭირდა ჩვენს დიდებულ ლექტორს, რომლის აუგი არცერთ სტუდენტს არ დასცდენია არასოდეს, პირიქით, **„ლიახველთა“** თაობა რომ მას **„კეისარს“** უწოდებდა, ჩვენთვის რაღაც იდუმალების წყარო იყო ბატონი ოთარის აღსაქმელად. დიახ, იგი ჩვენი ლექტორი გახლდათ, ხედავდა თითოეულს, მაგრამ არა გამორჩეულად, თუმცა თვითონ თურმე არჩევდა, იცოდა ფასი ნიჭისა და ამ ნაპერწკალს იმწამსვე ჩასჭიდებდა ხელს, თოთოს მზის სინათლეზე გამოიყვანდა და, გზას რომ გაუხსნიდა: აბა, ახლა შენ იციო! – მიაძახებდა.

ერთი მისი გამოწვრთნილი პროზაიკოსი, რომელიც ბატონი ოთარის „აღმოჩენა“ იყო, სინანულით აცხადებდა ამ რამდენიმე წლის წინათ: ბატონი ოთარი რომ ოცი წლით ახალგაზრდა მაინც ყოფილიყო, ჩემი ნაკალმევის პოპულარობას ჭეშმარიტად შეუწყობდაო ხელსო. ეს ახლაც აკლია იმ შესანიშნავ მწერალს, აკლია ბატონი ოთარის დამრიგებლობა, შორსგანჭვრეტა და საჯაროდ აღიარება...



მურმან ჩაჩუას ფოტო

ყველას გვაკლია...ბატონმა ოთარმა დაბეჭდა ჩემი პირველი ლიტერატურული ნაკალმევი „ლიახვში“, ხათრით და ნასტუდენტარის მიმართ პატივისცემის გამო კი არა, მოძიებული მასალის ღირსების დაფასებით და საზოგადოებისათვის მისი გაცნობის აუცილებლობით.

ამისი უტყუარი ალღო ჰქონდა. ისევე, როგორც ალღო – მასაში გამოეყო საჭირო ტიპაჟის ყველაზე დამახასიათებელი შტრიხი, გაეშალა და ხშირად უცნაურ ჭრილში წარმოედგინა თავის ნაწარმოებში. ყურადღებით უსმენდა, თუ რაიმე საგულისხმოდ ეჩვენებოდა, იბეჭდავდა თავის მეხსიერების ხვეულებში და მერე, მერე გადადიოდა იგი ბწკარებში. ებრძოდნენ, ებრძოდნენ მას, როგორც პიროვნებას, მწერალს, სტილს...მაგრამ ვერ ებრძოდნენ როგორც ლექტორს, არ ებრძოდნენ არც კოლეგები, არც სტუდენტები. აქ არ გრძნობდნენ მოშურნენი საფრთხეს თავიანთი მზაკვრული ხლართებისათვის. სწორედ აქ შეცდნენ. იგი დარჩა ღრმა პატივისცემის, რაღაც გამორჩეულობის სიმბოლოდ ყველა თაობაში, ასე რომ, ჩვენ შევიცანით იგი – სტუდენტებმა. გვიყვარდა, ვგრძნობდით მის თბილ გამოხედ[illegible] მოკრძალებით ვექცეოდით. იქნებ... [illegible]ქნებ მაშინ უნდა მოგვეწყო ბატონი ოთარის [illegible]ის საიუბილეო საღამო, იქნებ...

მთავარი ერთია, მწერალმა იცოდა, ვინ იყო, იცოდა, იტანდა, გაერიდებოდა მოშურნე-გამქიქებლებს, საყვარელ სოფელში ისალბუნებდა ნატკენ გულს და, ალბათ, ამ სიტყვებს იმეორებდა: ან კეისარი, ან არაფერი.

**თამილა გოგოლაძე**



დიუმას ქუჩა

თემო მაჭავარიანი

ISSN 1987-77